

1941/5



მნათობი

2

61

114 / 5
1941

98.

თ ბ ბ ბ რ ვ ა ზ ი

თბილისი

1941



მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამთლიანო
ჟურნალი

წელიწადი მეთვრამეტე

2

4066

6397



19 თებერვალი 41
ს ა ხ ე ლ გ ა მ ი

პ/მგ. რედაქტორი ალიო მავაშვილი.

წელმოწერილია დასაბეჭდად 9/IV-41 წ. უმ 17731. ანაწილების ზომა 7×12 . ნაბეჭდ ფორ-
მათა რაოდენობა 11. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688. საავტორო ფორმათა
რაოდენობა = 12.2. სტამბის შეკვეთის № 267. ტირაჟი 2600.

საბეჭდამის ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი, ეორესის ქ. № 5.



გ. ი. ზაბოტაძე



მ. ბ. სტალინი

საბჭოთა სეპარატიზმის



მ ბ ი ნ ე ლ ი

ქ. ნ. ჩაკვიანი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ქართველი ხალხის ღმრთიანი

1941 წლის 25 თებერვალი ქართველი ხალხის სასიხარულო ღმრთიანი დღესასწაულია. ამ დღეს სრულდება 20 წელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

შესანიშნავი შედეგებით ხედებიან საქართველოს მშრომელები სახელგანთქცილნი. მოკლე ისტორიული ვადის განმავლობაში მიღწეულია ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების ნამდვილი აყვავება, მისი მეურნეობისა და კულტურის ყოველმხრივი აღმავლობა.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა ბელადისა და მეგობრის — ამხანაგ სტალინის ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოცულმა საქართველომ მტკიცედ დაიკავა ადგილი საბჭოთა კავშირის — მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს — მოწინავე რესპუბლიკებს შორის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. თავისი ბატონობის 3 წლის განმავლობაში ქართველმა მენშევიკებმა — ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ლაქიებმა და მსახურებმა — მოასწრეს ქვეყნის მიყვანა დანგრევამდე. ისედაც ლარიზმა მრეწველობამ მენშევიკების ბატონობის წლებში თითქმის მთლიანად შესწყვიტა მუშაობა. მიწათმოქმედება მთლად დაეცა და სოფლად შიმშილი და სიღატაკე იყო გამეფებული.

თვით მენშევიკ მმართველებსაც არ შეეძლოთ დაეფარათ ეკონომიური კატასტროფა, რომელიც გამოწვეული იყო მათი გამცემლური პოლიტიკით. ქართველი ხალხის უბოროტესმა მტერმა, მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ნ. ჟორდანიამ 1920 წლის ოქტომბერში განაცხადა: „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად ჩვენ სწრაფი ნაბიჯით მივდივართ კატასტროფისაკენ. ახლა ყოველივე ეს გამართლდა. ახლა ყოველი ჩვენთაგანი მთელი სიმწვავეთ განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს: ჩვენ უკვე მივდივართ კატასტროფამდე“.

ხელმძღვანელობდნენ რა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის მითითებით, ქართველმა კომუნისტებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველივე დღეებიდან ხელი მოჰკიდეს მეურნეობის აღდგენას.

სტალინური ხელისუფლების წლები აღინიშნა სოციალისტური მრეწველობის სწრაფი ზრდით. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში საქართველოს მსხვილი მრეწველობის ძირითად საწარმოო საშუალებათა დირექტულმა 22,4-ჯერ გაიზარდა.

კაპიტალური დაბანდებები მსხვილ მრეწველობაში 1923 წლიდან 1939 წლამდე ჩათვლით შეადგენდა დაახლოებით 1.800 მილიონ მანეთს.

ამ სახსრებით აშენდა სამ ათეულამდე მსხვილი ქარხანა (ტექსტილური და შრავალი საშუალო, აგრეთვე გატარდა ყველა ძველი საწარმოო სახეობის რეკონსტრუქცია).

წინათ საქართველოში მრეწველობის ერთადერთი მნიშვნელოვანი კერა იყო ქ. ჭიათურის რაიონი. ჭიათურის მარგანეცი მუშავდება წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან. რევოლუციამდე მარგანეცის მრეწველობის მეპატრონეები ძირითადად უცხოელი კაპიტალისტები იყვნენ.

მსოფლიოში უმდიდრესი საბაღო კაპიტალისტებს მილიონიან მოგებას აღუვდა. ისინი მის ექსპლოატაციას ეწეოდნენ მტაცებლურად, სრულებით არ ზრუნავდნენ მოწყობილობით შახტების რამდენადმე დამაკმაყოფილებელი აღჭურვისათვის. 1913 წელს ჭიათურის მადნის ამოღებამ მიაღწია 950 ათას ტონას.

ომის დროს მარგანეცის მრეწველობა დაეცა, ხოლო მენშევიკების ბატონობის წლებში თითქმის მთლიანად შეჩერდა. 1920 წელს ამოღებულ იქნა სულ 125 ათასი ტონა.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, პირველი ხუთწლედის დასაწყისში ფართოდ გაიშალა მუშაობა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რეკონსტრუქციისათვის. მაღაროებმა მიიღეს თანამედროვე მექანიზაცია. იქ ამუშავდნენ ელექტრომავლები, რომლებმაც ხელით გამოგორება შესცვალეს. გაჩნდნენ საყვავი მანქანები. ამასთან ერთად წლითიწლობით მატულობდა მაღაროებში მომუშავე მუშათა რაოდენობა.

1932 წელს მადნის მოპოვებამ მიაღწია 400 ათას ტონამდე, ხოლო 1940 წელს სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

მარგანეცის მრეწველობის წინაშე გადაშლილია განვითარების ფართო პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის მზარდი მეტალურგია ჭიათურის მარგანეცს უფროდაუფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს. ჭიათურის მაღაროელთა მოვალეობაა ყოველწლობით გაადიდონ ამოღება და გააუმჯობესონ სასაქონლო მადნის ხარისხი.

საქართველოში პირველი მსხვილი მეტალურგიული საწარმო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელ ქარხნებს სპეციალური შენადნობებით ამარაგებს. მაგრამ შავი მეტალურგია ამჟამად მეტად ფართოდ ვითარდება. ამხანაგ სტალინის წინადადებით უახლოესი 4 წლის განმავლობაში აშენებულ უნდა იქნას ამიერ-კავკასიის მეტალურგიული კომბინატი მეტალურგიული წარმოების სრული ციკლით. კომბინატის მშენებლობისათვის აღვილი ამორჩეულია საქართველოში. მშენებლობა უკვე დაწყებულია, და საქართველოს მშრომელთა ღირსების საქმეა მისი დროზე დამთავრება.

მეტალურგიული კომბინატი შენდება ტყიბულისა და ტყვარჩელის საოქსაივი ქვანახშირისა და დაშქესანის რკინის მადნის (აზერბაიჯანის სსრ) ბაზაზე.

მეტალურგიული კომბინატის მშენებლობასთან დაკავშირებით რესპუბლიკის წინაშე დგება ქვანახშირის ამოღების ფართოდ განვითარების ამოცანა.

1940 წელს საქართველოში ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 7-ჯერ და უფრო მეტად 1928 წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ქვანახშირის



ქ. გ. ჩაგვჭობაძე

მრეწველობის პროდუქცია ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. მეტალურგიული კომბინატის ექსპლოატაციის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვანი ტონა ქვანახშირი იქნება საჭირო. მეტალურგიული წარმოების ქვანახშირით უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე სათბობის მხრივ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის მთელი მოთხოვნილებების უზრუნველყოფისათვის საჭიროა მოკლე ხნის განმავლობაში ავაშენოთ რამდენიმე მძლავრი შახტი. შახტების მშენებლობა დაწყებულ უნდა იქნას არა მარტო ტყიბულსა და ტყვარჩელში, არამედ ძირითადად ქვანახშირის ახლად აღმოჩენილ საბადოებში. ასეთი საბადოები ჩვენში რამდენიმეა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ უკვე დამტკიცებულია საქართველოში ახალი შახტების მშენებლობა, და ამ საქმისათვის გამოყოფილია საჭირო სახსრები, მექანიზმები, მოწყობილობა და მასალები. შექმნილია სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სპეციალური სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც ადგილებზე უკვე შეუდგა მუშაობას.

საქართველოს ბევრ რაიონში დიდხინიდან იყო ცნობილი ნავთის არსებობა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დაწყებამდე ნავთის მრეწველობის ორგანიზაციისათვის სერიოზულად არავის მოუკიდინა ხელი. საბჭოთა გეოლოგების მიერ ჩატარებულმა საძიებელმა სამუშაოებმა შესაძლებლობა მოგვცეს გამოგვეჩვენა, რომ საქართველოს ნავთის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნია. დაახლოებით ათი წლის წინათ საფუძველი დაედო ნავთის მოპოვებელ მრეწველობას.

ამჟამად ჰაბურღილების დანახვა შეიძლება საქართველოს მრავალ კუთხეში. ისინი განსაკუთრებით ბევრია წითელ-წყაროს რაიონში, სადაც მიმდინარე წლის იანვარში გამოიყო პირველი საექსპლოატაციო სარეწი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ საექსპლოატაციო ბურღვასა და ამოღებაზე იმუშავენს. დღემდე „საქნავთის“ ყველა სარეწი საძიებელი იყო.

ნავთის ამოღება სწრაფად იზრდება. 3 წლის განმავლობაში მთელ ტრესტში იგი თითქმის ერთისამად გადიდება.

რესპუბლიკაში ნავთის მრეწველობის არსებობის განმავლობაში გაიზარდნენ ნავთის მუშაკთა — მუშათა, გეოლოგთა, ინჟინერთა კვალიფიციური კადრები. ბევრი მათგანი იძლევა მაღალ მაჩვენებლებს მუშაობაში.

საქართველოს ნავთის ახალგაზრდა მრეწველობის ამოცანაა უფრო უკეთესად მოაწყოს ნავთის რაიონების გეოლოგიური შესწავლა და ძიება. ამასთან ერთად უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს არსებული ჰაბურღილების გამოყენებას და ამოღების გადიდებას. ერთი-ორი წლის შემდეგ საქართველოს ნავთის მრეწველობამ უნდა მოგვცეს იმდენი ნავთი, რამდენიც საჭიროა თუნდაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. ამ ამოცანის გადასაჭრელად ყველა საჭირო წინა პირობა გვაქვს.

ამჟამად საქართველოში შენდება მთელი რიგი მსხვილი მანქანათმშენებელი ქარხნები. მანქანათმშენებლობა და დაზავთმშენებლობა მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგი ხდება. მათ განვითარებასთან ერთად ინერგება ახალი ტექნიკა, იზრდება კადრები, რომლებიც წარმოების მაღალ კულტურას ეუფლებიან.

დიდი ლენინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან საქართველოს კომუნისტებს მიუთითებდა ელექტროფიკაციის ფართოდ განვითარების აუცილებლობაზე. და მართლაც, სახალხო მეურნეობაში პირველი დიდი სამუშაო იყო მუშაობა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დარგში. ზემოაქალის ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგური ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგურთაგანია საბჭოთა კავშირში. შემდეგში აშენდა მძლავრი ჰიდროსადგური მდინარე რიონზე, აგრეთვე აბაშის ჰიდროელექტროსადგური, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური. ამუშავდნენ ტყვარჩელისა და თბილისის თბოცენტრალები.

გარდა ამისა, აშენებულ იქნა ათეულობით საშუალო და წვრილი ელექტროსადგურები ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სოფლებისათვის მომსახურების გასაწევად.

ელექტროენერჯის გამომუშავებამ 1940 წელს 37-ჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

მიუხედავად ამისა, ელექტროენერჯის გამომუშავების ზრდა ვერ ეწევა მოხმარების ზრდას. დანაკლისის დასაფარავად საჭიროა რაც შეიძლება მოკლე ვადაში დავამთავროთ და ავამუშავოთ კიდევ ორი ჰიდროსადგური, რომლებიც შენდება. ამასთან ერთად საჭიროა შევუდგეთ ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. საქართველოს მშფოთვარე მდინარეები ენერჯის უღვევლ მარაგს შეიცავენ. ჩვენ მოვალენი ვართ სულ უფროდაუფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ ბუნების ეს საჩუქარი.

საქართველოს კვების მრეწველობის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის. ეს არის — სურნელოვანი ქართული ჩაი, ხილის კონსერვები, საუკეთესო სუფრის ღვინოები, კონიაკი, საუკეთესო თამბაქო და სხვა მაღალხარისხოვანი პროდუქტები.

საქართველოს რაიონებში აშენებულია 35 ჩაის მძლავრი ფაბრიკა, რომლებმაც 1940 წელს გადაამუშავეს 52 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ორ დიდ საკონსერვო ქარხანაში სწარმოებს სხვადასხვა ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება.

მეღვინეობის მთელი მრეწველობა რეკონსტრუირებულია. აშენებულია აგრეთვე ახალი ქარხნები და მარნები.

5-6 წლის წინათ სამრეწველო მასშტაბით პირველად იქნა მოწყობილი შამპანური ღვინოების წარმოება. 1936 წელს გამოშვებულ იქნა 130 ათასი ბოთლი შამპანური, ხოლო 1939 წელს შამპანურის ტირაჟი უდრიდა 1.320 ათას ბოთლს.

შამპანურის გამოსამუშავებლად თბილისში შენდება სპეციალური კომბინატი, რომლის დიდი ნაწილიც უკვე ამუშავდა.

საქართველოს კვების მრეწველობა სუფრის საუკეთესო ღვინოებთან ერთად ყოველ წელიწადს სულ უფროდაუფრო მეტი რაოდენობით გამოუშვებს მაღალხარისხოვან შამპანურს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებანი ფართოდ არის ცნობილი. საკოლმეურნეო წყობილებამ ქართველ გლეხობას შეძლებული ცხოვრება მოუტანა. მეურნეობის კოლექტიურმა სისტემამ პირობები შექმნა მიწათმოქმედების ახალი დარგების დანერგვისათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის სახეს ამჟამად განსაზღვრავს სუბტროპიკული კულტურების, მე-

ვენახეობის, მებეღობის, მეთამბაქოობის მაღალი განვითარება. ფართოდ გავრცელდა აგრეთვე გერანი და სხვა ეთერ-ზეთოვანი კულტურები.

საქართველოს კოლმეურნეობებმა მიაღწიეს საზოგადოებრივი მცხოვრებლების განვითარების კარგ მაჩვენებლებს.

„კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მცხოვრებლების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების მომენტიდან, წლიანხვედრის განმავლობაში, საკოლმეურნეო ჯოჯის სულადობა გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 29,9 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 50,6 პროცენტით, ღორისა — 42,2 პროცენტით.

მაღალ ღონეს მიაღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. რესპუბლიკაში არსებობს 58 მტს-ი სამიათასზე მეტი ტრაქტორისა და 500-ზე მეტი კომბაინის პარკით. ამ მძლავრმა მანქანებმა შესცვალეს მამაპაპური კავი და ხის გუთანნი.

გასულ წელს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ორი დადგენილება, რომლებშიც გამოხატულია პპოვა პარტიისა და მთავრობის დიდმა მზრუნველობამ საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავებისათვის. ეს დადგენილებანი წარმოადგენენ მუშაობის პროგრამას კოლმეურნე გლეხობისა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭომ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი წყალთა-სამეურნეო მშენებლობის ფართოდ გაშლის საკითხებს. მორწყვის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოსათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. თუმცა სარწყავი მიწების ფართობი 1914 წელთან შედარებით თითქმის ერთისამად გადიდდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის საკმარისი. წყალთა-სამეურნეო მშენებლობის დარგში დასახული სამუშაოები გააორკეცებენ სარწყავი ფართობის ოდენობას. მარტო ქართლის რაიონებში, რომელთა შესახებაც მიღებულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილება, სარწყავ სისტემათა მშენებლობაზე 5 წელიწადში 60 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება, აქედან კოლმეურნეობათა შრომითი მონაწილეობა შეადგენს არანაკლებ 25 მილიონისა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლხიდის ჭაობების ამოშრობას. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, მხოლოდ ბოლშევიკებს შეეძლოთ შესდგომოდნენ ისეთი რთული და გაბედული პრობლემის გადაწყვეტას, როგორც არის საუკუნოვანი ჭაობების ლიკვიდაცია და ათეულ ათასობით ჰექტარი უნოყიერესი მიწის განთავისუფლება ციტრუსოვანი ბაღებისათვის გამოსაყენებლად. ყოფილი ჭაობების პირველ 8 ათას ჰექტარს უკვე ამუშავებენ კოლმეურნეობანი, ხოლო ამოშრობით განთავისუფლებული 4 ათასი ჰექტარი ფართობის მიღება აბლა ხდება და იგი მალე კოლმეურნეობებს გადაეცემა.

საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 94 პროცენტი გავრთიანებულია კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობათა შემოსავალი წლითიწლობით მატულობს. საქართველოს კოლმეურნე გლეხობა უადრესად შადლობელია პარტიისა და დიდი სტალინისა შეძლებული ცხოვრებისათვის, ყურადღებისა და მზრუნველობისათვის.

სავსებით იცვალეს სახე საქართველოს ქალაქებმა. ისინი დამკვიდრდნენ ახალი შენობებით, გაუმჯობესებული ქუჩებით, მოედნებით, პარკებით.

მშრომელთა ცხოვრების მატერიალური დონის სწრაფ ზრდას განსაზღვრავს მათი კულტურის ამაღლება. მიღწეულია წერაკითხვის საყოველთაო გავრცელება. რესპუბლიკაში განათლების დონის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი. საქართველოში, სადაც მოსახლეობა 3,5 მილიონ კაცს შეადგენს, საყოველთაო განათლების 4.429 სკოლაა. მათი რიცხვი 1915 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდა. ამ რაოდენობიდან არის 627 საშუალო სკოლა და 1.145 არასრული საშუალო. გარდა ამისა, ითვლება 197 ტექნიკუმი და 287 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა მოზრდილთათვის.

დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში და ტექნიკუმებში 780 ათასი მოსწავლე ირიცხება.

საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში 21 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე მოდის 113 კაცი საშუალო განათლებით და 11 კაცი უმაღლესი განათლებით. ასეთია საქართველოში განათლების დონე, რომელიც მიღწეულია საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებითა მეოხებით.

სისხლისმღვრელ დამპყრობელებთან მკაცრი ბრძოლის საუკუნეებზე გამოატარა ქართველმა ხალხმა თავისი ძველი მაღალი კულტურა. ამ კულტურას სასტიკად სდევნიდა მეფის თვითმპყრობელობა. მაგრამ მას ყველაზე მეტად ამცირებდნენ მენშევიკი მმართველები თავისი ბატონობის დროს.

აი დამახასიათებელი ფაქტი. ყოველგვარ დახმარებას მოკლებულმა თბილისის საოპერო თეატრმა 1919 წლის სექტემბერში მიმართა ინგლისის მისიას და სთხოვა მას მასალა დეკორაციებისათვის, როგორც მოწყალემა. „გამოეთქვამ რა ღრმა მოწიწებას პატივცემულ მისიისადმი, — ამთავრებდა წერილს ინგლისის მისიისადმი თეატრის დირექტორი, — მინდა მოვავლო მას, რომ ჩვენი თეატრი ყოველთვის ცდილობდა რაც შეიძლება კარგად მომზადებულად და მხატვრულად დაედგა ოპერები, რათა ცოტაოდენი ესთეტიკური კმაყოფილება მაინც მიენიჭებინა ჩვენი ძვირფასი სტუმრებისათვის“.

ეს დოკუმენტი შესანიშნავი სისწორით გადმოსცემს დროის სტილს, ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონების წინაშე, ინგლისელი იმპერიალისტების წინაშე მენშევიკების პირმოთხოვნისა და მლიქვნელობის სტილს. ამასთან ერთად ის ცხადყოფს ხელოვნების უბადრუკ მდგომარეობას მენშევიკების დროს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა ქართული კულტურის აღორძინებისა და აყვავებისათვის. მარტო თბილისში ახლა 12 სახელმწიფო თეატრი მუშაობს. ისეთი თეატრები, როგორც რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, თავისი მიღწევებით ცნობილი არიან არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების მშრომელთათვისაც. საქართველოში არის კიდევ 7 საოლქო და 27 რაიონული სტაციონარული თეატრი.

ქართული საბჭოთა ფერწერა და მუსიკა საყოველთაოდ ცნობილი არიან საბჭოთა ხალხში და სარგებლობენ მძიმე სიყვარულით.

საქართველოს მწერლები ჰქმნიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას და ბრძოლას. ქართული

51211
4825

საქართველოს მწერლები ჰქმნიან მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას და ბრძოლას.



ლიტერატურის ნაწარმოებები ითარგმნება და იცემა მოძმე ხალხთა ენებზე. ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი მემკვიდრეობა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთა კუთვნილება გახდა. მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი შედეგი — შოთა რუსთაველის გენიალური პოემა, რომელიც დაწერილია XII საუკუნეში, ათობით ენებზე აუღერდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის გამოვიდა ამ პოემის მეოთხე, ყველაზე სრულყოფილი თარგმანი რუსულ ენაზე.

ქართული საბჭოთა მეცნიერებრივი სიმწიფეს მოწმობს ის, რომ სსრ კავშირის მთავრობამ ნება დაგვართო შეიქმნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რომელიც მოწოდებულია გახდეს რესპუბლიკაში მეცნიერული აზროვნების ხელმძღვანელი ცენტრი.

ყველაზე ძვირფას მიღწევად, რომლითაც ხედება საბჭოთა საქართველო თავის ოცი წლისთავს, უნდა ჩაითვალოს მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრების შექმნა და აღზრდა. მართო საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა 20 წლის განმავლობაში 30 ათასამდე სპეციალისტი გამოუშვეს. საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები გვიჩვენებენ საბჭოთა სამშობლოს ძალებისა და სიმდიდრის გადიდებისათვის, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ ნიმუშებს.

ყველა მიღწევა საბჭოთა საქართველოს მშენებლობაში, მეურნეობასა და კულტურაში შედეგია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განუხრელი გატარებისა. ეს მიღწევები შედეგია საკ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივების, ამხანაგ სტალინის დირექტივების განხორციელებისათვის, ლენინური იდეების სიწმინდისათვის ქართველი ბოლშევიკების შეუპოვარი ბრძოლისა ამხანაგ ლაერენტი ბერიას მეთაურობით სოციალისტური მშენებლობის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში.

ქართველ ხალხს კარგად ესმის, რომ თავის წარმატებებს იგი უნდა უმაღლოდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ თანამეგობრობას, და იგი ღრმად აფასებს დიდი რუსი ხალხის დახმარებას, რომელსაც ყოველდღიურად გრძნობს.

სახელოვანი დღესასწაულის დღეს ქართველი ხალხი — დიდით პატარამდე — მადლობითა და მხურვალე სიყვარულით მიაპყრობს თვალს დიდ სტალინს, რომლის გენიალური წინამძღოლობით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად იგი განაგრძობს თავის ძლევაშისილ გზას კომუნისმისაკენ.

3. ბაქრაძე

საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ლენინ-სვალინის ღრობით ბრძოლისა და ბაქრაძეების 20 წელი*)

I

ამხანაგებო! დღევანდელი დღე ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე სასიხარულო დღესასწაულის დღეა.

როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მენშევიკებმა — საერთაშორისო იმპერიალიზმის ამ უბადრუკმა ლაქიებმა იმთავითვე შესძლეს მოეწყვიტათ საქართველო რევოლუციური რუსეთისაგან და ქართველი ხალხისათვის უცხოელ კაპიტალისტურ მტაცებელთა უღელი დაედგათ.

ოცი წლის წინათ, დიდი რუსი ხალხის დახმარებით ქართველმა ხალხმა მოსპო მენშევიკ-ნაციონალისტთა ბატონობა, რომლებიც სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში სჩაგრავდნენ საქართველოს მშრომელებს.

განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და სიხარულის ზეიმით დღესასწაულობს ქართველი ხალხი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის დღეს, ვინაიდან ამ დღიდან გადაიშალა ქართველი ხალხის ისტორიის უბრწყინვალესი ფურცელი.

II

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს არაერთხელ შემოსევიათ უცხოელი დამპყრობელნი და აუოხრებიათ იგი. კალისავით მოედებოდნენ ხოლმე მას სპარსელთა, თურქთა, მონღოლთა, არაბთა, ბიზანტიელთა და რომაელთა ურიცხვი ურდოები, რომლებიც ცეცხლითა და მახვილით სპობდნენ ყოველივეს, რაც მათ გზად ხვდებოდათ.

მუდმივი ომიანობის მდგომარეობისა და საფრთხეში მყოფმა ქართველმა ხალხმა, მრავალრიცხოვან უცხოელ დამპყრობელებთან გამირულ ბრძოლაში შესძლო შეენარჩუნებინა არა მარტო თავისი ფიზიკური არსებობა, არამედ თავისი უძველესი კულტურაც.

საქართველო ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოსაგან მიეღო დახმარება უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ისტორიაში ცნობილია, რომ რუსული ორიენტაციისათვის სპარსეთის ხანებმა, შაჰ-აბასის მეთაურობით ჯერ კიდევ XVII საუკუნის დამდეგს სასტიკად გაანადგურეს და სისხლით მორწყეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები (კახეთი). ასიათასობით გლეხი იქვე მოსპეს, ხოლო ნაწილი სპარსეთის ისეთ ადგილებში გადაასახლეს, სადაც მათ დაღუპვა მოელოდათ.

*) მოხსენება გაცემებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო მეთიხე სესიაზე.

სისხლისმღვრელი თავდასხმების მიუხედავად, მტრებმა ვერ შეძლეს საქართველოს მოსპობა. თავისუფლების მოყვარული ქართველი ხალხი კვლავ და კვლავ იკრებდა ძალ-ღონეს, იარაღს ისხამდა და თავისი მიწებიდან აძევებდა უცხოელ დამპყრობელებს.

XIX საუკუნის დამდეგს საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს, და ამ მომენტიდან გაქტრა ქართველი ხალხის ფიზიკურად მოსპობის საფრთხე; მაგრამ საქართველოს მშრომელნი ორმაგ უღელქვეშ მოექცნენ — მათ სწავრავენ ერთის მხრივ რუსეთის ცარიზმი, ხოლო მეორეს მხრივ ქართველი მემამულეები და თავადები.

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო მეფის რუსეთის ჩვეულებრივი ნახევრადკოლონიური ქვეყანა გახდა; საქართველოს მშრომელებმა საკუთარ თავზე განიცადეს სასტიკად ექსპლოატირებული უფლებო ხალხის ხვედრი.

არარუს ეროვნებათა მიმართ მეფის რუსეთის როლის შესახებ საჯ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში ნათქვამია შემდეგი:

„მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები სრულიად უფლებონი იყვნენ, განუწყვეტილვ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას...

... მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევებს, თათარ-სომეხთა ზოცვა-ელეტას ამიერ-კავკასიაში...“


„ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეკირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე სწარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაებრძო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების“ პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა.“ (საჯ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 7).

ჩვენი გლახობა სისტემატურად იბრძოდა ქართველ მემამულეთა მხრივ ექსპლოატაციისა და მეფის თვითმპყრობელობის მოხელეთა ძალადობის წინააღმდეგ. 1812 — 1858 წლებში გლახობა დიდი აწანყებანი მოხდა კახეთში, გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში.

მეფის რუსეთის სატრაპები, ქართველ თავად-აზნაურობასთან და მემამულეებთან ერთად, სისხლში აბრძობდნენ აწანყებულ გლახებს. მათ ხერტდნენ, სახრზობელაზე ისტუმრებდნენ, შორეულ მხარეებში ჰგზავნიდნენ საკატორლო სამუშაოზე, სოფლებს ანადგურებდნენ და სწევიდნენ, ხოლო ბაღებსა და ვენახებს სულერთიანად სჩეხავდნენ.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშათა კლასმა იწყო ჩამოყალიბება, კიდევე უფრო გაძლიერდა მშრომელთა რევოლუციური კლასობრივი ბრძოლა თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის დამლევისათვის, როდესაც რუსეთის პროლეტარიატი ლენინის დიად იდეებს ეზიარა, საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო მოწინავე წარმომადგენლები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ლენინის დროშის ქვეშ დადგნენ:



მ. მ. ბაქაძე

იგი თანახმაა მსოფლიო ომის განმავლობაში საშუალება მისცეს მას გამთოყენოს საქართველოს რკინიგზები ჯარის გადასაცემად და სამხედრო ტრანსპორტისათვის“ (დოკუმენტები და მასალები ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების შესახებ, გვ. 341).

ამგვარად, მენშევიკებმა იმპერიალისტთა ჯარებს ნათიანი ბაქოსაკენ გაუხსნეს გზა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს „დამოუკიდებლობის“ შესახებ ლაუბებით მენშევიკები ჰფარავდნენ იმას, რომ ისინი დასავლეთის იმპერიალისტებს მიეყიდნენ, ვინაიდან მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების ჯარების მოსვლა ფაქტობრივად საქართველოს სრულ ოკუპაციას მოასწავებდა. მენშევიკური მთავრობის მეთაურმა ნოე ჟორდანიამ 1919 წლის იანვარში პარლამენტის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღიარა, რომ საქართველოს ბედს იმპერიალისტური სახელმწიფოები სწყვეტდნენ. იგი ამბობდა: „აქ ეი ფიქრობენ, რომ საქართველო და სომხეთი დამოუკიდებლად, სრულიად დამოუკიდებლად სწყვეტენ ყველა თავიანთ საკითხს. ბატონებო, ეს ასე არ არის. ეს რომ ასე ყოფილიყო, ცხადია, ჩვენ სულ სხვა გზებს ვიპოვიდით, მაგრამ ჩვენი საბოლოო ბედი იქ სწყდება“.

მენშევიკები სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციურ მუშათა კლასს და გლეხებს. თავიანთი ბატონობის დროს მათ საბოლოოდ გააჩანაგეს სოფლის მეურნეობა, დაანგრეს ისედაც მცირე სიმძლავრის მქონე ფაბრიკები და ქარხნები, გაანადგურეს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, განაწინეს კულტურის ჭანსალი ყლორტები, რაც თვით ხალხში გაიფურჩქნა. უკვე 1920 წლის დამლევისათვის ქართველი მენშევიკების ხელმძღვანელი ნოე ჟორდანიას ეკონომიურ თათბირზე იძულებული გახდა განეცხადებინა: „რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურად სწრაფი ნაბიჯით მივიღივართ კატასტროფისაკენ... მაგრამ ახლა ეს ჩვენი აზრი უკვე გამართლდა, ახლა ყოველი ჩვენგანი მთელი სიმწვავეით განიცდის თავის თავზე მწარე სინამდვილეს. ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდე“.

ასეთი იყო საქართველოში მენშევიკური ბატონობის შედეგი.

საქართველოს მშრომელი მასები განუწყვეტელი აჯანყებით უპასუხებდნენ მენშევიკთა გამყიდველურ პოლიტიკას. საქართველოს ბოლშევიკებმა არაღლეგალური მუშაობის მიმე პირობებში შესძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ საქართველოს გამცემლებისათვის და მუდმივი აჯანყებით ძირი გამოუთხარეს მენშევიკების ხელისუფლებას.

„1918-1919-1920 წლებში ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საქართველოში რამდენჯერმე აზვითდა აჯანყებათა ტალღა მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ. ჯანყდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს გლეხები, ჯანყდებოდნენ გორის, დუშეთის, ლაგოდეხისა და სხვა რაიონების, ქუთაისისა და ლეჩხუმის მახრების გლეხები, ჯანყდებოდნენ აფხაზეთის გლეხები. 1920 წელს აჯანყდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მასები. გაფიცვები მოედო თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების მუშათა ძირითად მასას“ (ლ. პ. ბერია, სტატიები და სიტყვები). მენშევიკური მთავრობა მთელი სისასტიკით აქრობდა საქართველოს მშრომელი მასების აჯანყებებს.

მენშევიკთა ბატონობის მთელი პერიოდის განმავლობაში თითქმის არცერთი ისეთი თვე არა ყოფილა, რომ მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლები არ მომხდარიყო და ბოლოს, ერთერთი ასეთი გამოსვლა მენშევიკურმა ჩაგვრის მოსაობით დამთავრდა. ეს იყო 1921 წლის თებერვალში, რო-

დესაც საქართველოს მუშები და გლეხები კვლავ აჯანყდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ; 16 თებერვალს მათ რევოლუციური კომიტეტი შექმნეს, და საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. მენშევიკები ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ეს აჯანყება სისხლში ჩაეხრათ. მაგრამ რევოლუციურმა კომიტეტმა დახმარებისათვის მიმართა საბჭოთა რუსეთს მთავრობას. ლენინმა და სტალინმა გადასწყვიტეს დახმარება გაეწიათ საქართველოს აჯანყებული გლეხებისა და მუშებისათვის; მათი მითითების თანახმად, ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ წითელი არმიის ნაწილები დასძრა აჯანყებულთა დასახმარებლად. ამხანაგმა კიროვმა ზამთრის განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოაწყო წითელი არმიის ნაწილების უმაგალითო ისტორიული ლაშქრობა კლუხორისა და მამისონის უღელტეხილებით.

საქართველოს მშრომელთა და წითელი არმიის შეერთებულ მოქმედებას მოჰყვა მენშევიკების საბოლოოდ განდევნა და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება საქართველოში (ტაში). ისტორიულ დღეს—1921 წლის 25 თებერვალს — ამხანაგ სერგო ორჯონიკიძემ დებეშით აცნობა ლენინსა და სტალინს: „თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“ (ხანგაძლივი ტაში).

ამ ისტორიული დღიდან დაიწყო ქართველი ხალხის ახალი აღორძინების შესანიშნავი პერიოდი. მას შემდეგ, რაც მენშევიკები განდევნეს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს, საქართველოს მშრომელები ლენინ-სტალინის დიადი უძლეველი დროშით ფართო გზით გაემართნენ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისაკენ.

III

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოს მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მეურნეობის განვითარების, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში.

საქართველო, წარსულში ცარიზმის ჩამორჩენილი კოლონია, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში საბჭოთა კავშირის აყვავებულ რესპუბლიკად გადაიქცა.

საქართველო, რომელსაც წარსულში არ გააჩნდა რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი მრეწველობა და რომელიც „რუსეთზე კიდევ უფრო მეტად გლეხური ქვეყანა“ იყო (ლენინი), საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა.

გასული 20 წლის მანძილზე საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 5.720-მდე მილიონი მანეთი. ამასთან მარტო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დაბანდებულია თითქმის 3 მილიარდი მანეთი.

ის უდიდესი სამრეწველო მშენებლობა, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, განსახიერებაა ნაციონალურ რესპუბლიკათა ინდუსტრიალიზაციისა და მოწინავე რესპუბლიკების დონემდე მათი აყვანის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ სტალინის და საბჭოთა კავშირის მთავრობის სისტემატიური დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე სა-

ქართველოში ამენებულია მსხვილი მრეწველობის 815 ახალი საწარმო. ახალი სამრეწველო საწარმოების ფართო მშენებლობასთან ერთად, ქვეყნით იქნა რეკონსტრუირებული ძველი საწარმოები, რომლებიც მუშაობის უწყვეტ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

საქართველოში სამრეწველო მშენებლობის ტემპები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლეულის მანძილზე დაბანდებული თანხების ოდენობა, პირველ ხუთწლეულში დაბანდებულ თანხებთან შედარებით, 270,2%-ს შეადგენდა, საქართველოში ეს დაბანდება 328,1%-ს უდრიდა. იმ დროს, როდესაც მრეწველობაში მეორე ხუთწლეულის მანძილზე, პირველ ხუთწლეულთან შედარებით, მთლიანად საბჭოთა კავშირში კაპიტალური დაბანდება 265,3%-ს შეადგენდა, საქართველოში ეს დაბანდება 303,4%-ს უდრიდა.

1940 წელს საქართველოს მსხვილი მრეწველობის საწარმოებმა გამოიმუშავეს 1.200 მილიონისაზე მეტი მანეთის პროდუქცია, რაც თითქმის 27-ჯერ აღემატება მრეწველობის 1913 წლის საერთო პროდუქციის ღირებულებას და 16-ჯერ და კიდევ უფრო მეტად — მრეწველობის 1927-28 წლის საერთო პროდუქციას.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შექმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობის, ნავთის მომპოვებელი, ნავთის გადამამუშავებელი, ფეროშენადნობის, ლაქ-საღებავის, შალეულის, ტრიკოტაჟის, საკონსერვო, ეთეროვანი ზეთის, ქიმიურ-ფარმაცევტული, ჩაისა და მრავალი სხვა.

სტალინური ხუთწლეულების განმავლობაში აშენდა და ამუშავდა ისეთი დიდი სამრეწველო საწარმოები, როგორიც არიან: თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა, ქარხანა „ცენტროლიტი“, ბათუმის ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, ენგურის ქალაქის კომბინატი, თბილისის ბერიას სახელობის ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკა, კასპის სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანა, ფეროშენადნობის ქარხანა, შამანური ღვინის ქარხანა, ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა, ჩაის 32 ფაბრიკა, თამბაქოს საფერმენტაციო 7 ქარხანა, ტალკის ქარხანა სამხრეთ-ოსეთში და ასობით სხვა საწარმო.

ამხანაგ სტალინის წინადადებით დაწყებულია დიდი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. აგრეთვე შენდება მთელი რიგი მსხვილი ლითონდამამუშავებელი საწარმოები.

საბჭოთა საქართველოს წიაღი შეიცავს სხვადასხვა მთამადნეულის უთვალავ სიმდიდრეს — ქვანახშირს, ნავთს, მარკანეცს, სპილენძს, მოლიბდენს, დარიშხანას, ოქროს, ვერცხლს, ნიკელს, ტყვიას, თუთიას, ვოლფრამს, ბარიტს, თაბაშირს, დიატომიტს, ვერცხლის წყალს, გოგირდს, ტალკსა და მრავალ სხვას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე შექმნილია სამთამადნო მინერალური ჰიდრიდის მომპოვებელი და გადამამუშავებელი 30-ზე მეტი ახალი საწარმო.

საქართველოს მშრომელები ყოველივე ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ამხანაგ სტალინის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანა — ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირით დააკმაყოფილონ საქართველოსა და მთელი ამიერ-კავკასიის მეურნეობის მოთხოვნილება.

განვლილი 20 წლის მანძილზე საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მშენებლობაში დაბანდებულია 170 მილიონზე მეტი მანეთი. ქვანახშირის ამოღება 1940 წელს, 1932 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და ამხანაგ სტალინის მითითების თანახმად, დიდი მუშაობა დაიწყო ტყვარჩელსა და ტყიბულში ქვანახშირის ახალი მადაროების მშენებლობისათვის. დაწყებულია ახალციხისა და ბზიბის ქვანახშირის საბადოების ფართო სამრეწველო დამუშავება. ჩვენს წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სამნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გავადიდოთ ტყიბულსა და ტყვარჩელში ქვანახშირის ამოღება 1944 წლისათვის, და, ამას გარდა, ასიათასობით ტონა ქვანახშირი მივიღოთ ახალციხისა და ბზიბის ქვანახშირის ახალი საბადოებისაგან.

საქართველოს მშრომელები უზრუნველყოფენ პარტიისა და მთავრობის ამ მნიშვნელოვანი დავალების წარმატებით შესრულებას.

მარგანეცის მთელი მსოფლიო მარაგის ერთ მესამედზე მეტი თავმოყრილია საქართველოში.

მოხდა ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის რადიკალური ტექნიკური რეკონსტრუქცია. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს მარგანეცის მრეწველობაში 85 მილიონი მანეთი დააბანდა. ამუშავებულია მთელი რიგი ახალი მადაროები და გამაუხვებელი ფაბრიკები. თუ 1933 წელს მარგანეცის მადნის 90-ზე მეტი პროცენტის ამოღება ხელით სწარმოებდა, ახლა მარგანეცის ამოღების სამუშაოთა 95% მექანიზებულია.

20 წლის განმავლობაში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის სასაქონლო პროდუქცია 12-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

ჭიათურის მადაროელები მარგანეცის მალალხარისხოვანი მადნით ამარაგებენ საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანეს მეტალურგიულ ქარხნებს.

საქართველო მდიდარია ნავთის საბადოებით, რომელთა საფუძველზედაც ვითარდება ნავთის მომპოვებელი მრეწველობა. ტრესტი „საქნავთი“ აწარმოებს მთელი რიგი ნავთიანი ფართობების დამუშავებას. საქართველოს ნავთის მომპოვებელ მრეწველობაში საბჭოთა ხელისუფლებამ 130 მილიონ მანეთზე მეტი დააბანდა. ფართოდ გაიშალა სამრეწველო და საძიებელი ბურღვა. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა ათობით ახალი კაბურღილი და ნავთის ამოღებაც მნიშვნელოვნად გაიზარდება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოს საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში დაბანდებულია 160 მილიონ მანეთზე მეტი. მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა 1940 წელს გამოიმუშავეს თითქმის 265 მილიონი მანეთის პროდუქცია, ანუ 18-ჯერ მეტი, ვიდრე 1928 წელს. დიდად განვითარდა კვების მრეწველობა. კვების მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 1928 წლის 9 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 360 მილიონ მანეთამდე 1940 წელს.

განსაკუთრებით ძლიერ განვითარდა ჩაისა და მელდენეობის მრეწველობა. ამუშავებულია ათობით ახალი ჩაის ფაბრიკა. 20 წლის მანძილზე ჩაის მრეწველობაში დაბანდებულმა კაპიტალურმა ხარჯებმა 150 მილიონ მანეთს გადააქარბა. 1940 წლიდან შენდება ლოო-ჩაის 6 ვადამუშავებელი პუნქტი, ზუგ-

დიდის ჩაის საწნები ფაბრიკა და ჩაის ხუთი სხვა ფაბრიკა. მიმდინარე წელს დაიწყება ჩაის კიდევ ოთხი ახალი ფაბრიკის მშენებლობა.

საქართველოს სატყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში საბჭოთა ხელისუფლებამ 100 მილიონ მანეთზე მეტი დააბანდა. ამუშავდა ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი. საქართველოს ხისდამმუშავებელი მრეწველობის საერთო პროდუქტია 1940 წელს, 1927-28 წელთან შედარებით, თითქმის 7-ჯერ გაიზარდა.

ფართოდ ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა. განვლილ პერიოდში ადგილობრივი მრეწველობის კაპიტალურმა ხარჯებმა 25 მილიონ მანეთს გადააჭარბა. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა (რაიონული ქვემდებარების საწარმოებთან ერთად) 1940 წელს 90 მილიონი მანეთის პროდუქტია მოგვცეს. მარტო 1939 წელს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა 65 ახალი სახის ფართო მოხმარების ნაწარმი აითვისეს. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის ცნობილი დადგენილების განხორციელების საფუძველზე, საქართველოში მოეწყო ადგილობრივი მრეწველობის ათობით ახალი საწარმო, რომლებიც უკვე მიმდინარე წელს მოგვცემენ დამატებით დიდი რაოდენობის ფართო მოხმარების საქონელს.

საქართველოს მთის მდინარეების უდიდესი ჰიდროენერგეტიული რესურსები მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა ფართოდ გამოყენებული. აშენდა და ამუშავდა მთელი რიგი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, შენდება ხრამისა და სოხუმის ჰიდროელექტროსადგურები. საქართველოში ელექტროსადგურების სიმძლავრე 1940 წელს თითქმის 7-ჯერ გაიზარდა 1927-28 წელთან შედარებით, და თითქმის 22-ჯერ 1913 წელთან შედარებით, ხოლო ელექტროენერჯის გამომუშავებამ 35-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლის ელექტროფიკაციის დარგში. სასოფლო ელექტროსადგურების რიცხვი 1932 წლის 23-დან გაიზარდა 104-მდე 1940 წელს. უახლოეს დროში დამთავრდება 14 ახალი სასოფლო ელექტროსადგურის მშენებლობა და, ამას გარდა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წელს დაიწყება ოთხი ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ქართლის რაიონებში.

მუშათა რიცხვის უდიდეს ზრდასთან ერთად წლითიწლობით იზრდება შრომის ნაყოფიერება, მარტო 1939 წელს საქართველოს მსხვილ სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერება, 1927-28 წელთან შედარებით, ერთსამად და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

განუხრელად იზრდება და ვითარდება საქართველოს სარკინიგზო, საავტომობილო, საავიაციო და წყალთა ტრანსპორტი.

20 წლის განმავლობაში აშენდა 250 კილომეტრზე მეტი ახალი რკინიგზის ლიანდაგი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა ოცნება საბჭოთა ხელისუფლებამ სინამდვილედ აქცია. გასულ წელს ქალაქ გორიდან სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრამდე გაყვანილ იქნა ახალი რკინიგზა, რომელიც ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით აშენდა. შენდება მთელი რიგი ახალი რკინიგზები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ძველი რკინიგზების მდგომარეობა. ელექტროფიცირებულია 277 კილომეტრი სარკინიგზო მაგისტრალი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენებულია 8 ათას კილომეტრზე მეტი გზატკეცილი და გაუმჯობესებული გზები, ათობით ახალი ხიდები.

საქართველოს საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკურ-მეცნიერ-კოლექტივებთან ერთად ანტიციკლებზე შრომის დისციპლინას ფაბრიკებსა და ქარხნებში, ეუფლებიან წარმოების ახალ რთულ ტექნიკას, ფართოდ აწვითავენ სტახანოვურ მოძრაობას და განუზრუნვლად აღიდეგენ შრომის ნაყოფიერებას, რის შედეგადაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებენ მესამე სტალინური ხუთწლეულის ამოცანებს.

IV

განვლილი 20 წლის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებამ სრულიად გარდაკქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობა. სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ჩვენი სოფლის წინანდელი ლაბაკური მდგომარეობა. უადრესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან საქართველო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადაიქცა მეტად ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების, ჩაის, ციტრუსების, გერანის, თამბაქოს, ვენახის, შეხილეობისა და სხვ. ქვეყნად.

საერთო სათესი ფართობი 1923 წლის 527 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 896 ათას ჰექტარამდე 1940 წელს. განსაკუთრებით ძლიერ გადიდდა ძვირფასი სპეციალური ტექნიკური კულტურების ფართობი.

თუ 1923 წელს ტექნიკურ კულტურებს მხოლოდ 8.000-მდე ჰექტარი მიწა ეკუთვნოდა, 1940 წელს ტექნიკური კულტურების ფართობმა თითქმის 52 ათას ჰექტარს მიაღწია.

ამხანაგ სტალინის ბირდაპირი მითითებით და ბოლშევიკური პარტიის ერთგული შეილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელ წლებში უდიდესი მუშაობა ჩაატარეს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების დარგში.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული მუშაობით საქართველო საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული მეურნეობის სერიოზულ და ერთადერთ ბაზად გადაიქცა.

— მიღწეულია სერიოზული წარმატებანი ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენს წინაშე დასახული იმ ამოცანის შესრულების საქმეში, რომელიც გულისხმობს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საქართველოს ჩაით. ჩაის პლანტაციების ფართობი 1921 წელს შეადგენდა სულ 1.017 ჰექტარს, ხოლო 1940 წლის დამლევისათვის ჩაის პლანტაციებს 49.636 ჰექტარი უჭირავთ.

ჩაის ფართობების გადიდებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა პლანტაციების მოსავლიანობა. 1940 წელს ჩაის პლანტაციების ერთ ჰექტარზე საშუალო მოსავალი შეადგენდა 2276 კილოგრამ შწვანე ჩაის ფოთოლს, ნაცვლად 701 კილოგრამისა 1932 წელს.

ბევრი კოლმეურნეობა ჰექტარზე 4-5 ათას და მეტ კილოგრამ ფოთოლს იღებს, ხოლო ზოგიერთმა მოწინავე სტახანოველმა კოლმეურნე ქალმა მიაღწია 10 ათას კილოგრამზე მეტი ფოთლის მიღებას ჰექტარზე.

1940 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა თითქმის 52 მილიონი კილოგრამი შწვანე ჩაის ფოთოლი იმ დროს, როდესაც 1921 წელს ჩაბარებული იყო მხოლოდ 550 ათასი კილოგრამი.

საქართველოს ჩაის ფაბრიკები საბჭოთა კავშირის მშრომელთა შრომითი ბაზის ჩაის, რომელიც თავისი ხარისხით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთის საუკეთესო ჯიშის ჩაის. საქართველოში მოშენებულა 351 ჩაის ფაბრიკამ 1940 წელს საბჭოთა კავშირის მისცა თითქმის 11 ათასი ტონა ჩაისი ჩაი და 2.600 ტონა შწვანე აგურის ჩაი.

ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებით ჩვენს წინაშე დასაბუღია ახალი სერიოზული ამოცანა. 1944 წლის დამლევისათვის ჩვენ ჩაის პლანტაციების ფართობი უნდა ავიყვანოთ 60 ათას ჰექტარამდე, ზოლო შწვანე ჩაის ფოთლის მოსავალი — 90 მილიონ კილოგრამამდე. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანასაც.

ცნობილია, რომ 1922 წლამდე საქართველოში ციტრუსოვანი კულტურების ფართობი არ აღემატებოდა 500 ჰექტარს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო ციტრუსოვანთა კულტურების სამრეწველო განვითარება.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ამხანაგ სტალინის დაავლება იმის შესახებ, რომ 1940 წლის დამლევისათვის ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი 20 ათას ჰექტარამდე აგვეყვანა.

ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი 1940 წელს აყვანილია — 24.622 ჰექტარამდე.

ჯერ კიდევ 1922 წელს ლიმონის ნარგავებს 5 ჰექტარზე ცოტამეტი ფართობი ეჭირათ, 1940 წელს კი ლიმონის ნარგავებს 7.975 ჰექტარი უჭირავთ.

1940 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 423 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, რაც ერთიორად და კიდევ მეტად აღემატება 1935 წელს დამზადებულ ციტრუსოვანთა რაოდენობას.

ციტრუსოვანი კულტურები დიდი წარმატებით განმტკიცდა საქართველოს ძველ ციტრუსოვანთა რაიონებში და ფართოდ იკიდებს ფეხს ახალ რაიონებში.

ციტრუსოვან კულტურათა მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამოცანად დაგვისახეს — 1944 წლის დამლევისათვის 40 ათას ჰექტარამდე ავიყვანოთ ციტრუსოვანთა კულტურების ფართობი და ჩავაბაროთ სახელმწიფოს სამნახევარი მილიარდი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი, მათ შორის 600 მილიონამდე ცალი ლიმონი.

არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით გაართმევენ თავს პარტიისა და მთავრობის ამ სერიოზულ დავალებას.

ჩაისა და ციტრუსოვან კულტურებთან ერთად ფართო მასშტაბით ვითარდება სუბტროპიკული ხილის ნარგავები — ხურმა, ფეიხოა, მუშმალა, ზეთისხილი.

საქართველოში ფართოდ ვითარდება ისეთი ძვირფასი კულტურებიც, როგორცაა ტუნგო, ევკალიპტი, ეთეროვანი მცენარეები, დაფნა, ბამბუკი, რამი და სხვა.

წინათ ტუნგოს ნარგავი საქართველოში სრულიად არ ყოფილა; ამჟამად კი ტუნგოს კულტურას 16.675 ჰექტარი უჭირავს.

საქართველოს კოლმეურნეობანი და გერანის ქარხნებში მარცხენა ხელისხოვანი გერანის ზეთით ამარაგებენ საბჭოთა კავშირის საპარტუხუცეთო მრეწველობას.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირს დაფინის ფოთლით ამარაგებს.

1940 წელს დაფინის ნარგავებს 2.000 ჰექტარზე მეტი ფართობი ეჭირათ, 1944 წლის დამლვისათვის დაფინის ნარგავები სულ მცირე 3.000 ჰექტარ ფართობს დაიკავებენ. ამავე დროისათვის ბამბუქის ნარგავების ფართობი 5.000 ჰექტარამდე იქნება აყვანილი.

ევკალიპტის ხეების რაოდენობა ჯერ კიდევ 1935 წელს 685 ათას ძირს არ აღემატებოდა; ამჟამად ევკალიპტის ხეების რაოდენობა 18.500 ათას ძირს უღრის. მარტო 1940 წელს დარგულია თითქმის ცხრანახევარი მილიონი ძირი ევკალიპტის ხე, ხოლო 1941 წელს დაირგება 7 მილიონ ძირამდე.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა.

მენშევიკების ბატონობის წლებში საქართველოს მევენახეობა სრულიად გაჩანაგდა და საესებით დაეცა. ფილოქსერა ყოველწლიურად ათასობით ჰექტარ ვენახს სპობდა. უკანასკნელ წლებში არამც თუ მარტო შეჩერდა ვენახის ფართობების შემცირება, არამედ, პირიქით, მისი მნიშვნელოვანი ზრდაც დაიწყო.

თუ 1928 წელს ვენახს მხოლოდ 35.400 ჰექტარი ეჭირა, 1940 წელს ვენახის ფართობი თითქმის 54.000 ჰექტარამდე გაიზარდა. სერიოზული ყურადღება ექცევა საუკეთესო ადგილობრივი ჯიშის ვაზის ფართოდ განვითარებას, ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშის ვაზი საუცხოო მასალას იძლევა მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინის გამოსამუშავებლად.

ვაზისაღმი ყურადღების გაძლიერებისა და მისი მოვლის გაუმჯობესების საფუძველზე, მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ვენახის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირს აწვდიან ღვინის საუკეთესო მაღალხარისხოვან პროდუქციას, კერძოდ, საბჭოთა შამპანურსაც.

მევენახეობისა და ხარისხობრივი მელვინეობის შემდგომი განვითარების საქმეში პარტიამ და მთავრობამ ჩვენს წინაშე ასეთი ამოცანა დასახეს: აიყვანოთ ვენახის ფართობი საქართველოში 1944 წლის დამლვისათვის 80 ათას ჰექტარამდე და სრულმოსავლიანი ვენახის მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე — 65 ცენტერამდე; გაავადილოთ სუფრის ღვინის გამოშვება 1939 წლის 651 ათასი დეკალიტრიდან 2 მილიონ დეკალიტრამდე და კონიაკის გამოშვება 53 ათასი დეკალიტრიდან 500 ათას დეკალიტრამდე.

საქართველოს მშრომელებმა უკვე გააჩაღეს ბრძოლა ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესასრულებლად.

საქართველოში ყველაზე მაღალხარისხოვანი ხილი მოდის. ხეხილის ნარგავების ფართობი 1940 წელს 71.463 ჰექტარამდე გადიდდა, ნაცვლად 39 ათასი ჰექტარისა 1933 წელს.

შემდეგში საქართველოს მეხილეობა კიდევ უფრო განვითარდება.

1940 წლის 15 ოქტომბერს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად 1941-45 წლების განმავლობაში შარტო ქართლის რაიონებში 28 ათასი ჰექტარი ხეის ახალი ბაღები უნდა გაშენდეს.

უახლოეს მომავალში საქართველო რამდენიმე ათეულ მილიონ ფუთ მაღალხარისხოვან ნაყოფს მიაწვდის საბჭოთა კავშირის მშრომლებს.

სერიოზული შედეგებია მიღწეული მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. საქართველოს მეაბრეშუმეებმა 1940 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 3.579 ტონა მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი, ნაცვლად 1.229 ტონისა 1932 წელს.

ფართობის მნიშვნელოვნად გადიდებისთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გადიდდა თამბაქოს მოსავლიანობა. 1939 წელს თამბაქოს საერთო მოსავალი შეადგენდა თითქმის 20 ათას ტონას, ნაცვლად 13 ათასი ტონისა 1933 წელს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგა მოწინავე აგროტექნიკა, წლითწლივით იზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. მოწყობილია 58 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, რომლებიც ემსახურებიან 2 ათასამდე კოლმეურნეობას. საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობს 3 ათასამდე ტრაქტორი, 2 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, 468 კომბაინი და ათიათასობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

უდიდესი მუშაობა ჩატარდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის იმ ცნობილი დირექტივის შესასრულებლად, რომელიც მან კავკასიელ კომუნისტებს მისცა საირიგაციო სამუშაოთა განვითარების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში თითქმის სამახევარჯერ გადიდდა. აშენებულია სამშველის, ტირიფონის, ალაშნის, დიღმისა და მთელი რიგი სხვა სარწყავი არხები.

დაქაობიანებული მიწების ამოშრობას წინათ არავითარბ ყურადღება არ ექცეოდა.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ამოშრობილია 44 ათას ჰექტარამდე დაქაობიანებული მიწა.

შთაღობი საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი კოლხიდის ვრცელი დაბლობის ამოშრობის უდიდესი სამუშაოთა დაწყება.

ამხანაგ სტალინის მითითებით კოლხიდის ამოშრობის სამუშაოები თავმოყრილია ქალაქ ფოთის მახლობლად მდებარე პირველი რივის მასივზე, რომლის ფართობი დაახლოებით 50 ათას ჰექტარს უდრის, ამასთან მუშაობა იმ ანგარიშით სწარმოებს, რომ იგი 1942 წლისათვის დამთავრდეს. კოლხიდის მიწების ამოსაშრობად უკვე 83 მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა. კოლხიდის 8 ათას ჰექტარამდე ამოშრობილი მიწა საექსპლოატაციოდ გადაეცემა და უახლოესი თვეების განმავლობაში დამატებით გადაეცემა საექსპლოატაციოდ 4 ათასი ჰექტარი.

კოლხიდის დაბლობი, რომელიც წარსულში აეთვისებიანი მალარიის კერას წარმოადგენდა, სუბტროპიკული კულტურების აყვავებულ ბაღად იქცევა.

ამხანაგ სტალინის სახელობის დიდი ფერგანის სარწყავი არხის მშენებელთა შაგალითის მიხედვით, საქართველოს კოლმეურნეებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა სარწყავი და ამოსაშრობი არხების გასაყვანად.

1940 წლიდან შენდება სოღანლულის სარწყავი სისტემა და ექვსი სარწყავი არხი. მიმდინარე წელს დაიწყება მთელი რიგი უდიდესი სარწყავი არხების მშენებლობა. უახლოეს დროში განზრახულია დაიწყოს მშენებლობის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები; ამ სარწყავებზე მშენებლობით დიდი მნიშვნელობა ექნება ქ. თბილისის ახლო მდებარე საკოლმეურნეო მიწებზე სამრეწველო მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის და პროდუქტიული მეცხოველეობის ფართოდ განვითარების საქმეში.

განუხრელად ანხორციელებდნენ რა პარტიისა და მთავრობის მითითებებს მეცხოველეობის განვითარების შესახებ, საქართველოს მშრომელებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს ყოველგვარი სახის პირუტყვის სულადობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. განსაკუთრებით დიდი შედეგებია მიღწეული კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის ზრდის დარგში.

ამჟამად საქართველოს კოლმეურნეობებს აქვთ მეცხოველეობის 9.545 ფერმა ნაცვლად 534 ფერმისა 1932 წელს.

საკოლმეურნეო პირუტყვის სულადობა 1940 წელს, 1932 წელთან შედარებით, გაიზარდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 294%-ით, ცხვრისა და თხისა — 546%-ით, ღორისა — 433%-ით და ცხენისა — 458,6%-ით.

ცნობილია, რომ საბჭოთა ზელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მიწის დიდი სიმცირე იყო და, ოდნავ მაინც მნიშვნელოვანი მრეწველობის უქონლობის პირობებში, ათიათასობით გლეხი საქართველოს ფარგლებში სამუშაოს ვერ შოულობდა და, შიმშილისათვის რომ თავი დაედო, იძულებული იყო საქართველოს ფარგლებიდან შორს წასულიყო ფულის საშოვრად.

ამჟამად, მრეწველობის უდიდესი ზრდისა და სოფლის მეურნეობაში ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარების შედეგად, ჩვენ მუშა-ხელის ერთგვარ ნაკლებობას განვიცდით.

უდიდესი წარმატებანი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მიღწეულია სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და კოლმეურნე გლეხობის შეძლებულობის ზრდის საფუძველზე.

ისე როგორც მთელს დიდ საბჭოთა კავშირში, საკოლმეურნეო წყობილებამ საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა საქართველოში.

1941 წლის პირველი იანვრისათვის ყველა გლეხური მეურნეობის 95% გაერთიანებულია კოლმეურნეობებში.

წლითწლილობით მატულობს საკოლმეურნეო შემოსავალი და იზრდება შრომადღის ღირებულება. უკანასკნელ 8 წლის განმავლობაში 7-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გადიდდა კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი და 9-ჯერ და კიდევ უფრო მეტად — ფულადი შემოსავალი.

კოლმეურნის თვითუღმა ოჯახმა 1939 წელს შრომადღეებზე მიიღო თითქმის ერთი ორად მეტი მარცვალი და 5-ჯერ მეტი ფული, ვიდრე 1932 წელს.

იზრდება იმ კოლმეურნეობათა რაოდენობა, რომელთა შემოსავალი მილიონ მანეთს აღემატება. თუ 1937 წელს სულ იყო 13 მილიონერი კოლმეურნეობა, უკვე 1940 წელს მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი 50-მდე გაიზარდა.

საქართველოში მოიპოვება ასობით ისეთი კოლმეურნეობანი, რომლებშიაც ერთი საკოლმეურნეო კომლის საშუალო შემოსავალი წელიწადში 10-15 ათას მანეთს აღწევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების მხრივ მიღწეულმა წარმატებებმა თავისი გამოხატულება პპოვეს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რიცხვის ზრდა მოწმობს საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და საკოლმეურნეო წარმოების ნიჰიერ ორგანიზატორთა ზრდას, სტახანოველ კოლმეურნეთა ზრდას.

1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო საქართველოს 7 რაიონი, 828 კოლმეურნეობა, 43 საბჭოთა მეურნეობა, 6 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მეცხოველეობის 98 ფერმა, 2 უმაღლესი სასწავლებელი, 9 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება, 5 საჯიშე ნაკვეთი და სოფლის მეურნეობის თითქმის 7.000 მოწინავე სტახანოველი და ორგანიზატორი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მაღალი მოსავლიანობის მიღწევის საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის გამოფენის კომიტეტის მიერ დაჯილდოებულია საქართველოს ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სოფლის მეურნეობის ასობით მოწინავენი.

ის უდიდესი მუშაობა, რაც განვლილი 20 წლის მანძილზე ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და განვითარების დარგში, წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისა და კოლმეურნე გლეხობისათვის საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მზრუნველობის ბრწყინვალე გამოხატულებას.

V

სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებს მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდა.

მარტო 1926 წლიდან 1939 წლამდე საქართველს ქალაქების მოსახლეობა თითქმის 500.000 კაცით გადიდდა და დაახლოებით 1.100 ათას კაცს უდრის. განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა მოსახლეობა ქ. თბილისში, სადაც ჯერ კიდევ 1926 წელს სულ 294.000 მცხოვრები იყო, 1939 წელს კი ქ. თბილისში უკვე 520,000-მდე მცხოვრები ირიცხებოდა.

ქალაქების მოსახლეობის განუწყვეტელი ზრდა უდიდეს მოთხოვნებს უყენებს კომუნალურ საბინაო მეურნეობას. ამ მიმართულებით საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში უდიდესი მუშაობა ჩატარდა. საქმარისია ითქვას, რომ 20 წლის განმავლობაში ქალაქების კეთილმოწყობისათვის, საბინაო და სასასტუმრო მშენებლობასთან ერთად, საბჭოთა ხელისუფლებამ 561 მილიონი მანეთი დახარჯა.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ახლად აშენდა და საესებით რეკონსტრუირებულია 25 წყალსადენი, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდება 9-ჯერ გადიდდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კანალიზაცია მარტო ქალაქ თბილისში იყო და ისიც მხოლოდ მის ცალკეულ კუთხეებში, უმთავრესად ცენტრში. ამჟამად ქალაქ თბილისის საკანალიზაციო ქსელი მნიშვნელოვნად გაფარ-

თოვდა და, ამას გარდა, დამატებით მოეწყო ახალი კანალიზაცია 5 ქუჩაში — ბათუმსა, სოხუმსა, ქუთაისსა, ჭიათურასა და გორში.

1921 წლის დამდევისათვის ელექტროსადგურები ჰქონდა მხოლოდ 13 ქალაქს, ამჟამად კი ელექტროსადგურები აქვს 26 ქალაქს და 28 რაიონულ ცენტრს. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში აშენდა მთელი რიგი მსხვილი კომუნალური ელექტროსადგურები, მათ შორის — თბილისის თბო-ელექტროცენტრალი, სტალინირის ჰიდროელსადგური, ალაზნის ჰიდროელსადგური, სოხუმის თბოელექტროცენტრალი და სხვ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სავსებით რეკონსტრუირებულ იქნა ქალაქ თბილისის ტრამვაის მეურნეობა, რომლის ქსელის სიგრძე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თითქმის ერთიორად გადიდდა. ამას გარდა, თბილისში შემოღებულია ახალი სახის ტრანსპორტი — ტროლეიბუსები, რომელთა პარკი 40 მანქანისაგან შედგება.

საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აშენებულია 18 ახალი სასტუმრო, 29 აბანო და 215 ათასი კვ. მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. აქ მხედველობაში არ არის მიღებული საცხოვრებელი სახლების ის უდიდესი რაოდენობა, რაც საწარმოებმა და დაწესებულებებმა თავიანთი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ააშენეს. ამავე დროს კი საწარმოები და დაწესებულებანი უშუალოდ დიდძალ საცხოვრებელ სახლებს აშენებენ. ასე, მაგალითად, მარტო ტრესტ „საქართველოს ჩაიმ“ თავისი მუშებისათვის ააშენა საცხოვრებელი ფართობი, რომელიც 25 ათას კვ. მეტრს შეიცავს; საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტმა 86 ათასი კვ. მეტრი; თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ — თითქმის 12 ათასი კვ. მეტრი; ქუთაისის აბრეშუმის კომბინატმა — 6 ათას კვ. მეტრამდე და ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა — 20 ათასი კვ. მეტრი.

ქალაქებში შენდება ახალი გაუმჯობესებული ქუჩები; ტარდება ძველი ქუჩების რეკონსტრუქცია და გაფართოება, ასფალტით მოკეპულია ქუჩები 1.600 ათას კვ. მეტრზე, აქედან ქალაქ თბილისში — თითქმის 750 ათას კვ. მეტრზე. კეთილმოწყობის სამუშაოები ტარდება არა მარტო ისეთ სამრეწველო ქალაქებში, როგორცაა ქ. თბილისი, ქუთაისი, ფოთი და ჭიათურა, არამედ ისეთ ქალაქებშიც, როგორცაა გორი, მახარაძე, ზაშური, თელავი, სიღნაღი და სხვ. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საქართველოს სს რესპუბლიკაში შემაჯავლი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის დედაქალაქების — ქალაქ ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის კეთილმოწყობისათვის. არ მოიპოვება არცერთი ქალაქი ან რაიონული ცენტრი, სადაც ერთგვარი მუშაობა არ სწარმოებდეს მათი კეთილმოწყობისათვის.

სავსებით შეიცვალა სახე ქ. თბილისმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული მუშაობის შედეგად საბჭოთა კავშირის ერთერთ კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცა.

ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებამ 380 მილიონ მანეთზე მეტი დააბანდა.

ქალაქების კეთილმოწყობისათვის შესრულებული უდიდესი სამუშაოები მოწმობენ საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავ მზრუნველობას იმისათვის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მშრომელთა მუდმივ მზარდი მოთხოვნები, რასაც ისინი კომუნალურ მეურნეობას უყენებენ.



VI

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად დიდი წარმატებებია მიღწეული ქართველი ხალხის კულტურულ-დონის ამაღლების, მისი ხელოვნების აყვავებისა და მშრომელი მასების კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების შესახებ ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე შემდეგი სიტყვა: „ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი ჭეშმარიტად იყო კულტურული რევოლუციის პერიოდი. სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების დანერგვა ცხოვრებაში, ყველა საფეხურის სკოლებისა და მასწავლებელთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდა, ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა და განმტკიცება, — ასეთია ხალხის კულტურული აღმავლობის საერთო სურათი“ (ი. სტალინი. საანგარიშო მოხსენება პარტიის XVIII ყრილობაზე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 36-37).

ჩვენი პარტიის ბელადის ეს სიტყვები მთლიანად და სავსებით შეგვეხება ჩვენც და ქართველი ხალხის მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობას გამოხატავს.

საქართველოში სკოლების რაოდენობა 1940 წელს, 1921 წელთან შედარებით, ორნახევარჯერ გადიდდა. ამჟამად საქართველოში სულ არის 4.923 სკოლა, რომლებშიაც 807 ათასამდე მოსწავლე სწავლობს.

საქართველოს სკოლებში 35.5მნ პედაგოგი მუშაობს, რაც ოთხნახევარჯერ აღემატება 1921 წელს მომუშავე პედაგოგთა რაოდენობას.

მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში 525 ახალი სასკოლო შენობა და საბავშვო ბაღების 33 შენობა ააშენა.

ცარიზმის დროს საქართველოში არცერთი უმაღლესი სკოლა არ ყოფილა. მენშევიკების დროს, კერძო ინიციატივით, შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტი, მაგრამ მის მატერიალურ უზრუნველყოფაზე თავს არავე იზუზუნებდა და ამის გამო იგი უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შექმნა 21 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიაც მუშათა, კომმუნისტთა და ინტელიგენციის 23.000-მდე შვილი სწავლობს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დაახლოებით 2.500 მღალკვალიფიციური მასწავლებელი, პროფესორი, დოცენტი და სხვ. მუშაობს.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა აღზარდეს უმაღლესი განათლების მქონე თითქმის 29.000 ახალგაზრდა ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, პედაგოგები, ეკონომისტები და სხვა კვალიფიციური მუშაკები ჩვენი სოციალისტური მშენებლობისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს განსაკუთრებით განვითარდა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა. მოწყობილია 76 სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და 36 მუზეუმი, რომლებშიაც 1.600-ზე მეტი მეცნიერი მუშაობს და სპეციალისტი მუშაობს.

მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი, 1922 წელთან შედარებით, 12-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გადიოდა. საქართველოს რაიონებსა და ქულებში არსებობს 1.462 საკლუბო დაწესებულება.

თუ 1921 წელს წიგნების წლიური ტირაჟი სულ 390.000 ცალს უდრიდა, 1939 წელს გამოცემულია 7.200 ათას ცალზე მეტი წიგნი. გამოდის 47 ჟურნალი 1.700 ათას ცალი ტირაჟით და 137 გაზეთი 819 ათასი ცალი ერთდროული ტირაჟით. ქართულ ენაზე რამდენიმე მილიონ ცალად გამოიცა ლენინის, სტალინის, მარქსისა და ენგელსის ნაწარმოებები, რამდენიმე ასეულ ათას ცალად გამოიცა დიდი რუსი პოეტებისა და მწერლების — პუშკინის, ლერმონტოვის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვების ნაწარმოებები.

იზრდება საქართველოს მწერალთა და პოეტთა კადრები. თავიანთ ნაწარმოებებში ისინი ასახავენ და უმღერიან სოციალიზმის დიად გამარჯვებათა მიღწევებს.

აღიზარდნენ საბჭოთა მხატვრების, არქიტექტორებისა და მოქანდაკეთა კადრები. საქართველოს ბევრმა მხატვარმა, არქიტექტორმა და მოქანდაკემ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კულტურა სახვითი ხელოვნების ახალი, მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით გაამდიდრა.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში შექმნა კინომრეწველობა, ამჟინებულია კინოფაბრიკა; თბილისის კინოსტუდიამ 20 წლის განმავლობაში გამოუშვა 116 სრულმეტრაჟიანი საბჭოთა კინოფილმი, რომელთაგან ბევრმა მაღალი შეფასება მიიღო. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ჩვენ კინოსტუდიაში გამოიზარდნენ საბჭოთა კინოს შემოქმედებით მუშაეთა — ოსტატთა შესანიშნავი კადრები.

ქართულ თეატრს, რომელსაც რევოლუციამდე მეფის თვითმპყრობელობა ავიწროებდა და რომელიც მენშევიკთა ბატონობის დროს საბოლოოდ მოიშალა, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ფართო განვითარების საშუალება.

საქართველოში მუშაობს 46 სახელმწიფო თეატრი, მათ შორის ისეთი შესანიშნავი თეატრები, როგორცაა: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრები, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი, რომლებიც, თავიანთი მაღალმხატვრული დადგმებით, საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრების რიგებში ჩადგნენ.

საბჭოთა თეატრული ხელოვნების განვითარებისათვის საქართველოში ყოველწლიურად 20 მილიონ მანეთამდე იხარჯება.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში აღიზარდა და განმტკიცდა საქართველოს ხელოვნების მუშაეთა მრავალრიცხოვანი არმია.

საქართველოს ხელოვნების ბევრ ოსტატს საპატიო ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაეთა შორის.

საქართველოს კომპოზიტორებმა, რომლებიც თავის რიგებში 40-ზე მეტ კაცს ითვლიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შექმნეს მთელი რიგი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებები.

საქართველოს მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოწყობა შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში შეიქმნა

სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ფართო ქსელი და აღიზარდნენ მეცნიერ მუშაკთა დიდძალი კადრები.

საქართველოს მეცნიერებმა უკანასკნელ დროს სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს და მნიშვნელოვანი შრომები შემატეს საბჭოთა მეცნიერებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გადაიქცევა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის ცენტრად და სერიოზულ დახმარებას გაუწევს ჩვენს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მათს შემოქმედებითს მუშაობაში (ტაში).

განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. საქართველოს მოსახლეობას მომსახურებას უწევს რამდენიმე ათასი ექიმი, რომლებიც მომზადებული არიან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ექიმების რიცხვი 1940 წელს, 1913 წელთან შედარებით, 13-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა ხელისუფლებამ 320 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობისათვის. მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო დახმარების სახით მრავალშვილიან დედებს 100 მილიონ მანეთამდე მიეცა.

20 წლის განმავლობაში საავადმყოფო დაწესებულებათა რიცხვი გადიდა 7-ჯერ, საავადმყოფო საწოლების რიცხვი — 12-ჯერ, ამბულატორიულ და პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რიცხვი — 12½-ჯერ. საავადმყოფოებსა და სამშობიარო სახლებში სამშობიარო საწოლების რიცხვი 1940 წელს, 1928 წელთან შედარებით, თითქმის 8-ჯერ გადიდა. მნიშვნელოვნად გადიდა აგრეთვე საბავშვო ბაგების, რძის პროდუქტთა სამზარეულოების, ძუძუ-მწოვარ ბავშვთა სახლების, საფერწლო პუნქტებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა რიცხვი.

მარტო უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში აშენებულია საბავშვო ბაგების 124 შენობა, სამშობიარო სახლების 642 შენობა. შენდება საავადმყოფოების რამდენიმე ახალი შენობა. რევოლუციამდე ჯანმრთელობის დაცვის ხაზით მოსახლეობის ერთ სულზე ხარჯები წელიწადში 35 კაპეიკს არ აღემატებოდა, ახლა კი საბჭოთა ხელისუფლება ყოველწლიურად ხარჯავს ჯანმრთელობის დაცვისათვის მოსახლეობის ერთ სულზე 65 მანეთამდე.

საქართველო განსაკუთრებით მდიდარია კლიმატური და მინერალური კურორტებით. ჩვენ გვაქვს 140-ზე მეტი კურორტი, რომელთაგან ბევრ კურორტს საერთო სახელმწიფო და საკავშირო მნიშვნელობა აქვს. ისეთი კურორტები, როგორცაა: წყალტუბო, აბასთუმანი, გაგრა, სოხუმი, მენჯი, ბორჯომი, ბაქურიანი, შოვი, ცემი, ახტალა, ფსირცხა, ცნობილია საბჭოთა კავშირში, ხოლო ზოგიერთ მათგანს ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გადალმაც იცნობენ.

საბჭოთა კავშირის ასიათასობით მშრომელი ყოველწლიურად აღმოებნენ და აწრთობს თავის ჯანმრთელობას საქართველოს კურორტებზე. საქართველოს კურორტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში მოეწყო. 1928 წლიდან 1940 წლამდე საბჭოთა ხელისუფლებამ კურორტების კეთილმოწყობისათვის 230 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა. საქართველოს კურორტებს ამშვენებენ მთელი რიგი შესანიშნავი ნანატორიუმები, სააბაზანო შენობები და დასასვენებელი სახლები, რომლებიც აშენებულია საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში.

საქართველოს მშრომელთა კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას და მათი კეთილდღეობის ზრდას შემდეგი მაჩვენებლებიც მოწმობენ: მუ-

შათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1928 წლის 143 ათასიდან ^{გაიზარდა} 441 ათასამდე 1939 წელს; მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ^{ფუნდი} 1928 წლის 120,900 ათასი მანეთიდან გადიდა 1.760 მილიონ ^{რეზერვში} 1939 წელს ანუ თოთხმეტნახევარჯერ; საშუალო წლიური ხელფასი მთელს სახალხო მეურნეობაში გადიდა 1928 წლის 846 მანეთიდან თითქმის 4.000 მანეთამდე 1939 წელს; სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივ კვებასთან ერთად 1928 წლის 314 მილიონ მანეთიდან გადიდა 3.250 მილიონ მანეთამდე 1940 წელს; 1925 წელს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის საქართველოს ბიუჯეტით სულ დაიხარჯა 15 მილიონი მანეთი, ხოლო 1940 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის დახარჯა 845 მილიონზე მეტი მანეთი, აქედან განათლებისათვის — 542 მილიონი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვისათვის — 194 მილიონი მანეთი, ხელოვნების ღონისძიებებისათვის — 40 მილიონი მანეთი და მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის — 60 მილიონ მანეთზე მეტი.

ეს ციფრები ყოველგვარი განმარტების გარეშე ცხადყოფენ საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მზრუნველობას ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე განუწყვეტლივ მტკიცდება მეგობრობა საქართველოში მოსახლე ხალხებს შორის. ნაცვლად წინანდელი ნაციონალური შეღლისა, რასაც ყოველნაირად და ყოველგვარი საშუალებით აღვივებდნენ ცარიზმი და მენშევიკები, ამჟამად საქართველოს სხვადასხვა ეროვნებებს შორის მეგობრობა და სრული თანხმობა სუფევს.

განუხრელად იზრდებიან და მტკიცდებიან ავტონომიური რესპუბლიკები — აფხაზეთი და აჭარა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემოდიან.

იფურჩქნება აფხაზეთსა, აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში მოსახლე ხალხთა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა და ხელოვნება.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესი გამარჯვებანი საქართველოში წარმოადგენენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად განხორციელების ბრწყინვალე გამოხატულებას.

VII

საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის არსებული დიდი სტალინური მეგობრობა ჩვენი მრავალეროვანი, სოციალისტური საშობლოს ძლევაშისილების საფუძველს წარმოადგენს.

დიდი საქართველოს მშრომელ ხალხთა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა ქართველი ხალხისადმი, რამაც სხვათა შორის, თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ისეთ ფაქტშიაც, როგორიცაა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ავტონომიური რესპუბლიკების უმრავლესობის მშრომელთა წარმომადგენლების მონაწილეობა ჩვენს დღევანდელ ზეიმში (ხანგრძლივი, მკუხარე ტაში).

დიდი ქართველი ხალხის მეგობრობა თავის უფროს ძმასთან — დიდ რუს ხალხთან, იმ ხალხთან, რომელმაც პირველად ააფრიალა პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური დროშა, უთვალავ მტრებთან ვააფთ-

რებულ ბრძოლაში დაიცვა საბჭოთა ხელისუფლება და დახმარება გაუწია ყოფილი მეფის რუსეთის ყველა მცირე ეროვნებას მათს განუყოფელუფლებაში ცარიზმის, მემამულეთა, თავადაზნაურთა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტთა უღლისაგან.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს ურყევი მეგობრობის დამყარება ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის.

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ბატონობდნენ მენშევიკები, აზერბაიჯანში მუსავატელები და სომხეთში დაშნაკები, ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის ნაციონალური შუღლი იმდენად გამწვავდა, რომ პირველ ეტაპზე ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საკითხი ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის მეგობრობისა და მშვიდობიანობის დამყარებაზე იყო დამოკიდებული.

ამ საკითხის გამო ჭერ კიდევ 1921 წლის ივლისში თბილისის პარტორგანიზაციათა კრებაზე ამხანაგი სტალინი თავის მოხსენებაში „კომუნისტის მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში“ ამბობდა:

„მე მახსოვს 1905-1917 წლები, როცა ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელთა შორის არსებობდა სრული ძმური სოლიდარობა, როცა ძმური კავშირი სომეხ, ქართველ და აზერბაიჯანელ და რუს მუშებს აკავშირებდა ერთ სოციალისტურ ოჯახად. ახლა, თბილისში ჩამოსვლისას, მე გამოთვა იმან, რომ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის ყოფილი სოლიდარობა აღარ არსებობს. გლეხებსა და მუშებში განვითარებულა ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავის სხვა ნაციონალურ ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და სხვა ყოველგვარი ნაციონალიზმი ახლა რამდენიც გნებავთ იმდენია. ძმური ნდობის ძველებური კავშირი გაწყვეტილია ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დასუსტებულია. სჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, ატარებდნენ რა თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას, მუშაობდნენ რა მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითელი ეს პატარა ქვეყანა ირგვლივ გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრული ნაციონალისტური ატმოსფერით, რამაც მოუსპო საქართველოსა და სომხეთს რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს—ბათუმით მომავალი საქონელი. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ჟლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი აღარ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება აღმოჩნდა ნაციონალიზმის შხამით მოწამლული. და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის ნაშთები ჭერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და (სამხედრო) ძალოვნის გაერთიანების საქმეში... ამიტომ საქართველოს კომუნისტების მორიგ ამოცანას წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა ნაციონალიზმის წინააღმდეგ, იმ ძველი, ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენა, რომელიც არსებობდა ნაციონალისტური მენშევი-

კური მთავრობის გამოჩენამდე, და ამგვარად, ურთიერთდროშის საერთო კომოსფერის შექმნა, რაც აუცილებელია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა და საქართველოს, საქართველო-სოციალისტური კავშირებისათვის“ (ციტატა ამოღებულია ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნიდან „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 194-195).

სწორედ იმიტომ, რომ ნაციონალური საკითხი ასე მწვავედ იდგა, პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტრებმა — ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა და, განსაკუთრებით ქართველმა უკლონისტებმა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკური პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ. შეუბრალებლად გაანადგურეს რა ყველა ჯურის ბურჟუაზიული ნაციონალისტები, ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა უზრუნველჰყვეს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა.

დღეს ჩვენ შეგვიძლია სრული კმაყოფილებით განვაცხადოთ, რომ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ხალხებს შორის მეგობრობა ისე მტკიცეა, როგორც იგი არასოდეს არ ყოფილა (**ხანგრძლივი ტაში**). ეს სტალინური მეგობრობა დღითიდღე კიდევ უფრო ძლიერდება და არავითარ შავბნელ ძალას არ შეუძლია შეარყიოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ხალხებს შორის არსებული ძმური თანამეგობრობა.

VIII

საბჭოთა ხელისუფლებამ უზრუნველჰყო ქართველი ხალხის ახალი ნაციონალური აღორძინება და საქართველო აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადააქცია. მთელ თავის წარმატებებს, თავის საამურ, ბედნიერ და კულტურულ ცხოვრებას საქართველოს მშრომელები უნდა უმადლოდნენ, უწინარეს ყოვლისა, იმას, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს ჩვენთვის, ვინც დაიცვა და განავითარა ლენინიზმი, იმას, ვინც გამოსჭედა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლევა-მოსილება, იმას, ვინც გამოსჭედა მთელი საბჭოთა ხალხის ბედნიერება — მთელ თავის წარმატებებს ქართველი ხალხი უნდა უმადლოდეს დიდ სტალინს (**მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველა დგება. დიდხანს გრძელდება ტაში და ოვაცია ამხანაგ სტალინის პატივსაცემად**).

საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი შეუძლებელი იქნებოდა იმ სისტემატური დაბმარების გარეშე, რასაც ჩვენ გვიწევს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის მთავრობა და პირადად საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური ვიჩეხსლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სტალინის დროშით საქართველოს მშრომელებმა, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, ბრწყინვალე, ბედნიერ, საამურ ცხოვრებას მიაღწიეს. განუზრებლად ანხორციელებდნენ რა ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებებს, საქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით გაანადგურეს ხალხის მოსისხლე მტრები — ტროცისტები, ბუხარინელები, მენშევიკები და საერთაშორისო იმპერიალიზმის სხვა აგენტები და ჯამუშები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ ჩვენი ძლევა-მოსილი წინსვლა სოციალიზმისაკენ და კვლავ დაედგათ ქართველი ხალხისათვის კაპიტალიზმის უღელი.

საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ იცნა, რომ საქართველოს მეურნეობის, ქართველი ხალხის კულტურის, ხელოვნების გაფურჩქვნა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება განუყრელად არის დაკავშირებული დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის სახელთან, ლავრენტი პავლეს-მე ბერიას სახელთან (მჭუხარე ოჯახია), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, და რომელმაც საქართველოს ხალხები აღზარდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ლენინ-სტალინის პარტიისა და დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

დიდი საქართველოს მშრომელთა წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ეს წარმატებანი, ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ როგორც ზოგიერთი სერიოზული ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, ისე ის უმნიშვნელოვანესი ამოცანებიც, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ სტალინის და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ მრეწველობის შემდგომი განვითარების, კოლმეურნეობათა განმტკიცების, სოფლის მეურნეობის აღმავლობის, ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

ამხანაგებო! მხოლოდ რამდენიმე დღეა, რაც დამთავრდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენცია, რომლის მუშაობას განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მთელი საბჭოთა ხალხი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირის მრეწველობამ და ტრანსპორტმა 1940 წელს მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ მესამე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში; მათ გააღიღეს წარმოების მოცულობა, უზრუნველპყვეს სახალხო მეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა და სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება“.

ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ თავისი პროდუქცია 1940 წელს, 1939 წელთან შედარებით, 11% -ით გააღიღა.

მიღწევებთან ერთად პარტიულმა კონფერენციამ ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და თანმიმდევრობით გამოააშკარავა მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი და დასახა ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის კონკრეტული გზები.

კონფერენციამ მიიღო სსრ კავშირის მრეწველობის ძირითადი დარგებისა და მთელი სახალხო მეურნეობის ზრდის შემდგომი პროგრამა და მოითხოვა, რომ უაღრესად სერიოზული ყურადღება მიექცეს პირველ რიგში თუქის, ფოლადის, ფერადი ლითონების, ქვანახშირის, ნავთის წარმოების შემდგომ ზრდას და ყოველგვარი სახის მანქანათმშენებლობის მაქსიმალურად განვითარებას.

დასახულია ამოცანა — გაიზარდოს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1941 წელს, 1940 წლის დონესთან შედარებით, 17-18% -ით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ კონკრეტულ პროგრამას ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა — კომუნისმისაკენ.

მთელი ჩვენი დიადი ქვეყანა უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორ-

ციელებას. მე მინდა აქ განვაცხადო, რომ სოციალიზმის ქვეყნის შემდგომ გამარჯვებათა ამ სტალინური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელები არ იქნებიან ჩამორჩენილთა რიგებში (ჩანგრძლივი ტაში).

ჩვენ უდიდესი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ახალი უდიდესი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის საქმეში, გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა და გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება. ჩვენ დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ ჩვენი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის, მევენახეობის, მეხილეობისა და სხვა ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების შემდგომი განვითარების დარგში. ჩვენს წინაშე დასახულია სერიოზული ამოცანა — ყოველნაირად გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების და, უწინარეს ყოვლისა, მარცვლეული კულტურების, მოსავლიანობა, რაშიაც ჩვენ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა გვაქვს.

ჩვენ აგრეთვე საგრძნობი მუშაობა უნდა ჩავატაროთ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების დარგშიც.

ამხანაგ სტალინის ყოველდღიური ყურადღება და მზრუნველობა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ 20 წლის მანძილზე მიღწეული წარმატებანი გვაგალებენ ჩვენ კიდევ უფრო მეტად გავადიდოთ ჩვენი რესპუბლიკის მიღწევები, ვამრავლოთ ეს მიღწევები ბოლშევიკური, ენერგიული, ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობით ყოველთვის და ყველგან — ფაბრიკებსა და ქარხნებში, ტრანსპორტზე, სავაჭრო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სკოლაში, სამეცნიერო დაწესებულებებში და კომუნისმის მშენებლობის ყველა სხვა უბანზე.

ამხანაგებო! ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გადაღმა გრძელდება მეორე იმპერიალისტური სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც უკვე დაატეხა თავს დიდი უბედურება ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხებს. მშვიდობიანობის ბრძნული სტალინური პოლიტიკის შედეგად მხოლოდ ჩვენი დიადი ქვეყანა ცხოვრობს მშვიდობიანად და სულ ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს კომუნისმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი დიადი საშობლო არა მარტო სარგებლობს მშვიდობიანობის მთელი სიკეთით, არამედ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, ხოლო მოსახლეობის რიცხვი, ახალი საბჭოთა რესპუბლიკების შექმნის ხარჯზე, 193 მილიონ კაცამდე გაიზარდა.

ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერი და მოხარულია, როდესაც იგი დღეს, თავის საიუბილეო დღესასწაულზე, ხედავს არა მარტო ჩვენი სახელგანთი უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქების, აგრეთვე ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის მშრომელთა წარმომადგენლებს, არამედ ახალი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების — ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მშრომელთა წარმომადგენლებსაც (ტაში), იმ რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რომლებიც 20 წლის განმავლობაში კაპიტალისტური ხროვების ბატონობის უღელქვეშ გმინავდნენ.

ამხანაგებო! დანაშაულებრივ მეორე იმპერიალისტურ ომს ჯერ დასასრული არ უჩანს. პირიქით, საქმე ისე ეწყობა, რომ, როგორც სჩანს, ომის საზღვ-

რები შეიძლება კიდევ უფრო გაფართოვდეს, და ამიტომ ჩვენ უნდა ვიყუთ ყოველგვარი შემთხვევითობისათვის.

მეორე იმპერიალისტური ომის მძვინვარე ხანძრის პირობებში სპეკულაციულს მშრომელებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი რესპუბლიკის სახანძრო მდგომარეობის თავისებურებანი და ამ ფაქტიდან ყოველგვარი საჭირო დასკვნები გამოჰყავთ. ეს დასკვნები, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის დაუღალავ ზრუნვაში. ამჟამად ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს პირველი ადგილი უნდა ეკიროს მთელს ჩვენს მუშაობაში, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი, და ამ მხრივ რაიმე უღარდებლობის გამოჩენა დიდი დანაშაული იქნება.

ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ მზრუნველობა და ყურადღება ჩვენი შეიარაღებული ძალების მიმართ, ჩვენი გმირული წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის მიმართ, რომლებმაც არაერთხელ დამტკიცეს თავიანთი იარაღის შეუღრეკელი ძალა და ძლევამოსილება, გმირობა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება, საბჭოთა ხელისუფლებისა და თავისი სამშობლოსადმი ერთგულება (ტაში).

ბედნიერი, კულტურული და უზრუნველყოფილი ცხოვრება საქართველოს მშრომელთა გულში უსაზღვრო სიყვარულის, მადლობისა და ერთგულების გრძნობას იწვევს მშობლიური სტალინისადმი, რომელმაც ქართველ ხალხს, ისე, როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხს, ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა (მქუხარე ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად, ყველა ფეხზე დგება).

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის განმავლობაში სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებებით აღფრთოვანებულნი, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალულნი და საყვარელი სტალინის გარშემო მკვიდროდ დარაზმულნი, საქართველოს მშრომელები, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ, კომუნიზმის გზით ახალი კიდევ უფრო დიდი გამარჯვებებისაკენ.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — ბოლშევიკების პარტიას! (ტაში).

გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს! (ტაში).

გაუმარჯოს მძლავრი საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს! (ტაში).

გაუმარჯოს სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას! (მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედს დიდ სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივად ტაში დიდი სტალინის პატივსაცემად. ყველა ფეხზე დგება. ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს).

მ. მახარაძე

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე


კულტურული რევოლუცია საქართველოში

(საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის გამო)

ამ წერილში მე ოდნავადაც არ ვფიქრობ ამ მეტად საინტერესო თემის საესებით გაშუქებას. მე აქ მინდა შევეხო მხოლოდ კულტურული, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოციალისტური კულტურის ათვისების საკითხებს.

კულტურული რევოლუცია საქართველოში, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, პირდაპირი და უშუალო შედეგია ყველა იმ ღონისძიებების, რომლებსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებდნენ და ანხორციელებენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. კულტურული რევოლუციის ამოცანა მეტად ძნელი და რთული საქმეა. ცნობილია, რომ სოციალისტური კულტურა თავის მხრით შეადგენს სოციალიზმის მშენებლობის წარმატებითი მსვლელობისათვის ერთ-ერთ საყურადღებო წინაპირობას. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ სოციალიზმის მშენებლობას პირველ ხანებში საგრძნობლად აფერხებდა ჩვენი ქვეყნის კულტურული ჩამორჩენა. ამიტომ ჩვენი ბელადები ლენინი და სტალინი თავიდანვე უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ კულტურის საკითხებს, ლებულობდნენ სხვადასხვა ზომებს მუშების და გლეხების კულტურული ღონის ამალგებისათვის.

ერთერთი მთავარი საყვედური, ან ბრალდება, რომელსაც უყენებდნენ რუსეთის ბოლშევიკებს მუშათა კლასის გამცემლები—მენშევიკები და ესერები, მდგომარეობდა იმაში, რომ სოციალიზმის შემოღება პირველ რიგში ზღებოდა არა მალა კულტურულ და ცივილიზებურ ქვეყნებში, ე. ი. დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, არამედ ნახევრად აზიურ ჩამორჩენილ ქვეყნებში, მეფის რუსეთში და მის კოლონიებში, ციმბირში და ამიერ-კავკასიის მხარეში. ამით ირღვეოდა და სანაგვე კალათში აგდებდნენ ყველა ჯურის ოპორტუნისტების და რევოლუციის გამცემლების მიერ დიდი ხნიდან შემუშავებულ „თეორიებს“ და ცნებებს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის განხორციელება თითქმის უნდა დაწყებულიყო მშვიდობიანი გზით, ბურჟუაზიული პარლამენტების მეშვეობით მალა კულტურისა და ცივილიზებურ ქვეყნებში და მხოლოდ ამის შემდეგ, ასეული წლების შემდეგ ეგებ ის სოციალიზმი შეიძლება ღირსებოდა სხვა ქვეყნებსაც. როგორც ვიცით, ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ სრულიად გააცმტვერა ეს ყალბი, არამეცნიერული, და სრულიად ხელოვნურად შექმნილი „თეორია“. სწორედ ეს ჭონდა მხედველობაში ვლ. ილ. ლენინს, როცა იგი ერთ თავის წერილში („ჩვენი რევოლუციის შესახებ“. 1923 წ.) ამბობდა: „თუ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმც არავის არ შეუძლია თქვას, როგორია კულტურის ეს განსაზღვრული დონე), რისთვის არ შეგვიძლია ჩვენ დაეიწყეთ პირველად ამ განსაზღვრული დონისათვის რევოლუციური გზით კულტურის წი-



მ. ი. მანანაძე

ნაპირობების დაპყრობიდან და შემდეგ უკვე, მუშებისა და გლეხების ხელისუფლებისა და საბჭოების წყობილების საფუძველზე, შევუდგეთ სხვა ხალხების დაწევას“. მაშასადამე, ლენინის — ამ უდიდესი რევოლუციონერის და გენიალური შორსმჭვრეტელის შეხედულებით, ერთდამსველად და დაწყებულიყო და დაიწყო კიდევ ჩამორჩენილ რუსეთში როგორც სოციალიზმის შექმნა, ისე, დაძაბული მუშაობა მშრომელი მასების კულტურული დონის ასამაღლებლად. თუ არა რევოლუციონერი გზით, ისე ეს უდიდესი საქმე შეუძლებელი იყო. რევოლუციის მოლატეების აზრით ჩამორჩენილ ქვეყნებს უნდა ელოდნათ მანამ, სანამ ცივილიზებული ქვეყნებიდან არ მიიღებდნენ ბრძანებას სოციალიზმზე გადასვლის შესახებ. ეს ქვეყნები კი სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების, რევიზიონისტების, რევორმისტების, ე. ი. შენშევიკების წყალობით სრულებით არ ჩქარობდნენ. მაგრამ ისტორიულმა მსვლელობამ ისინი გარიყა, და მოხდა ის, რაც ამ ვაებატონებს არ სწამდათ, ჩამორჩენილი რუსეთის, ამ ნახევრად-აზიური ქვეყნის პროლეტარიატმა გაიმარჯვა, და ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დასაწყისი მისცა კულტურულ რევოლუციას ჩვენ ქვეყანაში. ლენინს ყველაზე უკეთ ესმოდა, რომ კულტურული რევოლუციის მოხდენა თხოულობდა შედარებით დიდ დროს. ამიტომ იგი ამბობდა: „კულტურული ამოცანა შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნას ისე ჩქარა, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები... პოლიტიკურად გამარჯვება შეიძლება კრიზისის გამწვავების ხანაში რამდენიმე კვირაში. ომში შეიძლება გაიმარჯვოთ რამდენიმე თვეში. კულტურული გამარჯვება ასეთ ვადაში არ შეიძლება, თვით საქმისათვის საპირობა უფრო გრძელი ვადა“... (1921 წ. ტომი, XXVII. გვ. 51-52).

მაგრამ როგორ, რა გზით შეიძლებოდა კულტურული გამარჯვება, სხვანაირად რომ ვთქვათ, კულტურული რევოლუცია ჩამორჩენილ ქვეყანაში? როგორ შეიძლებოდა პროლეტარული კულტურის შექმნა? რა დასაყრდენი ქონდა დასაწყისში პროლეტარულ კულტურას? საიდან უნდა გამოსულიყო ის? პროლეტარიატის გამარჯვებამდე ოქტომბრის რევოლუციაში, არსებობდა ბურჟუაზიული კულტურა. ძალაუნებურად სწორედ ეს კულტურა უნდა გამხდარიყო პროლეტარული კულტურის დასაყრდენად, მის გამოსავალ წერტილად. სხვა მასალა ახალი, პროლეტარული კულტურის შესაქმნელად არ იყო, და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ პირველ ხანებში ზოგიერთი რევოლუციონერი კომუნისტები, ცოტა არ იყოს, აგდებულად და ეჭვით ეკიდებოდნენ ბურჟუაზიულ კულტურას და ბურჟუაზიულ საეციალისტებს. ლენინი გადაჭრით ილაშქრებდა ასეთ კომუნისტების წინააღმდეგ. 1919 წელს წერილში „საბჭოთა ხელისუფლების წარმატებები და სიძნელეები“ იგი სწერდა: „ქონებას მოკლებულ პროლეტარს დაზვიადან და გლეხს კავიდან უნივერსიტეტის ვაგლა არ ძალუძდა არც მეფე ნიკოლოზის დროს და არც რესპუბლიკანურ პრეზიდენტის ვილსონის დროს. მეცნიერება და ტექნიკა დანიშნული იყო მდიდრებისათვის, ქონებიანთათვის. კაპიტალიზმი იძლევა კულტურას მხოლოდ უმცირესობისათვის. ჩვენ კი სოციალიზმი უნდა ავაგდოთ ამ კულტურიდან. სხვა მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება. ჩვენ გვინდა სოციალიზმის აგება იმ მასალიდან, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა კაპიტალიზმმა, ახლაც, და არა იმ ადამიანებიდან, რომლებიც სათბურებში იქნებიან მომზადებულნი, თუ ამ ზღაპრით თავს შევიქცევით...—უნდა ავიღოთ მთელი კულტურა— განაგრძობდა ლენინი—

რომელიც კაპიტალიზმმა დატოვა, და იმისაგან უნდა ავაგროთ/სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება, უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრების წესს ვერ ავაგებთო“ (ხაზი ყოველგან ჩემია. ფ. შ.).

ამაირად, ლენინი ვასწავლიდა იმას, რომ კომუნისტურ პარტიას დასაბჭოთა ხელისუფლებას უნდა გამოეყენებია სოციალიზმის აგების საქმეში ბურჟუაზიული მეცნიერება და ბურჟუაზიული სპეციალისტები. აქედან პროლეტარული კულტურის შექმნისათვისაც ჩვენ უნდა გამოგვეყენებია იგივე ბურჟუაზიული კულტურა. მთელი ბურჟუაზიული მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, ყველა ბურჟუაზიული სპეციალისტები, ინჟინერები, ზუროთმოძღვრები, აგრონომები და სხვ. უნდა დაგვეყენებია პროლეტარული რევოლუციის სამსახურში, სოციალიზმის, კომუნისმის აგების საქმეში. ეს იყო საკითხის ერთადერთი სწორი გადაჭრა. მაგრამ ეს იყო საკითხის მხოლოდ ერთი მხარე. სოციალიზმის აგება თხოულობდა მსხვილი მრეწველობის, მსხვილი ინდუსტრიის შექმნას, ერთი მხრით და წვრილზე უწვრილესი ერთბიროვნული გლეხური მეურნეობის გარდაქმნას კოლპირებულ მეურნეობის საფუძველზე, მეორე მხრით. ყოველივე ამის განხორციელება უნდა მომხდარიყო საბჭოთა რუსეთის ელექტროფიკაციის საფუძველზე. ყოველივე ეს ერთდა იმავე დროს თხოულობდა შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევას. ეს იყო მართლაც გიგანტური პროგრამა. რომლის განხორციელება თხოულობდა მუშათა კლასის და შრომელი გლეხობის ყველა სასიცოცხლო, ყველა შემომქმედ ძალის უადრესად დაჭიმვას, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა საბჭოთა რესპუბლიკის საწარმოო ძალების ისეთი ზრდა, რომელიც უმაგალითო და გაუგონარი იქნებოდა შედარებით არა თუ წინანდელ, მეფის დროის რუსეთთან, არამედ ევროპის და ამერიკის მოწინავე ბურჟუაზიულ ქვეყნებთანაც. ეს სასწაული უნდა მომხდარიყო ჩამორჩენილ, დაქვეითებულ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა თავის უმრავლესობაში ჯერ კიდევ წერაკითხვის უცოდინარი იყო. ასეთი მოსახლეობა კი შეგნებულად ვერ დაეწაფებოდა ასეთ გიგანტურ შრომას, იგი ვერ შესძლებდა შრომის ნაყოფიერების მაღლა აწევას, მას მეტის მეტად გაუძნელდებოდა ელექტროფიკაციის გატარება. ეს იყო თითქო დაუძლეველი სიძნელეები. ვერც ერთი პარტია, ვერც ერთი ხელისუფლება, გარდა ლენინის და სტალინის დიადი პარტიისა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა ანუ საბჭოთა ხელისუფლებისა ამ სიძნელეებს არა თუ ვერ დასძლევდა, არამედ ვერც კი გაბედავდა ასეთი რთული და ძნელი ამოცანის დაყენებას. ხალხთა უდიდესი ბელადების ლენინის და სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მასები ოდნავაც არ შეუშინდნენ ამ სიძნელეებს, და პირველად ისტორიაში აღფრთოვანებით შეუდგნენ სოციალიზმის აგებას. როგორც ვიცით, ეს უდიდესი ისტორიული შემოება სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. სტალინური ზუთწლებების შედეგად ჩვენში აგებულა სოციალიზმი, ე. ი. განხორციელებულა კომუნისმის პირველი სტადია (საფეხური), და ვიმყოფებით სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის პერიოდში.

სოციალისტურმა მშენებლობამ, ე. ი. მსხვილი მრეწველობის და კოლმეურნეობრივი წყობილების გამარჯვებამ უმაღლესი ტექნიკის საფუძველზე— შედეგად მოგვცა სოციალისტური კულტურის თანდათან და შეუჩერებელი

ზრდა-განვითარება. სოციალისტური კულტურის შექმნა შეიძლება უპირველეს ყოვლისა იმის ათვისებით, რაც მოგვცა კაცობრიობის ორი ათასზე მეტი წლის განმავლობაში უძვირფასესმა შენაძენებმა მეცნიერებმა ტექნიკის და ხელოვნების დარგში, ერთი მხრით, და სოციალისტური პერიოდის განმავლობაში მოპოვებულმა უდიდესმა შენაძენებმა და წარმატებებმა ყველა ამ დარგში, მეორე მხრით.

აქ საყურადღებოა შემდეგი გარემოება. სოციალისტური კულტურის ზრდა-განვითარება პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია საწარმოო ძალთა ზრდა-განვითარებაზე, ე. ი. მატერიალური ცხოვრების განვითარებაზე, ანუ უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, სოციალისტური წარმოების განვითარებაზე. ცოცხალი გამოცდილება გვეუბნება, რომ ყოველივე კულტურული წარმატება და შენაძენი, იქნება ეს სახალხო განათლების დარგში, თუ მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების დარგში, თავის მხრით ახდენს გავლენას საწარმოო ძალთა განვითარებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. ასე რომ აქ არის ორმხრივი ზემოქმედება და გავლენა. წარმოიდგინეთ ასეთი მაგალითი: ახალ ადგილას კეთდება ქარხანა ან ფაბრიკა, ეწყობა შახტი, გაყავთ გზა და სხვ. იქვე თითოეულ ამ წამოწყებასთან ჩაღდება კულტურული საქმიანობა, ეწყობა სკოლა, იმართება პარტიული და პროფესიული ორგანიზაცია, კლუბი და სხვ. ყოველივე ეს თავის მხრით ეხმარება და ხელს უწყობს, როგორც მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისე თვით ფაბრიკის თუ ქარხნის მუშაობის წარმატებას და უკეთესად დაყენებას.

მაგრამ ასე ხდება მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მთელი წარმოება თვით მშრომელების ხელშია. მატერიალური კულტურის განვითარება ეხმარება და ხელს უწყობს სულიერი კულტურის განვითარებას, ეს უკანასკნელი თავის მხრით, როგორც ვთქვით, უდიდეს გავლენას ახდენს მატერიალური კულტურის განვითარებაზე. განვიხილოთ მოკლედ ამ თვალსაზრისით ის გზა, რომელიც განვლო საბჭოთა საქართველომ ოცი წლის მანძილზე.

რა იყო საქართველო ცარიზმის დროს, ან მენშევიკების დროს? მეფის დროს მრეწველობის და კულტურის მხრით ჩამორჩენილი და განუვითარებელი ქვეყანა, მენშევიკების დროს ის კიდევ უფრო დაბლა დაეცა და განადგურდა. თუ იყო სადმე დარჩენილი ქარხანა ან ფაბრიკა, სკოლა ან სასწავლებელი, ისინი სრული განადგურების გზაზე იყვნენ დამდგარი და იქიდან გარბოდნენ მუშებიც, მასწავლებლებიც და მოწაფეებიც. ქარხანა ქარხანას არ გაჰდა და სკოლა — სკოლას. ჩვენ ვიცით, რომ მაშინ როგორც ქარხნები, ისე სკოლები სრულიად სხვა საფუძველზე და პრინციპზე იყვნენ აგებული, ვინემ საბჭოთა ხელისუფლების დროს. და აქედან გამომდინარეობს ის ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს ბურჟუაზიულ დაწესებულებებსა, ერთი მხრით და საბჭოთა დაწესებულებებსა მეორე მხრით. მაგრამ ამჯერაა, რომ თუ საბჭოთა ქვეყანაში არ გაიზრდებოდა და არ განვითარდებოდა მატერიალური წარმოება, ვერც სწავლა-განათლება, ვერც მეცნიერება, ტექნიკა და ხელოვნება განვითარდებოდა. ასეთ პირობებში ყოველივე ის, რასაც ჩვენ სულიერ კულტურას ვუწოდებთ, ისევ ჩამორჩენილი და განუვითარებელი დარჩებოდა. მაგრამ, როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე საქართველოში მსგავსად სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისა, ლენინის და სტალინის სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით

და დიდი რუსი ხალხის დახმარებით დაიწყო და გაჩაღდა უდიდესი სოციალისტური მშენებლობა, ჩამორჩენილი სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდეგ მისი გარდაქმნა მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი ნიჭების საფუძველზე; დაიწყო და გაჩაღდა ელექტრომშენებლობა უმთავრესად აეთერი ნახშირის გამოყენების საფუძველზე.

სოციალისტური მრეწველობის გვერდით აღორძინდა და განვითარდა მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედება — წვრილვლებურ მეურნეობათა — კოოპერირება-გაერთიანება კოლმეურნეობების სახით. ეფიქრობ, საჭირო არაა დაწვრილებით გაეჩერდეთ აქ იმაზე, თუ რა წარმატებას მიიღწია ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობამ. საკმარისია მოვიყვანოთ აქ რამდენიმე ციფრობრივი მასალა. ავიღოთ ელექტრომრეწველობა: ძალოვნება ათას კვტ 1913 წ. 8,0, 1927/28 წ. 26,3; 1939 წ. 180,6. ელექტროენერჯის გამომუშავება მილ. კილ. საათ. 1913 წ. 20,0; 1927/28 წ. 41,9; 1939 წ. 710,6.

ამნაირად, ელექტროსადგურების ძალოვნება გაიზარდა 1927/28 წელთან შედარებით 6,9-ჯერ, ხოლო 1913 წელთან შედარებით 22,6-ჯერ. მშენებლობის პროცესშია და 1-2 წლის განმავლობაში ამუშავდებიან პიდრო-ელექტროსადგურები 150.000 კვტ. ძალოვნებით.

საერთოდ საქართველოს მთელი მრეწველობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა გიგანტური მასშტაბით. გაჩნდნენ და განვითარდნენ მრეწველობის სრულიად ახალი დარგნი (მეტალურგიული, მანქანათმშენებლობა, ტექსტილური და სხვა). გაჩნდნენ მრეწველობის ახალი კერები. 4.199 კოლმეურნეობებში გაერთიანებულა ვლებური მეურნეობათა მთელი რაოდენობის 95%. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების დასახასიათებლად საინტერესოა შემდეგი ცნობები: 1939 წელს საბჭოთა საქართველოს მინდვრებზე მუშაობდა 2.926 ტრაქტორი და 468 კომბაინი გარდა სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი 1940 წელს უდრიდა 59, რომლებიც არსებითად სოციალისტური სოფლის მეურნეობის ნამდვილი ქარხნებია. გარდა ამისა საბჭოთა საქართველოში არსებობენ კიდევ 79 საბჭოთა მეურნეობა და 40-დე ჩაის ფაბრიკა; ყველა ესენი უდიდეს როლს თამაშობენ საბჭოთა საქართველოს მეტერიალური წარმოების დარგში. ამ საერთო ფონზე იზრდება და ვითარდება საქართველოში სოციალისტური კულტურა, — სოციალისტური (ინტერნაციონალური) შინაარსით და ნაციონალური (ეროვნული) ფორმით. ასეთი კლასიკური განმარტება მისცა ამხანაგმა სტალინმა სოციალისტურ (პროლეტარულ) კულტურას ჯერ კიდევ 1925 წელს თავის წერილში „აღმოსავლეთ ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანა“, სადაც იგი ამბობდა: „ჩვენ ვქმნით პროლეტარულ კულტურას. ეს საეხებით მართალია. მაგრამ მართალია აგრეთვე ისიც, რომ სოციალისტური შინაარსის პროლეტარული კულტურა ენისა, ყოფაცხოვრებისა და სხვა მხრით, პოულობს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ერებში გამოხატულების სხვადასხვა ფორმასა და საშუალებას. პროლეტარული თავის შინაარსითა და ეროვნული თავისი ფორმით, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისა-

კენ მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა არ აუქმებს ეროვნულ კულტურას, არამედ აძლევს მას შინაარსს. და, პირიქით, ეროვნული კულტურა არ აუქმებს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას“.

ამხანაგ სტალინის ზევით მოყვანილ სიტყვებში ჰპოვა თავის ნათელი და ზუსტი გამოხატულება ლენინ-სტალინის პარტიის პოლიტიკამ, როგორც პროლეტარული კულტურის მიმართ საერთოდ, ისე ნაციონალურ კულტურისადმი, კერძოდ. ამხანაგ სტალინის ზევით მოყვანილ ისტორიულ მითითებას ჰქონდა და აქვს უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა და ერთა როგორც სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის და აყვავებისათვის საერთოდ, ისე სოციალისტური კულტურის შეუჩერებელი ზრდისათვის, კერძოდ. ჩვენ მოგვყავს აქ სოციალისტური კულტურის მიღწევების დასახასიათებლად საბჭოთა საქართველოში უმთავრესი მაჩვენებლები საბჭოთა ზელისუფლების ოცი წლისათვისათვის.

დავიწყოთ სახალხო სწავლა-განათლება. ჩვენ მოგვყავს სტატისტიკური ცნობები საყოველთაო სკოლების საერთო რიცხვის, აგრეთვე მასწავლებლების და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ 1913, 1920/21 და 1940/41 წლებში. ეს ცნობები იძლევიან შემდეგ სურათს: ¹

წლები	საყოველთაო სწავლ. სკოლების რიცხვი	მასწავლებელთა რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა
1913 წ.	1.762	5.852	155.850
1920/21	2.056	7.079	191.581
1940/41	4.447	29.791	731.547.

გარდა ამისა სხვადასხვა ტექნიკუმები იმავე წლებში შემდეგ სურათს იძლევიან:

წლები:	ტექნ. რიცხვი	მასწავლებლ. რაოდენ.	მოსწავლეთა რაოდენობა
1913 წ.	5	50	500
1920/21	8	44	959
1940/41	191	3.303	25.793

მაშასადამე, ყველა ტიპის სკოლებში შემდეგი მდგომარეობა იყო:

წლები:	სასწ. რიცხვი	მასწ. რ.ოდ.	მოსწავლეთა რაოდ.
1913 წ.	1.767	5.862	156.350
1920/21	2.064	7.163	192.540
1940/41	4.638	33.094	757.340

ზევით მოყვანილი ციფრები გასაოცარ ზრდას იძლევიან. მაგრამ აქ საინტერესოა იმდენად არა ჯერ არნახული ზრდის გარეგანი მაჩვენებლები, არამედ საბჭოთა სკოლების შინაური მაჩვენებლები, იმათი პროგრამა, იმათი დაახლოება ცხოვრებასთან, — ის გარემოება, რომ ეს სკოლები ამზადებენ სოციალიზმის ახალგაზრდა მშენებლებს, რომლებიც სწავლის დროს თვითონაც ლეზულობენ მონაწილეობას ამ მშენებლობაში, და ბოლოს ის, რომ საბჭოთა სკოლები თითონ არიან სოციალისტური კულტურის ნამდვილი კერები.

¹) ცნობები ამოღებულია სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს მასალებიდან.

ამჟამად საქართველოში არსებობს 21 უმაღლესი სასწავლებელი. შტეტის დროს აქ არცერთი უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა. მენშევიკების დროს კერძო პირებმა თავიანთი თაოსნობით დააარსეს თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც იმ დროს არც კი შეიძლებოდა უმაღლეს სასწავლებლად ჩათვლილიყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს თბილისის უნივერსიტეტი, რომელიც ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელს ატარებს, ვახდა ღირსი ამ სახელწოდების ტარებისა. თბილისის უნივერსიტეტი ერთერთი დიდი კერაა სოციალისტური კულტურისა. არა თუ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. იქ სწარმოებს დიდი სამეცნიერო მუშაობა და მზადდებიან მეცნიერული კადრები. მარტო თბილისის აშ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტში სწავლობს 6.000-ზე მეტი სტუდენტი. ასეთივე დიდი კულტურული კერაა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. ყველა 21 უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტების რიცხვი უდრის 22.594. უმაღლესი სწავლის დასაანერგად და გასავრცელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ უმაღლესი სასწავლებლები არ არიან თავმოყრილი ერთ ან ორ ქალაქში: გარდა თბილისისა, სადაც არსებობს ამ სასწავლებლების დიდი ნაწილი, უმაღლესი სასწავლებლები არსებობენ ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, გორში და სტალინირში. უმაღლესი სწავლის მიღება არ განისაზღვრება არსებული უმაღლესი სასწავლებლებით. ამით გვერდით არსებობს უმაღლესი სწავლის მისაღებად დაუსწრებელი სწავლების მთელი ქსელი, რომლის მეოხებით ახალგაზრდები ათასობით წარმოებიდან მოუწყვეტლად ღებულობენ უმაღლეს განათლებას. შეუძლებელია აქ ჩამოეთვალოთ ყველა ის ორგანიზაციები, პარტიული, საბჭოთა ხაზით, პროფესიული და სხვ., რომელთა ხაზით არსებობენ სხვადასხვა სკოლები თუ კურსები სპეციალური დანიშნულებისა, სადაც ხდება მომზადება და გადამზადება ახალგაზრდების თუ მოზრდილების. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ სწავლა-ცოდნის გავრცელების ერთერთი მნიშვნელოვანი კერა არის წითელი არმია, რომელიც აიარალებს ახალგაზრდებს უპირველეს ყოვლისა სამხედრო ხელობის ცოდნით და აგრეთვე სხვაგვარი ცოდნითაც, რაც გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებაში. ამნაირად, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში წითელი ჯარი ხდება სოციალისტური კულტურის მნიშვნელოვან ფაქტორად.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის დაარსებულია განსაკუთრებული, სპეციალური ინსტიტუტები, რიცხვით ოცამდე. ასეთებია ინსტიტუტები ენისა და ლიტერატურის, ჩაის, სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, ჭიმიის, ბოტანიკის, ფიზიოლოგიის, გეოლოგიისა და სხვა. ამ ინსტიტუტების მუშაობას უმთავრესად ხელმძღვანელობს მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის თბილისის ფილიალი, რომელიც 1941 წლიდან გადაკეთებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიად; განვიღო 20 წლის განმავლობაში საბჭოთა საქართველოში შეიქმნენ მაღალკვალიფიციურ-მეცნიერულ მუშაკთა მნიშვნელოვანი კადრები, რომელთა რიცგებში არიან ცნობილი აკადემიკოსები და პროფესორები. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობას ეწევიან აგრეთვე მუზეუმები. განსაკუთრების სისტემაში შედის 28 ასეთი მუზეუმი, იმათში თბილისის ცნობილი

სახელმწიფო მუზეუმი, სადაც სწარმოებს სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

სოციალისტური კულტურის დანერგვისა და გავრცელების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანი მიეკუთვნება წიგნთსაცავებს (ბიბლიოთეკებს), სამკითხველოებს, ჟურნალ-გაზეთებს, წიგნის გამოცემლობას, თეატრებს, კლუბებს, კინოებს.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, ამჟამად საქართველოში არის სულ დიდი და პატარა 330 წიგნსაცავი, რომლებშიაც წიგნების საერთო რაოდენობა უდრის დაახლოებით 9 მილიონს. აქ პირველი ადგილი უჭირავს თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას და შემდეგ თბილისის ამხ. სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. წიგნსაცავებთან, როგორც წესი, ყოველგან არსებობს სამკითხველოებიც. სამკითხველოები არსებობენ დამოუკიდებლად, და ამიტომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია, ვინემ წიგნსაცავებისა.

მშრომლების კულტურული დონის ასამაღლებლად მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს დროგამოშვებით გამოცემებს, გაზეთებს და ჟურნალებს. სამწუხაროდ, ცოტად თუ ბევრად ზუსტი ცნობები დროგამოშვებული გამოცემების შესახებ მეფის და მენშევიკების დროისათვის ამჟამად მე არა მაქვს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჟურნალ-გაზეთების მხრით საქართველო იმ დროს მეტისმეტად ღარიბი იყო. ჟურნალ-გაზეთები მაშინ გამოდიოდნენ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ თბილისში და უმეტეს ნაწილად ბურჟუაზიის და მემამულეების ხელში იყო. გაზეთების რიცხვი უმნიშვნელო იყო. ტირაჟი მეტად მცირე, რამდენიმე ათასით განისაზღვრებოდა. დროგამოშვებით გამომცემლობის საქმეს, სხვა მიზეზების გარდა აბრკოლებდა მეფის და მენშევიკების ცენზურა. გაზეთი და ჟურნალი, როგორც ძლიერი იარაღი მუშების და გლეხებისათვის პოლიტიკური შეგნებისა და აღზრდის, ან არ არსებობდა, ან ძალზე შეზღუდული იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე ჟურნალ-გაზეთების ასეთ სავალალო მდგომარეობას საქართველოში ბოლო მოეღო, და ისინი შეიქმნნ სოციალისტური კულტურის უძლიერეს იარაღად. მუშების და კოლმეურნეების პოლიტიკური ცოდნის და კულტურული დონის ასამაღლებლად ჩვენი სოციალისტური პრესა ერთერთ უდიდეს როლს თამაშობს. ამჟამად საქართველოში გამოდის 137 გაზეთი და 47 ჟურნალი სხვადასხვა ენაზე: ქართულზე, რუსულზე, სომხურზე, აზერბაიჯანულზე, ოსურზე, აფხაზურზე, მეგრულზე. დიდი უმრავლესობა ამ გაზეთებისა და ჟურნალების გამოდის ქართულ ენაზე. ყველა რაიონს აქვს თავისი გაზეთი, გარდა იმისა, რომ რაიონებში მიდის დიდი რაოდენობით ცენტრალური გაზეთები. ერთდროული (დღიური) ტირაჟი ამ გაზეთებისა უდრის დაახლოებით 819.000 ეგზემპლარს. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება ამ მხრით დაკმაყოფილებულია. მაგრამ გარდა ამ გაზეთებისა, თითოეულ ფაბრიკას, ქარხანას, და საერთოდ ყველა საწარმოს, დაწესებულებას, საბჭოთა მეურნეობას და ხშირად კოლმეურნეობასაც აქვს კიდევ თავისი საკუთარი კედლის გაზეთი, რომელიც უწყევს მომსახურებას ცალკე საწარმოს ადგილობრივ საკუთარ მოთხოვნებს. თავისთავად იგულისხმება, რომ რაიონულ გაზეთებს და კედლის გაზეთებს ვერ წაუყუენებთ დიდ მოთხოვ-

ნებს, მათ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ, მაგრამ თავისთავად ამ განხეთქებს სოციალისტური კულტურის დანერგვაში საკმარისად დიდი მნიშვნელობა აქვთ. თუ შეეადარებთ წარსულს, ყოველივე ეს მართლაც გვახსენებს წარმატებაა ბეჭდვითი სიტყვის საქმეში, წარმოდგენილი ბურჟუაზიულ ქვეყანაში და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წესწყობილებაში.

ირა ნაკლებ წარმატებას ვხედავთ წიგნის გამომცემლობის დარგში. ამის შესახებ ჩვენ გვაქვს მეტად საინტერესო ცნობები. ასე, მაგ., ქართული სტამბის დაარსებიდან (1629 წ.). 1917 წლამდე ქართულ ენაზე დაიბეჭდა სულ 5.399 სახელწოდების წიგნი, ანუ საშუალოდ წლიურად 108 სახელწოდება. მენშევიკების დროს, 1917 წლიდან 1920 წლის ბოლომდე, დაიბეჭდა სულ 589 სახელწოდების წიგნი, ანუ საშუალოდ წლიურად 146 სახელწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მენშევიკურ ხელისუფლებამდე, ისე მენშევიკების დროსაც ქართულ ენაზე დაბეჭდილ წიგნების უდიდესი ნაწილი იყო ეკლესიურ-ღვთისმეტყველური შინაარსის, და როგორც ასეთი ემსახურებოდა ხალხის მხაგვრელ კლასებს, ამიტომ ხალხისათვის იყო არა თუ ყოველად უსარგებლო, არამედ მავნებელიც. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ, მართალია წინა პერიოდში (1629-1917) საშუალოდ თითოეულ წელზე მოდიოდა 108 სახელწოდება, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან და მეოცე საუკუნის დასაწყისში გამომცემლობა ქართულ ენაზე წინა დროსთან შედარებით საკმარისად გაიზარდა, და დაახლოვებით აღწევდა საშუალოდ წელიწადში 150 სახელწოდებას; შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ მენშევიკების მთავრობის დროს წიგნის გამომცემლობა ქართულ ენაზე, არა თუ გაზარდია, არამედ შემცირდა კიდევ. მეფის დროსთან შედარებით. რა სურათი გვაქვს ჩვენ ამ მხრით საბჭოთა ხელისუფლების დროს განვლილი ოცი წლის განმავლობაში? 1921 წელს, როცა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება ჯერ კიდევ საშინლად განადგურებული და დანგრეული იყო, ქართულ ენაზე გამოიცა სულ 121 სახელწოდების წიგნი, ხოლო 1940 წელს, როცა სოციალისტურმა საბალზო მეურნეობამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვებები, უკვე გამომცემულ იქნა ქართულ ენაზე 1.639 სახელწოდების წიგნი, ანუ გაიზარდა 13½-ჯერ, ე. ი. 1.246%. 1921 — 40 წლებში გამომცემულ წიგნების სახელწოდებათა რიცხვი დაახლოვებით შეადგენს 15.379 სახელწოდებას, მაშასადამე, წლიურად საშუალოდ 770 სახელწოდებას. ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს ერთ წელიწადში ქართულ ენაზე იბეჭდებოდა 1¼-ჯერ მეტი სახელწოდების წიგნი, ვინემ დაიბეჭდა მთელ მენშევიკურ პერიოდში, ე. ი. 4 წლის განმავლობაში. თუმცა მე არ მაქვს ამჟამად ცოტად თუ ბევრად ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით იბეჭდებოდა წიგნები წინად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს რაოდენობა (ტირაჟი) მეტად შეზღუდული იყო და ჩვეულებრივ ის არ აღემატებოდა 2.000 — 2.500. რათა ნათელი წარმოდგენა ვიჭონოთ წიგნების ტირაჟზე, ქართულ ენაზე საბჭოთა ხელისუფლების დროს, მე მოვიყვან აქ ცნობებს 1935-1940 წლების შესახებ. ამ პერიოდში დაიბეჭდა ქართულ ენაზე სულ 5.491 სახელწოდების წიგნი, და მათი საერთო ტირაჟი შეადგენდა 36.145.550 ეგზემპლიარს, აქედან თითოეულ სახელწოდებაზე მოდის 6.600 ეგზემპლიარი, რაც 3-3½-ჯერ აღემატება წიგნების ტირაჟს მეფის და მენშევიკების დროს.

ზევით მოყვანილი ცნობები ეხებიან წიგნების გამომცემლობას მხოლოდ ქართულ ენაზე. მაგრამ როგორც ვიცით, გარდა ამისა საბჭოთა საკულტურო-ლოში წიგნების გამომცემლობა არსებობს აგრეთვე სხვა ენებზეც. ასე, მაგ., წიგნების საკმარისად დიდი რაოდენობა იბეჭდება რუსულ ენაზე. ამ მხრით მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს განვითარდა წიგნების გამომცემლობა ოსურ და აფხაზურ ენებზე. ცნობილია, რომ ამ ენებზე წინედ ცარიზმის შავი აგენტები — ხუცები და ბერები ცოდვილობდნენ საეკლესიო წიგნების გამოცემას, — ეს უიმედო საქმე იყო. პირველად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ოსურსა და აფხაზურ ენებზე როგორც დამწერლობას, ისე ლიტერატურის აღორძინებას.

წიგნების ამოდენა პროდუქცია ყოველდღიურ და ყოველკვირეულ ჯურნალ-გაზეთებთან ერთად თავისთავად არის სოციალისტური კულტურის უდიდესი ფაქტორი. უმთავრესად დღეს იბეჭდება საბჭოთა მწერლობის, მეცნიერების და ლიტერატურის ნაწარმოებნი, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ქართველ და რუს კლასიკოსებს. იბეჭდება ძველი დროის მალახარისხოვანი მხატვრული და მეცნიერული ნაწარმოებნი, რომლებიც აქამდის ხელნაწერად ინახებოდნენ სხვადასხვა მუზეუმებში და წიგნსაცავებში და ხალხისათვის მიუწვდომელი იყვნენ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საბჭოთა ქართული ლიტერატურა მდიდრდება მოძმე ხალხთა კლასიკურ ნაწარმოებების თარგმანებით, ისე, როგორც ქართველი კლასიკოსები ითარგმნებიან მოძმე ხალხთა ენებზე. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოძმე ხალხთა ლიტერატურული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გაცნობას და შესწავლას. ხალხის კულტურული დონის ამაღლებაში ყოველთვის უდიდეს როლს თამაშობდა განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა (პოეზია და პროზა) საერთოდ და დრამატურგია კერძოდ. განსაკუთრებით ამაღლდა მათი როლი საბჭოების ხანაში. ის, რაც წინედ მხოლოდ ნასახად იყო, დღეს სწრაფად იზრდება და ხალხის უფართოეს შასების მოთხოვნილებად ხდება. აქ მე უპირველეს ყოვლისა მხედველობაში მაქვს თეატრალური ხელოვნება ფართო მნიშვნელობით. უდავოა, ის, რომ ქართულმა თეატრმა საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ოცი წლის არსებობის მანძილზე დიდი ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. თეატრი სინამდვილის, ცხოვრების გამოხატვის ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. იმავე დროს ის თვით მაყურებლებზედაც ახდენს, უნდა ახდენდეს ყოველ შემთხვევაში, გავლენას და ზემოქმედებას. მაგრამ ერთი უნდა ითქვას: რამდენადაც თეატრალური ხელოვნება სადა და უბრალოა, იმდენად ის უფრო უკეთ გამოხატავს სინამდვილეს, ნამდვილ ცხოვრებას. გადაჭარბება ამ დარგში, ე. ი. გატაცება გარეგნობით, შედარებით უფრო უარყოფით გავლენას ახდენს. ჩვენი ხალხი მუდამ დიდ ინტერესს იჩენდა თეატრისადმი. მე მხედველობაში მყავს უმთავრესად მუშა ხალხი. ხალხის შემოქმედება ხელოვნების დარგში წინად უკიდურესად შეზღუდვილი იყო, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო იმ დროს, როცა საერთოდ ხალხის ყოველივე სურვილი და მისწრაფება თავისუფალი შემოქმედებისაკენ ძალდატანებით ჩახშობილი იყო. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როგორც კი თავისუფლება იგრძნეს, ხალხის ფართო მასებმა, მათში მყისვე დაიბადა

სურვილი თეატრის მოწყობისა და წარმოდგენების გამართვისათვის. მიუხედავად შესაფერი შენობის უქონლობისა, მიუხედავად იმისა, ^{ქვეყნის მთელი} ვებოდათ სცენის მოსაწყობად საამისო მასალა, უსახროდ ^{ქვეყნის მთელი} მსახიობებოდ, თიოქმის ყოველგან, მიყრუებულ სოფლებშიაც კი, იწყეს წარმოდგენების გამართვა. რა ხალისს, რა აღფრთოვანებას იწვევდა მუშებში, გლეხებში ასე ნაუცბათევად და უბრალოდ გამართული წარმოდგენები? ეს იყო, თუ გნებავთ ნამდვილი ხალხური შემოქმედება. ხშირად პიესებს იქვე თხზავდნენ ან არსებულს ასხეფერებდნენ. შემდეგში წარმოდგენების დადგმა გაუმჭობესდა, შენობებიც უფრო გამოსადეგი იშოვნეს და სცენის მორთულობაც. ბევრ რაიონულ ცენტრს აქვს ამჟამად საკმარისად კეთილმოწყობილი თეატრი, ჰყავს მსახიობები და რეგულიარულად აწყობენ წარმოდგენებს. მაგრამ იქაც კი, სადაც კეთილმოწყობილი თეატრები არ აქვთ და არ ყავთ პროფესიული მსახიობები, იქაც კი ახერხებენ წარმოდგენების დადგმას. ამ გზით იჭრებიან მასებში საუკეთესო საკაცობრიო იდეალები და მისწრაფებები. ეს არის სოციალისტური კულტურის ამალგების ერთერთი ძლიერი ბერკეტთაგანი.

ზევით ჩვენ ვამბობდით, რომ სოციალისტური კულტურის მასაზრდოებელი ფაქტორი არის იგივე სოციალისტური ფაბრიკა-ქარხანა, იგივე კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ამ მხრით ერთერთ თვალსაჩინო მაგალითს იძლევა კოლხიდის ამოცანა, ანუ კოლხიდის ჰაობების ამოშრობის საქმე. გაივლის კიდევ რამდენიმე წელიწადი, და ის, ვისაც არ უნახავს ეს ჰაობები, ველარც კი წარმოიდგენს, თუ რა უბედურება იყო ეს ჰაობები ხალხისათვის. დღევანდელი კოლხიდა არა თუ უდიდესი ფაქტორია სახალხო სამეურნეო თვალსაზრისით, არამედ ის უდიდესი ფაქტორია სოციალისტური კულტურის დანერგვის საქმეშიაც. აქ ჩვენ გვექნება უმახლობლეს წლებში (რამდენიმედ უკვე დღესაც გვაქვს) არა თუ უძვირფასესი პლანტაციები და ბაღნარები ჩაისა და ციტრუსების, ჩვენ აქ გვექნება (რამდენიმედ უკვე დღესაც გვაქვს) მშვენიერი მოასფალტირებული გზატკეცილები და არხები, არამედ აქ ჩვენ გვეყოლება კოლმეურნეთა მოსახლეობა, რომელსაც უკვე საესვებით გაწყვეტილი ექნება ყოველივე კავშირი წარსულ სიბნელესთან, წარსული ცხოვრების დუხჭირ ტრადიციებთან, რომლის ყოფა-ცხოვრება საესვებით გარდაიქმნება სოციალისტურად და კომუნისტურად, ვინაიდან ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას. კოლხიდის მშენებლობა არის ამ მხრით ყველაზე უფრო განსაკვიფრებელი მაგალითი.

ამაიხრად, საბჭოთა საქართველოს ოცი წლის თავზე ჩვენ ვლგევართ ნამდვილი კულტურული რევოლუციის წინაშე. ამის ყველაზე უძლიერესი ფაქტორი იყო და არის ლენინის და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება ჩვენ ქვეყანაში, რაც გამოიხატა უწინარეს ყოვლისა სოციალისტური მშენებლობის ფართედ გაშლაში, სოციალისტური მრეწველობის არნახულ ზრდა-განვითარებაში, სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში სოციალისტურ საწყისებზე. ეს პირდაპირი და აუცილებელი შედეგია ოქტომბრის უდიდესი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა ჩვენ ქვეყანაში. პარიზის კომუნის შესახებ მარქსი აყენებდა ასეთ საკითხს: „თქვენ გსურთ იცოდეთ, თუ რა არის პროლეტარიატის დიქტატურა? იცოდეთ, რომ ეს პარიზის კომუნააო“. არანაკლები საფუძვლით შეგვიძლია

ვთქვათ: პროლეტარიატის დიქტატურა ჩვენ ქვეყანაში — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება, ეს არის დიდი საბჭოთა კავშირი; ეს არის ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული ქვეყნები, ეს არის უძლიერესი კავშირი ძმურად და მეგობრულად შეკავშირებულ დიდი და პატარა ხალხებისა. მეცნიერული სოციალიზმის უდიდესი მასწავლებლები: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, გვასწავლიან იმას, რომ სოციალისტური კულტურა — ეს ნიშნავს არა მარტო იმას, რაც შექმნილი და მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს, არამედ ეს ნიშნავს ყოველივე იმის ათვისებასაც, რაც ღირს-შნიშვნელოვანი და ძვირფასი რამ შეუქმნია კაცობრიობას რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე მეცნიერების და ტექნიკის, ლიტერატურის, პოეზიის და ხელოვნების დარგში.

უდავოა, რომ სოციალისტური კულტურა ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დროს თვალსაჩინოდ განვითარდა და დიდ წარმატებებს მიაღწია. განვითარდა სწავლა-განათლება, აღმოიფხვრა წერაკითხვის უცოდინარობა, უაღრესად განვითარდა მეცნიერული კვლევა-ძიებითი მუშაობა; გაიზარდა ყურნალ-გაზეთების რიცხვი და იმათი ტირაჟი, ასევე წიგნის გამოცემლობა, ასევე თეატრები, კულტურის სახლები, კლუბები, კინოები და სხვადასხვა. ყოველივე ეს ხომ ასეა, მაგრამ თუ ავიღებთ ცალკეულ ადამიანებს, ამ შემთხვევაში ჩვენ არა გვაქვს საცხებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. პირველ რიგში ეს უნდა ითქვას ადამიანთა შეგნების შესახებ. XVII პარტყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ჩვენ საცხებით ვერ დავსძლიეთ კაპიტალიზმის ნაშთები ეკონომიკაში და ადამიანთა შეგნებაში, განსაკუთრებით კი ადამიანთა შეგნებაშიო. ასევე უნდა ვთქვათ სოციალისტური კულტურის ათვისების შესახებაც. ჩვენში უკვე შექმნილია სოციალისტური კულტურის ათვისებისათვის ყველა პირობა. მაგრამ ცხოვრებაში ბურჟუაზიული კულტურის ნაშთები ზშირად გვაგრძობინებენ თავს. მეტად და მეტად საჭიროა ამ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა. უკულტურობა ჩვენ წინსვლას დიდად აბრკოლებდა და დღესაც აბრკოლებს. ამის მაგალითებს ჩვენ არა იშვიათად ვხვდებით. კულტურა საჭიროა ყოველგან, ყველა დარგში და სფეროში, ქარხანაში, მაღაროში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა დაწესებულებაში. პარტია, ხელისუფლება და ამხანაგი სტალინი იღწვიან მშრომელი მასების კულტურული დონის ასამაღლებლად. XVIII პარტყრილობაზე ამხანაგი სტალინის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „საჭიროა ქალაქის და სოფლის მშრომელთა მთელი მასის კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველყოფა, განხორციელება დიდი ნაბიჯის წინ ისტორიულ საქმეში მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ასაწევად, სოციალისტური საზოგადოების ამ მოწინავე და ხელმძღვანელი ძალისა, ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკების დონემდე“.

უკვე დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული სოციალისტური კულტურის ასათვისებლად განვლილი ოცი წლის განმავლობაში. ყველაფერი ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ ეს ამოცანაც საცხებით გადაიჭრება უახლოეს წლებში.

ი. თავაძე

საჭ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში

ქართული ხალხის ხელოვნება

მსოფლიოს ერთერთი უძველესი ხალხის — ქართველი ხალხის კულტურასა და ხელოვნებას მრავალ საუკუნეანი ისტორია აქვს. მათ შესახებ მოგვითხრობენ ჩვენს ერამდის პირველი ათას წლეულის მატერიალური კულტურის უმდიდრესი ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ მცხეთა-არმაზის ნეკროპოლის გათხრებისას.

უცხო ქვეყნელ დამპყრობელთა თავდასხმები არაერთხელ, თითქოს, ძირფესვიანად განადგურებას უქადდა ხალხის არსებობასა და მის კულტურას. მაგრამ ზღაპრული ფენიქსისებერ ნანგრევებისა და ნაეარტუტისაგან კვლავ აღორძინების გზაზე დგებოდა ქართველი ხალხი, მისი კულტურა, უფროდაუფრო დიდებულად და ბრწყინვალედ იფურჩქნებოდა მისი ხელოვნება.

ქართველმა ხალხმა შექმნა ხელოვნების მრავალფეროვანი ფორმები — ქართული პოეტური ფოლკლორი, სიმღერა, ცეკვა, მხატვრობა, ხალხური სანახაობანი, ხუროთმოძღვრება, მუსიკა, რაიც აღბეჭდილია მატერიალური კულტურის უძველეს ძეგლებში.

ქართული დამწერლობა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში წარმოიშვა, უდიდეს განვითარებას მიაღწია მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 საუკუნეებში ქართულმა ხელოვნებამ — ხუროთმოძღვრებამ, მხატვრობამ, ქანდაკებამ ქვასა და კეთილშობილ ლითონზე, მინანქარმა, მოზაიკამ. ამ ეპოქის საერო ლიტერატურის გვირგვინია გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“.

ქართული ლიტერატურის ოქროს ხანას ამშვენებენ სახელები უდიდესი პოეტების — შავთელისა და ჩახრუხაძის, რომელთა ქმნილებანი გამოირჩევიან სრულყოფილი მხატვრული ოსტატობით, პოეტური ვირტუოზობით, მომხიბვლელი მუსიკალობით, რითმების სიმდიდრით.

დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა, რომელმაც თავის გენიალურ პოემაში განახორციელა ხალხთა ძმობის იდეა, თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი ადამიანის უფლება, ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მთელი ქართული პოეზიის განვითარებაზე — დაწყებული უძველესი დროიდან, თითქმის ჩვენს დღეებამდის.

ქართველი ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ ისეთი გამოჩენილი პოეტები და მწერლები, როგორც არიან სულხან-შაბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვ. მიუხედავად რუსიფიკაციის უღლის სიმძიმისა, მაინც არ მოხერხდა საქართველოს ლიტერატურული შემოქმედების ჩახშობა. ილია ჭავჭავაძე-

ქმე, აკაკი წერეთელმა, ქონჭაძემ, ერისთავმა, ვაჟა-ფშაველამ, ყაზბეგმა, ბართაშვილმა, ნინოშვილმა, კლდიაშვილმა და ქართული ლიტერატურის მთელმა რიგმა სხვა კლასიკოსებმა მე-19 საუკუნეში მოგვცა მრავალფეროვანი თხზულებათა განსაკუთრებული ღირებულების ნიმუშები.

მეფის დამკვიდრება და ლიტერატურულ ლაქიებს უყვარდათ საქართველოსათვის ეწოდებინათ რუსეთის იმპერატორის გვირგვინის მარგალიტი. ეს ვაჟბატონები განზრახ სდუმდნენ იმაზე, რომ მარგალიტი ამოსვრილი იყო საქართველოს მშრომელთა ცრემლსა და სისხლში.

საქართველო მხოლოდ ახლა ხდება „ნამდვილ მარგალიტად, ძვირფას განძად თავის ხალხისათვისაც და მთელი საბჭოთა კავშირისათვისაც“ (ამხ. კ. ვოროშილოვის სიტყვიდან საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საქ. ცაკის საიუბილეო სესიაზე).

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავი — ესაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზემოქმედების სასიხარულო დღესასწაული, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების იმ ხალხთა დიადი შეგობრობის დღესასწაული, რომლებიც ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით აგებენ კომუნისტების უდიდეს შენობას.

საბჭოთა საქართველოში სოციალისტური მშენებლობის ოცი წელი იყო სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის არნახული ზრდის პერიოდი, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების აყვავების პერიოდი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ოცი წლის განმავლობაში საქართველო გადაიქცა მთლიანი წერაკითხვის მცოდნეობის ქვეყნად, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მძლავრად განვითარების ქვეყნად.

თვალისწინებით უფროხილდება რა კულტურის ძეგლებს, ქართველო ხალხი ქმნის ახალს, საუცხოვო, ჩვენი სტალინური ეპოქისათვის შესატყვისს ხელოვნებას.

დიადია საბჭოთა სოციალისტური საქართველოს კულტურის — მისი მეცნიერების, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების მონაპოვარნი. ხელოვნება გახდა ხალხთა ფართო მასების საკუთრება.

ქართულმა ლიტერატურამ ერთერთი მოწინავე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოძვე ლიტერატურათა შორის.

ქართული საბჭოთა პოეზიის უდიდესი შემოქმედებითი მიღწევაა კრებული „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“. ამ კრებულში წარმოდგენილმა საქართველოს საუკეთესო პოეტებმა, აფრთოვანდნენ რა დიადი თემით, მობილიზაცია უყვეს მთელ თავის ოსტატობას, სურდათ რა აესახათ კაცობრიობის უდიდესი გენიოსი, გამოეხატათ საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა დიდი ბელადისადმი.

ქართული პოეზია ეხმაურება თანამედროვეობის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობისათვის საქართველოს 13 პოეტი და მწერალი დაჯილდოვებული არიან საბჭოთა კავშირის ორდენებით. დიდის პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობენ საქართველოს პოეტებისა და მწერლების სახელები: გ. ტაბიძე, ლ. ქიაჩელი, ა. მაშაშვილი, შ. დადიანი, ს. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, კ. კალაძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, რ. ვეჯტაძე და სხვ. ფრიად განვითარდა

ქართული მხატვრული პროზა, უკანასკნელ წლებში გამოხდული რომანები და მოთხრობები გვიხატავენ ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს. ქართველი ხალხის გამორული წარსულის სურათებს.

შ. მ. ჯ. ი. მ. მ. მ.

ქართველი ხალხი არასდროს არ დაივიწყებს ქართული რევოლუციონერული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს, შესანიშნავ მსახიობებს ვ. აბაშიძეს, ლ. მესხიშვილს, გ. იშხნელს, კ. მესხს და დრამატურგებს, რომელთა შორის გვხვდება გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის სახელები, და დიდ ქართველ მწერლებს ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს და სხვებს, რომელთა შემოქმედება გამსჭვალული იყო ხალხისადმი ნამდვილი სიყვარულით.

ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკთა ბატონობის პერიოდი ქართული თეატრისათვის იყო შემოქმედებითი მოდუნების პერიოდი. მენშევიკური მთავრობა ერთ კაპეიკსაც არ აძლევდა თეატრს.

მძიმე და უსიხარულო იყო ქართული თეატრისა და მისი მსახიობების მდგომარეობა მენშევიკების ბატონობის დროს. 1920 წელს, ლატაკურ ოთახში ულუქმაპურად გარდაიცვალა სცენის კორიფეი ლ. მესხიშვილი. „დემოკრატიულ მთავრობაში“ კი ამ დროს დაუსრულებლად დაობდნენ ეწოდებინათ თუ არა ქართული თეატრისათვის სახელმწიფო თეატრი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ქართული თეატრალური ხელოვნების ნამდვილი აღმავლობა და აყვავება. საბჭოთა თეატრის მშენებლობისათვის სცენის ბრწყინვალე ოსტატთა მოზიდვამ, დიდმა მუშაობამ მსახიობთა, რეჟისორთა, დრამატურგთა, კომპოზიტორთა ახალი კადრების აღსაზრდელად, მაღალ-იდუური რეპერტუარისა და მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ უზრუნველყვეს საქართველოს თეატრალური კულტურის უბრწყინვალესი გამარჯვებები, ქართული თეატრის შემოქმედებითი ძალთა განსაკუთრებული ზრდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდის საქართველოში იყო ხუთი თეატრი, ამჟამად რესპუბლიკაში ითვლება 46 თეატრი; მათ შორის 12 ტფილისში, 7 — ავტონომიურ რესპუბლიკებში (აფხაზეთის და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი), 27 — რაიონებში და 10 — საკოლმეურნეო თეატრი. ამ თეატრებში მუშაობს 1720 მსახიობი და 232 სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი. მრავალმა მათგანმა განათლება მიიღო საბჭოთა ინსტიტუტებსა და სკოლებში.

თეატრალური ხელოვნება მართლაც მასობრივი, ნამდვილად სახალხო ხელოვნება გახდა. საკმაოა ითქვას, რომ 1939 წელს საქართველოს თეატრთა სპექტაკლებს დაესწრო ორი მილიონი მკითხველი.

ქართული ოპერისა და დრამატული თეატრების რეპერტუარში ძირითადი ადგილი უკავია ქართველი კომპოზიტორებისა და დრამატურგების ნაწარმოებებს. საქართველოს თეატრების მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა წახალისეს ისინი გამოენახათ ლენინისა და სტალინის დიდ სახეთა სცენიურად განხორციელების საპასუხისმგებლო ამოცანის სწორად გადაწყვეტა. შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, ნ. პოგოდინის „თოფიანი კაცისა“ და „კრემლის კურანტების“ დადგმები ქართული თეატრის საუკეთესო დადგმთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს სპექტაკლები გახდნენ გარდაცხვის ეტაპები საქართველოს თეატრალური ხელოვნების შემოქმედების გზაზე.

უკანასკნელ წლებში ქართულმა თეატრმა მიიღო ახალი ორიგინალური ნაწარმოებები: პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, ვ. გაბესკირიას „მა-



თი ამბავი“, მიქაელსა და აბაშიძის „ბედნიერება“ და „უკვდავება“, ს. კლია-
შვილის „გრაფის ქვრივი“ და „უკანასკნელი რაინდი“, გ. ქუთუაძის „მედიკოსის“
„ნაციარ-ქექია“ და „კომბლუ“.

სახალხო გმირ გიორგი სააკაძეზე შექმნილია 3 პიესა (უ. ჩხეიძე, ს. შანშიაშვილი, ი. ვაკელი).

რესპუბლიკურმა კონკურსმა საუკეთესო პიესაზე გამოამჟღავნა ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც წარმატებით ეუფლება დრამატიული ხელოვნების მწვერვალებს.

ქართული საბჭოთა თეატრი ფართოდ იყენებს ქართული და რუსული ლიტერატურის კლასიკოსებს, დასავლეთ ევროპის დრამატურგის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებებს. საქართველოს თეატრებში გაიზარდნენ სცენის ოსტატთა შესანიშნავი კადრები.

ქართული მუსიკის რევოლუციამდელი წარსული საქართველოს მუსიკალური კულტურის ერთერთი შავზნელი ფურცელია. პირველ ქართველ კომპოზიტორთა — მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილისა და დ. არაყიშვილის ნაწარმოებებმა ვერ შესძლეს ვერც ოპერის სცენაზე და ვერც დიდ საკონცერტო ესტრადაზე გამოჩენა. მენშევიეების ბატონობის პერიოდში საქართველოს მუსიკალური ხელოვნებისათვის მომსახარი იყო ყოველგვარი ნიადაგი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მჭუხარე ნაკადულივით იჩქვდა საქართველოს მუსიკალურმა ცხოვრებამ. რამდენიმე წლის განმავლობაში რესპუბლიკა დაიფარა სამუსიკო სასწავლებელთა ქსელით. შეიქმნა კონსერვატორიები, თეატრალური ინსტიტუტი.

ოპერის თეატრის სცენაზე მაყურებელმა დაინახა ქართველ კომპოზიტორთა ოპერები — ზ. ფალიაშვილის — „ამესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, „ცისანა“ და სხვ.

შექმნილია საოპერო ოსტატთა კადრები.

ოპერის თეატრის სცენიდან, საკონცერტო ესტრადაზე, კლუბებსა და კულტურის სახლებში, სოფლად ეროვნულ მუსიკალური ხელოვნების ფართო პროაგანდამ შექმნა მასობრივი მუსიკალური აუდიტორია, გამოიწვია ახალგაზრდობის დიდი მისწრაფება მუსიკალური განათლებისადმი.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაიხსნა ახალი სიმღერები, რომლებშიც გუგუნებს სოციალიზმის ქვეყნის დიდ გამარჯვებათა სიხარული. ათასობით ხალხური სიმღერა, რომლებიც გამოხატავენ ახალს ცხოვრებას, აღიღებენ ხალხთა დიდ ბელადს, მის უახლოეს თანამებრძოლებს, სახელოვან წითელ არმიას, საკოლმეურნეო წყობას, შევიდა მთელი საქართველოს ყველა კუნძულში შექმნილ მრავალრიცხოვან ქართულ სახალხო გუნდების რეპერტუარში.

ხალხური ცეკვების ანსამბლები, რომლებიც შესანიშნავად გამოხატავენ ქართველი ხალხის ჭორეოგრაფიული ხელოვნების მთელს ნაირფეროვნებას, თავიანთი შესრულების ხარისხით არ ჩამოუვარდებიან თეატრალურ ჭორეოგრაფიულ კოლექტივებს. ხალხური ხელოვნების მრავალრიცხოვან ოლიმპიდაზე თბილისში, მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში საქართველოს თვითშემოქმედებითმა კოლექტივებმა გვიჩვენეს ხალხური შემოქმედების შესანიშნავი ოსტატობის ნიმუშები.

ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის განვითარება შემდგომად ნარეობს კლასიკური მემკვიდრეობისა და ხალხურ სასიმღერო შემოქმედების ათვისების საფუძველზე. საბჭოთა თაობის ქართველ მუსიკოსთა შორის დაწინაურდა მთელი რიგი მაღალნიჭიერი კომპოზიტორთა, რომელთა შორის უნდა აღვნიშნავთ ვლადიმერ ვარდისაშვილს, რომელიც მუსიკალურ სფეროში შექმნეს სრულფასოვანი სიმფონიური და კამერული ნაწარმოებები.

მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის შემდეგ ქართულ საოპერო ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებები „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“ და კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ შევიდნენ მოძვე რესპუბლიკათა მრავალ თეატრების რეპერტუარში. ზ. ფალიაშვილის, მ. ბალანჩივაძის და ვ. დოლიძის ოპერები კვლავ შეადგენენ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ძირითად რეპერტუარს. მათთან ერთად რეპერტუარში შეტანილია საქართველოს კომპოზიტორთა ახალი ოპერები — შ. თაქთაქიშვილის „დეპუტატი“, ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი“, ბალეტები — შ. თაქთაქიშვილის „მალთაყვა“ და ა. ბალანჩივაძის „მთების გული“, ოპერები — ი. ტუსკიას „სამშობლო“ და გ. კილაძის „ლადო კეცხოველი“, მზადდება დასადგმელად ა. ბალანჩივაძის ახალი კომიკური ოპერა „ბედნიერება“. კომპოზიტორები ვ. გოციელი და შ. მშველიძე თეატრისთვის ამთავრებენ ახალ ოპერას — „გელას“ და „ვეფხისტყაოსანს“.

ქართული ნორჩი საბჭოთა აკადემიური მუსიკის ენარების ნაირფეროვნება და მაღალი ხარისხი, თეატრალური ხელოვნების წარმატებები წარმოადგენენ საქართველოს მუსიკალური და თეატრალური ხელოვნების ზრდის ბრწყინვალე მაჩვენებლებს, რაც გამოხატავს რესპუბლიკის საერთო კულტურულ და სამეურნეო აღმავლობას.

ქართველი ხალხის კულტურის აყვავებასთან ერთად აღსანიშნავია ქართული სახვითი ხელოვნების შემოქმედებითი ზრდაც. ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნით „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, შთავინებულმა ქართველმა მხატვრებმა შექმნეს ტილოები, რომლებზედაც უდიდესი შემოქმედებითი აღტყინებითაა აღბეჭდილი ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური წარსული.

ქართული სახვითი ხელოვნება გადაჭრით დაადგა სოციალისტური რეალიზმის გზას, ცოცხალი ცხოვრების მართლად ჩვენების გზას. ამიტომ, ასე მომხიბვლელია ქართველ მხატვართა სურათებში პეიზაჟი, საქართველოს ინდუსტრიალიზაცია, მისი აყვავებული ციტრუსისა და ჩაის პლანტაციები, ასე აღლევებს და ახალისებს თვალს საბჭოთა ადამიანების, სოციალიზმის, სამური და ბედნიერი ცხოვრების მშენებელი პორტრეტები.

ულრმესი შემოქმედებითი აზრითაა გამსჭვალული საბჭოთა საქართველოს მოქანდაკეთა მუშაობა. მოქანდაკე ნიკოლაძის შესანიშნავი ბარელიეფები მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ფორენტონზე — „დიდი ბელადი“ და „სტალინი — ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებელი ამიერ-კავკასიაში“ და თ. აბაქელიას ბარელიეფები მკვეთრ, ნაქანდაკე ფორმებში მოგვითხრობენ მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის გმირულ რევოლუციის წლებზე, მშრომელთა ახალი სამური ცხოვრების შესახებ. დიდი სტალინის სახე განსხეულებულია მოქანდაკეების — ს. კაკაბაძის, კ. მერაბიშვილის, რ. თავაძის ნაწარმოებებში, ამ ნაშუქვრებმა ფართო პოპულარობა მოიპოვეს.

საქართველომ, რომელსაც არ ჰყავდა თავისი ხუროთმოძღვრები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე შექმნა საბჭოთა ხუროთმოძღვრების საუცხოო კადრები, რომლებიც ქართული და კონსტიტუციური ხუროთმოძღვრების უმდიდრესი მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების საფუძველზე წარმატებით ქმნიან სოციალისტური ხუროთმოძღვრების ახალ ნიმუშებს. საქართველოს ხუროთმოძღვართა მიერ მოპოებულმა წარმატებებმა შესაძლებლობა მოგვცეს სწორედ გადაეწყვიტოს კომპლექსური ამოცანები მოედნების, მთელი კვარტალების, ქუჩების, ქალაქების ერთიანი არქიტექტორული ანსამბლების შექმნისათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიამ ოცი წლის მანძილზე გამოუშვა 150 მხატვრული ფილმი. მრავალი მათგანი — „უკანასკნელი მასკარადი“, „ნარინჯის ველი“, „დარიკო“, „დიადი განთიადი“ და სხვ. შევიდა საბჭოთა კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში და სამუდამოდ დარჩება ჩვენი ხელოვნების ისტორიაში.

„მთებში, სადაც ქობი იყო უპერო და ულოგინო.

ბილიკი რომ ადიოდა ნადირების საბოგინო.

ახლა სულ სხვა ამზავია: ატრიოლებს სურათს კონო,

რომ გააცნოს მალღ მთასაც გამარჯვება თელსაზინო“.

1941 წელს საქართველოს კინემატოგრაფია მუშაობს ისტორიული ფილმების — „ფიცის“, „ნაპერწყლიდან“, ისტორიული ეპოპეის „გიორგი სააკაძის“ და მხატვრული სურათების „კოლხიდის ჩირაღდნებისა“ და „ჭაჭანას“ და დოკუმენტური ფილმის „საბჭოთა საქართველოს 20 წლის“ შესაქმნელად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს ქართველი ხალხი მნიშვნელოვან მიღწევებით ზედება სოციალისტური კულტურის დარგში. ქართველი ხალხი ამტკიცებს ინტერნაციონალურ კავშირს მოძმე, საბჭოთა რესპუბლიკის ხალხებთან, სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ მომჩადობებელ ფერებით კაშკაშებს 16 მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის თანავარსკვლავედი.

საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავი — ერთერთი უბრწყინვალესი მიჯნაა უზარმაზარი გზისა, რომელიც განვლეს საქართველოს მშრომელებმა მებრძოლი ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმისათვის შეუპოვარს ბრძოლაში.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში საქართველო გადაიქცა დიადი საბჭოთა კავშირის ერთერთ მოწინავე რესპუბლიკად, საბჭოთა ხელისუფლების უმძლავრეს ფორპოსტად დამონებული აღმოსავლეთის საზღვრებზე.

გალაკტიონ ტაბიძე

ს ა ი უ ბ ი ლ ე რ

დაე, ქარიშხალთ
ქარიშხალში
 ჰქუხდეს დუღილი, *
დაე, გაეშვას
მოგრიალე
 ჰუქა-ქუხილი.
დაე, სიბნელე
სიძულვილის
 სძრავდეს დროებას,
დაე, სიკვდილის
ცელი თესდეს
 ამაოებას.
დაე, ფარავდეს
სისხლის წვიმა,
 ქარის სისინი —
კაცობრიობას
ვერ დასძლევენ
 შაინც ისინი!
ვერ გაიმარჯვებს
ლამე იგი
 გულმოსაკლავი —
ქარში, გრიგალში,
დღეს თექვსმეტი
 ბრწყინავს ვარსკვლავი.
და სადაც მკვდარი
შინდერებია, —
 გადანათელი —
შაკოცხლებელი
ეფინება
 მზარეს ნათელი!
იგი თესლებს
შავიურის
 აღით ენთება:

რაც დათესილა
თავის დროზე
 აღმოცენდება.
ვერ გაიმარჯვებს
ლამე იგი
 გულმოსაკლავი:
ქარში, გრიგალში
დღეს თექვსმეტი
 ბრწყინავს ვარსკვლავი.
არ შეიძლება
რომ არ შეხედეს
 ხალხს სასწაული:
დღეს საქართველოს
აქვს დიადი
 დღესასწაული.
მრავალი მზარე
შემოგვცქერის
 დღეს შეშურებით,
რომ მოელვარე
სიშორეში
 მოვეშურებით.
და ვესალმებით
ძმებს, შორეულ
 აღამიანებს:
წითლებს და ყვითლებს,
კვლავ თეთრსა და
 შავკანიანებს.
შეურაცხოფილთ
ცხოვრებისგან —
 უხმო ბანაკებს,
უბედობაში
და ბრძოლაში
 მყოფ ამხანაგებს:

ვერ გაიმარჯვებს
 ღამე იგი
 გულმოსაკლავი:
 ქარში, გრიგალში
 დღეს თექვსმეტი
 ბრწყინავს ვარსკვლავი.

ჩვენ მოელვარე
 სიშორეში
 მივეშურებით,
 და არ ვივიწყებთ
 წარსულს, საესეს
 განადგურებით.
 და გვახსოვს ყველა
 ენაც ჩვენთვის
 გასწირა თავი,
 ენაც წამებით
 მომავალი
 შეჰქმნა უკვდავი.

ჩვენს გულში დარჩა
 მათი ხსოვნა,
 ხსოვნა დიადი,
 უკვდავი იყოს
 ქვეყანაზე
 ხსენება მათი!
 რომ მარჯვედ სცემდა
 მათი გული,
 მათი მხარ-მკლავი —

ბრწყინავს ანათებს...
 დღეს თექვსმეტი
 ბრწყინავს ვარსკვლავი.

ოცი წელია
 რაც ირღვევა
 გზა საამსოფლო,
 ოცი წელია
 რაც ვიპოვეთ
 ქვეყნად სამშობლო.

რაც მორჩილების
 გზიდან მხარემ
 გადაუზვია —
 გზებისკენ—სადაც
 გამარჯვება
 და სიუხვია.

ჩვენ აქ გვინახავს
 სულ სხვა ხალხის
 მშუსრავი ღონე.

ძალა-უფლება
 მტაცებლისა,
 მისი კანონი

მაგრამ მომავლის
 ქარმა იგი
 გზა შეაფერდა.
 ეხლა, შეხედეთ,
 მხარე როგორ
 გადასხვაფერდა.

მოყოლებული
 ზღვისა ჩვენის
 ლაქვარდი კიდით —
 გლეტტერებისა
 და ფინების
 მხარემდე მიდის.

სასახლეები
 ზღვის ნაპირზედ
 ნათელ მთვარეზე,
 რტოებიანი
 კედარი სდგას
 და კიპარისი,
 ღელავს ჭადარი
 მოვერცხლილი
 და პალმა მწვანე,
 ირგვლივ კორდების
 ლაქვარდია
 ვით ოკეანე.

მაღალ ფერდობზე
 დაკიდულნი
 იყვნენ ვილღები,

თეთრი სვეტები,
 შადრევენები,
 და ყვავილენი.

ქალთა მშვენიერთ
 მორთულობა
 მდიდრულად სადა.

და ბეთპოვენის
 ზეციური
 სჩქედდა სონატა.

სისხლიან საქმეს
 მორჩენილნი
 აქ ისვენებდნენ,

კმაყოფილებით
 და ღიმილით
 გაიხსენებდენ

მათრახებს, ტყვიებს
 ამბობებულ
 ხალხს, რომ ხვდებოდა.
 სანკტ-პეტერბურგის
 მათ ქუჩები
 აგონდებოდათ —
 აგონდებოდათ
 მათ ციშირი
 საბადო ლენის,
 და რკინისგზები
 შორეული
 აღმოსავლეთის.
 ჩემო სამშობლოც,
 მოიცოლე
 შენ იგი ენგვი...
 ოცი წელია,
 შენს სიშართლეს
 ღლერს ჩემი ჩანგი.
 მთებსა და ველებს
 მზის თვალები
 ეაღერებდა
 გულზე შევინებას
 უბე ნაყოფით
 უბე ევსება.
 ოქროსფერდება
 ჯეჯილები,
 ვაზის მტევნებში,
 ვით ათასფერი
 ცისარტყელა
 ველთ შადრევნებში —
 ნაპერწკლოვანი,
 სიხარულის
 ღვინო ისხმება:
 მასში სიმღერა
 ქართველური
 იგულისხმება!
 მისკენ მიიწევს
 კმაყოფილი
 ცხოვრების მზერით.
 ვერ დაჩაგრული
 წინანდელი
 სუსხით ძლიერით,
 თავისუფალი
 და ამაყი —
 მიზნით გულადი,
 5. „წათობი“, № 2.

რომ ალტაცებით
 აღდგარდებოდა
 ხალხთა ბელადნი
 ერთხელ ლელაან
 ქაობიან
 მწვანე ღელეზე
 მძლე ერისთავად
 იჯდა კოლო —
 ანოფელესი.
 მისით უმწეო,
 უილაჯო
 და დამსხვრეული,
 უდროოდ მიწას
 შორდებოდა
 კაცი სნეული.
 ციებ-ცხელებით
 კანკალებდა
 ყოველი ნივთი,
 ეხლა, შეხედეთ —
 ჰყვავის დაფნა
 და ევკალიპტი.
 სურნელოვანი
 ნიაყი აქ
 მიაგავს მაისს,
 ლიმონს, ფორთოხალს
 აგროვებენ
 და ჰკრეფენ ჩაის.
 ქვეყანა გახდა
 მუდმივი მზე
 და გაზაფხული.
 დაბა-სოფელი
 ყვავილებში
 არის ჩაფლული.
 მწვანე ბუჩქებში
 ოქროსფერი
 მოღვივის ალი.
 ისევ იგივე
 ლიმონები
 და ფორთოხალი.
 მტრედისფერ ცისქვეშ
 ველს მოერტყა
 ვით ალყა ფრთხილი
 თუთუნის ტუნგო,
 გერანები
 და ზეთისხილი.

გამოჩნდნენ კაცნი,
 გზით გააპეს —
 უღრმესი თალი
 აფეთქებული
 გადმოინგრა
 მთების წიაღი
 და გადმოდინდა
 საგანძური —
 უცხო მანამდის —
 გადმოსკდა მძიმე
 შადრევნები
 ძვირფასი ნავთის —
 რომ დაიღვაროს
 ქვეყანაზე
 ცეცხლად და ნათლად.
 მძლავრ ენერგიით
 შოტორებში
 სცემდეს პირნათლად.
 სოფლად, ქალაქად,
 უბრწყინვალესს
 მიეცეს თოვას,
 ამოძრავოს
 ტანკების და
 გემების გროვა —
 შისცეს სისწრაფე
 აზრის მსგავსად
 ლაქვარდში მბრწყინავს,
 ოცნების მსგავსი
 სიმსუბუქე
 მისცეს თვითმფრინავს.
 სად საშიშარი
 მწვერვალების
 მეწყერ-საქცევად.
 შეფარებოდნენ
 თვითნებობის
 თავდასაღწევად.
 სად სიღარიბე,
 დასწოლოდა
 ლამაზ კრისტალებს,
 შეტისტებსა
 და ქრიზობრასსა,
 იაგუნდს, ლალებს;
 სადაც ოცნება
 ნიავეით
 სუფთა და წმინდა,

ძველი ზღაპრის და
 ლემენდების
 სახით გაბრწყინდა
 სადაც მწყემსები
 თამაშობდენ
 ნაში ონიქსით
 ნუშის თესლებით
 მშვენიერით
 და სარდონიქსით —
 პოდის საბჭოთა
 გეოლოგი —
 კაცი მკვლევარი
 აღმოჩენებზე
 თავგადაცვლით
 ლამე მთევარი,
 ცოდნის სიმართლით
 შუა ვაკვეთს
 გაყინულ ლავას,
 და აღმოაჩენს
 საიდუმლო
 საგანძურს მრავალს.
 დიდი ცოდნა
 მოანათებს
 და მზებერ ელავს
 მისი სხივები
 ათბობს ყველას
 უნათებს ყველას.
 მეცნიერების
 დიად ხეზე
 მწიფდება ლალი
 ბედნიერების
 ნაყოფები —
 მარადის სალი.
 ყველა ჩვენგანი
 დღეს საესეა
 უკეთეს გრძნობით —
 დიდი ნათელი
 სიამაყით —
 დიდი დანდობით.
 ერთი ძლიერი
 სხივით მზარე
 კიდევ ინთება,
 ნათელ გვირგვინით
 ჩვენი მზარე
 დღეს გვირგვინდება —

ცხოვრების ზღვაზე
 იგი გასწევს
 ურყევ გემივით
 აკადემიით,
 შოელვარე
 აკადემიით!
 აკადემია!
 გაიშალოს
 ყველა აღმები...
 აკადემია!
 ამ დიად დღეს
 შე ვესალმები.

სალამი ნათელ
 გზით მიმავალ
 სამშობლო მხარეს
 სრულყოფისაკენ
 სხვებთან ერთად
 რომ მიიჩქარის!
 უდიდეს მებრძოლს
 იმ სრულყოფის,
 იმ იდეალის —
 უმზურველესი
 სალამი და
 მადლობა სტალინს.



საქართველოს
 მშენებლის
 კავშირი

მ ი ძ ლ ვ ნ ა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების 20 წლისთავის გამო.

გამარჯობა, საქართველოვ, შეუქად მოელვარევე,
შენ — მშითა და ყვავეილებით მოქარგულო მხარევე.
მოგილოცავთ ოცი წლისთავს, ბრძოლით დაუმცხრალო,
უძლეველი ძმურ კავშირის მარგალიტის თვალო.

შენ კეკლეცობ მოკაზმულო მთებითა და ბარით,
ათასი წლის გრძელ მანძილზე მღერი შოთას ქნარით.
შენ დიდი ხარ, შენს უბეში დაიბადა შვილი,
ვინც ქვეყანას გაუფანტა წყვედიადი და ჩრდილი.

გმირთა მხარევე, თვალწარმტაცო, სინათლეო დღისა,
ქვეყანაო ბაღნარების, ზვარების და ტყისა.
მოელვარევე მყინვარებით, ჩანჩქერების წყალოთ,
კავკასიონს გადასცქერი ორბისებურ თვალით.

დიდო მხარევე, შენ მორთულხარ ქალაქებით, დაბით,
საბატარძლო ფარჩეულით, დასირმული კაბით.
ჩვენო მხარევე, საოცნებო, მშობლიურო, ტკბილო,
შენ მშრომელმა ავაშენა, ტურფად გადაშლილო,

ვინ იქნება — შემოგხედოს, არ ამღერდეს ლაღად,
როს კოლხეთის ჭაობები დღეს ქცეულა ბაღად.
ქვეყანაო სიმღერების — ჩვენც გიმღერით ქნარით —
გამოზრდილნი შენი მშითა, მთებითა და ბარით.

ასეულ წლის მანძილზე ძმობის გვეფენდა ნათელი,
მუდამ ერთად ვიბრძოდით — სომეხი და ქართველი.
ერთად დაგვირბევია მტერი ამხედრებული —
და ვყოფილვართ გულადნი, მხნე და გამარჯვებული.

ქართლოსი და ჰაიოს ერთად ბრძოდნენ შუბებით
და ლაღობდნენ ზეიშით, მტრების განადგურებით.
უძლეველნი ვყოფილვართ, არგამტეხი ფიცისა,
მოტრფიალუ, ერთგულნი მშობლიური მიწისა,



ჩვენგან დამარცხებულა ბევრი მტერი ვერანი,
ჩვენს მახვილზე აცმულა მათი გულის ძვერანი.
მასისიდან ყაზბეგამდე ხმლებითა და დაშნებით,
ქპროდნენ გამარჯვებულნი წინაპრები რაშებით.

აქვე დამკვიდრებულან დიდ ქართლოსის შვილები,
ზღვიდან ზღვამდე გმირებად ომში გამოზრდილები:
გულამაყნი, ზვიადნი, ჩაჩქანით და ფარებით,
და აქ უშენებიათ სოფლები და ზვარები.

მგვრამ დაუღწიათ მათი ციხის კარები —
შამირამს და აუდაპაკს შემშუსვრელი ჯარებით.
თარეშობდა კიუროს, პომპეუსი ძლიერი,
სულა ჩვენი მოძულე — ბოროტი და ცბიერი.

ცხელ უდაბნოს ურდონი ჩვენსკენ გამონაჩქარი,
არაბთა და სპარსელთა უთვალავი ლაშქარი —
მოსულან და უთელავთ ვენახები, ყანები,
უძარცვიათ სამშობლო ჩვენთვის სათაყვანები.

ამ დროს სულმნათ წინაპრებს გაუგდიათ კალამი,
სკოლები და წიგნები, ხელოვნების ალაში —
და მხარდამხარ დამდგარან ძმობის გამომსახველნი,
უტეხ ფიცით შეკრულნი — სომეხნი და ქართველნი.

ურბევიათ დუშმანი მათ ხმლითა და ისარიით,
ერთი დროშა ჰქონიათ ყველგან დასაფიცარი.
უბრძოლნიათ უშიშრად მთებში, ბარად, ველადა,
დიდ სამშობლოს დიდების რომ ყოფილან მკველადა.

კახი, აბო, დავითი — სისხლის იყვნენ მღვრელია,
თონდრაკელებს ეკიდათ მუდამ საჭურველია.
ულესიათ მტრის ძვლებზე — მამა-პაპათ ხმალია,
მშობლიური ხალხის წინ მოუხდიათ ვალია.

ასე დაბრუნებულან დადაფნული ჯარები,
ისევ ხელთ აულიათ: თოხი, კვერი, ბარები...
უკოცნიათ ეს მიწა მტრისგან გადანათელი,
სრა-სასახლე უგიათ — მალალი და ნათელი.

ისევ გადაფურჩქნილა ხალხის ბედნიერება.
ხელოვნება, ცხოვრება — ჩვენი მეცნიერება.
ისევ ფართოდ ვახსნილა ხალხის სიბრძნის კარები,
სიტყვა ჩამოუქნიათ შუქთან შესადარები.

თქვენში ისევ დაიფრქვა სურნელება ველისა,
იაღონის ვალობა — ხოტბა რუსთაველისა.
თითქოს ალაგოვით ღვარი მოსკლა მთაზედა,
ნარეკაციც ამღერდა სამიჯნურო ხმაზედა.



საქართველომ კვლავ შექმნა უკვდავება, დიდება,
სიბრძნის დიად მდინარედ შოთა მოედინება,
გვერდით მოსდევს დავითი და ბრწყინვალე თამარი,
ციხე-კოშკთა ამგები — მზის ნათელის სადარი.

მაგრამ შემდეგ მოვარდა ბოროტი და საზარი:
ურდო ჩინგის-ყაენის, შახ-აბასის, ხაზარის.
ისევ ხმლით და მახვილით ჩვენი ხალხი უკაფავთ,
თუმც ჩვენგანაც მრავალი შეებნელი დღე უნახავთ.

ჩვენი ხალხი ყოველთვის, მხნე, გულადი ყოფილა,
ჩვენს მამულში ლაჩარი არასოდეს შობილა.
ჩვენ არასდროს ბრძოლიდან აღარ დაგვიხვევია,
ვიდრე სისხლი მტარვალის მთლად არ დაგვინთხვევია.

ვახტანგი და დავით-ბეგ ღირსნი იყვნენ ქებისა,
იყვნენ შთამგონებელნი მამაც მელიქებისა.
უქლტიათ მრისხანე ჭარი შახ-თამაზისა,
ამ მიწაზე უნახავთ კვლავ სიუხვე ვაზისა.

წარღვნის რისხვად მოსულა ურდო მაჰმად-ხანისა,
გადამთელი თბილისის, მისი კიდე-განისა.
ჩვენი გული უზარავს ვაებას და გლოვასა,
უმღერია ვიდრე ბესიკს, შემდეგ საათნოვასა.

შემდეგ კიდეც მოსულა რუსთა მეფე მპყრობელი,
ცეცხლის ალით უთელავს ქალაქები, სოფელი,
კილით-კილეს სმენია ზარდამცემი ლაშქრული,
მტერთან ბრძოლა არ გვახსოვს უძლეური და ლაჩრული.

აქ კვლავ ხალხი ამდგარა ხმლებითა და დანებით,
გაჩნდა აბოვიანი მისთვის სათაყვანები.
თქვენ აქ ბარათაშვილი გაღვიძებდათ წუხილით
ჩვენ კი ნალბანდიანი მოწოდების ქუხილით.

როცა გვაწიოკებდნენ ყაზახები თარეშით,
კასპიიდან პონტომდე იყვნენ სიმწუხარეში.
აქ ჭონქაძეს ხალხისთვის მწარედ გული სტკიოდა,
ფატალი და ილია ქვეყნის ტანჯვას სჩიოდა.

მათ მოსდევდნენ კვალდაკვალ ხალხთა ძმობის მფარველად,
 ავეტიკ და ჰოვანეს — მთის მგოსანი ფშაველა.
 დიდ მომავალს უმღერდნენ თავიანთი ქნარითა;
 ხაჩატური, აკაკი მუდამ ენით მტკბარითა:

ერაყისული
 გიგლირთხეა

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ!..
 ვიციანი, აღარ ვსტირი მე,
 ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
 გამოდით, თქვენი ჭირიმე!...“

ცხრაასხუთი, როგორც მზე, ჩვენში ისე ანთია,
 მტერს ეკვეთა უტეხი ბოლშევიკთა პარტია...
 როცა ძირს ჩამოაგდეს მეფე პირსისხლიანი,
 ბრძოლის ცეცხლით ამღერდა აკოპ აკოპიანი:

„ჰე, ბიჭებო, დატრიალდით
 დასცხეთ, ერთიც დაჰკარით.
 დაამსხვრიეთ, დაღეწეთ
 მეფის ტახტი საზაზი!“

ტალღა ტალღას მისდევდა, ინთქებოდა ტალღაში,
 ყველგან იდგა ხალისი, განათლების განგაში.
 ვერ უძღებდა რისხვის ზარს — მეფე, მისი ჭარებო,
 ველარც ცივი ციმბირი, ველარც ციხის კარები.

გაიშალა ყოველგან დიდი სანახაობა,
 ხალხის ღელვას ამოჰყვა რაინდული თაობა:
 ალექსანდრე, სტეფანე, სერგო და კეცხოველი,
 ავუგუნდა ბრძოლის ხმა მედგარი და ცხოველი.

მხნედ იბრძოდნენ, უშიშრად, გადაჰმანტეს ჩრდილები,
 წინამძღოლად გამოჩნდნენ სასახელო შვილები:
 წამოვიდა ქარიშხლად სიმღერების გუგუნე,
 მიმოღეწეს ხუნდები, შუქმა სძლია უკუნი.

შეიმოსა ნათელით ეს ქვეყანა ჩვენია,
 ყველა ერთად შეგვაშრა რაც კი ცრემლი გვდენია.
 წინ — ბრძოლაში წაგვიძღვა ჩვენ სტალინის გენია,
 მარქს-ლენინის მოძღვრების უქრობ შუქის მფენია.

შესძრა მთელი სამყარო გმირულ სიტყვის გზნებითა,
 აღსდგა ხალხი დევნილი ზღვათა მქუხარებითა,
 მან იხილა ნათელი, შვეების დილა ეღირსა
 და ზეცამდე აღმართა დროშა წითელ ფერისა.



მეფე ისევ წამოდგა ბორკილების მკედელი,
სურდა კვლავ დაერღვია ხალხთა მტკიცე კედელი,
ერთა შორის დაენტო ხოცვა-ჭლეტის ხანძარი, ეკონომიკური
ზიზღიერება
რომ მით გადაერჩინა თვისი ქურჭი საზარი.

ამ დროს იდგა კლდესავეთ ბოლშევიკთა პარტია,
მისი ბრძოლის სურათი ჩვენს მიწაზე ჰხატია.
თუმცა მეფე დაემხო დარჩენნ ხალხის მკვლევლები:
მენშევიკ-მუსავატნი, მასთან დაშნაკელები.

ხალხის დიდი სურვილი კვლავ ბორკილით დასტედეს,
მის მგზნებარე გულიდან სისხლიც ბევრი აწვეთეს...
შშრომელს, თავისუფლებას ასწლობით რომ ელოდა,
კვლავ ღვენილს და წამებულს ცრემლი გადმოსდენოდა.

მაგრამ ძველი სამყარო ირყეოდა დაშლილი,
მაშინ, ოდეს თავს გვადგა ჩვენ სიკვდილის აჩრდილი,
უცებ ღამის წყვდიადში გაიღიმა აისმა,
და შორს თავისუფლების ხმა მზიური გაისმა.

ხმას, რომელიც ჩვენამდე მახარობლად მოვიდა,
მოელოდა ჩაგრული ხალხი ათასწლობითა...
ეს სტალინის ხმა იყო, მგზნებარე და ვეება,
მყის რომ იცვენეს ველებმა, მთებმა, მდინარეებმა.

წინამძღოლნი პარტიის, კობა დიად ლენინთან,
ხალხებს მოუწოდებდა თავი ეხსნათ ბნელიდან,
და მათ მოუწოდებაზე აღსდგნენ დამშობილებით,
შვილნი საქართველოსი და — სომხეთის შვილები.

დიად, მომე რუსეთის ხალხთან შეერთებულნი,
მთელი ძალით ეკვეთნენ ღუშმანს გააფთრებულნი.
გაილაშქრეს მოვარდნილ, მძვინვარ ქარიშხალივით,
და უფსკრულში დაინთქა ყვაე-ყორნების ჩხავილი.

გაქრა ნისლი, ღრუბელი, გაეღიმა გარიჟრაჟს,
ქვეყნის დიდი სინათლე მოჰყვა ბრძოლის ქარიშხალს.
საქართველოს დღეს ამკობს გამარჯვების ყვავილი,
ილხენს შვილის სიბრძნითა გზაზე გამოყვანილი.

ამირანის ბორკილი კლდეს ჩხარუნით დაეცა,
მპერმაც გამოქვაბულში „ქვა და ყვავი“ დალეწა,
მოეხვივნენ ძმებივით ერთურთს გმირნი ქებულნი,
დიდ სამშობლოს უსაზღვრო ტრფობით გულანთებულნი.

დღემდე დასაბამიდან, ბევრი გმირის კვალია, ხალხის წმინდა გულიდან წყალი ბევრმა დალია — იზრდებოდნენ, ებრძოდნენ მხნე გმირები წყვედიდან, დრო მათ შარავანდელით უფრო განაღვივებს.

ვარსკვლავთ შორის ორი მზე, ორი გოლიათია, ორი დიდი სახელი სხივმოსილად ანთია, მათი სიტყვა ყველასთვის არის მისაწვდომელი მათ სიბრძნეში გამთბარა ხალხის გრძნობა ყოველი.

ახალი საუკუნის მზეებად ატანილი — ანათებენ მსოფლიოს: ლენინი და სტალინი . — იმედის და ნუგეშის შეუქის აელვარებით, ხალხს წამებულს გაუღეს სიხარულის კარები.

სტალინური ხეთწლედით მიწა აგვევავებია, დღეს სამშობლოს მთაბარში სიმღერების ხმებია. კოლმეურნის მინდორი ელავს ოქროს სხივებით, ცას მაღალი ქარხნების მიბჭენია მიღები.

დიდ ლენინის ანდერძებს უკვე ზორცი შესხმია, დღეს ჩვენს დიად ქვეყანას მტრები თავს ვერ ესხმიან, მინდორ-ველზე გაშლილა ათასობით დამკვრელი, გლეხი ტრაქტორს შეჰხარის, მიწის სულის ჩამდგმელი.

ამდენ ხანს რომ ველოდით გულით ნათელს შვებისას, დიდ სტალინურ ქარტიით ნეტარება გვეღირსა. დღეს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ერები, ერთი გულით მღერიან, ერთი ბედნიერებით.

მიქოიანი, ბერია მისდევენ მის გენიას, ვისაც ქართველთ, სომეხთა წყლული მოუტრჩენია. მტერი ჩვენი წინსვლისა მოუსპიათ მრავალი, უკეცვიათ ბაღნარად მიწა მოუსაველი.

მუდამ, რა დროც არ არი, ზაფხული თუ ზამთარი, მთელი ჩვენი ქვეყანა მწვანე, ცისფერ ზღვად არი. უღიმიან ერთმანეთს სიყვარულით მარადით, ნისლიანი ყაზბეგი და თეთრი არარატი.

ძმურ ქვეყნების ოჯახში საქართველოვ ქებულო, მარგალიტო რჩეულო, მზისგან გაბრწყინებულო, შენს კალთაში ვიზარდეთ დედის თბილი აღერსით, მამ მიიღე სალაში ჩვენგან უმზურვალესი.

ჩვენ ის გვიყვარს ყოველთვის, ვინც რომ ძმებად შეგვეყვარა,
 ვინც დოვლათით აავსო ჩვენი ტურფა ქვეყანა,
 რომლის მაღალ გენით შთაგონებულ ერებმა, **ერაყისული**
 თვის მიწაზე აღთქმული ჰპოვეს ბედნიერება. **ზინჯიროსიქა**

ჩვენი დიდი ბელადი, ყველა ბრძენზე ბრძენია,
 ხალხთა ძმობის სინათლეს გვფენს იმისი გენია,
 დიად ოცი წლის თავზე, ამ სიყვარულს მარადისს,
 მას ვუმღერებთ, ისმოდეს ეს ხმა მთიდან ბარამდის.

ჩვეოთ კარგო სამშობლოვ, საქართველოვ ლამაზო,
 გვინდა ამ დიდ ზეიმზე გული შემოგთავაზოთ.
 ვენაცვალეთ შენს მიწას, მთებს, ჩანჩქერებს, ვაკესა,
 და შენს პირმშო გენიოსს, ჩვენთვის მოამაგესა.

რა საამურ სურნელს ჰფენს ველი ყვავილოვანი,
 მთას რა ელვით გადმოჰქექხს წყარო ზურამუხტოვანი.
 შენს უბეში რამდენი სითბოა და ალერსი,
 იგი დედის გულია — ჩვენთვის უსაყვარლესი.

შენს ბაღნარში ვაყები — ეს ხომ შევარდნებია.
 შენს წიაღში ასულნი ალვის დარად ჩნდებიან.
 შენი გმირი მებრძოლნი, ამოწვდილი ხმალითა
 სდარაჯობენ სამშობლოს დღისითა და ღამითა.

სასახლენი ააგეს მარმარის და ახალი,
 მრავლად დადგეს ქარხნები, ფაბრიკები მაღალი.
 სოფელში და ქალაქში, მწვანე ბაღჩა-ბაღებთან,
 მხიარული ცხოვრებით შენი ხალხი ამღერდა.

საქართველოვ, სამშობლოვ წარმტაც სიმღერებისა,
 ქვეყანაო მგოსნების, ვარდის, ჩანჩქერებისა.
 აჰა, დღესასწაულიც, რასაც ხალხი ელოდა...
 ჩვენი წრფელი საღამო სტალინს საქართველოდან.

საქართველოში მცხოვრები სომეხი საბჭოთა პოეტები:
გივორგ ბრიგ, კაკარე, სურენ აზიანი, რუხი
აღაბაზ, მარტინ ქარაშიანი, მოვანეს კარაპეტიანი,
არტამაზ ჯულაჰაქ.

ქართულად სთარგმნეს პოეტებმა:
პოლიო აბრაშიანი და დავით გაჩეჩილაძე.

კონსტანტინე გამსახურდია

ხუთასი ბოლნისაღის აგბავი

ნოვალა *)

I

შარშან ბოლნისის ვავემგზავრეთ მე და დავითი საკმაოდ ძველმოდურ ფორდით.

სავსებით გამოხუნებული და დანქრეული იყო იგი. თავმომწონე ვინმე არც კი იკადრებდა მასში ჩაჯდომას.

ტფილის ქალაქმა ახალი, კრილა ლიმუზინები შემოიღო და ამ ტიპის მანქანებს ექსორია უყვეს. მათ ნება დართეს სოფლის თემშარებსა და დაცურებულ შეღმართებზე დაეღიათ უკანასკნელნი დღენი.

ეგ ფორდიც რაიონებში სამოგზაუროდ ჰქონდა მიჩნეული სიძველეთა კომიტეტს. იმ ეჟამდ ჩვენი ზუროთმოდერების ძველთა შეკეთება წარმოებდა და ამ ფორდით შემოვიარეთ ბეღია, გელათი, ყინცივისი, წროში, რუისი, ატენი, უფლისციხე, თილევა, თირი, მცხეთა, უჯარმა, ენისელი, წულრულაშენი და დმანისი.

დავითი მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ხოლო მე ვსარგებლობდი მისი თავაზიანობით. ვეცნობოდი ძველებს, ადამიანებსა და ბუნებას.

თანაც იღუშალი განზრახვა მქონდა გულში ასეთი: ვინ იცის, ვეგებ, ამ მოგზაურობის დროს ჩემთვის ახალი რამ წამოსცდეს მეთქი ან კაცს, ან ქვას, ან მიწას.

ამ ფორდმა დიდი სამსახური გაგვიწია, თუმცა უნდა ითქვას: არც თუ ისე იოლი იყო ამ გვარად მგზავრობა.

გზაში ხან კამერა გაუსქდებოდა, ხან საბურავი, ხან რესორები უფუქდებოდა, აღმართებში ქუშიანი ცხენივით აქშინდებოდა, ჩამოვიდოდით მანქანიდან, მივაწვევოდით და ასე დავთარევედით ტალახებში დიდის ვაივაგლახით. ზამთრის ღამეში გავეხირობოდით საღმე უკაცრიელ ტყეში, ვისხედით გათენებამდის მანქანაში და ყურს ვუგდებდით მგლებს ყმუილს.

მაინც სიამოვნებით ვიგონებ იმ წლებს.

სიძველეთა კომიტეტი დიდ საქმეს აკეთებდა, მახარებდა ამ ამბის თვალყურის დევნება.

მრავალი ათასი მუშახელი მიუსიეს საუკუნეთა გრიგალისაგან დაღეწილ ტაძრებს, კოშკებსა და ციხეებს.

გააღეს კარგამოკეტილი ეკლესიები და მონასტრები, გამოხვეტეს გაუქმებულ საკუროთხველებიდან ფრინველისა და საქონლის სკორე, ადადგინეს ფარეხებად ქცეული უძველესი ბაზილიკები, გასწმინდეს ხანძრებისა და ობისა-

*) ცკლიდან „ქართლის ცხოვრება“.

გან შელახული ფრესკები და ჩუქურთმები, მოსთხარეს გუმბათებსა და ხაშრეკლოვებზე ამოსული ხეები და ჩირგვები, აგროვებდნენ ეზოებში უწყვეტივით დაყორებულ ჩუქურთმიან ლოდებსა და თავკიდურებს, გადახურეს ტყველესი ძეგლები, რომელთაც განუკითხავად აწვიმდა საუკუნის მანძილზე.

მშენებლობის ტრიაშული უკაცრიელ მთებში მიტოვებულ მონასტრებსაც მისწვდა, სამასწლოვანი ცაცხების, მუხების ქვეშ ენთო ციცხლი, აღუღებდნენ ფისს და დღევანდენ გაჯს.

ახალი სხივით გამოანათეს ჩვენი დიდი ხუროთმოძღვრებისა და მხატვრების ქმნილებებმა, კვლავ ამტყველდა მრავალი წარწერა ძველი დიდებისა, ხანაც სიმძიმის მომთხრობი.

როცა შთაბეჭდილებებისა და ხარაჩოვებზე ბობლვისაგან დავიღვებოდი, ავიღოდი რომელიმე სამრეკლოს ზეთავზე და ვიწერდი დღიურებს.

ერთი უცნაური ამბავი მივიჩინე იმ წლებში და იგი უნდა მოგითხროთ ახლა.

II

მე გადაუდებელი საქმეები მქონდა, მაგრამ ერთმა ამბავმა მაიძულა თან წავყოლოდი ბოლნისში დავითს.

ტაძრის რემონტი მიწურული იყო და წინაებზე დაუბარა დავითმა სუმბატს — მშენებლობის ხელმძღვანელს: სამარხი კამერის გამოწმენდას რომ შეუდგეთ, გვაცნობეთო წინასწარ.

შემოსთვალეს და ჩვენც გადავწყვიტეთ წასვლა. დილის ხუთ საათზე მოვიხიდა გამგზავრება, ამიტომაც, წინა ღამით ნამუშევარმა, გამოძინებაც ვერ მოვასწარი.

სთველობა იყო.

დაცვენილი ფოთლების ფარჩაზე მიჩაქჩაქებდა ჩვენი ფორდი.

თვალს ახარებდა ყურძნით დაღუშული ვენახების დოვლათი, კიაფობდნენ ფურცლოვანში ატმებისა და ვაშლების დაქლავა ლოყები, ზედ გზის პირად გაწკაპულ კაკლებიდან სცივივოდა ნიგოზი.

ხიდების ყურში მოდარაჯე ბიჭუნები გვაწვიდნენ ცხელ პურსა და ახლად მოხარშულ ხრამულს.

მალე დამქანცა გზამ.

ვიჯექი შოფერის გვერდით, მანქანის მონოტონურ რაზრავს აყოლილი ვთვლემდი.

ჩემს უკან ვაცხარებით ბაასობდნენ დავითი და ინჟინერი მშენებლობისა, ავთანდილი. ცხარობდა დავითი, საერთოდ მშვიდი და უწყინარი ბუნების პატრონი.

წარამარა მესმოდა მისი ხმა:

„შვიდი ტონა კირი... ასი ფუთი გაჯი... სამოცი კილო ლურსმანი... თუნუქი აღარა ვაქეთ? რას ამბობ? ერთი თვის წინად არ მოგვცა სახკომსაბჭომ სამი ათასი ფურცელი თუნუქი?..“

იცოდე ავთანდილ, ერთი ფურცელი რომ დაიკარგოს, შენც მოგხსნი, შენს სუმბატსაც.

„სუმბატი წესიერი კაცია“, ამბობდა ავთანდილი.

კარგა ხანს მეძინა და ისევ გამომალევიდა დავითის ყვირილმა.

„ვინ მისცა შელეგიას ნება, ეპისკოპოსის საფლავის ლოდი რომ გაუცია?“

ავთანდილი თავს იმართლებდა, სუმბატი ტფილისში იყო სამი დღის წინად, მას არა უთქვამსო რა ამ ლოდის გამო.

მე არაფრად მაინტერესებდა ეპისკოპოსის ლოდის დაკარგვის ამბავი და ამიტომაც განვაგრძე თვლენა.

ახლა ხანგრძლივად მომესმოდა გვარი შელევია. ისევ შემაკრთო ხმამაღლა ნათქვამმა:

„თუ ის ლოდი გასული საუკუნისაა, კიდევ არაფერი, მაგრამ ვაი შელევიას ტყავს, თუ უფრო ძველია.“

ახალი ლოდებიც გვჭირია მშენებლობისათვის...“

მე ნაღვლიანი გავცქერი ტფილის-ბოლნისის გზას და ვფიქრობ ჩემთვის: ეს იყო შემოსევათა დიდი გზა.

მხარმარცხნივ, მაშავერას ნაპირზე იდგა უზარმაზარი, ფარაჯიანი მეცხვარე, ფაფახი ხელში ეჭირა და საზარელი ხმით ყვიროდა.

ამ მხარეში ბევრი მივლია, მაგრამ აროდეს მინახავს ეგზომ მკვეთრად გამოტვიფრული ანტროპოლოგიური ტიპი.

ამ კაცს ისეთი კრუტა თვალები ჰქონდა და მალალი ლაწვები, მონღოლებში მომაგონა მან, ხოლო მონღოლებმა თემურ ლენგი.

თვალწინ წარმომიდგა, თუ როგორ მოდიოდნენ ტფილისისაკენ მისი ურდოები.

მაშავერას ნაპირზე გამოუვლია ოქროს გვირგვინიან ბარბაროსს.

„ლაშქარი მისი იყო უმრავლესი ქვიშისა და ფოთლისა. ბრძოლის ველს რისხვით მოეცლინებოდნენ, ვითა პილონი მთვრალნი, პოროლებითა და სატევრებით აღჭურვილნი.“

ფარებს მათსას ნიანგის ტყავი ჰქონდა ზედგადაკრული, ჰუნენი მათნი შემოსილნი იყვნენ ვეფხის ტყავითა.

არ ეშინოდათ მათ არც სიკვდილისა, არც წამახელი ხმლისა, არცა ცეცხლისა“ *).

ამ ურდოებს უკან მოჰყვებოდა მათივე ცოლებითა და ბალებით დახუნძული ქარაენები აქლემებისა, მოელარუნებდნენ ზანზალაკები, მობლაოდნენ თან წამოლალული ჯოგები და ფარები.

კვლავ ჩემ თანამგზავრთა საუბარს ვათხოვე ყური.

ახლა ვიღაც ფაშას ახსენებდნენ დავითი და ავთანდილი წარამარა.

გამოაცა ამგვარმა სახელმა.

ლიმილით მოვუბრუნდი დავითს:

„კაცო, ნუ თუ რომელიმე ფაშა გადაურჩა საბჭოთა ხელისუფლებას?“

გამოიჩვენა:

ეს ყოფილა ვინმე ახმეტ ყაზიმ ოღლი, რომელსაც დიდი ფარა ჰყოლოდა კოლექტივის შემოღებამდის და ამიტომაც შეურქმევიათ ბოლნისელებს ფაშა. მანქანა შესდგა ახალი გალაენით შემოზღუდული ბოლნისის ალაყაფის კარებთან.

ხანჯლიანი მოხუცი შემოგვეგება და მოგვესალმა.

„გამარჯვება ფაშა!“

შიაძახა დავითმა.

„ღმერთმა გაგიმარჯვოს!“ მოისმა პასუხი.

*) თემურ ლენგის ქრონიკიდან ამონაწერი.

რატომღაც ეს ფაშა წარმოდგენილი მყავდა როგორც ვეება ვაქეატი, სწორედ ისეთი, როგორიც მაშავერას ნაპირად შემოგვხვდა დღელი, დალეული, დამღვრძვლი მოხუცი იდგა ჩვენს წინაშე მთლიან ცხერისტყაიდან გაკეთებული, წოწოლა ფაფაზი გვირგვინივით ზედ ადგა მის განზე გამდგარ, ყვითელ ყურებს.

შავი უღვაშები ჰქონდა (ვგონებ, შეღებილი) და მგლისფერი წვერები. ჩობანური ხანჯალი განზე ეკიდა, ისეთი გრძელი, რომ კვირისთავამდე უწევდა იგი.

ტაძრის ეზოში დიდი ტრიამული იყო. ხელურმებით დაქონდათ მიწა. ოდესღაც სასაფლაოყოფილი ეზო თითქმის მოესუფთავებინათ, აღებული ლოდები ეზოში დაეყორებინათ.

ბუნებრივია, ბოლნისი, მეხუთე საუკუნის ძველი, ჩაწეული იქნებოდა მიწაში, გარდა ამისა, ირგვლივ შემოწოლილი ჰქონია ტაძრის კორპუსის საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მტვერი და მიწა.

ახლა ეს ყოველივე შემოეცალათ კედლები ჯერაც სველი იყო რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე.

კვლავ დაეხურათ, შეეკეთებინათ ხანძრებისაგან დარღვეული კედლები.

ხარაჩოებიც შემოეხსნათ უკვე.

როგორც კი შიგნით დათვალიერება მოვათავეთ, ირგვლივ შემოვუარეთ ეკლესიას მე და დავითმა.

ვეების წარწერა რამ გვებოვნა ახალი.

აღმოსავლეთის ფასადზე, მიწაში ჩამავალ პატარა კიბესთან შესდგა დავითი და მუშაობის ხელმძღვანელს ეკითხება:

„სამარხი კამერა ხომ არ ვაგისხნიათ სუმბატჯან?“ დამშვიდდა, როცა ვაიგო, არაო.

დავითი ხარაჩოების ხე-ტყის აღრიცხვას შეუდგა, მე იქითკენ ვავემართე, სადაც საფლავის ლოდები დაეყორებინათ.

მუდამ მართობდა ამგვარი ლოდების წარწერათა კითხვა, მიაშიტი გულ-ახდილობა უბრალო ხალხისა.

ეს იყო უგემურად გამოჩორგვილი ქვები, ზოგი მწვანე, ზოგი რუხი, ზოგი ჯაჭვისფერი.

აზნაურების, ოფიცრების, ეპკრების, ეპისკოპოსების, ხუცების საფლავებიდან აღებულნი.

თითქმის ყველა მათგანი გასული საუკუნისა იყო, ზოგიც ჩვენისა.

ყველაზე მეტად ბავშვების სამარხთა ლოდები მალონებს ხოლმე.

ერთ მათგანზე ვიჯექი და ვკითხულობდი გაღეჟსილ წარწერას.

დავითი წამომადგა თავს.

ფაშა თან ახლდა მას და ერთიც თუშურ ქუდიანი კაცი.

„ეგაა ჩვენი შელეგია“, შეუბნება დავითი.

გრძელკისერა, მელორტმა კაცმა სალაში მომცა.

ფაშამ რა შენიშნა, წარწერები მაინტერესებდა, გვერდით ამომიღდა და შეუბნება:

ერთი ძველი, არაბული ქითაბი *) მაქვსო სახლში.

„შენ ყველაფერი ისი თურმე, წაიკითხე, ვაგებარდება ბატონო“.

*) ქითაბი — წიგნი, ხელნაწერი.

„ეჰ, ჩემო ფაშა, სამწუხაროდ, ყველაფერი როდი ვიცი, მით უმეტეს არა-ბული...“



მიუხედავად

„მულაჰმ ისის, ბატონო“

ამბობს ფაშა და განზე იხედება.

„მოლა სადღაა ფაშა?“

ვეკითხები.

მოლა გაჯის მომზელად გვეყავსო, ბატონო.

სთქვა ფაშამ და მიმითითა გრძელწვერა მოხუცზე, რომელიც ჩვენგან და-შორებული უზარმაზარ ტლაპოში იდგა დაკარწახებული და გაჯს ზელავდა.

„რად გიკვირს, მეუბნება დავითი, ჩვენი ფაშა მოლაზე ნაკლები ხომ არ გგონია. ხანების ნაშიერია ფაშა“.

მე დამაინტერესა ფაშას მიერ შემოთავაზებულმა ქითაბმა, მაგრამ ამ ქვე-ბის შემყურეს, ის ლოდი გაახსენა დავითს, რომელიც სამწვერისელ ქვრივი-სათვის უჩუქნია თურმე შელეგიას.

ამიტომაც დაფინებით მოითხოვა:

ახლავე აქ მოიტანეთო ის ლოდი.

ფაშას გაეცინა.

სამ უღელ კამეჩს ძლივს წაუღიაო იგი და ასე მალე როგორ მოვიტა-ნოთო. იოლდაშ?

გადაწყდა ჩვენ თავათ წავსულიყავით ლოდის სანახავად სამწვერისს.

როცა ბოლნისის თემსაბჭოს ჩავუარეთ, დავითს მოაგონდა:

საქმე მაქვსო თემსაბჭოს თავმჯდომარესთან.

დარბაზი ცარიელი დაგვიხვდა.

კოჭლმა დარაჯმა გვანუგემა: მალე მოვლენო.

ეუსხედით წითელსათარიან გრძელ მაგიდას დავითი, ავთანდილი, სუმ-შატო, შელეგია და მე. ოთახში ერთად ერთი სურათი ეკიდა ბელადისა.

ფაშა კარებთან ატუზულიყო.

აქ კვლავ დაიწყო დავითმა შეგონება შელეგიასი.

„ყოველ წვრილმანსაც ყურადღებით უნდა მოვექცეთ, ამხანაგო შელე-გია. რადგან წვრილმანებისაგან შესდგება დიადი.“

ამას გვასწავლის ამხანაგი სტალინი.

ხომ ზედავ, რამდენი მილიონი მანეთი დაიხარჯა ჩვენი ძეგლების აღ-სადგენად?

ყოველი ქვა,

ყოველი ლურსმანი,

ყოველი პეშვი გაჯისა უნდა გამოვიზოგოთ. შარშან უამრავ გაჯს აბნეე-და მოლა, სუმშატმა საყვედური გამოუტყადა, ახლა სუფთად მუშაობს თურმე. შენ უზარმაზარი ლოდი გაგისაჩუქრებია...“

ამის გამგონე, აიღეწა შელეგია. შევტყვეთ, მოლაყოფილთან შედარება არ იამა, მაგრამ წყენა შესჭამა, გაწითლდა და დადუმდა...“

მე აროდეს მინახავს, ეგზომ ქარმაგ კაცს ასე გაწითლება რომ სჩვეოდეს.

„შენ მოწინავე ხარ, ამხანაგო შელეგია, დაუყვავა დავითმა, რა შენიშნა გულწაწყენობა მისი და განა არ იცი, რომ საბელმწიფოს ქონებას ისე უნდა ვავუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინს საკუთარს“.

ესა სთქვა დავითმა და მისი მზერა სტალინის სურათს მოხვდა.

ყოველივე წამის საქმეა.

ეს იყო ჩვეულებრივი ფოტოგრაფიული სურათი, როგორსაც ვხედავთ ხოლმე ჩვენს დაწესებულებებსა და ოჯახებში, უბრალო ფრენჩიზა და ჩექმებით, მთელის ანაგობისა, სავსებით სადა, გაშლილი შუბლითა და უცნაურად მომწუსხველი თვალების სხივითა.

ამ წუთში ასე მეგონა: თავზე წამოგვდგომიან ქვედამსხდართ, თითქოს მართლაც შემოსულეიყოს იგი ამ მიყრუებული სოფლის, მეხუთე საუკუნის სოფლის თემსაბჭოში და უთვალთვალებდეს ჩვენთაგანს ყოველს: აბა, ვინ როგორ ასრულებსო თავ-თავიანთ მოვალეობას, დავითი კულტურის ძეგლთა დაცვის უფროსი, ინჟინერი ავთანდილი, მშენებლობის ხელმძღვანელი სუმბატა, ხანჯლიანი ფაშა და მე, ყველაზე უკანასკნელი, მეთვალყურე მათი.

შეღეგიათ თავი ასწია და წაილულლულა:

„ეს იყო, ამხანაგო დავით, ებისკოპოსის სამარხის ქვა, სუმბატას წანაკითხი ჰქონია წარწერა, ბოლშევიკებს არც ცოცხალი გიყვართ ებისკოპოსი და მიტომაც არ გამოვუდექი“.

სუმბატმა დაამოწმა:

ებისკოპოსი ყოფილა 1843 წელს გარდაცვლილი.

„კაცო, შენ ვერ გაიგე, ჩვენ ებისკოპოსს კი არ მივსტირით, არამედ ქვას, ბოლშევიკებს არც ეკლესიები გვახატია გულზე, მაგრამ ამდენ ფულს ეხარჯავეთ მათ აღსადგენად, რადგან ეს კულტურის ძეგლებია“.

„გარდა ამისა, იმართლა შეღეგიათ თავი, ეს ლოდი ბოლნისის ეზოს გარეთ ეგდო და მე რა უფლება მქონდა არ მიმეცა, მით უმეტეს კოლმეურნის ქვრივს მიწისძვრამ დაუქცია სახლი“.

ამასობაში თემსაბჭოს თავმჯდომარეც შემოვიდა და მინაც დაადასტურა ეს ამბავი.

დავითი ამ საბუთმა ოდნავ შოალობო, მაგრამ თემსაბჭოს თავმჯდომარესთან რა მოათავა საქმე, სამწვერისს წაგვიყვანა.

III

ხუთი ვაგაკი დავეკიდეთ, მაგრამ ადგილიდან ვერ დავძარილ ლოდი.

დავითმა აიჩიმა: უნდა გადავაბრუნოთ, ვინძლო მეორე მხარეზე იყოსო წარწერა რაიმე.

იმორწმუნდა გამოცდილებას ხანგრძლივს: ხანდახან ეგეც ხდება, გადააბრუნებენ ლოდს, მოიხმარენ ახალ დროში ძველად გამოყენებულ ქვას და ილუპება ამგვარად ძეგლი.

მოვიშველიეთ ორი თათარი, ქვრივის მეზობლები, ვიხმარეთ ბერკეტები. შეიღმა კაცმა ძლივს გადავაბრუნეთ ლოდი.

სავსებით მოულოდნელი წარწერა ამოვიკითხეთ მეორე მხარეზე:

„ამა: პც, ქორონიკონს: იყო ინდიქტიონი მერვე, შზის მოქცევად მეოცე, მთვარისა მეთერთმეტე.“

ღვთისაგან წყელსმან ლანგ-თემურ სამარყანელმან ქართლი და სომხითი წარტყვევნა და დაწენა ყოველნი ციხენი და ეკლესიანი“.

ამ ადგილას ვაზნარულიყო ქვა და ასოების ორი მწკრივი აკლდა წარწერას.

...როს მეფეთ მეფემან ბაგრატ და ვაჟმან მისმან გიორგი ბერძენელს პირად მოსწყვიტეს ათ თორმეტ ათასი სპანი თემურისა, ლანგ-თემურს ყარაბაზს აოხრებდა. ვანრისხებულმან გადმოლახა ლორე.

მაშინ ხუთასი ბოლნისელი შეება თემურის ლაშქარს ფოცღდატისს ქუჩებში. მოსრნეს მრავალნი, იძლიეს კართველნი სიმრავლისა გამო მტრისა და შემოებეწნეს ბოლნისს. ეწყენენ გაღავანს სპანი თემურისანი.

კვირიაკე სამი ბრძოდეს ბოლნისელნი. შეღეწნეს თათართა ბჭენი. თავები დასჭრეს ხუთას თავდადებულს და დაპყარნეს საკუთბევლის წინაშე.

მე ყოვლად უღირსმან, ჭრისტეს მიერ გლახაკმან ლაჩიამ, ბოლნისის მნათემ მოვიშველუ ჩემებრ დავრდომილნი და მოვაგროვეთ ხუთასივე“...

შემდგომ ამისა რამდენიმე სიტყვა წაშლილიყო. ბოლოში მიეწერათ:

„უბა ვამე დღისა მისთვის რომელი მოიწია ჩვენდა“.

კამეჩები მოვაყვანიეთ: ბოლნისს უნდა ჩავეტანა ლოდი, მაგრამ იგი თიხაფიქალისა აღმოჩნდა, ისედაც მრავალგზის დაზზარული ურემზე დადებისას დაგვიცურდა (ფაშამ მარჯვენა ხელი მოატანა), მრავალი საუკუნის ქარწვიმისაგან გამოქარული დაიფშენა.

დავით გამგუნებული სღუმდა.

კიდეც კარგი, მე მოვასწარი ამ წარწერის ზუსტად გადმოლება, ეს გვანუგეშებდა მხოლოდ.

ახლა ამ წარწერას ვანდობ სტამბას — გუტენბერგის გენიის პირშმოს, რომელიც უფრო გარდაუვალთა, ვიდრე ყოველგვარი ლოდი, მეტად შეუშუსერელი, ვიდრე რვალი, უმტკიცესი ლითონთაგანი.

IV

ბოლნისს მობრუნებისას ასზე მეტი ლოდი გადავებრუნეთ მე და სუმბატამ, მაგრამ ამიოდ, სხვა არაფერი აღმოჩნდა.

ჯერაც ამსაქმით ვიყავი გართული, როცა მომღიმარე, მარჯვენაშეხვეული ფაშა თავზე წამოგვადგა.

გრძელწვერა მოხუცი თან ახლდა.

გამაცნო: ეგ არისო მოლაყოფილი ჩენი.

მოლა ისე ამოთხვრილი იყო გაჭში, ძლივს შევეცავე ღიმი, მაგრამ იმ მოკრძალებამ, რომელსაც მოხუცებული ადამიანი მგერის ხოლმე, შემეკავებინა თავი.

ფაშამ გაზეთში შეხვეული ქითაბი გამოიღო, ახლოს მომიტანა და მეუბნება: აქ წერიაო გვარის ამბავი, ბატონო.

მოლამ გამოართვა. სჩანდა წინასწარ ჰქონოდა დაეალებული. ჩამოჯდა ქვაზე, ტატით დაიწყო მშვენიერი არაბული დაწერილობის კითხვა:

„ძარბიჯ მერ კოკტაგოსკან ლადალადუ მონგოლ ხოტოგან, ამაგუნ ვანგუნ-გოდუნ იელდეკელ შასტირ“.

თანაც თავისი ჩიქორთულა ენით გადმოშითარგმნა დაახლოებით შემდეგი: „ნუსხა სხვათა და სხვათა ხარისხის მთაერებისა ვანგისა და გუნგისა და ყოველთა ტომთა მათთა, მონღოლთა და თურქმენტთა, მოკლე ისტორია მათი“.

აქ იყო მოთხრობილი ისტორია მონღოლურ ყარაყონღულს *) გვარისა, რომელიც თავის წინაპრად ასახელებდა ტიანსუ ხაგანს (ჩენგის ხან). მეშვი-

*) მონღოლ-თურქმენტთა ტომები განირჩეოდნენ „აკ-კონღულ“ თეთრბატკნიანებად და „ყარაყონღულ“ შავბატკნიანებად.

დე მუხლი ამ გვარისა „პირველ საგაზაფხულო მთვარის მოქცევისას“ თავისი ძმებით, ცოლებითა და ფარებით საქართველოში წამოქცეულნი აღმურ-
ლენკს.

გ. ი. ს. ს. ს. ს. ს.

სამნი ძმანი ყოფილან სამი სადროშის მეთაურნი ნოინნი:

ოობა, ჩიჩიკ და ხოიპა.

როცა თემურმა პირველად აიღო ტფილისი, ოობას შეუღლეწია პირველი ვადოლი თაბორის ციხისა.

„გველზე უშავეს გველის წელს“, ე. ი. 1593 წელს, როცა „გიორგი მეფემან განილაშქრა აღინჯას ყოველი სპითა ქართველთა, დახოცა ლაშქარნი მტრისანი და გამოიყვანა ძე სულტანისა“, სამცხის ათაბაგს იოანეს მოუკლავს ნოინი ჩიჩიკ, სარანგი თემურის ლაშქრისა.

ხოლო როცა ტფილისი კვლავ აიღო გიორგი მეფემ, ოობა, მექისედ გადაცმული გაპარულა თაბორის ციხის აბანოდან.

„ყვითელი მაიმუნის თვეში“, როცა რამდენიმე ათასი ქართველი დედა-წუღითა ამოახოცინა თემურმა, ხოიპა საგვორავეებით მოუკლავთ მთაში გაზიზნულ გლეხებს.

ოობას ნაშიერებს დიდხანს უთარეშნიათ შირვანსა, სომხეთსა და საქართველოში.

ზოგი ნოინი ყოფილა, ზოგიც ათასეულის მედროშე. ერთი შტო შირვანში გამხდარა ხანი მეჩვიდმეტე საუკუნეში, ლინდან ხანის შთამომავალნი შირვანიდან ბორჩალოს ვადმოსულან.

ერეკლე მეორის დროს ეს გვარი მეთაურობდა თურმე ლეკების ბანდებს, რომელნიც ქართლ-კახეთში მოტაცებულ ქალებსა და ყრმებს ახალციხის ფაშას მიჰყიდიდნენ ხოლმე.

ოობა-ლინდან-ხანის ერთადერთი შტოს უხუცესი, ჩვენი ფაშას დიდი პაპა სულეიმან ხან რუსის პოლკოვნიკი გამხდარა, ბარონ უსლარს დამეგობრებია და ამ სულეიმანის ოჯახში უპოვნია ფაშას ეს ქითაბი (აღბათ, უსლარის მიერ შედგენილი).

იღვა ჩემს წინაშე დამღვრძვალი ბერიკაცო. მიჩვენებდა თავის მიღეულ ყვითელ კბილებს, დასციინსო თითქოს თავის თავს, რომ მეცხვარეობიდან აღზევებული გვარის დიდება ისევ მეცხვარეობას დაუბრუნდა მის თაობაში.

V

მეტად აგვაფორიაქა მნათე ლაჩიას წყალობით მოღწეულმა ცნობამ, ხელახლა მოვჩხრიკეთ მთელი ეზო, რადგან წარწერა არ გვაძენობდა, თუ სად დამარხა მან ამ ხუთასი მეომრის თავი.

შოგ ეკლესიაშიც ბევრი ეძებნათ.

გადაწყდა: იმ დღესვე გაგვეხსნა სამარხი კამერა.

კამერა ტექნიკური ტერმინია, თორემ ეს ვახლავთ საკმაოდ ვრცელი სარდაფი, ბოლნისის ტაძრის ქვეშ მოთავსებული.

წერაქვევებით აღჭურვილი შელეგია, სუშბატი და ფაშა წინ წაგვიძღვნენ და მივადექით სამარხი კამერის კარს.

ფაშას ნაძვის კვარები მოეტანა საიდგანლაც, ფაკელები ავანთეთ და შევედით სარდაფში.

აშშორებული სუნი შემოგვეგება ერთბაშად და ისეთი ერთობლივი სიგელი შემოგვესმა, უნებურად შეეკრთით.



ზეავიხედე.
ფაკელების უსუსურ შუქზე ასე მომელანდა: შავ ნაბდებს არიალებენო
სარდაფის პერ ქვეშ.

მერმე მოგვესმა ერთობლივი

ფრთხილი,

შეშენი,

წრიპინი, რომელიც ვირთხებისას წააგავდა, ჩვენ ფერხით სეტყვასავით
დაცვივდა უამრავი შავი ფრინველები.

ზეავსწიეთ ჩირალნები და დაიძრა მთელი ლეგიონი ღამურებისა, საშინელის ქოთქოთით, წივილით, წრიპინით დარიალებდნენ ქერს ქვეშ, კვარის
შუქისაგან დაფეთებულნი, აწყდებოდნენ კარებს, ველარ ახერხებდნენ ერთად
გამოსვლას ტყაპანით ეცემოდნენ ზღურბლთან, წივოდნენ და ფართბალებ-
დნენ მტვერში.

ფაშა კუთხე კუთხე დაბორილობდა, აბრიალებდა კვარს და აფრთხობდა
მლამიობებს.

ახალი და ახალი დასები მიედინებოდნენ გამოსავლისაკენ, ცვივოდნენ კა-
რის ალაგთან უმწეო ფრთხილით.

შეძრწუნებულნი ეყრებოდნენ ბნელს, აურაცხელნი, როგორც თემურ
ლენგის ლაშქარი.

მლამიობების ფრთხოვა რა მოათავა, დაფათურობდა ფაშა, გამოჰქონდა
დაქანგული საცეცხლურები, გარუჯული ხატები, ჩრჩილისგან დაქმული ოლა-
რები და ომფორები, ადამიანის ბარძაყის ძვლები და ხის ჯვრები.

ჩვენც ბევრი ვიარეთ ფაკელებით აღტურვილითა, მაგრამ მუხლამდის დაზ-
ვინულ მტვერში აღარსად სჩანდა საფლავის ნასახიცი.

იატაკი ფიქალისა იყო, ერთ ადგილას მოვაწმენდინეთ კიდევაც, საეჭვოდ
ვეჭკვენა. სამარხი კამერის იატაკს ქვეშ დაეფლოთ ბოლნისელები.

დავითმა ასეთი ვარაუდი წარმოადგინა:

ისინი ალბათ ტაძარში იქნებიანო ვადამალული.

შესაძლოა, არც დამარხვით, ისე შემოენახვით სადმე, როგორც წმინდა
ნაწილები.

ეკლესიის პერანგზე ვნახეთ ერთი ადგილი, სწორედ სამწვერიოსში და-
ღუბული ლოდის ზომისა 3 X 2, ალბათ იგი ოდესღაც კედელში იყო დატა-
ნებული, ხოლო თუ ეკლესიაში დამარხეს, ბოლნისელების საფლავებს უთუოდ
ექნებოდა წარწერა, ისე გულმოკლულად მოსთქვამსო მნათე ლაჩია.

ველარც ტაძარში წავაწყდით ნიშანწყალს რაიმეს.

დამწუხრებულმა დავითმა განკარგულება ვასცა, რიგიანად გამოევავით
სამარხი კამერა. შეღვევის და სუმბატს, დაავალა ეს, ხოლო მე და აეთანდი-
ლი თან წარგვიტანა წულრულაშენს, მანდ უნდა ვაგვეთია ღამე, ხოლო დილა
ადრიან ტფილისს წავსულიყავით.

VI

მეორე დილას ბოლნისის ტაძართან მოსულთ ვადარაზული დაგვიხვდა
ალაყაფის კარები.

უქში დღე იყო და კარგად ვიცოდით, მუშაობა რომ არ წარმოებდა, მაგ-
რამ დავითმა მაინც ჰკითხა მანდვე მოჩალიჩე დარაჯს.

„ხომ არავინაა ეზოში, ფაშა?“



იგი აიძვრა რატომღაც:

ჭურჭი შევიდა წუხელ ნაშუალამევს და აღარც გამოსულაო მას შემდეგ. გამოირკვა: თურმე შელეგიას უხმობდა ამგვარად ფაშა. არც ეს დაუმალავს ფაშას: სუმბატ სუჩიანი და სამი კოლმეწამლედი-ლი შეუყვანია შელეგიას ეკლესიის ეზოში. დარაჯისათვის უბრძანებია, ნურც შენ შემოხვალ, არც სხვა შემოუშვაო ტაძარში.

დავითმა შერისხა ფაშა:

მე ხომ დავითხოვე უცნობი არ შეუშვა მეთქი ეკლესიაში?

ფაშას არ იამა ეს შენიშვნა, მაგრამ დადუმდა, სალოკი თითი შეიყო ნესტოში და ცხვირის ჩიჩქნა დაიწყო.

„გაგვიღე“ — ეუბნება დავითი.

ფაშამ სატყვეარი გაიძრო, ზეაჰკრა რაზას და ტაძრის ეზოში შეგვიძღვა.

„ეს შელეგია ნამეტნავად თაენებობს ამ ბოლოხანს, დღესაც უნდა დავითხოვო“.

მეუბნება ხმადაბლა დავითი.

მე ეს გავიფიქრე: ალბათ ძმაკაცები შეიყვანეს შელეგიამ და სუმბატმა და ქეიფობენ მეთქი ტაძარში ალბათ.

ავთანდილი გაოცებული იყო.

იგი ამტკიცებდა, არც სუმბატი და არც შელეგია ღვინოს არ სვამენ; სხვა რა საქმე აქეთო ამდენ ხანს მანდ.

ფაშა წამომეწვია, მიჩურჩულა: ეგებ შელეგია და სუმბატა ჰყიდიანო იდუმალ ლოდებს. თანაც მთხოვა დავითისათვის ჯერ არ მეთქვა ეს.

მეც დავეპედი, რადგან არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი კარგად.

ფეხისხმა მოგვესმა.

მოვიხედეთ:

მოლა მოჩაქჩაჭებდა ჩვენს უკან.

„შენც აქ ხარ, ჰასან?“

შეეხმინა დავითი.

ქამარი დარჩენოდა ეკლესიაში მოლას და იმის წასაღებად მოსულიყო.

კვლავ შემოვიარეთ ტაძარი, სამარხ კამერაში შევედით.

სრული სიჩუმე სუფევდა ირგვლივ.

უკანასკნელი ლამურები ფერხულს უვლიდნენ გასუფთავებულ სარდაფში. ფილაქნიანი იატაკი ნალოკივით მოეწმინდათ შელეგიას და სუმბატს.

როცა კვლავ ეზოში გავედით, ეს მითხრა დავითმა:

„მაგ ხუთასი ბოლნისელის საფლავის ვერ პოვნა ხინჯად მრჩება ვულში“.

„ალბათ ოდესმე გასთხრიან ბოლნისის ტაძრის ნიადაგს ჩვენი არქეოლოგები და შესაძლოა აღმოჩნდეს სადმე.“

გარდა ამისა, შენი ვარაუდი სარწმუნოა წელანდელი, ასეთ გმირებს წმინდანებად შერაცხდნენ იმ დროში, ალბათ, და შესაძლოა არც დაემარხათ ისინი“.

მივუგე:

მზიანი დილა იყო.

ფურცლოვანის სიყვითლე თუ მოჰგვრიდა კაცს მსუბუქ კმუნვას, თორემ ვარდობისთვე გეგონებოდათ.

გვამშვიდებდა ეს უცნაური მკუდროება, მეხუთე საუკუნის ძეგლის გარშემო დავანებული.

დავითს ეშურებოდა ტფილისს ჩასვლა, თორემ მე დიდის სიამოვნებით დაერჩებოდი მთელ დღეს ჩვენი შესანიშნავი ძეგლების ამ დიდუკეთესს, სიხალღოეს სადმე, ბოლნისური ღვინისა და პურის ამარა.

სიხალღოესა
სიხალღოესა

„სად დაიკარგნენ შელეგია და სუმბატი?“

ამბობს დავითი და თვალებს აცეცებს.

ეკლესიის ეზოში ჩქამიც არ ისმოდა.

ვაოცებული იყო ფაშაც.

როცა ლოდების ყორეს გავსცილდით, ხმადაბალი საუბარი შემოგვესმა.

აღმოსავლეთის გალავნის კედესთან ხუთიოდე კაცი იჯდა მიწაზე ფეხმორთხმული.

ერთადერთი გრძელყელიანი ხელადა წინ ედგათ, ხელში ჭიქები ეკავათ და საუბრობდნენ არც თუ ისე მხიარულად, როგორც ეს ჩვევიათ ბოლმე ღვინის სმის დროს შეინახებებს.

შელეგიას გაქალაქებული თავი შევიცანით ყველაზე ადრე.

„აჰა, საქეიფო ბილად გადაუქცევია შელეგიას ჩვენი ნაჭირახულევი ეზო“.

ჩაილაპარაკა ავთანდილმა.

მართლაც უცნაური სანახაობა წარმოგვიდგა: გაეთხარათ უზარმაზარი სამარე გრძლივ. ცალკიდეზე უამრავი თავისქალა გაეშწკრივებით, ხოლო სამარის მეორე მხარეს ისხდნენ ისინი, ვისაც ჩვენ ვეძებდით.

მიეუახლოვდით თუ არა, შელეგია წამოდგა, იგიც, როგორც ყველა დანარჩენი, ოფლიანი იყო და თვალები ამოლამებოდა უძინარს.

„თქვენ გიცდიდით, თვარა დილა ადრიან უნდა დაგვეკრძალა...“

ეს სიტყვა შელეგიამ და თვალთ მიგვითითა სამარის ვადალმა გამშწკრივებულ თავისქალეზე.

მე მყისვე მივხვდი, რომ ეს იყო იმ ხუთასი ბოლნისელის თავები, რომელთაც მისტიროდა მნათე ლაჩია.

ნუ იტყვით, თურმე სამარხი კამერის მტვერში გამოუჩხრეკიათ შელეგიას და სუმბატს ისინი, სამი კოლმეურნე მოშველებით, მთელი ღამე უზინდავთ ნავავი უთენია დაუწყეით სამარის თხრა.

მე მინახავს რომის, ფლორენციის, რავენას მონასტრების სამარხ კამერებში დაზვინული თავები და ჩონჩხები წმინდანებისა და ბერებისა, ათი ათასობით ერთბაშად.

მათ კოხტად, შემსასავით აწყობენ ხოლმე დახელოვნებული ბერები, რათა მანდ ჩამოხეტებულ უცხოელს თითო ლირა დასტყუონ, მაგრამ ასეთი შემზარავი შთაბეჭდილება არაოდეს მიმიღია.

შელეგიამ მიგვიპატიეთა ამ უცნაურ ტირილში, ბოლნისური თეთრით ვავივსო ჭიქები.

თავთ დაისხა, პურის ნატეხი ჩააწო და სიტყვა:

„თქვენც ჰხედავთ რა მოხდა, მე ლაპარაკი არ ვიცი, გვითხარით რამე კარგი, რადგან ჭერ არავის დაუღევია ამ ხუთასი ვაჟაკის შესანდობარი“.

სდუმდნენ ყველანი და დავითმა მაიძულა დამერღვია სიჩუმე.

არც მე ვარ მაინც და მაინც დიდი ორატორი და რამდენიმე სიტყვას ძლივს მოვეუყარე თავი:

„ხედავთ, რა წარმავალია, ძმებო, ყოველივე დიდება ამ ქვეყნად არც ტკობაა გარდაუვალი, არც სახელი და არც მიჯნურობა, რადგან მხოლოდ იქვე ჰქრება სადაც მათი განმცდელი მოათავებს სარჩელს. მხოლოდ გმირობაა წარუხოცელი!

რადგან ნამდვილი გმირობა უსახელოა მეტწილად, და იგი განაგრძობს ზედგავლენას მაშინაც, როცა გმირობის ჩამდენელს ვერ მიუვა ამბავი ამისა.

მაშ, დავლით, ძმებო, შესანდობარი მათი, ვისაც ჯერაც არ ღირსებია სიმბურვალე ჩვენი ნიადაგისა, ვინც ხუთი საუკუნის შემდეგაც ვესწავლიან თავდადებას ჩვენი მიწისთვის.

ესა ვთქვი, პურის ნამუსრევი ჩაეაწე ღვინოში, მოვხვი მცირელი და შევხედე უსახელო გმირების თავებს.

კონსტანტინე ლოკთქიფანიძე

ერთხელ კოჭლის წინაო

ბუხარში ნედლი შეშა ბუტბუტებს. კილოფზე ჩამუხლებულ დიასახლისს თვალი ეცრემლება: გაშმაგებული უბერავს დუემორიულ კოპიტს. ცერზე შემდგარი ალი ნაპობს მოლოკავს და გაჰქრება. ბუხარში ჩამოვარდნილი ქარი კვამლით გვიფავს ბინდიან პალატს.

ფარღალალა კედლებში დათოვილი მინდვრების ცივი სუნთქვა მოიპარება. ყინავს. მდინარის-პირად ქარი ატკაცუნებს ტირიფის შეკვირბულ კენწეროებს, აქრიალებს ბორანს... უცებ პალატის კარი შემოგლიჯა, წამოვარდნილ ქალიშვილს სულმოუთქმელად დაუკოცნა ლოყა, კისერი, კარის მისაგდებად გაშვერილი ხელი.

მექის თვალი სარკმელს ეყინება. ბორნის დანახვაზე გული საგულენო აღარ ეტყევა, ვარედ გამოვარდნას აპირებს, — არ უნდა გახდეს მექის ამაღმდეგი დანაშაულის თანახიარი.

შორეული ბავშვობა მოაგონდა ჰაბუქს, შორეული და უთავბოლო, როგორც გამოუტანელი სიზმარი. რამდენჯერ უნატრია, — ბონდზე მიმავალ თალიკოს ჩელტი ჩამტვრეოდა და თავად იქვე ყოფილიყო სადმე. ნატრობდა, საგანელიძის სახლკარს ცეცხლი გასჩენოდა შუალამით და თავათ იქვე ყოფილიყო სადმე. ნატრობდა, სოკოს მოსაკრებად წასულ თალიკოს მგელი შეფეთებოდა ლეხემურას ტყეში და თავათ იქვე ყოფილიყო სადმე. რა თავგანწირვით ეკვეთებოდა მექი გახელებულ წყალს, ცეცხლს, ნადირს უკარებელი ქალის გულის მოსაგებად! დაჰაბუქდა, ოცი წელი შეუსრულდა და ეს ბავშვური ნატვრა მაინც შერჩა დღემდე, თითქოს ხალივით დაჰყოლოდეს დედის მუცლიდან.

ამიტომ, გაიგო თუ-არა, თალიკო მისგან შველას ითხოვდა, განუსჯელად დაემორჩილა გულისხმას, — უყუყმანოდ შევიდა ბარნაბა საგანელიძის ოჯახში, რომლის გადასახლებას გუშინლამ ასევე უყუყმანოდ მხარი დაუჭირა.

ეზოში ვენახიდან შეიპარა. ბეწვი აეშალა, ალაგესთან ნაბად-მოხურული ბარნაბა რომ მიეგება და მისი საქულველი, ხლიჩინა ბანი გაიგონა, „შობრძანდითო“. ერთი სიტყვა კიდევ და-მექი უკანვე გაბრუნდებოდა, მაგრამ გულში ჩახედული მასპინძელი თავათ განერიდა აღრენილ ჰაბუქს. მიხვდა, მისი გამოჩენა ზედმეტი იყო. მექი ელისაბედის მსუქან მკლავებში მოექცა. დედა-ყავი ეხვეოდა მხარზე კოცნიდა, რაღაცას ლულლულებდა... ვაოგნებულ ჰაბუქს არაფერი გაეგებოდა.

— ცუდათ არის? ძალიან, ძალიან? — უგულისხმოდ, ხეპრულად ჩასცივებოდა ამ სიტყვას, თითქოს იგი იყო მისი უანგარიშო ნაბიჯის გამართლება.

სატურიას ქალაზე მდევარივით დაჰქროდა მოყინული ზენა-ქარი. ძველი ცაცხვები გაუსაპნავ ღერძებივით ჰრიალებდნენ.

სანამ ურემს შეაბამდენ, მექი პალატში შეიყვანეს. ელისაბედი სულგუნნი და არაყი შემოიტანა.

— ყინავს, ცოტა შეხურდი. სიკვდილამდე შენი ხალხი ვერაფერს და-
მიდგა თვალი, რაფერ ერთ-წუთში წამექცა შხვერთივით გოგო? ფერმალმა—
ბრმა წელის შეტევა უნდა იყოსო, ახლავე ქუთაისში აფრინეთო, რაზევი-
თან! — მოსთქვამდა ელისაბედი და ლადრის კოკორს წყალს ავლებდა.

მექი არაყს დაეძალა. ორი ჭიქა მოერიო. მთვრალმა, გულანუყებულმა
იდვილით მოახერხა სინიდიისის დამშვიდება: შეუფერებელი საქციელი უბრა-
ლო კაცთმოყვარეობას მიაწერა. დაიჯერა, რომ სიბრალული ამოქმედებდა და
არა სიყვარული. ამ გულუბრყვილო რწმენას ხელი იმიტომ ჩასჭიდა, რომ
შეწყნარება, ბრალის შემცირება უნდოდა.

უხოში რომ გავიდა, ურემი შებმული დახვდა. ბნელში ქალები ფუსფუ-
სებდნენ. ელისაბედი ორად გაკეცილ ქეჩას ურემზე აფენდა.

— თბილი საცვლები არ დაგავიწყდეს!

— არა.

— ლაზლი?

— ყველაფერი ჩავაწყვე.

ქეთინო ძლივს მოათრევდა გატენილ ხურჯინს. მექი მიეშველა. „ჩაეიტან-
ნუ სწუხდები!“ აქპარებით მიიგება ქალმა, ხურჯინს ჩამოეფარა.

ქარი ჩადგა. ისმოდა, როგორ იყინებოდა წყლისპირი.

ნაბადში გახვეული თალიკო მხარშედგომით გამოიყვანეს. მოყინულ კი-
ბეზე ფეხი სცურავდა.

— შოიკათ!—დაიძახა მექიმ.

პალატიდან ნაცარი გამოიტანა, კიბეზე მოფანტა.

ავადმყოფი სდუმდა. მხოლოდ ერთხელ, ურემზე რომ აწვედნენ, წელი
კვნესა აღმოხდა. მექი შეერთა, თავი ძლივს მოუტრა გულში აღდუღებულ სიმ-
წარეს. გახურებულ შებლზე თოვლი მოისვა.

ხარებს ტაბიკები გაუსინჯა, ქალებზე შემოწყობილი ჩალა შეასწორა.
მერე შარავზას თვალი მოაელო და ურემი დასძრა.

ღერძმა გაბმით ამოიკვნესა.

— შეაწუხებს!—წაიჩურჩულა ელისაბედი და ღერძი გულმოდგინეთ
გასაპნა.

ღარჩა თუ-არა ურემთან მარტო, ქაბუკი მიხვდა, წელან პალატში ამოდ
ცდილობდა სიბრალულს ამოჰფარებოდა.

უმწეროდ მიგდებულ თალიკოს რომ ხედავდა, უხედნი ვაყვაცო თანდათან
ნაზი და დამყოლი ხდებოდა. შეუძლებელს შეძლებდა ახლა! ურმიანად ასწევდა
ავადმყოფს და ქალაქს კი-არა, მთელს ქვეყანას შემოატარებდა.

გრძნობდა ასეთი განუსჯელი სულმოკლეობა სასიკეთოს არას უქაღდა:

„მოხდეს, რაც მოსახდენია!“—გაიფიქრა და შეუბოერად გაუძღვა ურემს.

ბორანზე გასვლა ვერ გაბედა რომ ნაცნობს არავის გადაჰყროდა. მდინა-
რის მყუდრო ნაპირს გაჰყვა. ქალის ბოლოში დაუყრუებელი ფონი მონახა და
ხარებს ფეხდაფეხ ჩაუძღვა წყალში.

გატყდა მოყინული წყლისპირი. ნაჭრილობარი ფეხი კუნძივით გაუხდა.
ყბებიც ისე აუტყახცახდა, თითქოს აგერ-აგერ უსაშველოდ დაიმსხვრეოდნენ.
ურემზე მანინც არ ჩამოჯდა, ურმის კამპო ხელში ეჭირა, რომ ქორობებში
გავლისას ავადმყოფი არ დანჯღრეულიყო.

ქალაში გაუკვალავი თოვლი იდო. მეჭი რამდენიმეჯერ გადასცდა ნაურმალს.

ურმის თვალი ღარტაფში ჩაეფლო.

ხარები შეაყენა, უკან კოფოს დევური მხარბევით შეუღდა და გაქედლი ბორბალი ფრთხილად ამოაგორა. ასე ჯახირობდა ლეხემურას ტყემდე.

წიფლნარის ქოჩორზე უღიმღამო რიქრაჟი ზოზინებდა. დროდადრო ქარი ჩამოურბენდა გზისპირად ჩაყოლებულ ნაძვებს, თოვლს ჩამოჰყრიდა. შემსუბუქებული ტოტები ფაჩუნით იმართებოდნენ.

წამოფერვლა. გასავათებული ქაბუჯი ძლივს უტოლებდა ნაბიჯს ხალისიანად აჩქარებულ ხარებს.

შუატყეში რომ შევიდნენ, ცხენის თქარათქური მოესმა. „მდევარი!“—შეფოთდა მეჭი, კამპოს ხელი გაუშვა და შემტვეად აღიშართა უკანა კოფოსთან. ცხენის მძიმე ფოტქვენა თანდათან მოახლოვდა.

მეჭიმ თვალი მოატანა აფრიალებულ ჩაბალახს.

— ხაჯომია!—შეჰყვირა და მხედარიც ურემთან გაჩნდა.

— გვიან შევიტყვე!—ჩაიხლიჩინა ღვინოში დამბალმა ხაჯომიამ.

— ტყუილად გარჯილხარ! უშენოდაც მოუვლი!—ცივად მიუგო მეურემ.

ეწყინა, თავისი მეტოქე რომ დაინახა. მისი ხლიჩინა ხმა მუდამ იმას ახსენებდა ქაბუჯს, რისი ვახსენებაც არ უნდოდა... ეწყინა ისიც, რომ ხაჯომია შინაურით დაფაცურდა ავადმყოფის გარშემო: სასათუმალი გაუსწორა. ნაბადი შემოუტეცა.

— სძინავს, მოშორდი!—უთხრა მეჭიმ.

ხაჯომია ურემს გაეცალა. მეჭის გაუკვირდა, რომ დიდგულა ბიჭმა სიტყვა გაუგონა.

ფერდობზე დაეშვნენ. ქაბუჯმა მკლავი მიაშველა ხარების რქებზე გადმოქანებულ უღელს.

გაისმა ქახანი. ურემს მარჯვნივ ღერძი ბორბლიანად მოედრიცა.

— რა მოხდა!—ამოიკენესა თალიკომ. პირისახე არ უჩანდა. მხოლოდ ორთქლი ამოდიოდა ოდნავ გადაეცილ ნაბადიდან.

— საკისური მოძერა... ახლავე გამოვთლი, ნუ გეშინია!—შესძახა ქაბუჯმა და ქალაზე ჩამოცმულ ნაჯახს ხელი დასტაცა.

ტყეში ეკლისხე მოძებნა, გამოსადეგი ტოტი შეაჭრა. საკისური პაიპარად გამოთალა და ურემს მიაშურა.

ტყისპირს რომ მიუახლოვდა, ხაჯომიას ხითხითი შემოესმა. ტანმა ცუდი უგრძნო. დათოვილ ბუჩქებს ამოეფარა და ურმისაკენ გაიხედა: ხაჯომია ურემზე გართხმულ ქალიშვილს ჰკოცნიდა. თალიკო ჩუმი კისკისით ნაბადს პირზე იფარებდა, კოცნას უშლიდა.

— მოშორდი, შე გადარეულო, მერეც მოესწრები!

— ღმერთმა შემარცხვინოს, თუ მამაშენი სოლომონ ბრძენზე ნაკლები იყოს!—ქირქილებდა „ყაჩალი ბიჭი“ და ქალის ტუჩებს აკვდებოდა:—რა ხელათ მოიგონა შენი ავადმყოფობა! ხარებიც გამოვაპარეთ და ოჭრო-ვერცხლიც გადავარჩინეთ!

— გეყოფა, ხე კი არა ვარ!—ქალმა ხელისგული მიაგება საკოცნელად დახრილ ვეკაცს:—აწი ქე შეიშორე ეს ლენჩი!

— ჯერ ურემი გამართოს. გეიგონე? რაფერ ეწყინა ჩემი მოსკოლი ასე იცის, ბატონო, ნამეტანმა სიმყვარულმა! ისეთ ალავს ნუ დაჯდები, რომ მალე აგაყუნონ! სიძე თუ-არა, მყარი მაინც იქნება; გასამრჯელოთ შენც იქნება!

მეტიმ ნაბიჯი წადგა... თვალი დაუბნელდა, თითქოს ტვინში მთავარი ძარღვი გაუწყდა.

ალალ-მართალ ჭაბუკს კიდევ არ სჯეროდა, რომ ქვეყნად ამდენი ცბიერება მოიძეოდა.

ტარასი ხშირად ეტყოდა, როგორც ტყეა,—ნადირიც იმნაირი გამოვალ. მაგრამ გულში ჩაუხედელ მექის საგანელიძის ქალი სიკეთისა და სათნოების განსახიერებად მიაჩნდა. ბრმად ენდობოდა თალიკოს, როგორც ჩვილი დედის მკერდს ენდობა.

«ცბიერი, რა უღმერთოდ გამწირა!» — გაიფიქრა და გამომშრალ პირში თოვლი ჩაიყარა.

«ხარებს აპარებენ... ოქრო-ვერცხლი გადავარჩინეთო! რომელი ოქრო-ვერცხლი?» — და შაშინვე შიშზე ხურჯინი მოაგონდა, ქეთინომ რომ ჩამოიტანა კიბეზე.

ერთბაშად დამშვიდდა.

საფარიდან გამოვიდა. ისევ ფერფლავდა და ისეთი უცნაური სიჩუმე იდგა, მხოლოდ თოვაში რომ სჩვევია ქვეყანას.

მეტი მომძვრალი საკისურის ბუდესთან ჩაცუცქდა. საკისურს რომ აჭედებდა, იდროვა და ხურჯინს ზელი მოუფათურა. ადვილად შეიძინო ბარნაბას ვერცხლის ქამარი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი სურები, ვერცხლის შიშვე ძეწვეიანი ყანწები, — თვითელში დოქი ღვინო ჩაღიოდა.

«არა, ხაეომია, ეს ყანწები შენს ქორწილში არ დაიცლება!» — გაიფიქრა გაავებულმა ჭაბუკმა.

წამოდგა და მშვიდათ, თითქოს ყანიდან დაბრუნებულ იყოს, ხარების გამოხსნა დაიწყო.

— ისე არ გაკეთდება? — გადმოსძახა ცხენზე შემჯდარმა ხაეომიამ.

— ხაეომია! — ყრულ წარსთქვა ჭაბუკმა, წელში გასწორდა და თითქოს სიმაღლე მოემატა. — ხაეომია, ქორწილში დამპატიებებ?

ცხენოსანმა სწრაფად გადახედა ჭაბუკს. მაგრამ ვერაფერი შეატყო.

დამშვიდდა.

უტიფრად გაუცინა.

— შენ საცოლე ამოშირიე და ქორწილი ჩემზე იყოს! აბა, ვუჩქაროთ!

— საცოლე?! — ჩაიხრიალა მეტიმ და უცებ თალიკოს ნაბადი გადაგლიჯა. — აი, საცოლე! ადექ, შე კახბა! — დასძახა შიშისაგან მოკუტულ ქალს, და იმავე წუთში ხაეომია ცხენიდან ჩამოფრინდა.

მეტი მობრუნდა.

მეტოქეს მარჯვენა ხელი ზურგს უკან დაემალა და ჩახმახივით წყობზე იდგა.

ისევ უტიფრად იღიმებოდა.

— შეაბი ხარები!

— მოჯამაგირობას კარგახანია თავი მივანებე!

— წერას ნუ აუტანიხარ, გამეცალე!

— ვერა, ხაჟომია, ხარებს ვერ დაგიტოვებ! — უთხრა მექიმ და ვერის ღერძთან დაგდებულ ნაჯახს გადახედა. მიხედა, აღებას ვერ მოასწავებდა მძიმედ ამოისუნთქა. გაფითრდა.

— გადავირიე კაცი! — დაიღრიალა ხაჟომიამ და მარცხენა ხელი გამეტე-ბით ითხოშა სახეში: ე, ბიჭო, შენს ღმერთს მიხედე, თორემ გაგაფუტკებ!

— გეყოფათ, რაც გამაფუტკეთ! — მწარედ ჩაიციხა მექიმ.
უხმოდ მიუტოლდენ ერთმანეთს, და სანამ ხაჟომია დანას მოუჭყეცდა, მექი ერთბაშად მოიხარა და კუნძივით დაუგორდა ფეხებში.

დატაკება იმდენათ ძლიერი იყო, რომ ხაჟომია მოწყვეტილივით დავარდა მიწაზე.

მექი მორგებულ კურტანივით ზურგზე მოაჯდა. ბათმანიანი მუჭოტ ფერდში ამოჰკრა და უსულოდ მიაგდო.

უმაღვე ურემთან გაჩნდა.

ლეღავდა, სულისთქმა უჭირდა.

თვალს არიდებდა ენაჩავარდნილ თალიკოს.

„ოღონდ არ იტიროს, თავი არ შემაცოდოს!“ — გაიფიქრა ჰაბუკმა და ხურჯინს ხელი მოჰკიდა.

ეშინოდა, თალიკოს ცრემლი ისევ წამახდენს და შომათვინიერებსო.

მაგრამ გაცოფებულმა, თავგზააბნეულმა ქალმა ამდენი ველარ იანგარი-შა — ნაცადი ხერხი უკუაგდო.

— ხელი გაუშვი, შე ხრიკუნია! — იყვირა და ხურჯინს მიაწყდა.

მექი შეტბა. არ ელოდა, რომ ქალი „ხრიკუნის“ დაძახებას გაუბე-დავდა. ძლივს დაივიწყა საწყალმა ბიჭმა, რომ ოდესღაც ამ უღმერთო სახელს ატარებდა, კაცური ღირსების გამჭქლავ სახელს.

მექი ცრემლს ელოდა... ქალი ბრძოლას უცხადებდა. მექი ახლა ძლი-ერი იყო.

ხურჯინი მოურიდებლად გამოსტაცა.

ძუმგელივით ეძგერა თალიკო.

იკაწრებოდა, იგბინებოდა, მამაკაცური მოურიდებლობით იბრძოდა.

ჰაბუკს მკერდზე ეხლებოდა ქალის მკერდის ამაღლელებელი სისასვე, გონებას უბნელებდა მისი ტანის სულისშემხუთველი სითბო, აწეწილი თმების სურნელი, ცხელი სულისთქმა...

ცდილობდა, თალიკოს არაფერი სტყენოდა. ფრთხილად აშვებინებდა ხელს ხურჯინზე დამკვდარ ქალიშვილს.

— გაუშვი, — დაიწვილა ქალმა, ორივე ხელით მექის მკლავი დაითრია და მთელი სიმწარით უჯბინა.

მწვავე, წრეგადასული სიამე იგრძნო ჰაბუკმა.

ჭარცეცხლივით შემოენთო თავაწყვეტილი სურვილი, ნდომბა.

— ჩემო, ჩემო! — წაიჩურჩულა და თავისუფალი ხელი თალიკოს წელზე შემოხვია.

ქალმა მიხვედრილად შეხედა ფერდაკარგულ მექის, რალაც აზრმა გაუ-ელვა... მორჩილად გარინდდა კაცის ხელში.

— არა, — ამოიგმინა გონზე მოსულმა ჰაბუკმა: ვერ მაჯობებ! ერთხელ კოკლიც წინაო! — დაცინვით დაუმატა, ხურჯინი მხარზე მოიგდო და ხარები სოფლისაკენ გარეკა.

ლადო ბალიაშვილი

ბ ა თ ე

თამი პირველი

გაფერმკრთალებულ მიდამოს ნისლეები ეთამამებოდნენ. დასდასებად დაყოფილი ნისლი ხან შეიკროდა, ხან აიშლებოდა, — შეტრტავდებოდა ჰაერში და დაიქსაქსებოდა. მიდამოს თრთვილი ესხმოდა, დამხმარი მკენარენი იცრიცებოდნენ, ნიავის ოდნავ შეხებაზე წიოდნენ, თითქოს გააბოროტაო სიკვდილის სიავემ. წყაროთ ხმაურს ეკლო, ფრინველთ ხმა გაეკმინდათ. ფიქრს მისცემოდა ყველაფერი, ყველაფერი შემკრთალიყო შემოდგომის სუსხით, — ზამთრის მოახლოებით.

სიმყუდროვეს მწყემსების შორეული კივილი არღვევდა, — მწყემსი გაწლილ ფარას გაჰკივლებდა, მწყემსი მწყემსს ბანს მისცემდა, — გაღმა გორიდან გამოღმა გორაზე გამოეხმაურებოდა, და მიწყებოდა კივილი, — გაჩუმდებოდა ყველაფერი, თითქოს საიალალოს მოსწყურდაო დუმილი.

საიალალოდან ცხვარ-ბინა აშლილიყო. ჩაპყოლიყო ნისლიან ხეებს და ბარისკენ მიემართებოდნენ, — მიეჩქარებოდათ სითბოსკენ და ხამებისკენ. მიდიოდნენ მემცხვარეები, მიდიოდნენ და მიიმღეროდნენ: ზოგს დედა ელოდა ბარში, ზოგს სატრფო. რამდენადაც ცივად მოშზირალ მთებს შორდებოდნენ და ალაზნის ველს უახლოვდებოდნენ, იმდენად ცხვარი წყნარდებოდა: ხამები ეშლებოდა გულსზე.

მასპინძლის გაშლილ სუფრასავით, მგელდებოდა შეციებული ცხვარი, შრიალებდა გამხმარი ბალახი, და მწყემსი უფრო ხალისიანად გაჰკიოდა სამწყემსოს: შუბლი ესხნებოდა ადამიანს — ჩნდებოდნენ კახეთის ტურფა ველეები, ველზე გაშლილი ვერცხლისფრად მოელვარე ალაზანი, ალაზნის ნაპირთ ბარდები, გაფერმკრთალებული ხოდაბუნები.

მოყვითალოდ მოსჩანდნენ ბალ-ვენახები, მოშაო ფერი გადაჰკრავდა ნახნავებს, ნისლეები მოსდევდნენ მდინარის ნაპირთ, წვებოდნენ გორების კალთებზე, წვებოდნენ წუთით და შემდეგ დაღლილი ჯარის რაზმებივით მიიწევდნენ მწვერვალებისკენ, მიეფინებოდნენ უღრანებს, მიიპარებოდნენ ხეებზე და რამდენადაც ზევით მიიწევდნენ, ნისლეები უფრო მტკიცდებოდნენ, თითქოს ღრუბელთა წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებინაო. გამკაცრებულნი გალაფელიდნენ თავზე ცხვარ-მწყემსს, ცვარ-ნამს გაღმაშლიდნენ, შვის შუქთ არილს გაავდებდნენ და ნამღურავევით გასცდებოდნენ: გასცდებოდნენ და თან გაიყოლებდნენ მწყემსების კივილს, სალამურის ხმას, ცხვრის ხმაურის ჟრიაშულს, ტოლის მძებარი ცხვრები რომ გაჰბლაოდნენ ნისლეთს... ცხვრის ფარები ზეავად მოწოლილიყვნენ, ფარა ფარას მისდევდა, მიეჩქარებოდა. ფარას თეთრი ცხენოსანი, ალექსი ბართიშვილი მიუძღვებოდა წინ. ალექსი ხანდის-

ხან შედგებოდა: გაყურებდა ალაზნის ველებს და შემდეგ მწყემსები, ცხვრის წინ მდგომ მწყემსს, ტანმალალ ვაჟკაცს დააკვირდებოდა მალევე და კახეზე ცივი იერი გადაჰკრავდა: არ იამებოდა მისი ხილვა.

— ყველანი მიდიან... მტოვებენ, ყველა ეჭვის თვალით მიყურებს... ბათუც... ნეტავი ბათუს საღლა მიეჩქარება? მაგრამ თუ წავა, ინანებს. — გადახედავდა მწყემსს და საფერხეს გაუჯავრდებოდა.

ცხვრის წინ მდგომი მწყემსი ბათუ ნელა მღეროდა, ჯოხი გადაედო შხარზე, ფართო ბეჭები გაეშალა და, ფიქრებში წასული, ვიღაცას თუ რალაცას ეტრფოდა. ახლად აშლილი წვერულეაშით დამშვენებულ, მზით დამწვარ სახეს ხალისის იერი გადაჰკრავდა. ხალისი უფრო უძლიერდებოდა, როდესაც იგი შორს, ალაზნის ნაპირზე გაშლილ სოფელ ალვანს გახედავდა, თუშურად ამღერდებოდა და იმავე წუთს შეთვალა დაეზმანებოდა, დაეზმანებოდა წამით, და ჰქრებოდა, მაგრამ არა ჰქრებოდა სიმღერის წაილი...

ცხვარი მიიშლებოდა, ცხვრის ფარა ნელად ეფინებოდა ველებს, მზე ნელ-ნელად ფანტავდა ნისლიანობას, მზე გორის პირს უახლოვდებოდა, ჩრდილი აალილისფერებდა კახეთის ველს, ცაზე ღრუბელნი ჰქრებოდნენ, ნისლი იჭსაქსებოდა და ბინდი წვებოდა. ცხვარ-მწყემსის ხმაური და სოფლის ჩქო ძლიერდებოდა.

ახლოვდებოდა სოფელი ალვანი. ალვანიდან თუშები გამოდიოდნენ, — წინ უხვდებოდნენ ცხვარ-ბინას და ბინა ბინაზე იდებოდა ალაზნის ნაპირს...

დაბინავების უმალ ცხვრის პატრონები სოფელში შევიდნენ, — ქეიფს მისცეს თავი.

ბინაში მხოლოდ მწყემსები დარჩნენ, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე ცხვარ-ბინასთან გაეტარებინათ, სიყმაწვილის დღეები სიმარტოვეში ჩაეკლათ, — ისინი იშვიათად რჩებოდნენ სოფელში, ენატრებოდათ ქვეშსაგებელზე ძილი, მშობლის ალერსი და ლაღობა სატრფოსთან... დაღლილიყვენ ფეხზე დგომით, სხვათა ცხვარ-ძროხის მწყემსობით და ცხვრის პატრონთან სიავეით. გულს ეგრძნო განშორების სიახლოვე, — ცხვრის პატრონები მგელდებოდნენ, მწყემსებს ხალისი ეძლეოდათ, პირველნი სმაში ჰკლავდნენ დროს, მეორენი — შრომაში. იღრინებოდნენ ცხვრის პატრონები, ბრაზობდა ალექსი ბართიშვილი, — ეზლა ბინდის ეამამდე იცადა ცხვართან, — მწყემსები დააბინავა, სამწვადე ხორცი შეარჩია, ჩერქეზული ნაბადი წამოიხურა და მწყურალად უთხრა ბათუს: — ცხვარს გაუფრთხილდი! — და განშორდა.

ბათუმ მწყურალი მხერა გააყოლა ალექსის, გამწარებულმა ბინდ დაწოლილ უკუნეთს შეაფრთხა, კოკლი ცხერები შეათვალა, მყეფრებს ჯგერო აქამა და თქვაში გახვეული თეოზე მიწვა...

ბათუს გარშემო სიწყნარე იყო გამეფებული, ხანდიხან ბატკანი თუ დაიბლავლებდა, ან ბინის ძალი წამოიყეფებდა, მაგრამ ისინიც მაშინვე გაჩუმდებოდნენ.

შევერცხლილ კახეთის ველზე ალაზნის ნელი დუდუნე ნავარდობდა: ტალღები მწყობრად მიდიოდნენ და თანაბრად მიიზღეროდნენ.

ნისლები გადაკარგულიყვენ, კამკამა ცაზე შემოდგომის მშრალი ღრუბელნი იჭსაქსებოდნენ და მათი ჩრდილები ჯგუფ-ჯგუფად გადაუვლიდნენ

ალაზნის ველს, ბადრი მთვარე მალი-მალ გადაიხიდა ღრუბელ-ბაღდადებს. თითქოს მოენატრაო კახეთის სიმშენიერის ხილვა. გულუბნევე გადმოიფრქვედა მქრალ სხივებს და შემინებულევით გადაიფარებდა მტკნარ ღრუბლებს დაღლილ ქალივით ჩრდილ დამდგარ სახეზე.

ბათუ იწვა, თქვაში გახვეული, ყურს უგდებდა ბუნების ჩქროს, აკვირდებოდა მთვარეს და ფიქრებში იძირებოდა... მოულოდნელად ესტუმრა ფიქრი ბათუს, ესტუმრა და აღარ შორდებოდა. მთელი ზაფხული ჩამოილია ფიქრებში და ეხლა, როდესაც ალვანს მიუახლოვდა, ალვანელი ქალის სიახლოვე იგრძნო, ფიქრმა ოქროს ფრთები გაშალა, მთვარის სხივებში გაიფუფქა, მთვარის სახეებაში იხილა მან საფიქრალი—თმებგაშლილი, ყელლილიანი, ტანმაღალი შეთვალა და ფიქრმა წაიღო, ფიქრმა დაისაკუთრა...

„იქნება ისიც მთვარეს უტყვრის, ან იქნება“... — ფიქრში გადაეარდნილი ბათუ ხან კრთებოდა, ხან ხალისი ეძლეოდა. წამითაც არ შორდებოდა შეთვალას სახე: გაზაფხულზე იხილა იგი პირველად ბათუმ, — მაშინ შირაქიდან დაბრუნებულ ცხვარს მოჰყვა. დილას, მზის ამოსვლის ეამს, ცხვრის პატრონმა გაგზავნა ბათუ სოფელში. მოხატობით შეაღო მან ალექსის ოჯახის კარები და ისე მოეჩვენა, თითქოს გალიაში მოამწყვდიესო: ოთახში უხერხულობა იგრძნო—სად დამჯდარიყო, ვისთვის რა ეთქვა, არ იცოდა. მისვლის უმალ მარილი მოსთხოვა ცხვრისთვის ალექსის მეუღლეს, აღმაცერად რომ უტყვრეტდა სახე-წამოწითლებულ ბათუს. ხელუკლმა გადააწოდა მარილით სავსე გუდა და აჩქარებული მწყემსი ოთახის კარებს მოსწყდა. შირაზე გასულმა თავისუფლად ამოისუნთქა, ნაბიჯი შეანელა, თუშური ბუდის ძველით სახე მოიწმინდა და სოფელი იღუმლად შეათვალეირა. სასწრაფოდ გადასჭრა ბრტყელი შარა. — მართს შვილის ელენეს ნახვა სურდა, დიდი ხანი არ ენახა სახემშვენიერი ელენე, ელენესთან გაეტარებინა მას ბავშვობა, ბავშვობისას ჩავარდნოდა ქალის სიყვარული გულად და ეხლა...

— ნეტამც არ მენახა!.. — იწყველიდა თავს ბათუ.

ბათუმ შორიდან მოჰქრა თვალი ბაღში შესულ ქალებს. ნამყენთან მდგომნი რაღაცას საუბრობდნენ, საუბრობდნენ, და იცინოდნენ, იცინოდნენ გულღანნი, პირმშენიერნი. ელენეს თეთრი ბაღდადი ეხურა, შიბიანი კაბა ეცვა, შავი თმის ნაწნავები მხრებზე გადაეყარა. ეაშლის ხის ქვეშ იდგა სახეგაცილებული, პირტკბილი... ხილვაზე ხელ იქცა ბათუ, გულმა მძლავრად ცემა დაუწყყო, გულმა ვასწია ქალისკენ, ვასწია, მაგრამ უცნაურმა ძალამ დააბა ერთ ადგილზე: მუხლები მოეკეთა— თვალთ დაუბნელდა, დაუბნელდა წამით და... ახლავარდების გუნდმა ჩამოიარა, შესდგნენ: ბათუს დააკვირდნენ, ბაღში მდგომი ელენე იხილეს, რაღაცა სთქვეს, გაიციენეს, ბათუს სულ ახლოს გაუარეს და სიცილით გასცდნენ...

ბათუ გამოფხიზლდა, შერცხვა. ერთხელ კიდევ გადახედა ელენეს. ელენემაც იხილა, იხილა, მაგრამ იმავე წამს ზურგი შეაქცია... იდგა ხელქმნილი ბათუ. თავი ებრალებოდა, სიობლეს სწყველიდა შორცხვად. მიეყრდნო მაღალ ღობეს, და როდესაც ელენემ ოთახის კარები დახურა, ბათუ მთვრალივით ტანდაძრული გაჰყვა გზას. გზას გაჰყვა იმ იმედით, რომ საიალალოს სიმშენიერე დაუხებდა გულს, საიალალოს გაშლიდა ცხვრის ფარას, სალამურს აამღერებდა და ელენეზე იფიქრებდა. ისიც აიმედებდა, რომ ცხვრის პატრონები საზაფხულოდ საიალალოზე ამოიყვანდნენ ოჯახის წევრებს, ელენე ბარში არ დაჩქებოდა და უტყველია ხშირად ნახავდა ბათუს. ბათუ ალაჩუყების წინ მო-

ცეკვავე ქალებს შორის ელენეს ნახავდა და სალამურის საამო სიმღერით შიულერსებდა, თეთრ ყვავილებს დაუკრფდა, ყვავილების გვერდებს დაუწნავდა და ყვავილთ შორის მოთამაშე ნიავს გაატანდა ნაღველანკურ სიმღერას. უმღერებდა მზის ამოსვლას და სილამაზეს, უმღერებდა ელენეს ღამესავეთ შავ თვალებს მზის ამოსვლას, ცხვარ-მწყემსის ბარაქას და ყვავილთ სიუბევს...

რამდენი დღე დაღამდა ფიქრებში! დღეები დაიღვარნენ ვერცხლის წყალივით, მზე დაბრძანდა, ვარსკვლავნი ამოხდნენ, ღამე გატყდა, გატყდა ოქროსფერ ფიქრებში... ბათუს ოცნება იზრდებოდა, ოცნება მტრედისფერ ფრთებს შლიდა. ბათუ მარად ეალერსებოდა შორს მყოფ ელენეს, — გულით მოუხმობდა თავისკენ და ყველაფერი ღამაზად, სათნოდ ეჩვენებოდა ქალის ნდომით. ათას რამ სახელს ურჩევდა, ყვავილთ ადარებდა, ყვავილთ არქმევდა ელენეს სახელს და ელოდებოდა... ელოდებოდა ელენეს საილალოზე ასვლას...

თუშები მიდიოდნენ საილალოს, — მიჰყავდათ ხიზანი, დგამდნენ თეთრ ალაჩუყებს, იშლებოდა თექა-ნაზადი, იქსოვებოდა ყელჭრელი წინდები. საილალოს ნავარდობდა თუშური სიმღერა. თუში ქალების სიმღერით ტკბებოდნენ მწყემსი ვაჟაკები...

ბათუ შორიდან უჭვრეტდა ალაჩუყის კარებზე გამოშლილ ქალებს, უსმენდა მათ სიმღერას, გარმონის საამო ხმას, და სიმღერის სიამეში არჩევდა ელენეს ხმას, ქალების ღიმილში ელენეს ღიმილს, და ყველაფერი, ყველაფერი მის გარშემო ელენეს სახელს იმეორებდა, იმღეროდა, ეალერსებოდა. ელფენე კი...

რად იგვიანებდა ელენე, რად?..

გული ტყდებოდა ვაჟაკისა...

ვაჟაკის გული მოუხმობდა ქალს და ქალი კი...

და აი გათენდა დილა.

ის დღე არა ჰგავდა სხვა გათენებას, — იყო ზილაღე, მზის სხივთა სიუბევე, ყვავილებისა და ლაქვარდის თამაში.

რა ღამაზნი იყვნენ ყვავილნი მაშინ! ღამაში ქალის ღაქლაქა სახეზე გაბნეულ ხალებს ჰგავდნენ ყვავილნი. ღამაში ქალის თვალებს ჰგავდნენ ყვავილები, ყვავილთ სურნელება იყო ქალწული ქალის გულმკერდის სურნელება...

ჩიტები ყვავილთ უმღეროდნენ ნანას, ყვავილები ყელს ხრიდნენ, ინაზებოდნენ, მხოლოდ ნიავს უხსნიდნენ გულ-მკერდს და ნიავს გაჰქანდა ველად მათი სურნელება...

იმ დილით ბათუმ თვალის მოჰკრა ელენეს: ელენე ალაჩუყის კარებთან იდგა, — ლეგჩოხა ყმაწვილს ელაპარაკებოდა, თეთრ კბილებს აელეუბდა. ნიავი უთამაშებდა გარშემო ელენეს, მოშავო კაბას ახვევდა მაღალ ტანზე, ბაღდადის ფორჩხში გახვეული შავი თმის ნაწინავებს ურბევდა, ელოლიავებოდა...

ბათუმ ალაჩუყის მახლობლად ჩაიარა, ჩაიარა ტანდაძრულმა, გაფერმკრთალებულმა, — ელენეს სიახლოვე სურდა, ელენესთან საუბარი სურდა. მაგრამ იხილა თუ არა ელენემ, მაშინვე ღრუბელმა გადაუარა სახეზე, თავი დახარა, გამოემშვიდობა ყმაწვილს და ალაჩუყის კარებში შევიდა. მარტოდ დარჩენილმა ყმაწვილმა მწყყალად შეხედა ბათუს. ბათუს ყურადღება არ მიუტყვევია: სიღარიბე დასწყევლა, დასწყევლა სიოზღვე და მთვრალივით გააცდა ქობებს...

მთელი დღე გულის ტკივილით გაატარა: გადაუწყდა ელენესთან შეგობრობის იმედი, მხოლოდ ის-ღა დარჩენოდა სანუგეშოდ, რომ მზის ყველ იმოსვლის ეამს შეეძლო ელენეს ხილვა. იხილავდა ელენეს ბაიურსკის ვაითუს საამოდ უჩნდა ყველაფერი. სიხარული იყო მზის ამობრძანება: მზის ამოსვლის ეამს ელენეს საიალალოს გაუღიმებდა, საბინაოს შეავლებდა თვალს, და ბათუს მშვიერ მზერას გაიყოლებდა პირდასაბანად წყალზე ჩასული.

სიხარული იყო მზის დაბრძანება: შებინდებისას ცხვრის ფარები ბინებში შედიოდნენ,—ბათუ ვარსკვლავის გაბრწყინებისას მოისმენდა ელენეს სიმღერას, ელენეს სიახლოვეს გაიხარებდა და პირველად ამომხდარ ვარსკვლავს უწოდებდა ელენეს...

ამ ყოფით მიდიოდნენ დღეეამნი...

ბათუს უფრო და უფრო ეუფლებოდა მოუთმენლობა—გული ქალისკენ მისწევდა, მასთან საუბარი სურდა...

ერთ საღამოს ალაჩუყის კარებზე მოეყარა თავი ქალ-ვაგს, შებინდებას ხედებოდნენ თუშური სიმღერით, ფანდურის კენესით, სალამურის დუდუნითა და გარმონის ქლერით. ელენე შუაში იჯდა, ქალები შემოხევიოდნენ გარშემო,—უმღეროდნენ ვაგაკებს და მოციმციმე ვარსკვლავებს...

მომღერლების მოშორებით ბათუ ჩამომჯდარიყო: ყურს უგდებდა სიმღერას. ელენეს ხმა საამოდ ხედებოდა ყურს, შენატროდა ქალის მახლობლად მსხდომ ვაგაკებს,—იქინი ყველანი ცხვრის პატრონები იყვნენ, ამაცობდნენ სიმღერითა და სწავლით, ბათუ კი, ბათუ ობოლი იყო, უსახლკარო...

— ნუშე დაგებადებულვარ!—ემღერებოდა თავს და იმავე წუთს ელენეს მოლიმარი სახე დაეზმანებოდა, ელენეს ხმა მისწვდებოდა და დააეწიყებდა სიობლეს. ქალის ნდომით გატაცებული ფეხზე წამოდგებოდა,—სურდა მომღერლებთან მისვლა, მაგრამ... სიობლე გაახსენდებოდა—მოჯამაგირობა დაარცხვენდა და იმავე წამს მუხლმოკვეთილივით დაეცემოდა მიწაზე... ბოლოს გადასწყვიტა შეხვედროდა ელენეს, განეცხადებინა გულის წადილი. დილას წყაროსთან დაელოდინა: იცოდა, რომ ელენე პირის დასაბანად ჩაივლიდა.

ის იყო მზემ მადლიანი სხივები მოჰფინა საიალალოს, რომ ელენე ქობის კარებზე გამოვიდა, ხშირი თმა გადაივარცხნა, ქეთლი აიღო და წყაროსკენ ჩაიბრძინა ეიწრო ბილიკი. წყაროს მოშორებით შედგა: ეუტხოვა სახეგაფითრებული, თავდახრილი ბათუ. ზედქმნილი ბათუ ადგილიდან ვერ იძროდა. აი აულ ახლოს მივიდა ელენე. ქალის სიახლოვე ცეცხლად მოხვდა, სახე წამოუწითლდა, ტანი დაეძრა...

ელენეს ყურადღება არ მიუტკცევია, მხოლოდ ერთხელ შეხვდა, შეხვდა მწყრალად და წყაროსკენ გადახტა, დაიხარა, წყაროს წყალი ამოიღო პეშვით.

— ელენე! — შემოესმა მას.

შემკრთალმა ბათუს მიხედა,—მიახლოვებოდა ბათუ, მორცხვად მისჩერებოდა ქალის შავ თვალებს, უნდოდა ეთქვა გულისა, მაგრამ ხმის ამოღებას ველარ ბედავდა: მკაცრად უმზერდა ელენე.

— მოჯამაგირე! — გაისმა ქალის დამკინავეი ხმა. წითლად გაიელვა მთელმა მიდამომ, შემდეგ შავმა ფერმა გადაჰკრა ყველაფერს და ბათუს მოეჩვენა, რომ მთელი მიდამო ტრიალებდა, ტანდაძრულს გულის სიღრმეში ჩაუწყდა რაღაცა, გონება დაუბნელდა, თვალები დახუჭა და... რა გონს მოვიდა, ელენე შორს მიდიოდა, სიარულში იყო ზიზლი, უკადრისობა...

ბათუ თავს დააკვირდა, შერცხვა, ცივი ოფლი დაასხა იქვე ჩაიკეთა, სიმწარით მიწა დაგაზა და მესხედ დასწყევლა სიობლე. გადასწყვიტა, გულში ჩაეკლა ქალის ნდომა, მაგრამ რამდენადაც ქალი გაურბოდა, რამდენადაც უკადრისობდა მას, უკადრისობდა მასთან შეხვედრას, იმდენადაც ქალის ნდომა უძლიერდებოდა ბათუს...

მიდიოდნენ დღეები, და ზაფხული, ზაფხული ელენეს ფიქრით დაილია. ღიმედოდ გაიარეს ზაფხულის დღეებმა, დაქცენენ ყვეილები, ბალახთ დღე დაელიათ, აიცრიცა საილალო, თუშები ბარში ჩავიდნენ.

და ეხლა...

ეხლავ კვლავ ელენეზე ფიქრობდა ბათუ. ფიქრს კახეთის სიმშვენიერე ემოწმებოდა, ემოწმებოდა საღამოს სიმშვიდე და მთვარის შუქზე განათებული მიდამო. ფიქრს ელენეს სიახლოვე აძლიერებდა: იქვე, ოციოდე ნაბიჯის მანძილზე იყო სოფელი ალვანი, იქ ეგულეებოდა პირმშვენიერი ელენე...

ფიქრით დაღლილმა ბათუმ აიწია, გახედა ცხვარს, შემდეგ მიდამოს, მაგრამ გადაისვა ხელი შუბლზე...

— ვნახავ ელენეს! — სთქვა იმედიანად და საკუთარი გადაწყვეტილებით შემგრთაღმა შავი თქვა გადაიფარა თავზე. — ვნახავ! — მიანც იმეორებდა იგი და გათენებას ელოდებოდა...

ნეტავ თუ ნახავდა ელენეს?..

... დილით ალექსი შუბლშეკრული დაბრუნდა ბინაში.

— ეხლავე უნდა ავშალოთ ცხვარი და დაუყოვნებლად წავიდეთ შირაქისკენ! — სთქვა მან ბრაზიანად და ბათუ რატომღაც გააფრთხილა: — ვინცობაა, ცხვრის დათვლა მოისურვონ, ხელი შეუშალე. ვინ იცის, რა დრო-ჟამი დადგება და... — სათქმელი აღარ დააბოლოვა, თოფში ვაზნები ჩააწყო და ჩერქეზული ნაბადი ბრაზიანად წამოიხურა.

ბათუ ჩაფიქრდა: უჩვეულო რამ ამბავი ხდებოდა სოფელში, იქნება სასარგებლო ბათუსათვის...

— ნეტავ რისთვის უნდა ცხვრის დათვლა?

იქნება სასარგებლოა დაყოვნება...

— ელენეს ვეღარ ვნახავ...

არც ცხვრის პატრონმა გაუშვა სოფელში მწყემსი.

— მშვიდობით, ელენე!

მწყემსმა ზამთრის ლამეები უნდა გატეხოს შენზე ფიქრით, შენ-კი...

ბრაზმორეული ბათუ ცხვარს გაუჯავრდა, ფარა გაშალა, ჩაფიქრებული გაპყვა შირაქის გზას და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— ელენე... მშვიდობით, ქალბნელო!

— მშვიდობით მწყემსო! — მისძახოდა მიდამო და ალვანის თავზე მზის ოქროსფერი სხივნი ტყდებოდნენ...

თავი მეორე

დაზამთრებული იყო, ალექსი რომ შირაქში ჩავიდა. იგი გამოცვლილიყო: ნერვიულობდა, ხოცავდა ცხვარს, ასახიჩრებდა, ჰყიდდა, უცხო ხალხს უფრთხოდა, მილიციის განხენებაზე იფურთხებოდა, — ლანძღავდა ყველას. ბათუს უფრო მკაცრად ექცეოდა, უკრძალავდა სხვებთან მისვლას: მეთვალყურე მიუჩინა, — უმცროსი ძმა, ლეო... ეშინოდა რალაციისა. უფრო და უფრო მო-

უსვენრობდა: ღამით ადგებოდა ლოვინიდან, იჯდა მარტო და ფიქრობდა. სვამდა არაყს, ეწეოდა ყალიონს და დრო-ეჟამს ემღერებოდა. მკვიდრად დგლით და ხან ორი-სამი დღის შემდეგ ბრუნდებოდა ბინაში. მოთენთეულად და მძინარე-ლი, სახე გაფითრებული, შემკრთალი. ერთხელ შუალამისას დაბრუნდა მინდვრიდან. ბათუს წაადგა თავზე, ხელფეხი უთრთოდა, ამღვრეული თვალებით სიმწარეს აფრქვევდა. ბათუს უცნაურად აშტერდებოდა. ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ ხანჯალი ამოიღო, წვერით მიეწვავდა ბათუს და მწყრალოდ უთხრა:

— ორში ერთი ბირჩიე: ან სიკვდილი, ან დანდობა!

ბათუ ვერაფერს მიხვდა.

— შემომფიცე, რომ არ მილაღატებ, თორემ...

მწყემსს ცივი ღიმილი შეუთამაშდა სახეზე, რაღაცა ჩაიფიქრა და ფიცო სთქვა:

— ამ რკინის წერისა გავხდე, თუ გილაღატო!

ალექსი უკან გაბრუნდა, ბაკის კარები გააღო და ვიღაც ხალხი შემოიყვანა. ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, მოშორებით დადგნენ და ბათუს პირი აარიდეს.

ალექსიმ ლეო გააღვიძა, —ასი დედალი ცხვარი გადაარჩიეს, უცნობს მიუთვალეს, მერე ალექსისთან ერთად სიბნელეს მიეცნენ... რამდენჯერმე განმეორდა ასეთი მდგომარეობა: მოქანცული, მოღლილი უცნობები შუალამის ხანს მოდიოდნენ, ისბნენ ფარეხში, სვამდნენ არაყს, ილანძლებოდნენ და დილის ეჟამს მიდიოდნენ.

ბათუ დაინტერესდა. ჩუმად მიიპარა ფარეხის კედელთან და მოსულების ლაპარაკს ყური დაუდგო.

ისინი ქალებზე ლაპარაკობდნენ, ერთი მეორეს ადღევრძელებდნენ და ნაჩქარევად სვამდნენ არაყს.

ბოლოს ერთმა სთქვა:

— როდემდი ასე?!

— მეც მომწყინდა! — გაისმა მეორე ჩახლეჩილი ხმა. კიდევ რაღაცა სთქვეს და უგემურად გაიცინეს.

შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა ბათუს: „ცხვარი“... „ესენი“... „წუთისოფელი“... „კულაკობა“... „ხრამი“... „იარალი“... და სხვა.

ვინ არიან? რა უნდათ?

ბათუ ფიქრით იტანჯებოდა, გული ებრძოდა: დაეტოვა ბინა, წასულიყო შორს, მისულიყო ვისმესთან, ეთქვა განაგონი. მაგრამ ფეხს არ აცვლევინებდნენ ბინიდან, ბინაში-კი მხოლოდ ცხვრის პატრონები და მწყემსობაში ჩამობერებული, კისერ-მოკლე კოტე იყვნენ. კოტეს ვერ წარმოედგინა იმ პატრონისა და იმ ბინის იქით ცხოვრება. ცხვრის პატრონები-კი წყენით ეტყოდნენ ბათუს:

— შენი ბინიდან წასვლა და სიკვდილი ერთია!

თანაც ლეოს აფრთხილებდნენ:

— თუ ვინცობაა ბათუ გაუშვი, არაფერი გიხსნის.

ბათუს უკვირდა: რად უნდა გაიქცეს? რისთვის? არასოდეს არ მოსვლია აზრად ბინიდან გაქცევა. კაცთ მონატრული-კი იყო, თანაც ნელად იღვიძებდა წადილი: ვაძყოლოდა იმ ახალგაზრდების აზრს, წასულ ზაფხულს რომ აღიოდნენ საილალოს და ცხვრის პატრონების წინააღმდეგ კომკავშირში შესვლას

ურჩევდნენ მწყემსებს. მაგრამ ამ ბინიდან რად უნდა გაქცეულიყო იმ ხათის სულ ცხვარში თიკანიც კი არ ერია ბათუს იანაბარის გარეშე გაზრდილი. ის საკუთარ თავზე უფრო მეტად უვლიდა ლამაზ პირუტყვს და რისთვის უნდა გაქცეულიყო? საოცარია! ან რა საჭიროა გაქცევა: ხვალ თუ ხვებ ბათუ ველავ წავა მთებისკენ და მაშინ... კი არ გაიქცევა, თავის სამწყემსოდან ნაწილს მოითხოვს და კოლექტივში შევა ბათუ... იქნება ბედმა გაუღიღოს, იქნება ელენემ თავი გაუყადროს, და მაშინ იქნება ბათუ ბედნიერი, მხოლოდ მაშინ, ეხლა კი ყური ყრუად უნდა ქნას ბათუმ და თვალი ბრმად, მაგრამ... ნეტავ ახალი ზომ არაფერი ხდება ამ ველებს იქით? რა დაემართა ალექსის? რისთვის მოდიან უცნობები? უნებურად ეკითხებოდა თავის თავს ბათუ, უსიამო რასმეს გრძნობდა.



ალექსის ცხვრის ბინის მოშორებით დიდი ზრამები იყო, თვალი ძლიერ სწვდებოდა მათ სიღრმეს. იშვიათად მიუღიოდა ცხვარი ბათუს ზრამების ნაპირებზე, აუკრძალეს კიდევ იქ ცხვრის ძოვება. მაგრამ ერთხელ მოიწადინა ბათუმ ზრამების დათვალიერება. ცხვრის ფარა ხრამის ნაპირებს დააყოლა, თავით აქეთ-იქით იცქირებოდა — ათვალიერებდა მიდამოს. უცბად ცხვარი შეფრთხა, ძალღი აყუფდა და ხრამის ნაპირებს მიაწყდა. ბათუმ ქუდის მსგავს რასმეს მოჰკრა თვალი, მაგრამ არ დაიჯერა: რალაცა მომელანდაო, გაიფიქრა, თუმცა იმ ადგილს მაინც მიუახლოვდა. ნავალი შეამჩნია ბილიკზე, ხრამს რომ მისდევდა, და მის სიღრმეში იკარგებოდა. იქ ხშირად უნდა ევლო ვილაცას. ნეტავ ვინ უნდა იყენენ? — ჩაიფიქრა ბათუმ. ძალღი კვლავ აყუფდა, გადადგა ხრამის ნაპირზე და გამწარებული დიდხანს ჩაპყუფდა სიღრმეს. ხრამის ბოლოში ბათუმ თვალი მოჰკრა ადამიანების ჯგუფს. ისინი ხელის ქნევით ეშუქრებოდნენ. იქვე იდგნენ შეკაზმული ცხენები და ცხვარ-ძროხა.

შეერთა ბათუ: უიარაღო იყო. ფარა ხრამს ჩამოაშორა. მთელ დღეს ოცნებობდა ელენეზე და კოლექტივის ჩამოყალიბებაზე, ქიზიყში რომ მოესურვათ გლახებს, ოცნებობდა თუშეთის მთებში გაშლილ საიალალოზე და მარად თვალწინ ედგა პირმშვენიერი ელენე — ხან მკაცრი, ხან პირმოლიმარი. ამ ფიქრებით დაბრუნდა ბინაში.

ის იყო ბათუ თეოზე გასვლას აპირებდა, რომ ლამის სიბნელეში ლანდს მოჰკრა თვალი: ფარეხისკენ ვილაც მიდიოდა აჩქარებული ნაბიჯით. ბათუ ცხვრების შუა გაიპარა და ფარეხის კარებს მიუახლოვდა. კარებთან ცეცხლის სინათლეზე მდგომ უცნობს შეხედა: იგი ერთი იმათგანი იყო, ლამით რომ მოდიოდნენ ალექსისთან. ნაჩქარევად მიესალმა ალექსი და ქოხში შევიდნენ.

ბათუ მივიდა კარებთან, დააყურა: ნელი ლაპარაკი ისმოდა ბინიდან:

— მან უკვე იცის...

— რას შეუბნები!?

— ისინი დღეს თუ ხვალ გაჩნდებიან და...

— საზიზღრები! მოსვენებას არ მამლევენ! — წამოიძახა გამწარებულმა ალექსიმ.

— ვერ გადაურჩებით, დღეს თუ ხვალ ჩვენი ქონება ხელიდან წავა: კოლექტივიზაცია ჩატარდება... ღარიბების სიხარულს საზღვარი არა აქვს...

— ცეცხლი იმას!



— დროზე უნდა ვუშველოთ თავს!
 — რა ექნათ?
 — სიჩქარეა საჭირო: ცხვარი უნდა მოისპოს.
 — უწინ სიკვდილი! ეგ რა სთქვი?
 — თანაც ხრამიდან უნდა გავიდეთ: ბინის გადანაცვლებაა საჭირო...
 ცხვარი უნდა გაიყიდოს, ნაწილი გადაიმალოს...

— არ იქნების!
 — სულ ერთია, იმათ დარჩებათ...
 სიჩუმე ჩამოვარდა. დიდხანს ხმა არ ამოუღიათ. შემდეგ ნელი ხმით ალაპარაკდნენ. ბათუ უფრო ახლოს მივიდა კედელთან.

— მაშ შენ ფიქრობ, რომ ის უნდა მოისპოს? — იკითხა ალექსიმ.
 — უეჭველად! მან დაინახა ბინა, იცის ყველაფერი...

— მოკვლას გაიგებენ...
 — ისე გავაქრო, რომ...
 სთქვა უცნობმა კაცმა.
 — ცოდვია! — გამოეხმაურა ლეო.
 — მშიშარა! — გაუწყრა ალექსი.

კვლავ გაჩუმდნენ.
 — ყველაფერი ჩემზე იყოს, ოღონდ, — მძიმე ხმით სთქვა უცნობმა, —
 ცხვარი როგორმე გადაარჩეს...

გაჩუმდნენ. გაურკვეველი ბგერები გაისმა. ბათუს მეტი აღარ მოუსმენია. თეოზე ვაეიდა და საკუთარ ფიქრებში ჩაიძირა: ვის კლავენ? სიცოცხლე ესპობა ვილაცას (იქნება თვით მასაც...). იცის ბათუმ და შველა არ შეუძლიან, სურს მოეხმაროს, მაგრამ ვის? გამწარებულმა ბათუმ უკუნ სივრცეს შეაფურთხა და შავი თეჯა წაიხურა თავზე, უნდოდა ჩაეძინა, ჩაეკლა ფიქრები, მაგრამ ვერ მოისვენა. გატკევა მოიწადინა... აწუხებდა რაღაც უსიამო რასმეს გრძნობდა. მოეჩვენა, რომ ვილაცა უახლოვდებოდა. შეკრთა, უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ აღარ დასცალდა: ცივი რკინა შეეხო ლოყაზე.

— ხელი არ გაანძრიო, ადექი და იარე ხრამის მიმართულებით! სთქვა უცნობმა ხმამ.

ხმა ცივი იყო, ჟრუანტელიანი. ბათუს სინამდვილის დაჯერება არ სურდა და ესლა უთხრა ნაღვლიანის ხმით:

— ხუმრობას თავი გაანებე, ვერ შემაშინებ!
 — ადექი, თორო! — დაემუქრა. უცნობი აღარ ხუმრობდა.
 ბათუ ადგა, აღმაცურად გადახედა თოფს, — ქობის კარზე ვილაცა პაპიროსს ეწეოდა: ცეცხლის სინათლე კიადობდა სიბნელეში... „სად მივყევარ? რა უნდათ?... ნუ თუ...“ — ფიქრობდა იგი და ზარმაცად მიაბიჯებდა.

ირგვლივ სიჩუმე იწვა, ნიავეც კი არ იძროდა... ბინის ძაღლმა წამოიყეფა და მაშინვე გაჩუმდა...

მათ კარგა მანძილი გაიარეს.
 — სად მივდივართ? — იკითხა ბათუმ.
 — ცოტაც გავიაროთ! — იყო დამკინავი პასუხი.
 ბათუს ბრაზი მოუვიდა, შედგა. უცნობმა ერთი ნაბიჯით უკან დაიწია.
 — იარე! — სთქვა მან ბრაზიანი ხმით.
 ბათუმ სწრაფად მიიხედ-მოიხედა, — ერთს მიჰყავდა მხოლოდ.
 — ის მაინც მითხარი, ვინა ხარ, რა გინდა ჩემგან?

- შენთვის სულ ერთია, ვინც უნდა ვიყო. ვასწი წინ!
- არ მივდივარ!
- ვასწი, თორემ...
- ნაბიჯსაც არ გადავდგამ!
- არა და...



ველარ დაამთავრა უცნობმა: ბათუმ ჯიქური ნახტომი გააკეთა, ოდნავ მოხრილმა ელვის სისწრაფით აპკრა ხელი თოფს და უცნობის გასროლილმა ტყვიამ პაერში გაიშხულია. ერთი მეორეს დაეჯახა ორი ვაგაკაცი. დიდხანს იბრძოდნენ. ისმოდა ოხვრა, კენესა... რამდენჯერმე დაგორდნენ მიწაზე, კვლავ წამოდგნენ და ბოლოს... ერთმა მათგანმა მწარედ დაიკენესა და ქეასავით დაეცა ძირს. ზოლო მეორემ ამოიოხრა, თავი გაინთავისუფლა, ერთი წუთით შედგა, გადახედა ძირს დაცემულ ვაგაკაცს და ქოხის მიმართულებით წავიდა. ძაღლები ყუფით წამოეგებნენ, ქოხის კარზე დაბმული ალექსის საფერზე ლურჯა ცხენი შეფრთხა. ბათუს ყურადღება არაევისთვის არ მიუქცევია, ხელში დაჭერილი თოფი მოიმარჯვა და პირდაპირ ფარებს მიაშურა. ალექსი გზაში შემოეგება: უეჭველად ელოდა უცნობს, მიახლოებისთანავე არეულის ხმით იკითხა:

- დაასრულე თუ არა ის ძაღლის ლეკვი?
- დაახ... დაეასრულე!—ბრაზიანად უპასუხა მოსულმა.

ალექსის თავზარი დაეცა: ბათუ იდგა მის წინ, ალექსიმ ხელი წაატანა იქვე მიყუდებულ თოფს, მაგრამ ბათუმ აღარ დააყოვნა: მისმა ტყვიამ კედელს მიაწყვიტა ალექსი.

თოფის ხმაზე ცხვრის ფარა შეკრთა, ძაღლები აწკმუტუნდნენ. * თოვზე გასულმა ლეომ მწარედ დაიკივლა და მაშინვე თოფი გაისროლა.

— შენზე იყოს ყველაფერი!—მიაძახა ბათუმ ფარების კარზე დაცემულ ალექსის, სწრაფად მოახტა იქვე დაბმულ ალექსის საფერებს და ღამის სიბნელეში გაჰქროლა. უკან გაპყვა ორი ლანდი, — ტყვიას ტყვიაზე გზავნიდნენ მისკენ.

მარტოდ დარჩენილი, დაჭრილი ალექსი იკრუნჩხებოდა, ტრიალებდა მიწაზე და სამზეოს სამღურავს ეუბნებოდა. შემდეგ წამით გაყურდა. თითქოს რაღაცის მოგონება სწადსო. ჯიბიდან ასანთი ამოიღო, მაგრამ ხელები გაუხვედა. როგორც იყო, თავს ძალა დაატანა და ასანთის მკრთალმა სინათლემ გაიელვა სიბნელეში. ოდნავ წალოლდა იგი მიწაზე, — ფარების კარებისკენ მიიწია, გვერდზე მიწვა ჩალით შებურვილ კარებთან, და ის ის იყო ასანთმა ჩალის ერთი ღეროს გადაწვა მოასწრო, მაგრამ ჩაქრა. ბრაზი მოუფიდა ალექსის—რად მიჭრებო სინათლე. თან ღონე ელეოდა, თითები უსუსტდებოდა, — ალაზანი სისხლი სდიოდა ჭრილობიდან. მან უკანასკნელი ძალ-ღონე მოაკრიბა, და შეუქმა იელვა სიბნელეში, მაგრამ ეს ეხლა ასანთის სუსტი სინათლე კი არა, ჩალაზე ამრიალებული ალი იყო ცეცხლისა, რომელიც სწრაფად შემოედდა ფარების კედლებს.

ცეცხლი იკლავებოდა, ღმუოდა, ლულუნებდა და ფიცხად აღნობდა სახურავს. თანაც კვამლით ავსებდა ფარებს. ფარებში მყოფი ცხვარი ჯერ შეფრთხა, უკანა კედელს მიაწყდა, შემკრთალი თვალებით მიაშტერდა მოსულოდნელ სინათლეს, შეშინებული ბატკნები დედებს ამოეფარნენ, გატრვიანდნენ, თხები აფხუტუნდნენ და მთელი ფარა აბლავლდა საშინელი ბლავილით. ცხვარი ერთმანეთს მიეჭყლიტა, თითქოს ამით ცდილობს თავის გადარჩენასო,

შემდეგ ერთი ძალით კარებისაკენ გაიწია, მაგრამ იგი ჩაკეტილი იყო, თანაც ცეცხლის ალში გახვეული. ქურდივით შეპარული ალი შეაწყდა ბოსტანში მდგომ ფარას, შეცვლა მატყლი და უკანა კედელს შეიბნეოდა. მონაწილე მონაწილეები ბლავილით აბლავლდა ცხვარი.

ბლავილმა ალექსი შეაკრთო, უნდოდა წამომდგარიყო, ვაცლოდა ფარებს, აღარ მოესმინა პირუტყვის ცოდვა-ბრაღი, მაგრამ არ დასცალდა: ქურდივით შეკრული ფარა მიაწყდა კარებს და გამოლევია ნახევრად ჩამწვარი ლასტი. მონაწილეები ნახტომით გადადიოდნენ ცხვრები მის ზურგზე, ცეცხლწაქიდებული წინაფეხებით სცემდნენ ალექსის, თელავდნენ და ველად იფანტებოდნენ. ალექსი ბორგავდა, სული ხდებოდა. ცხვრები კი უფრო მწარდებოდნენ, უფრო შესაზარად ბლაოდნენ, ხელჩართულ ჩხუბში მოელვარე მახალციხეებით დაგელავდნენ უკუნ ღამეში და, თითქოს სამგლოვიარო მუსიკას ამღერებდნენ, შეთანხმებით ბლაოდნენ წინ მდგომნი, ხოლო უკან ჩამორჩენილი ნახევრად დამწვარი კვლავ ფეხით გლიდნენ უპატრონო პატრონს.

ღამე შეიცხადებდა უბედურებას, ბნელი უფრო ბნელდებოდა, შავი ნახტომით ეხურებოდა შირაქის ველს. ოდნავ მოსისინე ნიავი ელდად შეიკრებოდა საბინაოში, დამწვარი მატყლისა და კვამლის სუნი გაჰქონდა ველად. მინდვრად გაშლილი, ჯერ კიდევ ცეცხლიანი ცხვრის ფარა თავშესაფარს ეძებდა, ძაღლები უყეფდნენ გარშემო და წკმუტუნებდნენ გამწვარებულნი. ბინა ნახარავით დარჩა. დამწვარი ფარებიდან ამოსული შავი კვამლი ნისლივით წვებოდა. მკვდრულ სირუმეში მხოლოდ შორეული ბლავილი ისმოდა ცხვრისა, თითქოს ბათუს მოუწოდებდა საშველად.

ციხის პირის დაძვრის დროს დაბრუნდა ლეო ბინაში. მან შორიდანვე თვლი მოჰკრა დამწვარ ფარებს, ველად გაშლილ ცხვარს ცეცხლის ალს რომ შეეწითლებინა. მოღლილი, ფერგამკრთალი, თვალცრემლიანი შესდგა ფარების წინ ძმასთან, თოფის ტყეისა და ცხვრის ფარას რომ გაეთვლა. დაეყრდნო თოფს და ნაღვლიანად სთქვა:

— შენა ხარ დამნაშავე, ცოდვილო ალექსი, არ დაინდევია და რა ექნა ბათუს!..

ამ დროს სამუშაოზე გასულმა წითელწყაროს კოლმეურნეობის წევრებმა თვალი მოჰკრეს მინდვრად მიმავალ ცხენოსანს და გაოცებით დაუწყეს ჰერეტა: დილის მზის სხივებში გაელვებული ლურჯა წითლად მოსჩანდა შვენახნავეებში—სისხლით იყო შეღებილი, მხედარს ღონე ელვოდა, ძლივს იკავებდა თავს და შორს, შორს ჩრდილოეთის მხარეს გარდამავალი ღრუბელნი გაჰქვრიტა. ხარბად მიჰნატროდა: ღრუბელნი ალვანს გადაუვლიდნენ თავზე და იქ... იქ ნახავდნენ თუშის ქალს...

მხედარი ბათუ გახლდათ: მხარში დაეჭრა მდეგარს და ცხენს ეპატიო. ეხლა ღონე ელვოდა. ხალხი შეეგება, ჩამოიყვანეს ცხენიდან და გარშემო შემოეხვივნენ. ვინაობა ჰკითხეს და საჩქაროდ აფრინეს კაცი ეჭიმთან.

ბათუს იმედი მიეცა—კოლექტივის წევრები მოუვლიდნენ, მაგრამ ღონე მიხდილს სინათლე უქრებოდა, ბინდში დაძირულს, ელენეს სახე ედგა თვალ-

წინ, ელენე ხან უღიმოდა, ხან უწყურებოდა, მისი სახე იისფერ ბურთულში/გადა-
დიოდა და უნდობად ხდებოდა...

ეროვნული
ხელოვნება

თამი მისამი

გაზაფხულმა ფრთები გაშალა, აყვავდა მიდამო. ცხვარი კვლავ მოებს დაუბრუნდა. თავით მწყემსები გახდნენ ცხვრის პატრონებად: კოლექტივი ჩამოეყალიბებინათ, საერთო იყო ქონება და სიხარული...

ერთ დღეს სოფელი აღვანი გაზაფხულივით მოიკაზმა,—კოლექტივის წევრები ახალ ტანისამოსს იცვამდნენ, ირთვებოდნენ, სალხინოსკენ მიეჭარებოდნენ.

ის იყო თავი მოიყარეს სოფლის შუა ადგილას, რომ ალაზნის ველიდან შემოვარდნილმა ნიაგმა სალამურის ხმა შემოათამაშა სოფელში. წუთით ყველაფერი გაჩუმდა, ყველაფერი სმენად გადაიქცა და ალაზნის გაშლილ ველს გაუჭვრიტეს ველზე თეთრი ზვავები მოქანაობდნენ—ცხვარ-მწყემსი უახლოვდებოდა აღვანს. მოდიოდნენ და მოიძღვროდნენ; იმღეროდა ცხვარ-ბატკანი, მწყემსი და სალამური. მხიარული სოფელი უფრო გამხიარულდა, ქალები უფრო მოირთვნენ, დიასახლისები დაფაცურდნენ, გოგო-ბიჭებმა დაიარას დაპკრეს და ლხინს მიეცნენ...

ცხვარ-მწყემსი ნელ-ნელა მიუახლოვდა აღვანს. ბინდის ჟამს ვაცმა შეაბიჯა სოფელში. შეაბიჯა და შედგა: დოლ-გარმონის ხმა ეუცხოვა, ამაყად გადახედა ჯერ თოვლის ზვავივით მოწოლილ საქეჩოს, თითქოს ცკითხებო: ვიარო თუ არა, შემდეგ შეხედა გვერდზე ატუზულ მურა მყეფარს, სიდიდითა და სიფხიზლით რომ ეჯიბრებოდა, და ამაყმა ქეჩმა ჩვეულებრივ სიდიდით განაგრძო გზა, როგორც კი მწყემსის დაქადნება მისწვდა იმედად. მიდიოდა ნელი ნაბიჯით, მიწაზე მიათრევდა თეთრ, აბრეშუმისვით ბალანს, მარწუხა რქებით წითელი ბანტი მიჰქონდა,—მეკვლესა ჰგავდა, შორი გზიდან მოსულ მახარობელს. შარის პირად ჩამწკრივებული ქალ-ვაჟები იცინოდნენ და მღეროდნენ გახარებულნი: ცხვრის ფარებს ვაჟაკები მოჰყვებოდნენ, ტანშალალო ვაჟაკები, საესენი ძალღონითა და სიხალისით...

პირველ ფარას რამდენიმე ცხენოსანი კაცი მოსდევდა. ცხენოსანთ შორის სახე-მოღუშული ბათუ მოათამაშებდა რკინისფერ საფერხეს და იღუმლივ იშვირებოდა მართოს შვილების სახლისკენ. მან თვალი მოჰკრა ელენეს: ელენე სევდიანად უჭვრეტდა ბათუს. იხილა თუ არა ბათუ თავდახრილი, განშორდა ამხანაგებს და შინისკენ წავიდა, ეზოს კარებთან შედგა, შეხედა ბათუს, შეხედა მწყურალად და კარები შეიხურა...

ბათუმ ამაყად გადახედა კოლექტივის ფარებს: გაახსენდა სიღარიბე, სი-
ობლე, ელენეზე ფიქრით ჩამოლეული დღეები... ეხლა იგი ფერმის გამგე იყო, მაგრამ... ელენე... ფიქრი ნელი სიმღერის ხმამ შეაწყვეტინა:

ელენე ბალში შესულყო, ხეხილთ შორის მიარონივებდა მალალ ტანს და თავისთვის იმღეროდა:

„ქალი ვარ თუშთა მწოვათა,
სიტყვას ვერ ვამბობ მრცხვენისა;
ჩემი ძმაიმც ქნა ზეზკაი,
შვილიმც ქმნა დედი-ჩემისა“.

ბათუმ ცხენი შეაყენა, გადმოხტა. მახლობლად მდგომ მწყემსს გადაუგდო სადავე, — ელენესთან მისვლა სურდა, მაგრამ აღარ დასცალდა: საბჭოს თავმჯდომარე მივიდა მასთან:

— საბჭოში წამობრძანდი, ამხანაგო ბათუ: რაიკომის ინსტრუქტორს სურს თქვენთან მოლაპარაკება.

ბათუ შედგა, შეყოყმანდა, — გადახედა ელენეს: იდგა თავდახრილი ელენე, უღიმოდა ბათუს... ბათუს ლევა ფერმა გადაჰკრა: გაახსენდა ელენეს დამცინავე ღიმილი, ელენეს ნათქვამი: „მოჭამაგირე!“... ხელი ჩაიქნია.

— წავიდეთ! — უთხრა საბჭოს თავმჯდომარეს და იმედიანად გახედა სამწყემსოს: კოლექტივის ცხერის ფარები მოზვევებულაყვნენ სოფელში.

— შე მდიდარი ვარ! — ჩაიფიქრა ბათუმ. ყურადღება აღარ მიუქცევია ღიმილისთვის. არც მისი სიმღერა მოუსმენია...

ლადო ავალიანი

სამარყანელი სვამირის იხალი

ტყავადაკრულ, ოქროთი მოჭედებულ სქელ ყდაში ჩინებულად შენახულიყო ხელნაწერი წიგნი. მარტო ყდისაგან დაუცავ ნაპირებს წიგნისას დაჩნეოდა აღმოსავლეთის უდაბნოთა აღმურის კვალი...

ალტაცებით და შიშით ვფურცლავდი ხელნაწერს.

ყოველ გვერდს, ყოველ სტრიქონს დიდის გულმოდგინებით ვაკვირდებოდი. ყოველი ასო მაგონებდა შორეულ წინაპართა მხნე აჩრდილებს... ზოგი თითქო იჯდა, ისვენებდა, ზოგი თავდახრილი იდგა, ზოგი მალლა ხელაპყრობილი ამოდ შესცქეროდა თავსამკაულის სილურჯეში აქა-იქ ჩასმულ ვარსკვლავისებურ კიაფს კინოვარის წერტილებისას. ზოგან კი ერთმანეთზე მიჯრილი, მჭიდროდ გადახლართული ასოები ხელჩართული ბრძოლის სანახაობას მიშლიდნენ თვალწინ. აქა-იქ იოლად გასაჩრევ სტრიქონებს სიხარულისაგან ცრემლშორეული ვკითხულობდი, ისე ვაკვირდებოდი და მოხიბლული თვალთ ისე ვეაღერებოდი, როგორც დიდხნის უნახავ სიჭაბუკის დროინდელ მეგობრებს...

მღვრიე წყალივით ოდნავ გამქვირვალე პერგამენტის ფურცლებზე უხუნებელი ყავისფერი მელნით დაწერილი უკვდავი სტრიქონებისათვის ეამთა სიავეს ექვსასი უღმობელი წლის მანძილზე ოდნავაც არ შეეცვალა გადამწერის ხელით მინიჭებული ეშხი.

ახალი თავების დასაწყისში წიგნს ამკობდა ფერადი თავსამკაულები. კინოვარით დაწერილ ასომთავრულთა მიქნეულ-მოქნეული თავები, ხანაც ბოლოები, ბრძოლაში მტრების სისხლით ნაფერი ხმლებივით ელავდნენ. თავსამკაულის ფერადი ხაზები დიდის ოსტატობით და გემოვნებით იყო ერთმანეთში ჩახლართული. ხელნაწერის შვეულ-სუფთა ნაპირებზე წითელი, ყავისფერი და ცისფერი საღებავებით ეხატა ფრინველები, ყვავილები, საომარი იარაღი...

მატარებელში შევხვდით ერთმანეთს.

კუპეში ოთხნი ვიყავით. ოთხთაგან სამი უზბეკი იყო. ისინი საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოემგზავრებოდნენ. ორ მათგანს ზემო საწოლებზე ეძინა. მე და ჩემი მეგობარი უზბეკი მიუხედავად იმისა, რომ შუალამეს გადაცილებული იყო, მაინც ვფხიზლობდით და ადრინდელი შეხვედრების მოგონებებით ვირთობდით თავს.

იგი პოეტი იყო და, ცხადია, ზოგადი საუბრის, მოგონების შემდეგ, პოეზიასაც შეეცხეთ. „ვეფხისტყაოსანი“ გაიხსენა უმაღლეს.

იგი აღტაცებით ლაპარაკობდა მისი ავტორისა და პოემის დიდებულებიანი გმირების შესახებ... ბოლოს, „ვეფხისტყაოსანმა“ ერთი ზეპირგადმოცემაც მოაგონა.

... საქართველოში უკანასკნელი ლაშქრობის დროს მღვინეში შემოქრობით თემურის მეომრებს ქართველი მხატვარი. მხატვარი ისე თავს არ უფრთხილდებოდა თურმე, როგორც თან წაღებულ, ორივე ხელით მკერდში ჩაერულ წიგნს. მეომრებმა მხატვარი თემურის წინ წამოაჩოქეს და წიგნის შესახებაც მოახსენეს მბრძანებელს.

როგორც კი თემურმა წიგნს დახედა და შეიტყო — ტყვე მხატვარიო, უმაღვე ბრძანა — ავად ხელი არ ეხლოთ მისთვის; დანარჩენ ქართველ ტყვე ხელოსანთა ჯგუფისათვის მიემატებინათ და დაბრუნებისას თან წაეყვანათ სამარყანდში...

თემურის ურდოს გაჰყვა ტყვეც და წიგნიც... ისტორიას არ შეუნახავს თემურის მიერ წაყვანილი მხატვრის სახელი, რომელმაც უთუოდ სამშობლოს ნატვრაში დალია სული...

თქმულების დასრულებისთანავე მეგობარმა უზბეკმა ერთხელ კიდევ გადმომხედა ამობურთულ ქუთუთობიდან გამოშხირალი შავი თვალებით და ბარგის დასაწყობ ზემო თაროდან მოზრდილი ჩემოდანი ჩამოიღო.

ჩემოდანი მაგრათ ჰქონდა შეკრული, ეტყობოდა, არც ჩემთან შეხვედრას მოელოდა არც ჩემოდნის გახსნას აპირებდა, სანამ საქართველოში არ ჩავიდოდა. მის გახსნას კარგა ხანი მოანდომა. უსაზღვრო მოთმინებით აღქურვილმა სამარყანდელმა თავახდილ ჩემოდნიდან ფრთხილად ამოიღო ძვირფას ფარჩებში შეხვეული ნივთი. ნივთს დინჯად შემოხსნა ფარჩები და, ლოდინში ცნობისმოყვარობა აღძრულს, სქელყდიანი, ოქროთი მოჭედილი, ძველებური წიგნი მომაწოდა. წიგნი ფრთხილად ჩამოვართვი. ჯერ გარედან ვავსინჯე დაკვირვებით, ყოველმხრივ შევებრუნე ხელში, მერე ყდას შევეხე ორი თითით, გადავწიე, ყდას პირველი სუფთა ფურცელიც გადავაყოლე და მეორე ფურცელზე კინოვართ დაწერილმა სათაურმა თითქო ხელებში ღონე გამომაცალა, წიგნიც ათასჯერ უფრო მძიმე შეჩვენა... გადაშლილი წიგნი ფრთხილად დავდე ფანჯრის წინ მიმავრებულ პატარა მაგიდაზე და, მთელი არსებით შეპყრობილი, უფრო ახლოს დავაკეკრდი სასათაურო წარწერას.

აღარ შემეძლო არც ამზანავისათვის ხმის ვაცემა, რომ ჩემი სიხარული სიტყვით გამომეხატა, არც წიგნისათვის თვალის მოშორება. თითქო ადგილის და დროის შეგრძნობის უნარიც დავკარგე ამ წიგნის წარწერის, „ვეფხისტყაოსნის“ მხილველმა.

ალბათ, დიდხანს ვფურცლავდი პერგამენტის მუქ-ყვითელ ფურცლებიან წიგნს. ასო-ასო ვკითხულობდი ნაცნობ სტრიქონებს, ისევ და ისევ ვაკვირდებოდი თავსამკაულებს, ბოლოსამკაულებს. მხოლოდ გადაშლის დროს პერგამენტის ფურცლის ტაკუნნი მიბრუნებდა სიფხიზლეს, მაგრამ ფურცლის გადაშლისთანავე ისევ ვეძლეოდი თავდავიწყებას.

მეგობარი უზბეკიც აღტაცებით შემომცქეროდა. თითონაც უსაზღვროდ მოხარული იყო, რომ ასეთი სიხარულით ამავეს იმ ქვეყნის შეილი, რომლის ოცი ბედნიერი წლის მოსალოცად მოეშურებოდა თითონაც ბედნიერი და თავისუფალი...

თუშეცა ამით დასრულდა, მაგრამ... მაინც უსაზღვროდ კმაყოფილი ვიყავი ოცდაათს თებერვლის ღამეს, საოცნებო ფიქრებით გატაცებული და თავ-

დავიწყებული, შინ მიმავალი, როცა ეზოს კარს მივადექი, უმაღლეს დაიხშო ჩემს გონებაში ოცნების ბჭენი.

წინა დღით გაზეთში წავეკითხე — ჩემი მეგობარი უზბეკი ჩემი მოწოდების მისაღებად ჩამოსულიყო და ამ ცნობის შთაბეჭდილებით გამოწვეულ სიხარულს მიეწერებოდა უთუოდ ჩემი ოცნების თავისებურებაც.

ოცდახუთი თებერვლის საზეიმო დემონსტრაციის შემდეგ შევხვდი თუ არა მეგობარ უზბეკს, უმაღლეს ვუამბე ჩემი ნაოცნებარი...

გაიღიმა.

— საქართველოში ოცნებაც, ცხადიც, ლამაზი და იმედის შთამგონებელი ყოფილა! — მერმე ნათქვამს უფრო დინჯად და სასოების გამოშატველ კილოზე დაუმატა: — ვინ იცის, იქნებ მართლა აღმოვაჩინო!

სამარყანდელის ამობურცულ ქუთუთობებიდან გამოშვრალ შავ თვალებში რწმენისა და სასოების ნაპერწკალი ლეიოდა.

პან. ქაიხაძე

საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა

„ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელთა დიდი თანაგრძობა მიიზიდავს ახალ და ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ, რომ იგი ემსახურება არა მსუყე პეროიკას, არა სიმსუქნისაგან მოწყენილსა და შეწუხებულ „ზედათითათასებს“, არამედ მშრომელ მილიონებს და ათეულ მილიონებს, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენიერებას, მის ძალას, მის მომავალს“ (ლენინი, ტ. VIII, რუსული III გამოც. გვ. 386). — ამგვარად განმარტა უკვდავმა ლენინმა ჯერ კიდევ ოცდაათუთმეტი წლის წინად რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის ბუნება.

ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის აღმოცენებასთან ერთად გაიხსნა ახალი ერა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა: წარმოიშვა მუშათა კლასის ბრძოლასთან პირდაპირ და აშკარად დაკავშირებული მხატვრული მწერლობა, ამსახველი ჩვენი ეპოქის დიდი რევოლუციური ძვრებისა, გამგრძელებელი და გამაღრმავებელი წარსულის კულტურის საუკეთესო ტრადიციებისა — ჰუმანიზმის, ხალხურობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის გამარჯვებისაკენ სწრაფვის ტრადიციებისა.

გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი არის ფუძემდებელი და უდიდესი კლასიკოსი სოციალისტური ლიტერატურისა, რომელმაც თავისი სრული განვითარებისა და შეუჩერებელი აღმავლობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მოიპოვა დედამიწის ერთ მეექვსედზე დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

სოციალისტური ლიტერატურის მიერ დაგროვილი მთელი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება, ყველა სხვა კლასისა და ეპოქის მწერლობისაგან მისი განმასხვავებელი ძირითადი თავისებურებანი, მისი მთელი ისტორიული დანიშნულება და მოწოდება, მისი განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი გენიალური სიზუსტით და სისრულით გამოხატა დიდმა სტალინმა სოციალისტური რეალიზმის უაღრესად მკვეთრსა და ბრძნულ ფორმულაში.

საბჭოთა ლიტერატურა — სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობა სოციალიზმის — კომუნისმის უძლეველი იდეებით შთაგონებული მწერლობაა. იგი თვითონ წარმოადგენს ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა, იგი აყალიბებს და წვრთნის ჩვენი ხალხის სოციალისტურ შეგნებას. ამ აზრით უწოდა ამხანაგმა სტალინმა მწერლებს ადამიანის სულის ინეინრები. ამ ფი-

გურალურ გამოთქმაში უმაღლესი გამოხატულება პპოვა მწერლობის სოციალურმა დანიშნულებამ, ხალხის ცხოვრების სინამდვილესთან მწერლობის აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობის იდეამ.

სოციალისტური რეალიზმი გულისხმობს სინამდვილის ისეთი სიღრმით, სისრულითა და სიმართლით გამოხატვას, როგორც მიღწეული იქნებოდა ყოველი სხვა კლასის, ყოველი სხვა ეპოქის მწერლობისათვის. მხოლოდ უკლასო, კომუნისტური საზოგადოების მშენებელ ხალხს შეუძლია შექმნას ლიტერატურა, რომელიც სრული ობიექტურობით, ყოველგვარი ცალმხრივობისა და შეზღუდულობის გარეშე აითვისებს და ასახავს სინამდვილეს მის რევოლუციურ განვითარებაში, გასცდება ვიწროდ გაგებული რეალობის ჩარჩოებს და გამჭირაბი თვალთ შეხედავს ზეალინდელ დღეს, რათა ცოცხლად თვალწინ დაგვიყენოს ჩვენი საბრძოლო იდეალების სრული და საბოლოო განხორციელების პერსპექტივა, განასახიეროს ჩვენი მშვენიერი და კეთილშობილი ოცნება მომავალზე, რომელიც ფუჭი და უტოპიური ფანტაზიისაგან განსხვავებით — აღმოცენებულია ჩვენი სინამდვილის წიაღში გამოვლინებულ რეალურ შესაძლებლობათა საფუძველზე.

საბჭოთა მწერლობის სტალინური შემოქმედებითი მეთოდი სოციალისტურ რეალიზმთან ათავსებს რევოლუციურ რომანტიზმის ლოზუნგსაც. ამ მთავრდება ისტორიული ბრძოლა საკაცობრიო კულტურის მთელს მანძილზე დაპირისპირებული ორი ძირითადი მიმდინარეობისა — რეალიზმისა და რომანტიზმისა. არსებულ სინამდვილის განმტკიცებისა და ცხოვრების შემდგომი სრულყოფისათვის მებრძოლი სოციალისტური ლიტერატურა მიემართება კაცობრიობის მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების უმაღლესი სინთეტიური ფორმებისაკენ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების უმაღლეს ფორმას — კომუნისტურ საზოგადოებას.

ასეთ საფუძველზე ვითარდება მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურა — ერთიანი თავისი ძირითადი იდეური მიზანმიმწრაფებით — თავისი სოციალისტური შინაარსით და შეუდარებლად მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული გამოსახულების საშუალებებით — შემოქმედების ნაციონალური ფორმებით.

საბჭოთა მწერლობის პირველ საკავშირო ყრილობაზე მაქსიმ გორკი ამბობდა: „საბჭოთა ლიტერატურა არ წარმოადგენს მარტო ლიტერატურას რუსულ ენაზე, ეს — სრულიად საკავშირო ლიტერატურაა“. ქართული საბჭოთა მწერლობა ორგანიული ნაწილია ამ სრულიად საკავშირო სოციალისტური ლიტერატურისა. იგი ანარეკლია და გამოხატულება ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა კომუნისმის საბოლოო გამარჯვებისათვის; იგი გავრძელება და თვისობრივად ახალი საფეხური ქართული ლიტერატურის, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა.

ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ოცქლოვანი გზა ორგანიულად არის დაკავშირებული და შედუღებული საბჭოთა საქართველოს ზრდისა და წინსვლელობის სახელოვან ეპოპეასთან. ჩვენს სამშობლოში სოციალიზმის ძლევაშისილი მშენებლობის დიადი ყოველდღიურობა შეადგენდა და შეადგენს ქართული საბჭოთა მწერლობის შთაგონების უპირველეს წყაროს, მისი თემებისა და იდეების, მისი სახეებისა და ჰანგების ხასიათის განმსაზღვრელ საფუძველს.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველაზე დიდ და ბრწყინვალე ეპოქის მწერლობა — ქართული საბჭოთა მწერლობა უდიდესად ნოვატორული მოვლენაა მშობლიურ ლიტერატურის მთელ განვითარებაში.

ქართული კულტურის ისტორიის ვერც ერთ ეპოქაში ჩვენ ვერ ვნახავთ შემოქმედებითი ძალების ისეთ სიუხვესა და მრავალფეროვნებას, მათი ზრდისა და დაწინაურების ისეთ ტემპებს, მწერლობის თემატიკისა და სტილობრივ-ეპარობრივი ბუნების ისეთ ფართო დიაპაზონს, როგორც დამახასიათებელია საბჭოთა ეპოქის ქართულ ლიტერატურისათვის.

სოციალისტური რევოლუციის დიადმა ეპოქამ, ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებამ ხელფეხი გაუხსნა და აქტიური მოქმედების უფართოესი სარბიელი გადაუშალა საუკუნეთა მანძილზე ხალხის ხელოვნურად შებორკილსა და ნაძალადევად ჩახშობილ შემოქმედებით ძალებს.

მწერლობის განვითარების, მისი სრული ხმით ამტყველებისა და ცხოველყოფილობის უპირველეს საწინდარს ხალხთან მისი ცოცხალი კავშირ-ურთიერთობა წარმოადგენს. წარსულში მხატვრული სიტყვის უდიდესი გენიოსებისათვისაც კი ძნელი იყო ხალხის აზრთან და გულთან მიღწევა. საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის გენიალური ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის სიცოცხლეში ვერ ეღირსა თავისი ვერც ერთი პოეტური ქმნილების დასტამბვას. ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის არტახებში შებოქვილ მე-19 საუკუნის დიდ ქართულ მწერლობას ხელოვნურად დახშული ჰქონდა გზა ხალხის ფართო ფენებისაკენ. ასეთ პირობებში პოპულარობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო და ისიც ყოველთვის ხანგრძლივ და თავდადებულ ბრძოლასთან იყო აუცილებლად დაკავშირებული.

მხოლოდ ჩვენს ეპოქაში, ხალხის კულტურული ამოძრავებისა და დაწინაურების პირობებში გახდა შესაძლებელი მწერლობის გადაქცევა მასების ნამდვილ კუთვნილებად. მწერლის ყოველ სიტყვას დღეს გახსნილი აქვს გზა მთელი ქართველი ხალხის ცნობიერებისაკენ. იგი უჩვეულო სისწრაფით აღწევს ჩვენი ქვეყნის უკიდურესად შორეულ კუთხეებშიც კი და აქტიურად მონაწილეობს ხალხის სულიერი ცხოვრების ფორმირებაში. არასოდეს ხალხისა და მწერლობის კონტაქტს არ მიუღწევია ასე ფართო მასშტაბისათვის. მაგრამ დღეს ქართული მწერლობის აუდიტორიას მარტო ქართველი ხალხი როდი წარმოადგენს. კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის ყოველი საუკეთესო ქმნილება ეხლა ჯღერს ჩვენი დიადი საშობლოს თვალუწყდენელ მიწა-წყალზე მოსახლე ხალხთა ენებზე. ეს უკვე სრულიად ახალი მოვლენაა ქართული კულტურის ისტორიაში. მრავალი საუკუნის მანძილზე ქართული მხატვრული სიტყვის შემოქმედების სარბიელი შემოფარგლული იყო ქართველი მკითხველი საზოგადოების ვიწრო წრით. ეს წინააღმდეგობა ერის კულტურულ-შემოქმედებითი პოტენციასა და ქართული კულტურის სამოქმედო ასპარეზის ჩარჩოებს შორის წარმოადგენდა ჩვენი კულტურის ნამდვილ ტრაგედიას წარსულში.

ეხლა ქართული კულტურა, კერძოდ ქართული მწერლობა გამოსულია ფართო საკავშირო, და მამასაღამე, საერთაშორისო სარბიელზე და მას შემქმნილი აქვს ყველა პირობა იმისათვის, რომ თავისი პოტენციისა და ნიჭიერების შესაფერი ხვედრითი წონა მოიპოვოს მთელი მოწინავე კაცობრიობის

სულეერ ცხოვრებაში. ამ გარემოებას პირველხარისხოვანი მწიგნულობა აქვს ნაციონალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით, იგი ათარტოვებს ჩვენი მწერლობის თვალთახედვის არეს და მასშტაბს, იგი ხსნის ნაციონალური კარჩაკეტილობისა და შეზღუდულობის საშიშროებას ქართულ მხატვრულ აზროვნებაში. სპობს იმ ცალმხრივობას, რომლითაც ხანგრძლივად განისაზღვრებოდა ქართული კულტურის ურთიერთობა რუსეთისა და დასავლეთის კულტურულ ცხოვრებასთან.

კლასიკური ქართული მწერლობის უდიდესი კორიფეები, იშვიათი გამოწაკლისის გარეშე, გამოსული იყვნენ ფეოდალურ-არისტოკრატიულ წოდებშიდან. იმისათვის, რომ მათ გაეგოთ ხალხის ტკივილები, ჩასწვდომოდნენ ხალხის აზრებსა და გრძნობებს და სიმართლით გამოეხატათ ხალხის ცხოვრება, საჭირო იყო, რომ ისინი ვათიშვოდნენ საკუთარ კლასს, დამღვარიყვნენ თავისი წარმომშობი კლასის ინტერესებისა და მსოფლმხედველობის დონეზე მალლა. მრავალი ასეთი შემთხვევა იცის როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ისე ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიაში. მაგრამ ცხადია, რომ თავისი ეპოქისა და სოციალური გარემოცვის რკალის ასეთი რაინდული გარღვევა შეეძლოთ მხოლოდ ერთეულებს, მხოლოდ განსაკუთრებულად დიდბუნებოვან ადამიანებს.

სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში აღზრდილი მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასა თვით ხალხის წიაღიდან არის გამოსული. იგი თავისი წარმომშობით, მსოფლმხედველობით, ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი ბიოგრაფიით მჭიდროთ არის დაკავშირებული ხალხის ცხოვრების ყოველდღიურობასთან. ბუნებრივია, რომ ეს გარემოებაც უადვილებს თანამედროვე მწერლობას ცოცხალი სინამდვილის სწორად დანახვისა და გავების, მისი სიმართლით გამოხატვის ამოცანას, რაც მხატვრული ლიტერატურის უმთავრესი მოწოდებაა და დანიშნულება.

მწერლის კონფლიქტი თავისი დროის სოციალურ სინამდვილესთან, მისი მტრული განწყობილება და გულისწყრომა საზოგადოებრივი გარემოცვისადმი წარმოადგენდა კლასიკური ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციათა საფუძველს. გამოხატავდნენ რა სოციალური და ეროვნული მონობით განაწამებ ხალხის სულისკვეთებას, ქართული მწერლობის დიდი კლასიკოსები ზიზლით და მღელვარე მძულვარებით შესცკეროდნენ სინამდვილეს, ან გაურბოდნენ მას და იდეალიზირებული წარსულის წიაღში, რომანტიკულად ათვისებულ ბუნების სიდიადეში, თუ პირად-ინტიმურ განცდათა სფეროში ეძებდნენ თავშესაფარს თავისი აღმფოთებული სულისკვეთებისათვის, ან კიდევ იძლეოდნენ არსებული სინამდვილის მძაფრად მამხილებელ, კრიტიკულ, უარყოფელ გამოხატულებას.

ასეთი იყო ქართველი რომანტიკოსების დიდი პლეადის პოეტების, ქართული კლასიკური რეალიზმის სახელოვანი მწერლობის და საერთოდ წარსულის ყოველი დიდი ქართველი მწერლის ურთიერთობა სოციალური სინამდვილის მიმართ.

საბჭოთა ეპოქაში ძირფესვიანად შეიცვალა მწერლის დამოკიდებულება თავისი ხედვისა და ხატვის ობიექტთან — თავისი ხალხის ცხოვრების ცოცხალ სინამდვილესთან. მოიხსნა კონფლიქტი და წინააღმდეგობა მწერალსა და სოციალურ გარემოცვას შორის. თანამედროვე ჩვენი ლიტერატურა ცხოვრების, არსებული სინამდვილის გამამტიციებელი ლიტერატურაა. იგი მხარს

უჭერს და იცავს ჩვენი ეპოქის მიერ ხალხის ცხოვრებაში მოტანილ განახლებებსა და ძვრებს, იგი გვაძლევს ამ ძვრების აპოლოგეტურ გამოხატულებას, ხოლო სინამდვილის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პრაქტიკულ ვითარებას განსახიერებისათვისაც თანამედროვე მწერალი თვით ჩვენი ცხოვრების წიაღში პოულობს საფუძველსა და პოტენციურ შესაძლებლობებს.

ამ გარემოებამ მოსპო ქართულ ლიტერატურაში მისი მთელი ისტორიისათვის დამახასიათებელი სევდისა და განწირულების განწყობილებანი და ჩვენს მწერლობაში ჯანსაღი ოპტიმიზმი, ნათელი რწმენა, ხალისითა და იმედით აღბეჭდილი პანგები და საღებავები დაამკვიდრა.

რა თქმა უნდა შეცდომა იქნებოდა თუ ვიტყვიდით, თითქოს მთელი ქართული მწერლობა წარსულში უიმედობისა და სასოწარკვეთილების გრძნობით ყოფილიყოს გამსჭვალული. პირიქით. ქართველი ხალხის უტეხი ნებისყოფა, მისი გმირული და ვაჟკაცური მებრძოლი სული მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ქართულ კლასიკურ მწერლობაში. მაგრამ ამასთანავე რამდენი სევდა და მწუხარება გამოსჭვივის თვით ისეთ მებრძოლ და გმირულ პოეზიაშიც, როგორცაა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას შემოქმედება? ეს საკვებით ბუნებრივიც იყო უფლებაახდილი და უსაზღვროდ დამონებული ხალხის სულისკვეთების გამომხატველი მწერლობისათვის.

თავისუფალი და აღორძინებული ქართველი ხალხის თანამედროვე ლიტერატურა ძლევამოსილი ბრძოლისა და შრომის, დიადი სოციალისტური მშენებლობის პეროიკით არის გამსჭვალული.

საკმარისია გავითვალისწინოთ თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ერთერთი დიდი ფიგურის — ვალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომ ჩვენთვის ნათელი ვახდეს, თუ როგორ შეიცვალა უახლოეს ქართულ პოეზიაში სევდისა და განწირულების მოტივები, განახლებული ცხოვრებისადმი მიძღვნილ, რწმენითა და ხალისით აღბეჭდილ აღტაცებულ პანგებად.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებულმა სოციალურ ძალთა ახალმურთიერთობამ ძირფესვიანად შესცვალა მწერლობის გმირის ხასიათიც. მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის ყველა დამახასიათებელ ნაწარმოებში განსახიერებელია მწვავე კონფლიქტი და წინააღმდეგობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის. დადებითი გმირები ჩვენი კლასიკური ლიტერატურისა განწირული არიან დასაღუბავად და იღუპებიან კიდეც ტლანქ და დაუნდობელ საზოგადოებრივ გარემოცვასთან შეჯახებაში. ასე ნადგურდებიან ილია ჭავჭავაძის, ვაჟა ფშაველას, გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა დადებითი პერსონაჟები, რომ არ ვილაპარაკოთ უკვე გასული საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის იმ მწერალთა შემოქმედების შესახებ, რომლებიც საერთოდ სკეპტიკურად შესცქეროდნენ ქვეყანას და მხატვრულად ასაბუთებდნენ პიროვნების ყოველგვარი ეთიკოლოგიური განზრახვისა და მისწრაფების დასაღუბავად განწირულებას.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემის სრულიად სხვაგვარ გადაწყვეტას გვაძლევს თანამედროვე ქართული მწერლობა. ლეო ქიაჩელის რომანის „გვალი ბიგვას“ მთავარი გმირი — წარსულში უკიდურესად დაბეჩავებული და გატეხილი ადამიანი, აღსდგა, წელში გაიმართა და უმაღლეს ადამიანურ ღირსებებში აღიჭურვა სწორედ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის — საკოლმეურნეო სოფლის გამარჯვებისა და წარმატება-

თა საფუძველზე. სოფლად ახალი სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ფორმების გამარჯვებამ აქცია სოფლის მოწინავე ადამიანად კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანის „მთვარის“ გმირი მექი, რომელსაც ძველმა ქველმოქმედმა არავინ სთვლიდა. ადამიანის პირადი ბედი თანამედროვე ქართულ მწერლობაში არამც თუ არ უპირისპირდება საზოგადოების, კოლექტივის ბედნიერებას, არამედ მისი პირადი კეთილდღეობა, პირდაპირ გამომდინარეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ისტორიული ძვრებისაგან, ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური ცხოვრების განმტკიცებისა და შეუჩერებელი აღმავლობისაგან. ამ ნიღბაგზე გამარჯვა კონსტ. გამსახურდიას რომანის „მთვარის მოტაცების“ გმირმა — კომკავშირელმა არხაყან ზვამბაიამ. ხალხის მიერ თავის საბრძოლო ამოცანათა წარმატებით განხორციელების საფუძველზე შექმნილმა საზოგადოებრივმა განწყობილებამ გაუქარვა პირადი მწუხარება და აღუდგინა შერყეული სულიერი სიმტკიცე ალიო მაშაშვილის პოემის „ენგურის“ გმირს ბურდუ შელისა. საკოლმეურნეო სოფლის განმტკიცებამ აქცია სახელოვან ადამიანად სილატაკესა და უმეცრებაში გამოზრდილი სოფლელი გოგო გვირისტინე — პოლიკარპე კაკაბაძის კომედიაში „კოლმეურნის ქორწინება“. საუკუნოებრივ მონობიდან ხალხის განთავისუფლებამ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მისცა პირადი ბედნიერება რაქდენ გვეტაძის მოთხრობის „თეოს“ გმირს — მიჩხას. ამგვარადვე გადაწყვეტილი ადამიანის პირადი ბედისა და საზოგადოებრივი ვითარების ურთიერთობის პრობლემა ალ. ჭეიშვილის რომანში „ლულო“ და საერთოდ თანამედროვე ქართული მწერლობის ყოველ დამახასიათებელ ნაწარმოებში.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა მთელი თავისი შემოქმედებით ენერგიით მიისწრაფვის მხატვრულად დაასაბუთოს დადებითი გმირის — ახალი ადამიანის გამარჯვება, მისი ზრდა და ძლევა მოსილება, რაც ბუნებრივად გულისხმობს მომავლად რეაქციულ სამყაროსთან განუყოფელად შეზრდილ „ყოფილ ადამიანთან“ დამარცხებას და დაღუპვას.

საკოლმეურნეო წყობილებისადმი ზიზით გაცოფებული, შენიღბული კლასობრივი შტრის — არჩილ ფორიას განადგურება ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვაში“ განასახიერებს საერთოდ რეაქციული სამყაროს უკანასკნელი ნაშთების გაცმტვერებას ჩვენს ქვეყანაში. ამავე აზრს ასაბუთებს კონსტ. გამსახურდია თავისი რომანის „მთვარის მოტაცების“ გმირის — ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშეირის — თარაშ ემხვარის დაბრჩობით ენგურის მოზღვავებულ ტალღებში. ასე იღუპებიან დემნა შენგელაიას „სანავარდოს“, სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარის“ პერსონაჟები. ძველი სამყაროს სასიკვდილოდ განწირულების განმასახიერებელი მონუმენტალური სახე დახატა შალვა დადიანმა ტრაგედიაში „თეთნულდი“, ბნელ, პატრიარქალურ ადამ-ჩვეულებებზე გაჯიუტებული ადამიანის — არგიელის სახით.

თვით ხალხი, სოციალისტური ცხოვრების მშენებელი ხალხი წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის მთავარ გმირს, რომელიც არა მარტო ტიპურ-სახეებში პერსონიფიკაციის ფორმით, არამედ ხშირად უშუალოდ მოქმედებს მთელ რიგ თანამედროვე რომანებში, მოთხრობებში, დრამებში, როგორც ნაწარმოების სიუჟეტის მამოძრავებელი აქტიური ძალა. ე. წ. „მასიური სურათები“ აუცილებელ ელემენტად გადაიქცა თანამედროვე რომანებისა, დრამებისა და პოემების სიუჟეტური კომპოზიციისათვის.

ცნობილია, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის ერთერთ უმთავრესი მამოძრავებელი იდეა — სამშობლოსადმი სიყვარულისა, პატრიოტიზმის იდეა, ძველ ქართულ ლიტერატურაში განსახიერდებოდა ან როგორც გოდება დაკარგულ სამშობლოზე, ან როგორც შთაგონებული ოცნება მშობელ ქვეყნის აღორძინებასა და განთავისუფლებაზე.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა აღფრთოვანებულ პიმნს უმღერის ჩვენს აღორძინებულ და უძლეველ სამშობლოს და მის მიერ დახატულ ყოველ პოეტურ პეიზაჟშიც დედა-სამშობლოს განახლებისა და მასში დამკვიდრებული მზიური ცხოვრების სინამდვილეა განსახიერებული.

მთელი ჩვენი ქვეყანა — საბჭოეთის თვალწევდენი მიწაწყალი, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ცხოვრება შეადგენს ქართული საბჭოთა მწერლობის პატრიოტულ შთაგონების საგანს. პოეტმა სიმ. ჩიქოვანმა ერთერთ თავის ადრინდელ ლექსში საბჭოთა რუსეთს მიმართა: „დიდო ქვეყანავ, სამშობლო ხარ ჩემი სამშობლო“. კარლო კალაძემ ბალადაში „გვიჩვენა, თუ როგორის თავდადებათ იცავს ახალგაზრდა გურული თავის სამშობლოს საბჭოთა კავშირის შორეულ-აღმოსავლეთის საზღვრებზე. სამშობლოს ცნების ასეთი ფართო გაგება დამახასიათებელია მთელი თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის.

კლასიკური ქართული მწერლობის ინტერესი და ყურადღებაც არ ყოფილა შემოფარგლული მარტო ქართველი ხალხის ცხოვრების თემებითა და პრობლემებით. ცნობილია, რომ ჩვენი დიდი წინაპრები აქტიურად ეხმარებოდნენ ყოველ დიდ მნიშვნელოვან მოვლენას მთელი მოწინავე კაცობრიობის ცხოვრებაში. მაგრამ მოძმე ხალხთა ცხოვრების ასახვა მხატვრულ ნაწარმოებში მხოლოდ საბჭოთა ეპოქის მწერლობაში გადაიქცა ჩვეულებრივ და ტიპიურ მოვლენად.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი მიძღვნილი საბჭოთა უკრაინისადმი, ილო მოსაშვილის და ალ. ქუთათელის ბელორუსული ლექსები, კონს. ლორთქიფანიძის და რაჟდ. გვეტაძის მოთხრობები ბელორუსი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის თემებზე და მრავალი სხვა ნაწარმოები თანამედროვე ქართული მწერლობისა ნათლად გვიჩვენებენ ჩვენი ლიტერატურის თემატიური დიპაზონის გაფართოვებას, მასში მოძმე ხალხთა ყოფაცხოვრების თემატიკის სულ უფრო და უფრო ფართოდ შემოსვლასა და დამკვიდრებას, რაც შესანიშნავი გამოხატულებაა მწერლობის დარგში ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეის განხორციელებისა.

თუ ისტორიულად ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული იყო პოეტური ეპოსის უპირატესობა ლიტერატურული შემოქმედების სხვა სახეობებთან შედარებით, თანამედროვე ქართულ მწერლობაში, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ მოხსნილია ლიტერატურული პროცესის ამგვარი ცალმხრივობა და მიღწეულია ერთგვარი წინასწორობა მწერლობის ძირითად ეპარებს შორის.

სოციალისტური სინამდვილის ტიპიურ სახეებსა და ტიპიურ სიტუაციებში ასახვის მისწრაფებამ აუცილებელი გახადა მხატვრული პროზის აღორძინება ჩვენს მწერლობაში. მისი ყოველი სახეობის — რომანის, მოთხრობის, ნოველის, ნარკვევის განვითარება. კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით მცირე იყო დრამატურგიული ეპოსის ხვედრითი წონა. თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ორიგინალურმა ქართულმა დრამატურგიამ განმსა-

ზღვრელი როლი მოიპოვა ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში და მისი საუკეთესო ქმნილებანი, თავიანთი იდეურთემატიური აქტუალობებით და ლიტერატურული ღირსებებით დამსახურებულად იქვეყნებოდნენ ადგილს თანამედროვე ქართული პოეზიისა და ბელეტრისტიკის საუკეთესო ქმნილებათა გვერდით

არა მარტო მხატვრული პროზისა და დრამატურგიის განვითარებამ გააფართოვა თანამედროვე ქართული მწერლობის ამსახველობითი და მომთხრობელობითი შესაძლებლობანი, არამედ თვით პოეტური კულტურის ევოლუციაც უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარეობს ლირიკული ეპოსის ჩარჩოების გადალახვისა და პოეზიაში პლასტიური სურათებისა და სიუჟეტური კომპოზიციების დამკვიდრების მიმართულებით.

ჯერ კიდევ სათანადო ძალით არ აღდგენილა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში კლასიკური ქართული პოეზიის დიდი ეპიური ტრადიციები. თანამედროვე ქართველ პოეტების მიერ დღემდე დაწერილი პოემები გ. ლეონიძის „სტალინი“, ალ. შაშვილის „ენგური“, ვალ. გაფრინდაშვილის „ზღვა და ბელადი“, რაფ. გვეტაძის „ოქროს ვერძი“, სანდრო ელის „ეპოქის ავტორი“, გრ. აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ და სხვ. წარმოდგენენ მხოლოდ დაწყებითი საფუძვლებს თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსის აღორძინებისა.

სამაგიეროდ მთელს ქართულ საბჭოთა პოეზიაში ფართოდ არის გავრცელებული ბუნებისა და ყოფაცხოვრების ამსახველი პლასტიური სურათებისა და ფაბულურ საფუძველზე აღმოცენებული სიუჟეტის შემცველი ლექსები. საკმარისია გავიხსენოთ ალიო შაშვილის „მეგობრები“, სიმ. ჩიქოვანის „უშგულის კომკავშირი“ და „შემოდამება ხახმატში“, ირ. აბაშიძის „გადარჩენის ბალადა“ და „წულუკიძის სიკვდილი“, კარლო კალაძის „იმერული მოთხრობა“ და „ხერთვისის განთიადები“, კონსტ. ჭიჭინაძის „მარინა რასკოვა“, ალ. გომიაშვილის „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“ და „ბალადა გამოსაღმებისა“, რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს თანამედროვე ქართული პოეზიის მისწრაფება — არა მარტო ლირიკულ მოტივებში გამოხატოს საბჭოთა ადამიანის განცდები და განწყობილებანი, არამედ ასახოს და გვიჩვენოს კიდევ ჩვენი დიადი თანამედროვეობისა და ხალხის გმირული წარსულის პოეტური სურათები.

დღეისათვისაც ძალაში რჩება დებულება საერთოდ საბჭოთა მწერლობისა და კერძოდ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ჯერ კიდევ დაუძლეველი ჩამორჩენილობის შესახებ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ტემპებისა და გაქანებისაგან. უდავოა, რომ ჩვენს გმირულ სინამდვილეს და მის შესანიშნავ ადამიანებს ჯერ კიდევ არ უპოვიათ შესაფერისად ღრმა და სრული გამოხატულება ჩვენს ლიტერატურაში. მაგრამ უდავოა ისიც, რომ საბჭოთა მწერლობა სულ უფრო და უფრო უახლოვდება თავისი ამ ისტორიული ამოცანის განხორციელებას და ამ მიმართულებით განვითარებაში იგი უფრო და უფრო მეტი სისრულით აქცევს თავისი მხატვრული მხედველობის ორბიტში ჩვენი ხალხის ცხოვრების ყოველ პროცესს, ყოველ სფეროს.

აღორძინებული ქართველი ხალხის მთელი ცხოვრება, საბჭოთა საქართველოს მთელი მიწაწყალი მოქცეულია ქართული საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი ხედვის არეში. საქართველოს განახლებულ დედაქალაქს — ახალ თბილისს უმღერა მთელმა ქართულმა თანამედროვე პოეზიამ. იგი ასა-

ხულია ქართველ საბჭოთა პოეტებისა და ბელეტრისტების მთელ რიგ ქმნილებებში. კოლხეთის ველზე გაშლილი გმირული ბრძოლა ქართველ მშრომელი ხალხისა გადაიქცა მთელი ქართული ლიტერატურის შემოქმედებითი შთაგონების საგნად. ამ თემას მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 20 წლისთავთან დაკავშირებით შექმნილი დიდი კოლექტიური წიგნი ქართველი საბჭოთა მწერლების ლექსებისა, პოემებისა და მოთხრობებისა. საქართველოს მთიან რაიონებში, ოდესღაც განსაკუთრებით მივარდნილსა და ჩამორჩენილ პერიფერიულ კუთხეებში — აჭარაში, ფშავ-ხევსურეთში, სვანეთში, ძველი პატრიარქალური ყოფაცხოვრებითი ტრადიციების რღვევა და ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე, ერთერთ მთავარ თემას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ მწერლობაში. განსაკუთრებით ფართო შემოქმედებითი გამოძახილი და გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა ქართულს პოეზიაში, პროზაში და დრამატურგიაში სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის, საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების პროცესში.

პროლეტარული რევოლუციის წლებში საქართველოს მიწაწყალზე აღმართნენ სოციალისტური ინდუსტრიის ახალი გიგანტები, რომელთაც არა მარტო ძირფესვიანად შესცვალეს ქვეყნის ეკონომიკა და ღრმა ძვრები გამოიწვიეს ხალხის სულიერ ცხოვრებაში, არამედ ამასთანავე სახე უცვალეს ჩვენი ქვეყნის ლანდშაფტსაც კი. ქართველი ხალხის ისტორიის ეს დიდი მოვლენა ჯერ კიდევ არ არის შესაფერისი სიღრმით ასახული ქართულ მწერლობაში. ეს ალბად იმიტაც აიხსნება, რომ ამ მხრივ კლასიკურ ქართულ მწერლობას არ გადმოუცია თანამედროვე ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი ტრადიციები. მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული აღმავლობის თემაზე დაწერილია რამდენიმე რომანი (პ. ჩხიკვაძის „სართულები“, ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, ბ. ჩხეიძის „ფერო“ და სხვ.) ხოლო სოციალისტურ დაზგებზე დანთებული შრომის გმირული მუსიკა ღრმად არის შესული თითქმის ყოველი თანამედროვე ქართველი პოეტის შემოქმედებაში.

ახალი, ხალხური ინტელიგენციის ზრდა და ჩვენი ქვეყნის კულტურული აღმავლობა, ჩვენი სამშობლოს სამხედრო-თავდაცვითი ძლიერება და ჩვენი მშობლიური წითელი არმიის ცხოვრებისა და ბრძოლის თემები სულ უფრო მეტის ინტენსივობით მკვიდრდებიან ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელსაც ასე თუ ისე გამოხატულება და გამოძახილი არ ეპოვოს ქართულ საბჭოთა მწერლობაში. დიადი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფს — საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების არჩევნების სახალხო-სადღესასწაულო დღეებს ქართული მწერლობა გამოეხმაურა ლექსებისა და მოთხრობების სპეციალური კრებულებით, რომლებიც ღრმა პატრიოტული გზნებით არიან აღბეჭდილნი. არქტიკის დაპყრობის გმირული ეპოპეია, ჩვენი ქვეყნის სტალინური შევარდნების სარეკორდო გადაფრენები, იაპონელ სამურაებთან, თეთრ ფინელებთან და პანური პოლონეთის ჯარებთან ბრძოლის სახელოვანი ეპიზოდები, რომლებმაც სამუდამოდ წარუშლელი შარავანდლით შემოსა ჩვენი მშობლიური წითელი არმიის საბრძოლო დროშები — ყველა ეს მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა დაუყოვნებლივ პოულობენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, მართალია არა სათანადოდ ღრმასა და სრულყოფილს, მაგრამ წრფელსა და შეგნებულ გამოძახილს.

ჩვენი შეუღარებლად რთული და მდიდარი თანამედროვეობის ხანა ერთოდ და ყოველმხრივად ასახვის მისწრაფება უკვე თავისთავად მოიხსენიებს ჩვენი ლიტერატურის განვითარებას სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე, რაც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს სინამდვილის ათვისებებს მთელს მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობაში.

მაგრამ ქართული საბჭოთა მწერლობა თავისი ისტორიის არც ერთ პერიოდში არ შემოფარგლულა ვიწროდ გაგებული დღევანდლობის და თანამედროვეობის თემატიკით. ჩვენი ხალხის ახლობელი თუ შორეული წარსულის თემატიკას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთელს განვითარებაში.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ყოველთვის შეადგენდა ქართული ლიტერატურის შემოქმედებით გატაცების საგანს. მაგრამ არსებითად თავისებური და ახლებური თვალთახედვით შედის საბჭოთა მწერლობა ჩვენი სამშობლოს წარსულის წიაღში. ავიღოთ მაგალითად, მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის დამოკიდებულება ქართველი ხალხის ისტორიისადმი. ისტორიული თემატიკა ამ ეპოქის ქართული მწერლობისათვის წარმოადგენდა ერთერთ საშუალებას იმისათვის, რომ იდეალიზირებული წარსულის წარმტაცი სურათების დახატვით უფრო მკაფიოდ გამოველინებია ცარიზმის მიერ დამონებული ქართველი ხალხის ცხოვრების მთელი სიღუბე-ჭირე. გადასულ ეპოქათა საუკეთესო ადამიანების საგმირო საქმეთა მაგალითებზე სცდილობდნენ გასული საუკუნის დიდი ქართველი პოეტები გაეღვივებიათ ხანგრძლივი მონობით წელში გატეხილი ხალხის შეგნებაში მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთება.

თანამედროვე ქართული მწერლობა საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყნის რბევა-აწიოკების, მისი სუსხიანი და მძიმე ისტორიული წარსულის ასახვით კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს ჩვენი თანამედროვეობის მთელ სიდიადესა და ბრწყინვალეობას. ჩვენი სამშობლოს განახლებისა და აღორძინების ეპოქის — სტალინური ეპოქის ცხოველმყოფელობას. მეორეს მხრივ ჩვენი წინაპრების გმირული ბრძოლებისა და მათი შემოქმედებით გაქანების ასახვით თანამედროვე მწერლობა ისწრაფვის ისტორიული ანალოგიები და ძირები მოუხაზოს იმ გმირულ ბრძოლებს, იმ განუსაზღვრელ შემოქმედებითი პოტენციას, რომლითაც საბჭოთა ხალხი აწინებს ახალ კომუნისტურ ცხოვრებას.

ასეთია ვალ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, სიმ. ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, კარლო კალაძის, ალ. აბაშელის, გრ. აბაშიძის, შალვა აფხაიძის და მთელ რიგ სხვა თანამედროვე ქართველ პოეტთა შემოქმედებაში მკაფიოდ გამოვლინებული ისტორიზმის სპეციფიური აზრი. ასეთი თვალსაზრისით არის დახატული ჩვენი ხალხის ისტორიის სხვადასხვა ეპოქები შალვა დადიანის რომანში, „ვიორჯი რუსი“, კონსტ. გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“, დემნა შენგელაიასი და სერგო კლდიაშვილის ისტორიული მოთხრობების ციკლებში, ს. შანშიაშვილის, შ. დადიანის და ი. ვაკელის ისტორიულ დრამებში.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებულის გულმოდგინებით ხატავს თანამედროვე ქართული მწერლობა 1905 წლის რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის წარმოებული ბრძოლების

მგზნებარე ეპიზოდებს. ჩვენი ხალხის ამ უახლოესმა წარსულმა, ისტორიულ-რევოლუციურმა თემატიკამ განსახიერება ჰპოვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთელ რიგ ქმნილებაში, რომელთა შორისაც საკმაოდ მსჭვალავს ანტიკლდელოთ ლეო ქიაჩელის „სისხლი“ და „აკი აცბა“, ნიკ. ლორთქიფანიძის „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“, ალ. ქუთათელის ტრილოგია — „პირისპირ“, დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“, დავით სულაიშვილის „ჩიკორა“ და „კედელი“, ს. კლდიაშვილის „პარტიზანები“, ბ. ჩხეიძის „დღეები“, ელ. პოლუმორდვინოვის „განთიადის წინ“ და სხვ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებულად გამანაყოფიერებელი ადგილი უჭირავს იმ პოეტურ, ბელეტრისტულ და დრამატულ ნაწარმოებებს, რომლებიც მიძღვნილი არიან ახალი კაცობრიობის უდიდესი გენიოსების, ლენინისა და სტალინისადმი.

დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის მხატვრულად ასახვის მისწრაფებამ, სტალინის პოეტური სახის დახატვისა და ბელადისადმი ჩვენი ხალხის განუსაზღვრელი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობის გამოხატვის მისწრაფებამ უდიდესი ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა თანამედროვე ქართულ მწერლობაზე მისი იდეურ-შემოქმედებითი დაეკაცების თვალსაზრისით.

ამ დიად და უაღრესად საპასუხისმგებლო თემაზე მუშაობაში ქართულ საბჭოთა მწერლობას ფასდაუღებელი დახმარება გაუწია ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგი ლავრენტი ბერიას ისტორიულმა მოხსენებამ: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ეს ნაშრომი გადაიქცა დიდ შემოქმედებით იმპულსად ქართული მწერლობისა და ხელოვნების ყოველი თვალსაჩინო ოსტატისათვის. არ დაჩრენილა არც ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა თანამედროვე ქართული ლიტერატურისა, რომელსაც თავისი ნიჭისა და მხატვრული ენერგიის მაქსიმუმი არ მიეძღვნას ბელადის შესანიშნავი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდის ასახვის ამოცანისათვის, რომელსაც შთაგონებულად არ ემღეროს სტალინის მშობელი ქვეყნისათვის და არ გამოეხატოს სტალინისადმი საბჭოთა ხალხის მადლიერებისა და თავდადებული ერთგულების უწმინდესი სახალხო გრძნობა.

კოლექტიური წიგნები „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“ და „ბელადს“ — ქართული საბჭოთა ლიტერატურის იდეურ შემოქმედებითი ზრდის საუკეთესო დოკუმენტებია. ამ წიგნებში მოთავსებული ლექსებისა და მოთხრობების გარდა სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის დიად თემაზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში შექმნილია მთელი რიგი ფართო პლანის ნაწარმოები, როგორცაა შალვა დადიანის დრამა „ნაბერ-წყლიდან“, გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრობა“, კონსტ. გამსახურდიას რომანი „ბელადი“, დ. შენგელაიას მოთხრობა „ყრობა“, გრ. აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გახაფხული“, სანდრო ეულის „ეპოქის ავტორი“ და სხვ. დღესაც ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები დიდი ვატაცებით და ენერგიით განაგრძობენ მუშაობას ამ ცხოველმყოფელ თემაზე.

თანამედროვე ქართულ მწერლობის ყოველ ჟანრში მკაფიოდ და დიდი სიყვარულით არის დახატული სტალინის სახელოვანი თანამებრძოლების ლაღო კეცხოველისა და ალექსანდრე წულუკიძის სახეები. სიმ. ჩიჭოვანის

„ბელადის მოძმე“, ირ. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“, ალ. გომიშვილის „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, შალვა დადიანის დრამა „იდგა გამარჯვებს“ და ი. ლისაშვილის რომანი „ლადო კეცხოველი“ მხრდღოდ ნაწილია ქართული ხალხის ამ საამაყო შვილებისადმი თანამედროვე ქართული მწერლობის მიერ მიძღვნილ სხვადასხვა ენარის ნაწარმოებებისა.

არა ერთი საუკეთესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკისა მიეძღვნა ურყევე სტალინელს — ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომლის სახელთანაც უშუალოდ და განუყოფელად არის დაკავშირებული საბჭოთა საქართველოს კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ყოველი წარმატება და გამარჯვება. ამ ლექსებში ქართველმა საბჭოთა პოეტებმა მკაფიოდ გამოხატეს თავისუფალი და ბედნიერი ქართველი ხალხის აზრი და გრძნობა თავისი საამაყო შვილისადმი.

იდეურ-თემატური შინაარსის ასეთმა სიახლემ და აქტუალობამ დრმა ძვრები გამოიწვია თანამედროვე ქართული მწერლობის სტილებრივ საშუალებათა სფეროშიც. ახალ ქართული პოეზიის რიტმი ჩვენი ეპოქის გმირული პათოსით, ჩვენი თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი დინამიურობით არის ნაკარნახევი. გამახვილდა და დაიხვეწა ლექსის ტექნიკა, სადაც ერთმანეთს დაუკავშირდა მოდერნული პოეტური კულტურისა და კლასიკური ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები. თანამედროვე პოეტური კულტურის განვითარება მიმდინარეობს პოეტურ სახეთა მეტი სინათლისა და სიკხადის, ყოველგვარი ბუნდოვანობის დაძლევისა და ხალხურობის მიმართულებით. თანამედროვე ქართული მხატვრული პროზა ნაცკლად ინტიმურ—სალონური მასშტაბის ფაბულისა და „სასიყვარულო სამკუთხედი-სა“ — ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შრომის დამახასიათებელ, ძირითად პროცესებს იღებს სიუჟეტური კომპოზიციის საფუძვლად. გმირის ხასიათის რელიეფურად გამოხატვისა, ყოფაცხოვრებითი მასალის მკაფიოდ ჩვენებისა და სიუჟეტური კომპოზიციის მთლიანობის ამოცანა განსაზღვრავს თანამედროვე ბელეტრისტიკისა და დრამატურგიის ძიებებს მხატვრული სტილის სფეროში.

სისადავისა და ხალხურობის ბრძოლაში ქართული საბჭოთა მწერლობა უხვად იყენებს მშობლიური ზეპირსიტყვიანობის მდიდარ საგანძურს. პოეზიაში ყველაზე მკაფიოდ გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში იჩინა თავი პოეტური ფოლკლორის სათავეებისაკენ სწრაფვამ. პროზასა და დრამატურგიაში ამ პროცესის მკაფიო გამოხატულებას გვაძლევენ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, დ. შენგელაიას „ბათა ქექია“ და პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, რომელთა მთავარი პერსონაჟების განსახიერებისას ავტორები შეგნებულად გამოდიან ფოლკლორული წარმოშობის ნიღბებიდან.

სოციალისტური ეპოქის სინამდვილე არის მთავარი წყარო იმ ახალი თემებისა და იდეებისა, იმ ახალი და თავისებური შემოქმედებითი თვისებებისა, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ნოვატორულ ბუნებას და განსახვავებენ მას ქართული კულტურის განვითარების ყველა წინააღმდეგ ეპოქისაგან. მაგრამ ამასთანავე ერთად თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარების მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქართული კლასიკური მწერლობის დიდი და მდიდარი ტრადიცია.

ქართული საბჭოთა მწერლობა მეტად უხვსა და მდიდარ მასალას გვაძლევს იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი ცხოველყოფილობით ცოცხლობენ

და რა გამანაყოფიერებელ შემოქმედებას ახდენენ სოციალისტური ეპოქას მწერლობაზე წარსულის კულტურის საუკეთესო ტრადიციები.

შოთა რუსთაველის უკუდავი ქმნილების გმირული სუტა და მისი პოემის ფართო ეპიური ჰორიზონტები, აფორიზმები და მეტაფორული სტილი ორგანულად არის შემოსული თანამედროვე ქართულ პოეზიაში. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში კვლავ გავრცელებას პოულობს რუსთაველის შაირის მეტრი ქართველ პოეტთა შემოქმედებაში. ამ ზომით არის შესრულებული მოწინავე ქართველი პოეტების მიერ კოლექტიურად შექმნილი ორი ღრმად მნიშვნელოვანი დოკუმენტი — ქართველი ხალხის მიმართ და დიდი სტალინისადმი საბჭოთა საქართველოს 15 წლისათვის თან დაკავშირებით და ქართველ მწერალთა ლექსად გამოთქმული წერილი ბელადისადმი მისი დაბადების 60 წლისთავის გამო.

ეს ორი ნაწარმოები ქართული საბჭოთა პოეზიისა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ეს იყო მთელ საბჭოთა ლიტერატურაში კოლექტიური პოეტური შემოქმედების პირველი ცდა, — რამაც შემდეგ ცხოველი გამოძახილი და შემოქმედებითი გავრცელება მოიპოვა ჩვენი სამშობლოს თითქმის ყოველი ხალხის ლიტერატურაში.

რუსთაველის შაირის საზომით არის დაწერილი აგრეთვე დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები ალიო მამაშვილისა „დაბადება“ და „სამოცი წელი“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოები თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

აღორძინების ხანის მწერალთა პლეადიდან ქართულ საბჭოთა მწერლობაში გაცოცხლებულია თეიმურაზ პირველის სახე (სიმონ ჩიქოვანის ლექსი „თეიმურაზ პირველი“) და მისი პოეტური ინვენტარის „ვარდ-ბულბულ-ლიანისა“ და „ხილთა ქების“ მოტივები გაისმის ი. გრიშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის და სხვათა პოეზიაში.

დიდ გავლენას ინარჩუნებს თანამედროვე ლირიკაზე დავით გურამიშვილის და ბესიკ გაბაშვილის პოეტური შემოქმედებობა. ბესიკის პოეტური ტრადიციების მკაფიო გამოძახილს ვხედავთ ისეთს სრულიად სხვადასხვა ტიპის პოეტების შემოქმედებაში, როგორცაა ი. გრიშაშვილი და გ. ლეონიძე. საბა-სულხან ორბელიანი მხატვრული სტილის ლაკონიურობისა და ლაპიდარობის მხრივ ერთგვარ მეტრად არის აღიარებული თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში. ქართული მხატვრული პროზის ძველი ოსტატების ენობრივ-სტილობრივ ტრადიციებს განსაკუთრებულის გულისხმიერებით ეხმაურება კონსტ. გამსახურდია თავის რომანებით და ნოველებით.

რაც შეეხება მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის კორიფეებს, ისინი ქართული საბჭოთა მწერლობის მიმართ უშუალო წინაპრებისა და წინამორბედების მდგომარეობას ინარჩუნებენ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას მთელს მანძილზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფილოსოფიური სიღრმე და შინაგანი ექსპრესია, გრიგოლ ორბელიანის ცხოველი პეიზაჟები, ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პრობლემურობა და ღრმა საზოგადოებრივი აქტუალობა, აკაკი წერეთლის ლექსის გენიალური სისადავე, ვაჟა ფშაველას პოეზიის ეპიური ძალა და მონუმენტალური ფორმები, ბუნების ვეჟასეზური გაცოცხლებული ათვისება, ალ. ყაზბეგის რომანტიული პეროიკა, დავ. კლდიაშვილის მახვილი იუმორი და სინამდვილის ნიუანსებში გამოხატვის ოსტატობა, ეგ. წინოშვილის პროზის მძაფრი პუბლიცისტური მანერა — ეს თვისებანი გასუ-

ლი საუკუნის ქართული მწერლობისა სხვადასხვა გვარის ინტენსივობით ვლინდებიან თითქმის ყოველი თანამედროვე ქართველი პოეტის ბუნებრივ-ტიისა და დრამატურგის შემოქმედებაში.

ამრიგად, ამაო და უბადრუკი გამოდგა ქართველი ხალხისა და მისი კულტურის მტრების ყოველგვარი ცდები სახელი გაეტეხათ ქართულ კლასიკური მწერლობისათვის და თანამედროვე ქართული კულტურის განვითარება გამოეთიშათ და მოეწყვიტათ მდიდარ და ძვირფას კლასიკურ მემკვიდრეობისაგან.

ქართული საბჭოთა მწერლობა გულმოდგინედ იცავს თავისი დიდი წინაპრების საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციებს და უხვად იყენებს მათ თავის განვითარებაში.

თანამედროვე ქართული მწერლობა იზრდება ქართული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო მიღწევებით განაყოფიერებულ ნიადაგზე.

ამასთანავე ქართული საბჭოთა მწერლობის ზრდისა და განვითარების ერთ პირველხარისხოვან ფაქტორს წარმოადგენს ის ურთიერთ-შემოქმედება, რომელშიაც იგი იმყოფება ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ლიტერატურასთან. უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ლიტერატურული შემოქმედების საუკეთესო მიღწევები ამდიდრებენ და ანაყოფიერებენ თანამედროვე ქართველი მწერლის მხატვრულ აზროვნების და ოსტატობის ლაბორატორიას, ისევე, როგორც ქართული საბჭოთა მწერლობის საუკეთესო კმნილებანი უეჭველად შედიან ჩვენი მოძმე ხალხების კულტურული შემოქმედების ინვენტარში.

განსაკუთრებით დიდია რუსული საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთა შემოქმედებითი რეზონანსი თანამედროვე ქართულ მწერლობაში. თუ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის კორიფეები დიდად იყენებდნენ დავალებული გასული საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურის პროგრესიული იდეებით და შემოქმედებითი ტრადიციებით, მით უფრო ბუნებრივია თანამედროვე რუსული ლიტერატურის დადებითი შემოქმედება საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სოციალისტური რეალიზმის უდიდესი კლასიკოსის მაქსიმ გორკისა და ჩვენი რევოლუციის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის შესახებ, რომელთა შემოქმედებითი ტრადიციების ცხოველი კვალი მკაფიოდ მოსჩანს მე-20 საუკუნის მთელ ქართულ ლიტერატურაში.

2

საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის მთელი ისტორია — ეს არის ისტორია მწერლობის თანდათანობითი შემოქმედებითი დაახლოვებისა რევოლუციური თანამედროვეობის თემატიკასთან, მწერლობაში კომუნისმის დიადი იდეების უფრო და უფრო ღრმად დაკვიდრებისა, მასში სოციალისტური რეალიზმის სტილის ელემენტების თანმიმდევრულად განმტკიცებისა.

პროლეტარული რევოლუციის წლებში ხალხის წიაღიდან გამოსული ახალი შემოქმედებითი ძალების სწრაფმა ზრდამ და დაწინაურებამ, რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა

მასიურმა გადმოსვლამ მუშათა კლასის პოზიციებზე და ახალგაზრდი კპარტიო მწერალთა ფენების მიერ პროლეტარიატის კლასობრივი მსოფლმხედველობის დაუფლებამ ჩამოაყალიბა და შეადგინა ის ერთობიანი, მშვიდობიანი კოლექტივი, რომელიც ეხლა ერთსულოვნად ემსახურება ქართული სოციალისტური ლიტერატურის მშენებლობის დიად ამოცანას.

მაგრამ ასეთი იდეურ-შემოქმედებითი მთლიანობა და ერთსულოვნება ქართულ საბჭოთა მწერლობაში მიღწეულია ხანგრძლივი და მძაფრი იდეური ბრძოლების გზით, რომლებშიც მკაფიო გამოხატულებას პოულობდნენ ჩვენი ქვეყნის სოციალურ სინამდვილეში დაპირისპირებულ ანტაგონისტურ ძალთა ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობანი.

ლიტერატურის ფრონტზე გაშლილი იდეური ბრძოლა განსაკუთრებით მწვავე იყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში. ქართულ საბჭოთა ლიტერატურას თავისი იდეურ-შემოქმედების ზრდისა და განვითარების გზაზე ჰქონდა მთელი რიგი თავისებური სპეციფიური სიძნელეები.

ამ სიძნელეებს ერთის მხრივ წარმოშობდა რევოლუციის წინა პერიოდის ქართული მწერლობის თავისებური ხასიათი. 1905 წლის რევოლუციის მომდევნო წლებში, თვითმპყრობელური რეაქციის მძვინვარების პერიოდში ქართულს ლიტერატურაში ნაყოფიერი ნიადაგი მომზადდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლიტერატურული სკოლების აღმოცენებისათვის, რომელთაც აშკარად და პირდაპირ უკუ აგდეს კლასიკური ქართული ლიტერატურის დიდი დემოკრატიული და პროგრესიული ტრადიციები და მწერლობის განვითარება ააციდინეს რეალისტური ხელოვნების ფართო გზას. თვითმიზნური ესტეტიზმი, ინდივიდუალიზმი, უიმედობისა და სასოწარკვეთილების განწყობილებანი შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა საზოგადოებრივმა ვითარებამ.

ამ პროტესტმა თავის უკიდურესობას მიაღწია პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, როცა ქართულ მწერლობაში აღმოცენდა რუსული და ევროპიული სიმბოლიზმისადმი ეპიგონურად განწყობილი სკოლა დეკადენტი პოეტებისა „ცისფერი ყანწები“.

საქართველოში კონტრარევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებმა დასცეს და დააყენეს ქართული ლიტერატურის ყველა საუკეთესო ტრადიცია და მწერლობაში აღვირ-ახსნილი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის განწყობილებანი, ბოჰემისა და მისტიციზმის მოტივები, ავადმყოფური ინდივიდუალიზმის ტენდენციები გააბატონეს.

პროლეტარული მწერლობა, მუშათა კლასის ბრძოლასთან პირდაპირ და მთლიანად დაკავშირებული მწერლობა საქართველოში მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვითარდა. რევოლუციამდე ჩვენ გვექონდა მხოლოდ ჩანასახები პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურისა, ან მისი ჯერ კიდევ მკრთალი და სუსტი გამოვლინებანი.

ეგნატე ნინოშვილის, და ირ. ევდოშვილის ნაწერებში და ე. წ. „დემოკრატიული სკოლის“ ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ პროლეტარული აზროვნების ელემენტებს, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს თანმიმდევრულად პროლეტარული და სოციალისტური ლიტერატურის წარმომადგენლად. ბოლშევიკების რევოლუციამდელი პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები, იყვნენ ერთე-

ული მწერლები, რომლებიც უკვე იმთავითვე თავის შემოქმედებას მუშათა კლასის საბრძოლო მიზნებით და ამოცანებით განსაზღვრავდნენ, მაგრამ ყოველივე ეს ჭერ კიდევ არ წარმოადგენდა ახალი ტიპის ლიტერატურის — პროლეტარული ლიტერატურის აღმოცენებას ქართულ მწერლობაში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსულ ლიტერატურაში უკვე გასული საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე მაქსიმ გორკის შემოქმედების სახით ყალიბდებოდა პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის საუკეთესო ტრადიციები, ჩვენთვის ნათელი გახდება ამ მხრივ ქართულ მწერლობაში არსებული ვითარების თავისებურება.

იმ წლებში, როდესაც რევოლუციური რუსეთის ვრცელ მიწა-წყალზე სამოქალაქო ომის ქარიშხალი ქუხდა, რომელიც უდიდეს სკოლად გადაიქცა რუსული საბჭოთა ლიტერატურისათვის, საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურა მძვინვარებდა, რომელიც მწერლობაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ სულისკვეთებას განამტკიცებდა.

ეს გარემოებანი განსაზღვრავდნენ რევოლუციის წინაპერიოდის ქართული მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასის იდეურ-შემოქმედებით ფიზიონომიას. იშვიათი გამოწაკლისით სამწერლო ინტელიგენციის შემადგენელ ძალთა უმრავლესობა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული განწყობილებებით იყო მოცული და ანტირევოლუციური დეკადენტურ პოზიციებზე ანვითარებდა თავის შემოქმედებით მოღვაწეობას.

ბუნებრივია, რომ ამ ინტელიგენციის ძირითადი მასა უარყოფითად შეხვდა საქართველოში სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებას. აღსანიშნავია, რომ თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ძალა რევოლუციამდელი ქართველი მწერლობისა არ გაყოლია სამშობლოდან გაქცეულს, საზღვარგარეთ ემიგრირებულ მენშევიკურ „ხელისუფალთ“. საბჭოთა საქართველოში დარჩენილი მთელი აქტივი ანტიპროლეტარული მხატვრული ინტელიგენციისა მთელი წლების მანძილზე საგრძნობ წინააღმდეგობას უწევდა ქართულ მწერლობაში პროლეტარული, სოციალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრების საქმეს.

ნაციონალური საკითხი, ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ და წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნიადაგზე აღზრდილი ინტელიგენციის ფენების მიერ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის ვერ გაგება მთელი რიგი წლების მანძილზე კმნიდა დამატებითი სიძნელეს მწერლობის ძველი კადრების რევოლუციურ პროლეტარიატთან შემოქმედებითი თანამშრომლობის საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველსავე წლებში ჩამოყალიბდა ოთხი სამწერლო გაერთიანება, რომელთა ურთიერთობაში გამოიხატებოდა ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის ამ პირველი პერიოდის შინაარსი. ეს გაერთიანებანი იყვნენ: „აკადემიური მწერლობის კავშირი“, „ცისფერი ყანწები“, „ქართველ ფუტურისტ-ლეფელთა კორპორაცია“ და „პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“.

საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ 1937 წლის მაისში მოგვცა ამ ლიტერატურულ ორგანიზაციათა ზუსტი და ამომწურავი დახასიათება.

„აკადემიური ჯგუფი წარმოადგენდა უკიდურეს მემარჯვენე ფრთას ქართულ ლიტერატურაში“. — ამბობს ამხანაგი ლ. პ. ბერია დასახელებულ მოხ-

სენებაში. და მართლაც, ეს ლიტერატურული გაერთიანება თავის განმეორებადობა პროლეტარული რევოლუციის მიერ დამარცხებული სოციალურა ფენების განწყობილებათა ყველაზე მკაფიოდ გამომხატველს წარმოადგინა. ლიტერატურად განწყობილ ძალებს ქართული ლიტერატურისა. ამ განმეორებადობა არ ჰქონია რაიმე. ერთიანი ლიტერატურულ-შემოქმედებითი პოზიცია, ეს არ ყოფილა ლიტერატურული სკოლა ან მიმდინარეობა, ამ ცნებათა ნამდვილი პნიშვილობით. ნაციონალისტური განწყობილებანი, პროლეტარული რევოლუციის მიზნებისა და იდეებისადმი უნდობლობა და ანტაგონისტური დამოკიდებულება, რევოლუციის წინა პერიოდის ქართული მწერლობის კონსერვატიულ ტრადიციათა შენარჩუნების ცდები შეადგენდა იმ საფუძველს, რომელიც თავს უყრდა ამ ლიტერატურულ გაერთიანებაში ისეთ სხვადასხვა ლიტერატურულ ბიოგრაფიისა, გემოვნებისა და მხატვრული პოტენციის მწერლებს, როგორც იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი, კოტე მაყაშვილი, ი. მჭედლოშვილი, ე. წ. „დემოკრატიული პოეზიის“ სკოლის პოეტები: ალ. აბაშელი, ვარლამ რუხაძე, სოლ. თავაძე, ხარ. ვარდოშვილი და სხვ.

ქართველ მწერალთა პირველ გაერთიანებულ ყრილობაზე 1926 წელს აკადემიური მწერლობის კავშირის ერთერთი ხელმძღვანელი პავლე ინგოროყვა პირდაპირ ახასიათებდა ამ ლიტერატურულ გაერთიანებას, როგორც „ქართული ნაციონალისტური ინტელიგენციის“ ლიტერატურულ ორგანიზაციას. იგი ამბობდა „ძველ მწერალთა კავშირში (იგულისხმება აკადემიური მწერლობის კავშირი. ბ. ე.) მასიურად წარმოდგენილია უპარტიო შემოქმედითი ინტელიგენცია. მაგრამ არ დაფარავთ, რომ აქ არის ერთგვარი ნაციონალისტური „უკლონი“. ამ მწერლობას ახასიათებს ნაციონალისტურ აზრთა განწყობილება“.

ეს გაერთიანება ჩამოყალიბდა 1922-23 წლებში და მის ბეჭდვითი ორგანოებს სხვადასხვა დროს ფაქტიურად წარმოადგენდნენ ჟურნალები და გაზეთები „ქართული სიტყვა“, „ლომისი“, „ილიონი“, „ხომალდი“, „საქართველოს სამრეკლო“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“ და სხვ.

მთელი ამ პრესის სუბლიცისტისა „სიახლის ეპიდემიისა“ და „მოტანილი“ და „მონაბერი“ „სიახლის სენის“ სახით ებრძოდა ყოველგვარ ახალ ძვრებს ქართულ ლიტერატურაში. და აშკარად ქადაგებდა საბჭოთა სახელმწიფოსთან მწერლობის შეუთანხმებლობის იდეას. გაზეთ „ქართული სიტყვა“ ერთერთ ფელეტონში ვკითხულობთ: „ისიც ცნობილია, რომ თავადებსა და პოეტებს შორის არასოდეს ზავი არ ყოფილა. თავადებში მე ყოველი დროის მმართველებს ვგულისხმობ. სადაც დროსთან შეგუებაა, იქ პოეტი ბატონების ნასუფრალით იკვებება“. ჟურნალი „კავკასიონი“ კი „წარმატალი ლიტერატურული მოდის“ წინააღმდეგ „მარადი ხელოვნების იდეების“ წამოყენებით გამოდიოდა ლიტერატურული კონსერვატიზმის დროში. მწერლობაში ახალი ძვრებისა და იდეურ შემოქმედებითი გარდაქმნის წინააღმდეგ.

ამ ლიტერატურული პრესის მხატვრული პროდუქცია უშუალოდ გამოხატავდა რევოლუციის მიერ დამარცხებულ სოციალურ ძალთა უკმაყოფილებას, რესტავრატორულ ილუზიებს, წარსულის პოზიციებზე განმტკიცების ტენდენციებს: „გაქქრა კვალი, ბნელა, სცივა, მოკვდა მზე.“

გულში გაწყდა რაღაც, მცევა, მოკვდა მზე“.

წერდა პოეტი კოტე მაყაშვილი.

„ქარს მოულოდნელს უნდა დახვედ მავარ კლდეწავით
დავკარგე ყველა საგანძური, თუ რამ მეზადა“.



ამბობდა პოეტი ალ. აბაშელი. უიმედობისა და განწირულობის მატარებელმა მოიცვა ხარ. ვარდოშვილის პოეზია:

„ვერ გაეჭყევი წამებს შხამიანს,
ამაოდ ეძებ დაკარგულ იმელს,
შენი სამარე შუალამეა
დალონებული ყოველთვის მძიმეთ“

მიმართავდა იგი „უბედურ ლანდს“.

უფრო მეტბოლი და შეურიგებელი კილოთი მეტყველებდნენ სოლომონ თავაძის ლექსები:

„ღუშმანო, სულში ნუ იხედები,
ნუ ფიქრობ დასტებზე ჩემი გოდებით,
აქ კვლავ ქედმაღლობს რწმენის ქედები
და ვარ მტვირთველი სხვა მოწოდების“.

თავისთავად ცხადია თუ რას გულისხმობდა ავტორი ამ „ღუშმანში“, ამ „რწმენის ქედებში“, ამ „სხვა მოწოდებაში“.

მომაკვდავი რეაქციული სამყაროს რესტავრატორული ილუზიები მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ი. მკედლიშვილის ლექსებშიაც:

„კვლავ მოვესწრები გაზაფხულს შხიანს,
ყოფნას, დაფენილს მწვანე ბიბინად
და კვლავ ის მოკლავს ნადირსა რქიანს,
რომელსაც იგი მოუკლავს წინათ“.

ამ პერიოდში აქტიურ შემოქმედებით მუშაობას იწყებს დასახელებული ლიტერატურული გაერთიანების თვალსაჩინო ფაგურა — კონსტ. გამსახურდია. თავის პუბლიცისტურ სტატიებში იგი „ქართული კულტურისადმი პროტექციონიზმის“ თავისებურ „თეორიას“ ასაბუთებდა, ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში იგი ქადაგებდა გერმანული ექსპრესიონიზმის შემოქმედებით პრინციპებს, ზოლო თავის ბელეტრისტულ ქმნილებებში მისწრაფვოდა შარაევანდელით შეემოსა მომაკვდავი რეაქციული სამყაროს ადამიანები და ტრადიციები, მოეცა ფეოდალურ წარსულის გადანაშთების, ბურჟუაზიულ-დევადენტური კულტურის ადამიანთა სულისკვეთების, განახლებული სოციალური ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ ადამიანთა იდეალიზირებული მხატვრობა. ასეთია მისი ნოველების „ჯამუს“, „ტაბუს“, „ქოსა გახუს“ და სხვათა და მისი რომანის „დიონისეს ღიმილის“ სოციალური მიზანდასახულობა. ნოველაში „ზარები გრივალში“ მან უმღერა ექსალტირებულ მოხუც მნათეს, რომელიც არ შეუღრკა ამოვარდნილ გრივალს, არ დასთმო თავისი სამარელო და უკან არ დაიხია გრივალში დაღუპვის საშიშროებისაგან. ეს იყო სიმბოლიური სახე, რომელშიაც მწერალი რევოლუციის ქარიშხლისადმი ჯიუტი წინააღმდეგობის და შეურიგებლობის იდეას განასახიერებდა.

„ცისფერი ყანწების“ სკოლა საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში იბრძოდა იმ ხვედრითი წონის შესანარჩუნებლად, რომელიც

მან მოიპოვა პირველი იმპერიალისტური ომისა და საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურის პერიოდში. ეს იყო უკიდურესად ანტირეალისტური მიმდინარეობა მე-20 საუკუნის ქართულ ფრფინტურაში, ბურჟუაზიულ-დეკადენტური მხატვრული კულტურის დაგვიანებული განმარტობის ნაყოფი. ბუნებრივია, რომ ამ მიმდინარეობის მსოფლმხედველობას, მის იდეურ-შემოქმედებითი პოზიციის მარცხი და კატასტროფა უნდა განეცადა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში. გამარჯვებული პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის მშენებლობის ამოცანებთან საესებით შეუთაფსებელი უნდა ყოფილიყო მომაკვდავი ბურჟუაზიის მსოფლმეგრძობისა და სულსკვეთების ნიადაგზე აღმოცენებული ამ მიმართულების შემოქმედებითი პრინციპები, მაგრამ ეს მიმდინარეობა უბრალოდ როდი სთმობდა თავის პოზიციებს. პროლეტარული სახელმწიფოს მიმართ ლოიალური დამოკიდებულებისა და პროლეტარული კულტურის აღიარების შესახებ დეკლარაციების გამოქვეყნების პარალელურად „ცისფერ ყანწელები“ სცემდნენ საკუთარ ბეჭდვითი ორგანოებს — „მეოცნებე ნიამორები“, „რუბიკონი“, „ბახტრიონი“, „ბარიკადები“ და სხვა, რომელთა მხატვრული პროდუქციაც აღბეჭდილი იყო დეკადენტური პოეზიისათვის დამახასიათებელი ბოჰემისა და თვითმკვლელობის კულტით, განწირულების განწყობილებებით, სიმახინჯის ესთეტიკისა, უკიდურესი ინდივიდუალიზმისა და მისტიციზმის მოტივებით.

„მემარცხენე“ ლიტერატურული პოზიციის პრეტენზიების შენარჩუნების მიზნით ისინი დიდი სისწრაფით და განუტრჩეველობით ითვისებდნენ დასავლეთის დეკადენტურ-ბურჟუაზიული კულტურის ყოველ „მოდურ ლოზუნგს“ — დაწყებული „მიწასთან დაბრუნებისა“ და პრიმიტივისაკენ სწრაფვის ექსპრესიონისტული ლოზუნგიდან — გათავებული დადაისტური უაზრობით.

მაგრამ ყოველივე ეს საშუალება უძლური იყო აუცილებელი კატასტროფისა და რღვევისაგან ეხსნა ეს სკოლა. რაც უფრო მეტი სიღრმით და გაქანებით ვითარდებოდა კულტურული რევოლუციის პროცესი, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ამ მიმართულების საუკეთესო სასიცოცხლო შემოქმედებითი ძალებისათვის ერთად ერთი გზა სიმბოლისტური ტრადიციების უკუგდებასა და პროლეტარიატის იდეურ პოზიციებისაკენ დაძვრაში მდგომარეობდა. და მართლაც შემდგომ წლებში სწორედ ამ გზით მოიპოვეს თვალსაჩინო ადგილი ქართული საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგებში დასახელებული სკოლის საუკეთესო ძალებმა: გ. ლეონიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, რ. გვეტაძემ, ს. კლდიაშვილმა, გ. ნადირაძემ, შ. აფხაიძემ, ი. ყიფიანმა.

1922-23 წლებში აღმოცენდა ქართულ ლიტერატურაში ფუტურისტულ-ლექსური მოძრაობა. ამ მიმდინარეობის პირველი ლიტერატურული დეკლარაცია იტალიური ფუტურისმის მანიფესტების უეჭველი გავლენით იყო აღბეჭდილი. მაგრამ ჭგუფის პირველმადე ბეჭდვითი ორგანოებმა (ყურნალ „ N_2SO_4 “, „ლიტერატურა და სხვა“, გაზეთი „დროული“ და ალმანახი „მემარცხენეობა“) ცხადყვეს, რომ ეს მიმდინარეობა რუს ფუტურისტ-ლექსების შემოქმედებითი პოზიციების ანალოგიურ ნიადაგზე ყალიბდებოდა. ამ ლიტერატურულ გაერთიანებაში შედიოდნენ პოეტები და მწერლები: სიმ. ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ლ. ასათიანი, აკ. გაწერელია, დ. გაჩეჩილაძე, აკ. ბელიაშვილი, ნ. ჩაჩავა, ვ. ყურული, ბ. აბულაძე, შ. ალხაიშვილი,

ბ. ქლენტი და სხვ. ამ მიმდინარეობას პრეტენზიები ქონდა არ განსაზღვრულყო მართო ლიტერატურის ფარგლებით და თავისი საქმიანობა მთელი მხატვრული კულტურის მასშტაბით გაეშალა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ მხატვრები: ი. გამრეკელი და ბ. გორდენიანი, კინემატოგრაფიის შემოქმედებითი მუშაეები, ნიკ. შენგელაია, ს. დოლიძე, ლ. ესაკია და სხვ.

„მემარცხენეობის“ ჯგუფი გამოვიდა საბჭოთა სახელმწიფოსთან შემოქმედებითი თანამშრომლობისა და ლიტერატურული რევოლუციის პრეტენზიებით. მაგრამ ეს „რევოლუციონერობა“ უფრო ვიწროდ განსაზღვრულ ლიტერატურულ „ბუნტარობაში“ გამოიხატებოდა. ეს იყო ახალგაზრდა წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის რადიკალიზმი, ჯერ კიდევ იდეურად ჩამოუყალიბებელი და სოციალურად გაუზიარებელი ბრძოლა ფორმალური სი-ახლისათვის ლიტერატურაში. ლიტერატურული სკანდალები და სენსაციები, „ზაუმისა“ და „სიტყვათქმედობის“ ტენდენციები, ფორმალისტური პოეტიკისა და ფორმალური მეთოდის აპოლოგია, შემდეგ ხელოვნებაში ნივთის ფეტიშიზმისა და ფაქტოლოგიის პრინციპი, ფაქტოლოგიური პროზის ლოზუნგი და სხვა უარყოფითი პრინციპები ახასიათებდნენ დასახელებულ მიმდინარეობას ქართული საბჭოთა მწერლობის ამ პერიოდში.

მაგრამ ამ ყალბი და მცდარი შეხედულებების მიღმა იმთავითვე აშკარად მოსჩანდა ამ მიმდინარეობის ზოგიერთი წარმომადგენლების შემოქმედებითი პოტენცია და სალი მისწრაფება სიახლისაკენ, რამაც თავისი დადებითი გამოვლინება პოვა უფრო გვიან, ამ მწერლების მიერ ფუტურისტულ-ლექსური პრინციპების უკუგდებისა და ყოველგვარი ბურჟუაზიული განთავისუფლების შემდეგ.

პროლეტარული ლიტერატურის მოძრაობის ოფიციალურ დასაწყისად ქართულ მწერლობაში უნდა ჩაითვალოს ჟურნალი „ქურა“-ს პირველი ნომრის გამოსვლა 1922 წელს. აქ პირველად დეკლარირებულია პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურის ჰეგემონიისათვის ბრძოლის იდეა და ქართულ მწერლობაში პროლეტარული მიმდინარეობის აღმოცენება. ჟურნალში უმთავრესად მონაწილეობდნენ ჯერ კიდევ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებამდე ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოსული მწერლები: სანდრო ეული, ნოე ზომლეთელი, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი და სხვ.

როგორც ჟურნალის სათაურიდანაც სჩანს, ეს იყო რუსული „კუნნიცას“ ანალოგიური მოვლენა ქართულ ლიტერატურაში. ჟურნალის მხატვრული პროდუქცია აღბეჭდილია „კუნნიცას“ ჯგუფისათვის დამახასიათებელი კონსპიხით, პლაკატური სტილით, სქემატიზმით, ბრძოლისა და შრომის განყენებული, ზოგადი მოტივებით. სანდრო ეულის ლექსი „სამშედილოში“, ი. ვაკელის „ცეცხლის რკალში“, ნ. ზომლეთელის „ჩემს ქურას“ და სხვ. მოკლებული არიან სინამდვილის კონკრეტული თემატიკის გრძნობას და მხატვრული ფორმის მხრივაც რაიმე ახალი ძვრების პრეტენზიას არ ატარებენ.

„ქურას“ მოჰყვა გაზეთი „ორიონი“ და შემდეგ ჟურნალი „მერცხალი“. ეს ბეჭდვითი გამოცემები არსებითად აგრძელებდნენ „ქურას“ მიერ აღებულ შემოქმედებითი ხაზს, თუმცა ამ გამოცემათა ფურცლებზე უკვე საგრძნობლად გადალახული იყო „ქურასათვის“ დამახასიათებელი პრიმიტიულობა და მხატვრული ფორმისადმი უღარდებლობა.

ქართული პროლეტარული მწერლობის იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა, მის მიერ სოციალისტური სინამდვილის კონკრეტული თემატიკის და-

უფლება და მხატვრული შემოქმედების შესაბამისად ახალ საშუალებათა შემოტანა მწერლობაში დაკავშირებულია პროლეტარული ლიტერატურის ახალგაზრდა თაობის ისეთ ნიჭიერ და თვალსაჩინო წარმომადგენელთა გამოსვლასთან ლიტერატურულ სარბიელზე, როგორც არიან: ალიო შაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, ელიზბარ პოლუმორდენიოვი, კრიტიკოსი შალვა რადიანი და სხვა.

ეს მწერლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში იწყებენ მუშაობას სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში, ხოლო 1924-25 წლებში უკვე მოწინავე ბირთვის შეადგენდნენ ქართულ პროლეტარულ ლიტერატურულ მოძრაობაში. ისინი იწყებენ განსაკუთრებული ლიტერატურულ კორპორაციებით და სპეციალური გამოცემებით: „პროლეტაფი“ (პროლეტარული მწერლობის ახალი ფონტი), „რამი“ (რევოლუციის ახალი მწერლობა), აღმანახი „დარიალი“ და სხვ. ხოლო შემდეგ პროლეტარული ლიტერატურის საერთო ორგანოს, ეურნალ „პროლეტარული მწერლობის“ ძირითად თანამშრომლებად ხდებიან და ფაქტიურად სათავეში უდგებიან პროლეტარიატის კლასობრივ ლიტერატურისათვის ბრძოლის საქმეს საქართველოში.

ამ ახალი შემოქმედებითი კადრებით გამდიდრებული პროლეტარული ლიტერატურა იწყებს გავლილ იდეურ ბრძოლას ანტიპროლეტარული ლიტერატურის ბანაკის ყველა ფენის წინააღმდეგ. იწყება ბრძოლა ახალი მხატვრული ინტელიგენციის ძალების გამოვლინებისა და ფორმირებისათვის, მხატვრული სიტყვის რევოლუციამდელ თაობის საუკეთესო წარმომადგენლების იდეურ შემოქმედებითი გადახალისებისათვის.

ამ პროცესის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ეურნალი „მნათობის“ გამოსვლა. 1923 წელს იწყო არსებობა ამ პირველმა სქელტანიანმა ქართულმა საბჭოთა ეურნალმა, რომელიც დაუბრისპირდა „კავკასიონს“ და კონსერვატიული ლიტერატურის მთელ პრესას. მან დიდი როლი შეასრულა უპარტიო მხატვრული ინტელიგენციის რიგებში იდეური დიფერენციაციის შეტანისა და ახალი საბჭოთა სამწერლო კადრების გამტკიცების საქმეში.

ამ ეურნალის პირველსავე ნომრებში გამოქვეყნდა გალ. ტაბიძის ლექსები, აღბეჭდილი რევოლუციური ეპოქის პათოსითა და გაქანებით. რევოლუციის წინაპერიოდის ქართული ლიტერატურის, ქართულ დეკადენტური პოეზიის ამ თვალსაჩინო ფიგურამ პირველმა მისცა მაგალითი რევოლუციამდელ სამწერლო ინტელიგენციას გაბედული და გულწრფელი იდეურ-შემოქმედებითი შემოზრუნებისა, საბჭოთა ხალხის საბრძოლო მიზნებთან და იდეებთან აქტიური შემოქმედებითი დაკავშირებისა. ეს არ ყოფილა შემთხვევითი ნახტომი გალ. ტაბიძისათვის. მისი რევოლუციამდელი პოეზია შეიცავდა ყველა წინაპირობას პოეტის შემოქმედებითი ბუნების ასეთი განახლებისათვის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე. ამიტომაც გალ. ტაბიძის წინაშე არ დასრულა პრობლემა რევოლუციის მიღებისა თუ არმიღებისა. იგი ყოველგვარი დაეკვებისა და მერყეობის გარეშე გადმოვიდა გამარჯვებული რევოლუციის მხარეზე და გახდა ახალი ცხოვრების შთაგონებულ მომღერლად.

მნათობის პირველსავე ნომრებში დაიბეჭდა დემნა შენგელიას რომანი „სანავარდო“, რომელშიც მწერალმა განასახიერა ძველი რეაქციული სამყა-

როს სასიკვდილო განწირულების იდეა და ერთგვარად სიმბოლიზირებულ სახეებში გამოხატა ორ სამყაროს შორის გაჩაღებული ისტორიული კონფლიქტი და შეჯახება. თუმცა ეს რომანი როდია თავისუფალი მისტერისა და სიმბოლისტური პოეტის გაველენებისაგან.

„მნათობში“ მისი არსებობის პირველსავე პერიოდში თანამშრომლობა იწყეს დრამატურგმა პოლიკარპე კაკაბაძემ, პოეტებმა კონსტ. ჭიჭინაძემ, ვ. გორგაძემ, კ. ნადირაძემ, პოეტმა და დრამატურგმა ს. შანშიაშვილმა. მალე მის ძირითად თანამშრომლებად გახდნენ ქართული პროლეტარული ლიტერატურის და ახალგაზრდა სამწერლო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

ეს იყო დაწყებითი საფეხურები ქართული საბჭოთა მწერლობის ძალთა შემოქმედებითი კონსოლიდაციისა, მხატვრული ინტელიგენციის მოწინავე კადრების დარაზმვისა კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო. ამ პროცესის შემდგომ გაღრმავებაში უდიდესი როლი შეასრულა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის ცნობილმა რეზოლუციამ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის შესახებ.

ასეთი იყო ქართული ლიტერატურის ვითარება საქართველოში საბჭოთა მწერლობის განვითარების პირველ პერიოდში — 1921 — 25 წლებში.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის აღდგენის ბრწყინვალედ დამთავრებამ, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის გაშლილ ბრძოლის წლებმა, სოციალისტური რეკონსტრუქციის წლებმა ახალის ძალით წინ დასძრეს ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების პროცესი.

მხატვრული ინტელიგენციის უფრო და უფრო ფართო ფენები რწმუნდებიან სოციალიზმის საქმის სიმართლესა და ძლევამოსილებაში, დამარცხებული რეაქციული კლასების რესტავრატორული ილუზიების უბადრუკობაა და უნიადაგობაში.

1926 წელს, 21 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავის საღმრთო დღეებში გაიხსნა ქართველ მწერალთა პირველი გაერთიანებული ყრილობა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ქართული მწერლობის ყველა მოქმედ მიმდინარეობათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ყრილობის მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ქართული მწერლობის შემოქმედებითი თანამშრომლობის ნიშნის ქვეშ.

ამ ყრილობაზე ქართველი მხატვრული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის აზრი მკაფიოდ გამოსთქვა თავის სიტყვაში მხცოვანმა ქართველმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა. იგი ამბობდა: „დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა, მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა. და ყველა ეს ხალხისათვის დიდი საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოასხამს... როგორ შეიძლება არ შეიგრძნო მხატვარი — მწერალი, როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულსკეთებაში, ხალხის ცხოვრებაში? როგორ შეიძლება სხვანაირად წარ-

მოიდგინოს მან ეს მომავალი? ეს არც იქნება. საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოვლოდა ამ დიდებულ ხანას, ის თვითონ იღწვოდა ამ ხანის დამყარებისათვის“. რევოლუციასთან, საბჭოთა ხელისუფლებისთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის იდეით იყო გამსჭვალული აგრეთვე ამავე დღეებში, საბჭოთა საქართველოს არსებობის ხუთი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე ქართული მწერლობის სახელით მეორე უხუცესი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და დიდი სტალინური ხუთწლედების დასაწყისის წლები ქართული სამწერლო ინტელიგენციის მძაფრი დიფერენციაციის, ქართულ მწერლობაში საბჭოთა თემატიკისა და სოციალისტური მსოფლმხედველობის დამკვიდრების პერიოდს შეადგენს.

ცხადია, რომ ეს პროცესი სწორხაზებრივად და უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა, იგი დაზღვეული არ ყოფილა გართულებებისა, წინააღმდეგობებისა და სიძნელებისაგან. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე, ამა თუ იმ სფეროში კლასობრივი ბრძოლის ახალი გამწვავების შემთხვევები თავისებურ გამოხატულებას პოულობდნენ ამ პერიოდის ქართულ მწერლობაშიაც. ამ გარემოების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სწორედ 1927-28 წლებში წარმოიშვა ქართულ ლიტერატურაში ახალი, უაღრესად მემარჯვენე ლიტერატურული კორპორაცია „არიფიონი“.

ამ კორპორაციის ბეჭდვითმა ორგანომ „არიფიონმა“ იერიში მიიტანა ახლად აღმოცენებული საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ და მოგვცა ამ დიდი რევოლუციური მოვლენის პასკვილური, პამფლეტური ასახვა. საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობის პირველ მძლე გამოვლინებას — ზაქეს „არიფიონმა“ დაუპირისპირა ძველი ფეოდალური-ქრისტიანული კულტურის ძეგლი, ჭვარის მონასტერი და ამ უკანასკნელის უპირატესობას გაუსვა ხაზი. ერთი სიტყვით, ეს იყო რეაქციული კლასების ნარჩენების ახალი აქტივიზაციის გამოძახილი ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში.

ჩვენი სალიტერატურო კრიტიკისა და საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის მიერ დროულად იქნა მხილებული „არიფიონის“ რეაქციული ბუნება. მალე ეს ჭგუფი დაიშალა და მის შემადგენლობაში შემავალი მთელი რიგი შემოქმედებითი ძალები: შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, გერ. ქიქოძე, დავით სულიაშვილი, ვასო გორგაძე, ლევან მეტრეველი, კ. კაპანელი გულწრფელად და წარმატებით დაადგნენ რევოლუციური ეპოქის იდეებისა და თემების შემოქმედებითი ათვისების გზას.

1926 — 31 წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა ყოველი ეპოქის ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, რომლებიც ცხადად მოასწავებდნენ მწერლობის თემატიკის გაფართოებას, მწერალთა ძირითადი მასის თანმიმდევრულ განვითარებას პროლეტარიატის მსოფლმხედველობრივი პოზიციებისაკენ.

შალვა დადიანმა დაამთავრა მუშაობა თავის დიდ ისტორიულ რომანზე „გიორგი რუსი“, რომელშიაც ასახა ძველი საქართველოს „ოქროს ხანა“ — თამარისა და რუსთაველის დიდი ეპოქა. ეს იყო ისტორიული ეპოქის პირველი დიდი რომანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ამავე წლებში მან

დასწერა კომედია „კაკალ გულში“ და ტრაგედია „თეთნულდი“, რომელთაც გარკვეული როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში. ტრაგედიაში „თეთნულდი“ შალვა დადიანმა სცადა განეხილავინა ორი სამყაროს სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახება სვანეთის პატრიარქალური ყოფა-ცხოვრების ფონზე. და თუმცა ამ ნაწარმოებში ახალი, სოციალისტური ცხოვრების გამომხატველი პერსონაჟები შედარებით მკრთალად იყვნენ დახატული, მაინც მთლიანად ეს პიესა გამსჭვალული იყო რეაქციული სამყაროს ნგრევისა და განადგურების, სოციალისტური ცხოვრების ძლევამოსილი აღმავლობის იდეით.

სანდრო შანშიაშვილი სწერს პიესებს „ანზორ“ (ეს. ივანოვის „ჯავშნოსანის“ საფუძველზე) „სამნი“ და მთელ რიგ ლექსებს და მოთხრობებს. ამ პერიოდში იგი საბოლოოდ თავისუფლდება მისი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალისტური მოტივებისა და ლეგენდარულ-მითოლოგიური სიუჟეტებისაგან. იგი მუშაობას იწყებს სოციალური სინამდვილის რეალურ თემებზე.

ლეო ქიაჩელი აქვეყნებს ისტორიულ რევოლუციურ რომანს „სისხლი“; ნოველების მთელ ციკლს („თავადის ქალი მიაი“ და სხვ.), რომლებიც მძაფრ სოციალურ მოტივებზე არიან აგებული. ამ ნაწარმოებებში ლეო ქიაჩელი უკვე მკაფიოდ გვიჩვენებს სიუჟეტური კომპოზიციის დიდ ოსტატობას, ადამიანის ხასიათის, მისი სულიერი სამყაროს მხატვრობის თავისებურ უნარს.

რევოლუციამდელი ქართული მწერლობის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელი, როგორცია ნიკო ლორთქიფანიძე, სწერს მოთხრობებს „ფეოდალები“, „ფეისკოპოსი ნადირობაზე“ და სხვა. რომლებშიც მძაფრად ასახავს ძველი სამყაროს დაკნინებას და საბოლოო განადგურებისათვის მის განწირულებას. ამავე დროს იგი სწერს დიდ მოთხრობას „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. ამ ნაწარმოებში მან განასახიერა ქართველი მუშათა კლასის, მთელი ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების, თვითმპყრობელობის დასამხობად.

კონსტ. გამსახურდიას შემოქმედებაში ამ წლების მანძილზე თანდათანობით ნელდება მებრძოლი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური განწყობილებანი. პირველ ხანებში იგი სცილილობს მონახოს ერთგვარად „ნეიტრალური“ თემები. სწერს ბიოგრაფიულ ენარის რომანს გოეთეს ცხოვრებიდან („გოეთეს ცხოვრების რომანი“) და იწყებს აქტიურ მუშაობას მხატვრული თარგმანის დარგში (სთარგმნის დანტეს „ღვთაებრივ კომედიას“ და სხვ.) ამას მოყვა მისი პირველი ცდა თანამედროვეობის თემებთან შემოქმედებითი დაახლოვებისა. ეს იყო ესეისტური ენარის ნაწარმოები „უკრაინის თემიდა“ რომელშიც მწერალი გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს საბჭოთა უკრაინაში მოგზაურობის გამო. ეს ნაწარმოები ჭერ კიდევ არ იყო თავისუფალი საბჭოთა ხალხისათვის უცხო და მიუღებელი მსოფლმხედველობის მკაფიოდ გამოხატული გავლენებისაგან. მაინც ეს იყო ერთგვარი დასაწყისი მწერლის მიერ ძველი ფეოდალურ-პატრიარქალური სამყაროს თემატიურ ტყვეობისაგან გამოსვლისა და ჩვენი დიადი სინამდვილის მოვლენებისაგან შემოქმედებითი ყურადღების გამახვილებისა.

„გათავდა — უნდა ვიცვალო გზები“ — სწერს ამ პერიოდის ერთ თავის ცნობილ ლექსში პოეტი ი. გრიშაშვილი და ამ სიტყვებში მკაფიოდ გამო-

ხატავს რევოლუციამდელი მწერლობის გარკვეული ფენების განწყობილებას, რომლებიც იწყებენ მათთვის ძველად დამახასიათებელ და თანამზრდილ თემებთან და იდეებთან დამშვიდობებას, ახალი შემოქმედებითი გზების ძიებას... თუმცა ამ დეკლარაციის შემდეგ ი. გრიშაშვილს კიდევ ნაკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყებისათვის.

ყოფილი ე. წ. „დემოკრატიული სკოლის“ პოეტებიდან ყველაზე აქტიურად და თანმიმდევრულად იწყებს შემოქმედებითი მუშაობას საბჭოთა სინამდვილის თემებზე პოეტი ვიორჯი ქუჩიშვილი. იგი ისწრაფვის წარფელად გამოეხმაუროს თავის ლექსებში საბჭოთა საქართველოს ზრდისა და წინსვლელობის ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში უფრო და უფრო ღრმა და კონკრეტულ გამოხატულებას პოელობს რევოლუციური თანამედროვეობის თემები და იდეები. თუ რევოლუციის პირველ წლებში იგი რევოლუციას აითვისებს და ხატავს როგორც ნგრევის სტიქიას, ეხლა იგი უკვე ასახავს და უმღერის რევოლუციური ეპოქის პათოსსა და გაქანებას. ამ პერიოდის გალ. ტაბიძის შემოქმედებაში ყალიბდება ახალი სოციალისტური ლირიკის სპეციფიური თვისებანი.

დასახელებული წლების მანძილზე ირდევია „ცისფერ ყანწების“ სკოლის მთლიანობა. პირველ რიგში რაჟდენ გვეტაძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე და კრიტიკოსი ალი არსენიშვილი შეგნებულად და თანმიმდევრულად ემიჯნებიან ამ სკოლის დეკადენტურ ტრადიციებს და ისწრაფვიან დაეუფლონ რეალისტური ხელოვნების პრინციპებს.

სერგო კლდიაშვილმა დასწერა დიდი მოთხრობა „პროვინციის მთვარე“. ამ ნაწარმოებში მწერალმა ასახა რეაქციული საზოგადოებრივი კლასების კატასტროფა, გამოწვეული საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით. ამავე წლებში იგი სწერს რომანს „ფერფლი“, რომელიც ითვლება პირველი იმპერიალისტური ომის საშინელებათა ამსახველ ერთერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებათ. ამ რომანის ის ნაწილი, სადაც დახატულია ომის დროინდელი ქართული სოფლის, ქართველი გლეხობის ღუბჭირი ცხოვრების სურათები, მოწმობენ მწერლის რეალისტური თვალის და მისი შემოქმედებითი კონცეპციის საბოლოო განთავისუფლების შესახებ დეკადენტური ბურჟუაზიისაგან.

მხატვრული პროზის დარგში მუშაობას იწყებს რაჟდენ გვეტაძე. ამ პერიოდში მან დასწერა მოთხრობები „თეო“ და „ჰიაკონა“. „თეოში“ მწერალმა დახატა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასთან დაკავშირებულ დიადი სოციალური ძვრების ამსახველი სურათი. მწერალმა გვიჩვენა, თუ როგორ დაეშვა სოციალური ცხოვრების ფსკერისაკენ ოდესღაც ძლიერი და მძვინვარე მემამულეებისა და თავადების სამყარო და როგორ ამოვიდა საზოგადოებრივი ცხოვრების ზედაპირზე მშრომელი ხალხის შვილი, ნამოკამაგირალი მირზა, რომელმაც მეტად რთული და შინაარსიანი გზა განვლო ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

მოთხრობაში „ჰიაკონა“ რაჟდ. გვეტაძემ ასახა თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად ამხედრებულ ადამიანთა ცხოვრებისა და ბრძოლის რომანტიკა, გვიჩვენა მძიმე და სუსხიანი ზვედრი იმ ადამიანებისა, რომლე-

ბიც მხოლოდ ახალმა რევოლუციურმა სინამდვილემ გამოიყენა ადამიანური არსებობის გზაზე და სათავეში ჩაუყენა ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეს. ორივე ამ ნაწარმოებში მკაფიოდ გამოვლინდა რადიკალური გეგმების გორაკ ბელეტრისტის მთავარი თვისება — მძაფრად დრამატიზირებული და მიმზიდველი სიუჟეტის ჩამოყალიბება.

ქართული სიმბოლისტური სკოლის ყველაზე ტიპური წარმომადგენლის ვალერიან გაფრინდაშვილის პოეზიაში მისტიური მსოფლშეგრძნობა, ბუნდოვანი, უკიდურესად სუბიექტიური სახეები, სიმბოლისტური პოეტიკის დამახასიათებელი თვისებები ადგილს უთმობენ სინამდვილის ფხიზლად ათვისებისა და რეალისტური გამოხატვის მისწრაფებას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი პოემა „პარიზის კომუნა“.

სწორედ ამ წლებში გამოვლინდა ყოფილი სიმბოლისტური სკოლის ერთერთი საუკეთესო პოეტის გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი ენერჯია და პოეტური შესაძლებლობანი. მართალია ამ პერიოდის მისი ლექსები ჯერ კიდევ საგრძნობლად აღბეჭდილი არიან ეგზოტიურობისა, სტილიზაციისა და თვითმიზნური უსაგნო პეიზაჟების ტენდენციით, მაინც უკვე ამ წლებში მკაფიოდ გაისმა მისი პოეტური ხმის ორიგინალური ელერა, ქართველი ხალხის წარსულისადმი ის ცხოველი შემოქმედებითი მისწრაფება, ბუნების შთაგონებული მხატვრობისა და ლექსის ემოციური დაძაბულობის ის თვისებანი, რომელთა გაღრმავების შემდეგ გიორგი ლეონიძემ ერთერთი მოწინავე ადგილი დაიჭირა ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

ფუნქციონალურ-ლექსურ ლიტერატურული მოძრაობა ამ წლების მანძილზე ვიწროდ გაგებული ფორმალური ნოვატორობისაგან გადადის დადებითს, სოციალურად გააზრებულ შემოქმედებით მუშაობაზე. მართალია, ამ პერიოდშიც „მემარცხენეობის“ ჯგუფის მწერლები განთავისუფლებული არ ყოფილან ფორმალისტური პოეტიკით გატაცებისა, — ფაქტოლოგიური პროზისა“ და მსგავსი „თეორიების“ ზეგავლენისაგან, მაგრამ ამ მცდარი ფორმულების მიღმა ამ მიმდინარეობის საუკეთესო წარმომადგენლები თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკით აქტიურად მონაწილეობენ ახალი რევოლუციური ხელოვნების მშენებლობის საქმეში. ეს გარემოება ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა სიმონ ჩიქოვანისა და ღემნა შენგელაის ამ პერიოდის შემოქმედებაში.

სიმ. ჩიქოვანმა ამ წლებში ძირითადად გადალახა „ზაუმისა“, სიტყვათქმედობისა და ე. წ. „ორკესტრული ლექსალობის“ მანერა, თემატური განყენებულება და პოეტურ სახეთა ბუნდოვანება, მის პოეზიაში ეხლა უკვე ერთას მხრივ თავი იჩინა ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი ტრადიციებისადმი მისწრაფებამ (ლექსების ციკლი „მყინვარი“). მეორეს მხრივ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განახლებისა და გარდაქმნის პოეტური სურათების ხატვის ტენდენციამ („უშგულის კომკავშირი“, „შემოღამება ხახმატში“ და სხვ.). იგი სწერს რევოლუციური აზრით გამსჭვალულ ლექსებს (ციკლი „მოსკოვი“, „მგზავრის წერილები“) და აგრეთვე გვაძლევს ფართო პლანის პოეტურ ნაწარმოებთა შექმნის ცდებს თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე (პოემა „ბედი — რესპუბლიკა“).

ღემნა შენგელაია სწერს სამოქალაქო ომისა და საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ეპიზოდების ამსახველ მოთხრობების

ციკლს, რომელიც მოასწავებს მწერლის განთავისუფლებას სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენებისაგან, რომელთა საგრძნობ ტყვეობაშიაც იგი იყოფებოდა რომანების „სანავარდოსა“ და „თბილისის“ წერის დროს. ამ თავის ახალ მოთხრობებში იგი უკვე რეალისტური კალმით ხატავს ამ ქოჯა-ცხოვრებითი მასალას და გმირის სულიერი ცხოვრების დრამას.

ახალგაზრდა მხატვრულ ინტელიგენციის შემოქმედებითი ზრდას მოასწავებს აგრეთვე ალექსანდრე ქუთათელის ამ პერიოდის მთელი რიგი ლექსები და მოთხრობები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ამ მეორე პერიოდისათვის დამახასიათებელია პროლეტარული სამწერლო კადრების ხვედრითი წონის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით რევოლუციის წლებში აღზრდილი ახალი შემოქმედებითი ძალების სწრაფი დაწინაურება ლიტერატურული შემოქმედების ყოველ ქანრში.

პოეტი ალიო მაშაშვილი ამ დროს უკვე ავტორია პოემის „მე და ბარათაშვილი“, რომელშიაც მიუხედავად კლასიკური მექვიდრეობისა და „ლიტერატურული თანამგზავრებისადმი“ არა სამართლიანი დამოკიდებულების აშკარად გამოვლინებული კვალის მიუხედავად, მკაფიოდ არის მოცემული ძველი და ახალი საქართველოს დაპირისპირებაზე აღმოცენებული მგზნებარე პოეტური აპოლოგია ქართველი ხალხის განახლებული ცხოვრებისა და მის წიაღში დაბადებული ახალი კულტურისა. ამ პოემაში მთელის ძალით გამოჩნდა პოეტის ღრმა ტემპერამენტი და შემოქმედებითი პოტენცია. ამ პერიოდის სხვა პოემებით და ლირიკული ლექსებით ალიო მაშაშვილი განამტკიცებს ახალი პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ტრადიციებს. ამვე დროს იგი სწერს პიესას „განგაში“, რომელიც ქართულ დრამატურგიაში წარმოადგენდა პირველ გამოხატულებას სოციალისტური სოფლის აღმავლობისა და საკოლმეურნეო წყობილების მოწინავე ადამიანების ზრდის პროცესისა.

კონსტ. ლორთქიფანიძის ამ პერიოდის პოეტურ შემოქმედებაში აღსანიშნავია პოემა „მუშა გამოგონებელი“. ამ პატარა პოემაში კონსტ. ლორთქიფანიძემ ქართულ საბჭოთა მწერლობაში მოგვცა კონკრეტული გამოხატულება ახალი — საბჭოთა ეპოქის ადამიანის ბუნების იმ თავისებურებისა, რომელიც განსაზღვრავს მის უპირატესობას ყოველი სხვა ეპოქისა და ფორმაციის ადამიანებთან შედარებით. ამასთანავე იგი ნაყოფიერ მუშაობას იწყებს მხატვრული პროზის დარგში და მთელი რიგი მოთხრობების შემდეგ იწყებს რომანის „იმერეთის“ წერას, რომელიც წარმოადგენდა ქართულ მხატვრულ პროზაში საკოლმეურნეო მოძრაობის ჩასახვისა და აღმავლობის მართალ მხატვრულ გამოხატულებას.

ქარლო კალაძის პოეტური განვითარება ამ პერიოდში მიმდინარეობს პოეტური ხატვის ორიგინალური საშუალებათა დაუფლებისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ. მის ლექსებში შესამჩნევი ხდება სწრაფვა სიუჟეტური კომპოზიციებისაკენ. იგი სწერს ფართოდ მოფიქრებულ პოემას „უჩარდიონი“, საკოლმეურნეო სოფლის წიაღში გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლის თემაზე.

მართალია ეს პოემა ვერ გვაძლევდა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში სოფლად დაპირისპირებულ სოციალურ ძალთა სიმართლითა და სწორად გა-

მომხატველ ტიპიურ სახეებს, რისი პრეტენზიაც ავტორს ქონდა, მიგრამ მაინც ეს ნაწარმოები საინტერესო ცდას წარმოადგენდა ახალი ქართული პოეტური ეპოსის შექმნის მიმართულებით. კარლო კალაძის დრამატული „როგორ“ და „ხატიჯე“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში. პიესა „როგორ“ ერთგვარი რომანტიული განსახიერება იყო ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა თვითმპყრობელური რეაქციის წინააღმდეგ. დრამაში „ხატიჯე“ მწერალმა ასახა აჭარის სოფელში ძველი პატრიარქალური ადათ-ჩვეულებების რღვევისა და იქ ახალი ცხოვრების ნათელის შექრის სინამდვილე. ამ ორმა პიესამ დასაწყისი მისცა ქართულ დრამატურგიაში ისტორიულ-რევოლუციური და საბჭოთა სინამდვილის თემატიკის დამკვიდრებას.

ქართულ საბჭოთა მწერლობის ისტორიის ამ პერიოდში ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს პროლეტარულ მწერალთა ახალი თაობა, რომლის შემოქმედებამ კიდევ უფრო გააფართოვა და გაამრავალფეროვანა ქართული მწერლობის თემატიურ-სტილებრივი დიაპაზონი.

ამ თაობის წარმომადგენელთა შორის თავი იჩინა პოეტმა ირაკლი აბაშიძემ. მისი პოეზიის თავისებურება იყო სოციალისტური სინამდვილის ყოველდღიურობის „წვრილმან მოვლენათა“ ესთეტიურ ხარისხში აყვანის უნარი.

პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა ახალ ქართულ ლიტერატურაში სპეციფური თემატიკა მოიტანა. მან პირველმა უმღერა მთის განახლებას და პირველმა გვიჩვენა პოეტური სურათები მთაში პატრიარქალურ საშუალოსაუკუნეებრივ ადათწესების რღვევისა სოციალისტური ცხოვრების აღმავლობის ნიადაგზე. მისი პოეზიის ლექსიკა ღრმად იყო აღბეჭდილი მთის ფოლკლორის უშუალო ზეგავლენით.

გიორგი კაქაბიძის ლექსის თავისებურებას განახლებული სოფლის ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ლირიკული სურათები შეადგენდა. თავიდანვე მის პოეზიას ახასიათებდა ბუნებრივობა, პოეტური სურათისა და კომპოზიციის სისადავე და მკაფიოდ გამოხატული მგრძნობელობა. ამავ წლებში იწყებს შემოქმედებით მუშაობას პოეტი კალე ზობოხიძე, რომელიც ლექსის თემატიურ აქტუალობასთან ერთად ისწრაფვოდა ლირიკულად ამღერებული მოტივებისაკენ. ამ პერიოდის ქართულ მხატვრულ პროზაში ყურადღება მიიქცია ბელეტრისტი პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანი „სართულები“ და მოთხრობამ „ამხანაგი ბუთხუზი“. ამ ნაწარმოებებში მწერალი ასახავდა ახალი ადამიანის ფორმირების პროცესს, ჩვენს ქვეყანაში გაშლილი, სოციალისტური რეკონსტრუქციის წარმატებებთან დაკავშირებული კლასობრივი ბრძოლების მძაფრ სინამდვილეს.

ბელეტრისტმა ბორის ჩხეიძემ თავისი პირველი მოთხრობით „ღლეები“ კუშმარიტი რეალისტის მხატვრული თვისებები გამოიჩინა. ეს იყო პირველი ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ასახავდა კონტრრევოლუციური მენშევიზმის ჯალათური პოლიტიკის წინააღმდეგ თავგანწირულად ამხედრებული სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხის ვაჟკაცურ ბრძოლას თავისი ღირსებისა და თავისუფლებისათვის. მოთხრობა გამსჭვალულია ამ ხალხის თავისუფლების მოყვარეობით, მებრძოლი სულისკვეთებით. შემდეგ ბორის ჩხეიძემ დასწერა რომანი „ფერო“, რომელშიაც სცადა განესახიერებია ჩვენი სამშობლოს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, ჩვენს ქვეყანაში

სოციალისტური მრეწველობის გიგანტური აღმავლობის პროცესი. თუმცა ამ ნაწარმოებში მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და დაუხელოვნებელმა მხატვარმა სათანადო ძალით ვერ შესძლო ამ დიდი შემოქმედებითი მოღვაწის განხორციელება.

ამ პერიოდში იწყებს აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ახალგაზრდა კრიტიკოსთა მთელი თაობა გიორგი ნატროშვილის, დიმიტრი ბენაშვილის, ალ. სულავეას, ერ. ასტვაცატუროვის სახით.

პროლეტარული პოეზიის პირველი თაობის წარმომადგენლებიც ამ წლებში უკვე მუშაობას იწყებენ სინამდვილის კონკრეტულ თემებზე და მხატვრული ფორმის თვალსაზრისითაც ისწრაფვიან ნაბიჯი გაუსწორონ საბჭოთა ლიტერატურის საერთო განვითარებას. ეს გარემოება მკაფიოდ გამოიხატა ს. ეულის, იონა ვაკელის და ი. ლისაშვილის მთელ რიგ ლექსებში.

მწერლობის ყველა ფენის ასეთი შემოქმედებითი ამოძრავება და მხატვრულ შემოქმედებაში სოციალისტური თანამედროვეობის თემებისა და იდეების დამკვიდრების ახალი ეტაპი ცხადს ჰყოფდა ყველა განცალკევებულ ლიტერატურულ ორგანიზაციების ჩარჩოების სივიწროვეს და შეუფერებლობას მწერლობის განვითარების ფართოდ გაშლილ პროცესისათვის. განცალკევებული ლიტერატურულ ორგანიზაციათა კარჩაკეტილობა და მათი უმრავლეს შემთხვევაში დრომოკმული „თეორიები“ და კონცეპციები გადაიქცნენ შემაფერხებელ ფაქტორად საბჭოთა ლიტერატურის. შემდგომი წინსვლულობისა და მისი საუკეთესო ძალების იდეურ-შემოქმედებითი კონსოლიდაციის საქმეში.

განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის შესახებ, რომელიც 1930-31 წლებში გადაიქცა „რაპის“ ნამდვილ ფილიალად. ასოციაციის „ხელმძღვანელები“ გადაჭარბებულია გულმოდგინებით ნერგავდნენ ქართულ ლიტერატურაში „აგერბახელების“ მიერ შეთხზულ მცდარ და ყალბ, მავნებლურ ლიტერატურულ-პოლიტიკურსა და შემოქმედებითს ლოზუნგებს. განსაკუთრებულად უკიდურესი გამოყენება და გავრცელება ჰპოვა საქართველოში ვულგარობატორულმა, ანტიპარტიულმა ლოზუნგმა „მოკაეშირე ან მტერი“ და კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნიღბისტური დამოკიდებულების რაბულმა პოლიტიკამ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 23 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ სამუდამოდ აღკვეთა „რაპელების“ „ჩეგემონია“ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და ბოლო მოუღო განცალკევებულ ლიტერატურულ გაერთიანებათა კარჩაკეტილობას — სექტანტურ შეზღუდულობას. აქედან იწყება ახალი, უმაღლესი ეტაპი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებისა და აღმავლობისა.

3

1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ, დიდი სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ძლევაშისილად დამთავრების წლებში ქართულმა საბჭოთა მწერლობამ თავის ნამდვილ აყვავებას და აღორძინებას მიაღწია.

საქართველოს ბოლშევიკების მე-10 ყრილობაზე, 1937 წელს ამხანაგი ლავრენტი ბერია ამბობდა: „უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგში“. და, მართლაც მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასის იდეურ-შემოქმედებითი კონსოლიდაციისა და პარტიის პოზიციებისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გარშემო მისი ერთსულოვანი დარაზმულობის შედეგად ქართული საბჭოთა მწერლობა გამდიდრდა მისი ყოველი ქანრის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით, რომლებიც ასახავენ ჩვენი თანამედროვეობის ძირითად პროცესებს და ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ეტაპებსა და ეპიზოდებს.

ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის განვითარებაში ეს ახალი ეტაპი აღინიშნა ბურჟუაზიულ-დევკადენტური ტრადიციების, თვითმიზნური ესთეტიზმისა და „უსაგნო ლირიკის“ ინერციის წინააღმდეგ ბრძოლით, პოეზიაში ხალხურობისა და სისადავის, ჯანსაღი პოლიტიკური ლირიკის ტრადიციათა გაღრმავებისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლით.

შეიქმნა მთელი რიგი კოლექტიური წიგნები: „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“, „ბელადს — ქართველი მწერლები“, „გმირულ ესპანეთს“, „ახალი კოლხიდა“, „ბედნიერ სამშობლოს“, „ბედნიერების სიმღერები“, „სტალინურ თაობას“ და სხვა, რომლებშიც ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მკაფიოდ გამოავლინა თავისი ძალა და უნარი ხალხის საუკეთესო აზრებისა და გრძობების გამოხატვისა პოეტურ სახეებსა და ჰანგებში.

რესპუბლიკის სახალხო პოეტის გალაქტიონ ტაბიძის მიერ ამ უკანასკნელ წლებში დაწერილმა ახალმა ლექსებმა შეადგინეს მისი თხზულებების სრული კრებულის მესამე დიდი ტომი, რომელშიც განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ლექსების ციკლი „მოგონებანი ევროპაზე“. ამ ლექსებში პოეტმა მოგვცა მტრული კაპიტალისტური სამყაროს სასიკვდილო განწირულებისა და იმ მწვავე წინააღმდეგობათა ამსახველი პოეტური სურათები, რომლებსაც მოუცავს კაპიტალის ბატონობის სამყარო.

პოეტმა გიორგი ლეონიძემ ლირიკული გზებით აღბეჭდილი ლექსების გარდა შექმნა პოემა „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია საბჭოთა მწერლობის მიერ დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრების თემაზე დაწერილ ნაწარმობთა შორის. პოემა წარმოადგენს შთაგონებით დახატულ პოეტური სურათებისა და ლირიკული ფრაგმენტების მწყობრ მთლიანობას, რომელშიაც კოლორიტულად და ცხოვლად არის გამოხატული ის სოციალური და ყოფა-ცხოვრებითი გარემოცვა, რომელშიც დაიბადა დიდი სტალინი და რომელშიაც მან თავისი ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა.

უკანასკნელი წლების თავისი პოეტური შემოქმედებით გიორგი ლეონიძემ კიდევ უფრო გააფართოვა საკუთარი შემოქმედებითი პოეტური ფოლკლორის საუკეთესო ტრადიციებით; კიდევ უფრო მეტის ორგანიზლობით აელერდა მის პოეზიაში ქართული სიტყვა, მეტი თავისებურება მოიპოვა მისი ლექსის როგორც თემატიკამ, ისე პოეტურმა საშუალებებმა. მის შემოქმედებაში ზოგჯერ ადგილი აქვს პოეტური ზარისხის არა თანაბარ დონეს, ზოგჯერ ვხვდებით პოეტის პოტენციისა და ნიჭიერებისათვის შეუფერებელ, შედარებით ნაკლებად დამუშავებულ და დახვეწილ ლექსებს, მაგრამ ყოვე-

ლივე ეს ვერ ანელებს იმ შთაბეჭდილებას, რომლსაც ახდენს გ. ლეონიძის ლირიკული ლექსების წიგნი და მისი პოემა.

პოეტმა სიმ. ჩიქოვანმა, უკანასკნელი წლების ლექსებში გააღრმავა წინა დროის დამახასიათებელი პოეტური ფორმის სიმძიმე და სახეობა ბუნდოვანება. იგი გვაძლევს განახლებული საქართველოს ბუნებისა და ყოფაცხოვრების დიდი პლასტიკური სიციხოველით და ემოციურის ძალით აღბეჭდილ პოეტურ სურათებს. სოციალისტური ეპოქის ადამიანის ფიზიკური თვალთ შედის იგი თავისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორიის წიაღში, რათა სტალინური ეპოქის ხალხის მებრძოლი და შემომქმედი გენია ორგანულად დაუკავშიროს წარსულის საუკეთესო ადამიანთა გმირულ საქმეებსა და შემოქმედებითი გაქანებას. სიმ. ჩიქოვანის ლექსები „გორის ციხე“, „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“, „თეიმურაზ პირველი“, „მიძღვნა ვარძიის ოსტატებს“ და სხვა საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნებიან. სიმ. ჩიქოვანის პოეტური განვითარება მხატვრული მეთვლელების საშუალებათა კიდევ მეტი სიციხადისა და სინათლის, პოეტური ფორმის, კიდევ მეტი სისადავისა და მოქნილობის გზით მიემართება.

სოციალისტური ლირიკის ერთერთი საუკეთესო ოსტატის ალიო მაშაშვილის უკანასკნელი პერიოდის ლექსები დიდი შინაგანი პათოსით, თემატიკური დიაპაზონის სიფართოვით და მებრძოლი აქტუალობით ხასიათდება. ამავე დროს მან მიაღწია პოეტური საღებავებისა და მუსიკის ღრმა ბუნებრივობას, რამაც კიდევ უფრო პოპულიარული გახადა მისი შემოქმედება. მისი „სამშობლო ბელადისა“, „პომნი სამშობლოს“, „დაბადება“, და სხვა საბჭოთა პატრიოტიზმის, დიდი სტალინისადმი სიყვარულისა და ერთგულების უწყინდესი გრძნობის მაღალ პოეტური გამოხატულებაა. იგი აქტიურად ეხმარება ჩვენი ხალხის ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას და თავის ლირიკულ ლექსებში გვაძლევს საბჭოთა ხალხის მშობრივ ცხოვრებისა და ხალისიანი, მებრძოლი განწყობილების მკვეთრ ანარეკლს. მისი ფართო პლანის პოეტური ნაწარმოები პოემა „ენგური“, მეტად მნიშვნელოვანი ცდა არის კლასიკური პოეზიისათვის დამახასიათებელი დიდი ეპიური ტრადიციების აღდგენისა და გაღრმავებისა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ეს პოემა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის აღმავლობისა და საკოლმეურნეო სოფლის შეძლებული ცხოვრების ფონზეა გაშლილი. მის ცენტრში დაყენებულია ახალი ადამიანის ტიპური სახე — ხალხის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდა კაცი, სოციალისტური მშენებლობით გატაცებული ენტუზიასტი, რომლის ცხოვრების ისტორია შეადგენს პოემის სიუჟეტის საფუძველს. განსაკუთრებით ძლიერია პოემის ის ადგილები, რომელშიც პოეტი ენგურის ნაპირებზე გაშლილი ველებსა და დაბურული ტყეების პოეტურ სურათებს ხატავს, სამეგრელოს პეიზაჟებს ძერწავს ან კიდევ მასიური შრომისა, თუ საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების ეპიზოდებს ასახავს.

უკანასკნელად მან დასწერა პოეტური მინიატურების ვრცელი ციკლი, რომელშიც სკადა ფილოსოფიური ლირიკის ტრადიციების აღორძინება თანამედროვე პოეზიაში. უნდა ითქვას, რომ ნაწილი ამ მინიატურებისა ბუნდოვანი, პოეტის საერთო მსოფლმხედველობისათვის შეუფერებელი აზრის საფუძველზეა აგებული.

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული პოეზიის მოწინავე შემოქმედებითი ძალების პირველ რიგში წამოიწია პოეტი ილია მოსაშვილი. ბელადისა

და სამშობლოს თემა განსაზღვრავს მისი პოეტური შემოქმედების შინაარსსა და იდეურ მიზანდასახულებას. მისი პოეზია ელერს, როგორც საბჭოთა ხალხის პატრიოტული აღფრთოვანებისა და გმირული სულისკვეთების გამოვლენა-ტულება. დიდი სტალინისადმი და, ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი მიძღვნილი მისი ლექსები თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკის შესანიშნავი ნიმუშებია. მისი შემოქმედებითი დიაპაზონი ამასთან იტევს ლირიკულ პეიზაჟებს, ინტიმურ განწყობილებათა გამომსახველ ლექსებს და ისეთ პოეტურ ნაწარმოებს, რომლებიც განზოგადოებულად განასახიერებენ ცხოვრების გარდამქნელ და განმაახლებელ ძალას ჩვენი დიადი თანამედროვეობისა. ილო მოსაშვილის მთავარი საბრძოლო შემოქმედებითი ამოცანა ეხლა პოეტური ხმისა და საღებავების მეტი მრავალფეროვნების მიღწევაში მდგომარეობს.

მრავალი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოები შესძინა თანამედროვე ქართულ ლიტერატურას პოეტმა ვალერიან ვაფრინდაშვილმა. მისი „ოქტომბრის სტრიქონები“, „ოცნება ბელადზე“, „ჩემო ქვეყანავ“, „ზღვა და ბელადი“ და სხვ. აღმოცენებულნი არიან თავისი ხალხის ცხოვრების სინამდვილესთან პოეტის ორგანული შემოქმედებითი დაკავშირების ნიადაგზე.

პოეტ კარლო კალაძის ახალი ლექსების ციკლი „ხერთვისის განთიადები“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ზღვის პირად“ „იმერული მოთხრობა“ და ბალადები: „მთების ეპოსი“, „გიორგი“ და სხვ. ავტორის შემოქმედებითი ზრდას გვიჩვენებენ. ამ ლექსებში კოლორიტულად არის დახატული განახლებული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი პოეტური სურათები. მის ლექსებს სიუჟეტური კომპოზიციები და ეპიური ფორმისაკენ მისწრაფება ახასიათებს.

წრფელი და ლირიკული ხმის პოეტად ჩამოყალიბდა ირაკლი აბაშიძე. მისი ლექსი თავისუფალია ყოველგვარი ბუნდოვანებისაგან და პოეტური მონაფიქრის სიმბავილეს და განცდის სისაღეს თან ახლავს პოეტური მეტყველების საშუალებათა სიმსუბუქე, რომელიც პოეტის ორგანიულ ღირსებას შეადგენს. მისი ლექსი მძაფრი განცდის ნიადაგზეა აღმოცენებული და ყოველი მოვლენის ერთგვარად დრამატიზირებულ განსახიერებას გვაძლევს. მისი ლექსები „გადარჩენის ბალადა“, „ყვავილები ქალაქში“, „სიაოქტომბრო მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას“, „პირველი თოვლის სიმღერა“ და სხვ. თვალწინ გადაგვიშლის სტალინური თაობის ადამიანთა პოეტიზირებულ ბიოგრაფიას, მათი ზრდისა და დავაუკაცების, მათი მზიური ყოფა-ცხოვრების, მათი სულიერი სამყაროს მთელ სიმდიდრეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უკანასკნელი ნაწარმოები „წულუქიძის სიკვდილი“, რომელშიც ძლიერი ცდაა დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლის ალექსანდრე წულუქიძის მგზნებარე სახის დახატვისა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების უკანასკნელი ეტაპისათვის ფრიად დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს რევოლუციამდელი ქართული პოეზიის ისეთი გამოჩენილი ოსტატების შემოქმედებითი აქტივობა, როგორიც არიან იოსებ გრიშაშვილი და ალექსანდრე აბაშელი.

წინათ ინტიმურ-რომანიული თემებით ვიწროდ განსაზღვრული და ძველი თბილისის ეგზოტიკით მოჭადროებული პოეტი გ. გრიშაშვილი ეს მეტად კოლორიტული და თავისებური ფიგურაა თანამედროვე ქართული პოეზიისა — ეხლა სწერს ჩვენი დიადი თანამედროვეობის საბრძოლო იდეებით შთაგონებულ ლექსებს. აღსანიშნავია ამ მხრივ მისი „წერილი ბელადს ჩემი უბნიდან“, ლექსების ციკლი მიძღვნილი განახლებული თბილისისადმი და სხვა.

ცხოვლად ეხმაურება ჩვენი თანამედროვეობის ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას პოეტი ალექსანდრე აბაშელი. მისი პოეტური თვალი თანაბარი სიყვარულით აითვისებს შორეულ მთიან რაიონებში დაძრული ახალი ცხოვრების მოვლენებს, განახლებული თბილისის სახეს, ჩვენი სამშობლოს საზღვრებზე მდგომ შამაც მესაზღვრეთა ვაჟაკურ გამომეტყველებას. ჰაერში ამყად მსრბოლავ სტალინურ შევარდენს და გვაძლევს ყოველივე ამის შთაგონებულ პოეტურ გამოხატულებას.

გარდა მთელი რიგი ლირიკული ლექსებისა, პოეტმა რაჟდენ გვეტაძემ დასწერა ეპიური ელემენტების შემცველი პოეტური ნაწარმოებნი „ოქროს ვერძი“ და „ახალი სახლი“. პირველში პოეტმა განასახიერა ჩვენი დროის ახალგაზრდა ქალის, უდიდეს სიძნელებთან ბრძოლაში გამარჯვებული, ღრმა რწმენით და შემოქმედებითი გამბედაობით აღგზნებული მოწინავე ადამიანის სახე, რომლის პოეტიზირებული ბიოგრაფიაც ავტორმა გაშალა ახალი კოლხიდისათვის ბრძოლის ფონზე. პოემაში „ახალი სახლი“ მწერალმა სცადა მოეცა პოეტური გამოხატულება ჩვენ სამშობლოში გაშლილი გმირული შემოქმედებითი შრომისა და მისი შედეგების ნიადაგზე ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების ძირფესვიანი განახლებისა.

ქართული პროლეტარული პოეზიის ერთ-ერთმა პირველთაგანმა სანდრო ეულმა უკანასკნელ წლებში მოგვცა სოციალისტური სინამდვილის კონკრეტულ მოვლენების ამსახველი მთელი რიგი ლექსები „იქ, სადაც იშვა ბელადი“, „დედის ნახვა“ და სხვ. მან დასწერა აგრეთვე პოემები: „ეპოქის ავტორი“ (მიძღვნილი დიდი სტალინისადმი), „ტარას შევჩენკო“, „ჭალადიდი“ და სხვ.

უკანასკნელ ხანებში სოციალისტური სინამდვილის თემებზე აქტიური მუშაობა დაიწყო კონსტ. ჭიჭინაძემ. მისი პოემები „მარინა რასკოვა“ და „შუა აზია“ და ახალი ლექსების მთელი ციკლი ნათლად გვიჩვენებენ პოეტის გულწრფელ სწრაფვას დაძლიოს ის ერთგვარი სოციალური ინდიფერენტისმი და ეპოქის აქტუალური პრობლემებისაგან განყენებულება, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი შემოქმედებისათვის. ორიგინალურ პოეტურ შემოქმედებასთან ერთად იგი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა პოეტურ თარგმანის დარგში. მან მოგვცა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისა და მოძმე ხალხთა თანამედროვე კულტურის მრავალი საუკეთესო ნიმუშის მაღალმხატვრული თარგმანი ქართულ ენაზე.

საგრძნობლად გააფართოვა საკუთარი პოეტური ზედვის არე ალექსანდრე გომიაშვილმა. მისი ბალადები „უკანასკნელი დღე კეცხუველებსა“ და „ბალადა გამოსალმებისა“ და ლექსი „ბაზალეთის ტბა“ პოეტის შემოქმედებითი პოეტნიციისა და მხატვრული ოსტატობის უპველი ზრდის და გარდამავების მომასწავებელი ნაწარმოებია.

ქართული საბჭოთა პოეზიის მრავალმოვან ორკესტრში მკაფიოდ გამოირჩევა ვიქტორ გაბესკირიას პოეტური ხმა. მის ლექსს კომპოზიციური ორიგინალობა, დახვეწილი ნიუანსები და გემოვნება ახასიათებს.

თანამედროვე ქართული პოეზიის აქტიური შემოქმედებით ძალებს წარმოადგენენ აგრეთვე სანდრო შანშიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ქუჩიშვილი, დომენტი თომაშვილი, შალვა აფხაძე, გიორგი კაპახიძე, ალ. ქუთათელი, დავით გაჩეჩილაძე, ხარიტ. ვარდოშვილი, სოლ. თავაძე, კალე ბობოხიძე, ეასო გორგაძე, გრიგოლ ცეცხლაძე, პოეტი ქალი მარიჯანი, მიქელ პატარიძე, ივ. ყიფიანი და სხვ.

ქართულ პოეზიაში ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების ზრდისა და განმტკიცების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს გრიგოლ აბაშიძის უკანასკნელი წლების პოეტური მოღვაწეობა. იგი მახვილი პოეტური აზრისა და გემოვნების მხატვარია. გარდა ლირიკული ლექსების მთელი წიგნისა მან დასწერა პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“, რომელშიც ასახულია ამხანაგი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა საქართველოში ჩვენი საუკუნის გარიცრაქზე.

თავის პოეტურ ნაწარმოებთა წიგნით „ასფურცელა“ გრიგოლ აბაშიძემ საკუთარი, თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში.

ლექსების საკუთარი წიგნებით გამოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები: გაბრიელ ჯაბუშანური, მირზა გელოვანი, რევაზ მარგიანი, ლადო ასათიანი, ალექსანდრე საჭაია, გიორგი კალანდაძე, ალექო შენგელია, იოსებ ნონეშვილი, სევერიან ისიანი, მაყვალა მრეველიშვილი, მარიკა მიქელაძე, ალიო ადამია, ან. თევზაძე შ. იოსელიანი, ი. ხოშტარია და სხ. მთელ ამ პოეტურ პროდუქციაში მრავალი საყურადღებო ნაწარმოები გვხვდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაში იგრძნობა ინერცია ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული ტრადიციისა და ზოგჯერ იოლი, გატკეპნილი გზით სვლის ტენდენციებიც.

ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის უკანასკნელი, უახლესი ეტაპი აღინიშნა უდავო შემოქმედებითი წარმატებებით მხატვრული პროზის დარგში. შეიქმნა მთელი რიგი რომანები, მოთხრობები, ნოველები, რომლებიც გვიხატავენ ჩვენი სოციალისტური სინამდვლის ძირითად პროცესებს და ქართველი ხალხის გამირული წარსულის მგზნებარე ეპიზოდებს.

ლეო ქიაჩელმა, რომელმაც ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ქართულ-ლიტერატურაში თავისი რომანით „ტარიელ გოლუა“ შემოაქვს რეალისტი მხატვრის სახელი დაიმკვიდრა, უკანასკნელ წლებში დასწერა: „მესწრისწავი ნოველა“ „აქი აცბა“ და რომანი „გვადი ბიგვა“. ორივე ეს ნაწარმოები თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის პირველ-ხარისხოვან ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნება.

„გვადი ბიგვაში“ სოფლად განმტკიცებული საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე მწერალმა დახატა ადამიანის გარდაქმნის, მისი შეგნებიდან წარსულის ბნელი ნაშთების აღმოფხვრისა, კომუნისზმის აქტიურ და შეგნებულ მშენებლად მისი გადაქცევის მართალი და დამაჯერებელი სურათი.

სიუჟეტის კომპოზიციური მთლიანობა, ტიპური ადამიანის ხასიათების მკაფიო მხატვრობა, მოვლენათა ღრმად განსჯერება და მათი გამოხატვის ბუნებრივი დამაჯერებელი მანერა შეადგენს ამ ნაწარმოების დიდ ღირსებას.

კონსტ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“ იყო დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობათა მწერლის პირველი ნაწარმოები ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემაზე. მწერალმა განიზრახა მოეცა ჩვენს ეპოქაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ორი სამყაროს — მომაკვდავი ძველისა და ძლევამოსილად აღმავალი ახლის კიდილის ამსახველი ფართო პანორამა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ რომანს მთელი რიგი იდეურ-შემოქმედებითი ნაკლი ახასიათებს, რაც იმას მოასწავებს, რომ ამ ნაწარმოებზე მუშაობისას ავტორი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მისთვის ძველად დამახასიათებელი იდეების გავლენისაგან, მაინც ამ ნაწარმოებში დიდის ძალით გამოიხატა ძველი რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულება. ამავე დროს რომანში მოცემულია ახალი ცხოვრების აღმავლობის მთელი რიგი დიდის ექსპრესიით და პოეტური განცდით შესრულებული სურათები. ამას მოჰყვა მისი დიდი ისტორიული რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ რომელიც მეათე საუკუნის საქართველოს ცხოვრების ფონზეა გაშლილი. შემდეგ კონსტ. გამსახურდიამ დასწერა ქართული ფოლკლორის მოტივებზე აგებული ნოველა „ხოგაის მინდია“, ხოლო უკანასკნელად მან შექმნა პირველი წიგნი ტრილოგიისა „ბელადი“, რომელიც დიდი სტალინის შესანიშნავი ცხოვრების პირველ წლებს — ბავშვობასა და ყრმობის წლებს ასახავს. რამდენიმე ახალი რომანი და მოთხრობა დასწერა უკანასკნელ წლებში დემნა შენგელაიამ. ეს ნაწარმოებები ნათლად მოწმობენ ავტორის უფრო გამტკიცებას რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე, მისი შემოქმედებითი დიაპაზონის გაფართოვებას, მისი მხატვრული ლაბორატორიის განთავისუფლებას ფორმალისტურ სიმბოლისტური პოეტიკის გავლენებისაგან. დემნა შენგელაიას რომანი „ბათა ქეჭია“ სამეგრელოს სპეციფიური ყოფაცხოვრების კოლორიტულად დახატულ ფონზე ასახავს ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებას მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე — გასული საუკუნის სამო-

ციანი წლებიდან 1905 წლის რევოლუციის მგზნებარე დღეებამდე, რომანში „ციკარი“, რომელიც გაშლილია ძველი თბილისის ფონზე, ვასლ საუკუნის უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე, გამოხატულია ის დღიური, სუბიექტური ძერები, რაც დამახასიათებელი იყო ამ პერიოდისათვის ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობების მთელი ციკლი, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია უკვდავი ლენინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის შიშვე დღეების ამსახველი მოთხრობა — „ფიცი“, ამხანაგი სტალინის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ბელეტრისტული ნაწარმოები „ყრმობა“ და ისტორიული მოთხრობა „შემოქმედი“ რომელშიც მწერალი რუსთაველის ეპოქის საქართველოს სულიერი ცხოვრების გამოხატულებას გვაძლევს.

კონსტ. ლორთქიფანიძის რომანი „იმერთი“ პირველი ნაწარმოები იყო ქართულ მხატვრულ პროზაში, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის, საკოლმეურნეო მოძრაობის დაწყებითმა პერიოდმა. მწერალმა დახატა ამ დიდ გარდატეხასთან დაკავშირებით სოფლად გაშლილი მწვავე კლასობრივი ბრძოლის სურათები და რომანის ცენტრში დააყენა ახალგაზრდა გლეხი მეჭი, რომელიც ძველი ცხოვრების მიერ გათელილი და დაბეჩავებული აღადგინა და მოწინავე ადამიანად აქცია საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ბრძოლის გარემოცვამ... ყოფაცხოვრებითი სურათების დახატვაში, პერსონაჟის ტიპიურ სახეთა შექმნაში ამ ნაწარმოების ავტორი დიდ რეალისტურ ძალას იჩენს.

მისი ბელორუსული მოთხრობების ციკლი „უკვდავება“ ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მათში მკაფიოდ არის ასახული ბელორუსი ხალხის გმირული ბრძოლა თავისი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. ამ მოთხრობებში მწერალმა ღრმად გამოხატა ხალხის უკვდავი და გაუტეხელი მებრძოლი სული. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მწერალმა შესძლო ეჩვენებია არა მარტო ბელორუსიის სპეციფიური პეიზაჟის ღრმად განცდილი გამოხატულება, არამედ გადმოეცა ბელორუსი ხალხის ყოფაცხოვრებისა და ხასიათის თავისებურებათა გამოხატველი დეტალებიც.

მრავალფეროვანია და მრავალმხრივი სერგო კლდიაშვილის ახალი ნოველების თემატიკა. ეს ნოველები რეალისტი მხატვრის გემოვნებით არის დაწერილი. ნოველაში „მტრები“ მწერალმა გამოხატა სოციალისტური ეპოქის მიერ ადამიანის შეგნებიდან წარსულის ბნელი ტრადიციების აღმოფხვრის მკაფიო სურათი. მისი შესანიშნავი სვანური ნოველების ციკლი გადაშლის მკითხველის წინაშე სვანური ცხოვრების ფრიად სპეციფიურ სამყაროს, მოგვითხრობს წარსულში ხალხის ტანჯვისა და მონობის, თავისი ღირსებისა და უფლებისათვის ხალხის თავდადებული ბრძოლის შესახებ.

მთელი რიგი მისი ნოველები, რომლებიც მძაფრი იუმორით არიან გამსჭვალულნი ამხელენ ჩვენ სინამდვილეში ჩარჩენილ ნაშთებს ძველი ტხოველების ყოფითი ტრადიციებისა.

თანამედროვე ქართული პროზის ფრად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ალ. ჭუთათელის რომანი „პირისპირ“. ეს ტრილოგია ასახავს საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებს და იმ გმირულ ბრძოლას, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით აწარმოებდა ქართველი მშრომელი ხალხი მისი უბოროტესი მტრების — მენშევიკების ძალაუფლების დასამხობად.

რომანის პირველი ორი წიგნი დაწერილია მასალის დიდი ცოდნით და რთული სოციალური მოვლენების სწორად, მიზანდასახულებრივად გაშუქების უნარით. რომანის პერსონაჟები განასახიერებენ ამ პერიოდში მებრძოლ ყველა სოციალურ ძალას. თუ ტრილოგიის პირველ წიგნში ავტორმა უმთავრესად ქალაქის ცხოვრება ასახა, გვიჩვენა ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ეპიზოდები, როგორც იყო შამქორის ველზე დატრიალებული ტრაგედია, ყოფ. ალექსანდროვის ბაღში ბოლშევიკური მიტინგის დახვერტა და სხვ. თუ ამ წიგნში უმთავრესად ინტელიგენცია მოქმედობს, რომანის მეორე წიგნი იმერეთის სოფლის ფონზეა გაშლილი და დიდის რეალისტური სიცხადით მასში ასახულია მენშევიკების დიქტატურის პერიოდის ქართული სოფლის ვითარება.

რაცდენ გვეტაძის მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „ლაშაური საღამოები“, და ბელორუსული მოთხრობების ციკლი. რომანში „ლაშაური საღამოები“ ავტორმა გამოხატა ქართველი წერილობრივ-ეპოქური მხატვრული ინტელიგენციის განწყობილებანი საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში, ბელორუსულ ნოველებში „მახრა“ და „სკირ-გაილო“ დრამატიულად გამძაფრებული სურათებია დახატული, რომლებიც ღრმად განგვაცდევინებენ და ჩვენს ცნობიერებაში ადადგენენ ბელორუსი ხალხის თავდადებულ ბრძოლას ფეოდალურ ტირანიისა და ყოველი ჭურბს მჩაგვრელი რეაქციული ძალების წინააღმდეგ.

საკოლმეურნეო წყობილების აღმავლობისა და სოციალისტური სოფლის ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების ცხოველ სურათებს ხატავს თავის რომანში „ლელო“ მწერალი ალ. ჭეიშვილი. ეს რომანი წარმოადგენს მწერლის დებიუტს მხატვრული პროზის დარგში და იგი აშკარად მოწმობს ავტორის მახვილ თვალს და გამჭვირავ მხატვრულ ალღოს.

თანამედროვე ქართულ მხატვრულ პროზაში ნოველის ჟანრის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი ბელიაშვილის ნოველების ორი წიგნი, რომლებშიც მწერალი ჩვენი თანამედროვეობის მრავალმხრივსა და მრავალფეროვან გამოხატულებას გვაძლევს მცირე მოცულობის ბე-

ლეტრისტული ენარის ფარგლებში ჩამოყალიბებული მახვილად მოფიქრებული სიუჟეტებისა და მკაფიოდ გამოკვეთილი ტიპური სახეების მეშვეობით.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის დამახასიათებელი მთვლენებს წარმოადგენენ აგრეთვე შალვა დადიანის რომანი „ურდუმი“, (ჭერ დაუმთავრებელია. მისი მხოლოდ რამდენიმე თავია გამოქვეყნებული) და მისი მოთხრობები „ერთი დღე რუსთაველისა“ და „ქარბუქში“. პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანები „ნაბიჯები“ და „ახალი ხმელეთი“ (განსვენებულ მწერალს დაუმთავრებელი დარჩა). იაკინთე ლისაშვილის რომანები „ვარდნილი“ და „ძახილი მთაში“. ელ. პოლუმორდინოვის რომანი „განთიადის წინ“ და მისი მოთხრობების რამდენიმე წიგნი, სოლომონ თავაძის რომანი „მამა“, პარმენ ლორიას რომანი „დელი მურადი“, ბორის ჩხეიძის რომანი „ფერო“ და მთელი რიგი მოთხრობები, დავით სულიაშვილის, ლევან მეტრეველის, ანა ხახუტაშვილის, როდიონ ჭორჭიას, მარიამ გარიყულის, არჩილ ჩაჩიბაიას და სიმონ წვერაეას ბელეტრისტული ნაწარმოებნი.

უკანასკნელ წლებში მხატვრული პროზის დარგში წარმატებით იწყეს შემოქმედებითი მუშაობა ახალგაზრდა მწერლებმა ლადო ბალიაურმა, ვლად. ავალიანმა, კოტე ხიმშიაშვილმა.

ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის პირველივე პერიოდისათვის დამახასიათებელმა გაცხოველებულმა შემოქმედებითი მუშაობამ ორიგინალური დრამატურგიის აღორძინებისათვის, კიდევ უფრო მეტ გაღრმავებასა და განვითარებას მიადწია უკანასკნელი წლების მანძილზე.

თავისი საზოგადოებრივი რეზონანსით და აქტუალობით უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იმსახურებს შალვა დადიანის ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“. ეს იყო ერთერთი პირველი ცდა მთელ საბჭოთა დრამატურგიაში თანამედროვეობის უდიდესი გენიოსების ლენინისა და სტალინის მხატვრული სახის შექმნისა. პიესაში ასახულია ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა საქართველოში, ჩვენი საუკუნის გარიყრაჭზე, როდესაც იგი აყალიბებდა პირველ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ჩვენში და კლასობრივი ბრძოლის ძლევამოსილ გზაზე გამოჰყავდა ქართველი მშრომელი ხალხი. მწერალმა მოხერხებულად გამოიყენა ამ ნაწარმოებში მდიდარი და წარმატებული ისტორიული ფაქტური მასალა და შეავსო, გაამდიდრა იგი საკუთარი მხატვრული ფანტაზიით შექმნილი ტიპური სახეებითა და სიტუაციებთ.

შალვა დადიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა — ილია ჭავჭავაძის და ეგ. ნინოშვილის ბელეტრისტული შემკვიდრეობის ნიადაგზე აგებული პიესები „ჩატეხილი ხიდი“ და „ნინოშვილის გურია“ და ისტორიული ენარის დრამები „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „პუშკინი საქართველოში“. თუმცა შალვა დადიანის მთელს ამ უხვსა და ნა-

ყოფიერ დრამატურგიულ მუშაობაში გვხვდება ხოლმე ამა თუ იმ ხისრათის ცალკეული შემოქმედებითი მარცხი და სისუსტე.

სანდრო შანშიაშვილის უკანასკნელი პერიოდის დრამატურგიული შემოქმედების საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს დრამა „არსენა“, რომელშიაც მწერალმა რომანტიული პეროიკის სტილით ასახა მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის ქართველი გლეხობის ბრძოლა ფეოდალური ტირანიისა და თვითმპყრობელური ბიუროკრატის წინააღმდეგ. მან საკუთარ იდეურ მხატვრულ ასპექტში გადაამუშავა ქართული ხალხური სიტყვიერების მიერ შექმნილი სახე გლეხი რევოლუციონერისა, ლეგენდარული გმირის, — არსენასი და დახატა იგი, როგორც თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის აჯანყებული გლეხური მასების მეთაურის ტიპი. დრამაში მწერალმა ფართოდ გააშუქა ეპოქის სოციალური ფონი, ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების შემადგენელი ყოველი სოციალური ფენა. საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, სოფლად შენიღბული კლასობრივი მტრის მკენებლური „საქმიანობა“, მტრის გამომჟღავნება და განადგურება წარმოადგენს შანშიაშვილის პიესის „ფოლადურის“ თემას. ამ პიესაში ავტორმა განიზრახა მოეცა საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანების ტიპური სახეები და ეჩვენებინა მათი ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომის გმირული ყოველდღიურობა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა დახატა მთელი რიგი ცხოველი და კოლორიტული სურათები საკოლმეურნეო სოფლის ყოფაცხოვრებისა, მაინც დრამის მთავარი შემოქმედებითი ამოცანა გადაუჭრელი დარჩა. მისი დადებითი პერსონაჟები სქემატური და სისხლხორცს მოკლებულნი არიან.

სანდრო შანშიაშვილის უკანასკნელი დრამატურგიული ნაწარმოები, ისტორიული დრამა „გიორგი სააკაძე“ თავისი მხატვრული ღირსებით ვერ სდგას იმ მიზანდასახულობის სიმაღლეზე, რომელიც საფუძვლად დაედო ამ პიესას. ზოგიერთი მახვილად მოფიქრებული და შესრულებული დრამატიული სცენა ვერ ფარავს პიესის ძირითად ნაკლს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მასში შესაფერი სიღრმით და სისრულით ვერ არის გახსნილი მე-17 საუკუნის დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და ნაციონალური გმირის — დიდი მოურავის ფრიად რთული პიროვნება.

თანამედროვე ქართულ დრამატურგიის საუკეთესო შემოქმედებითი მიღწევების რიცხვს მიეკუთვნება პოლიკარპე კაკაბაძის კომედიები „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლემურნის ქორწინება“. ორივე ეს პიესა ქართული კომედიოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშებია. მრავალი წლის განმავლობაში ისინი არ ჩამოდიან ქართული საბჭოთა თეატრის სცენიდან, რაც თავისთავად შოწმობს ამ კომედიების დიდ წარმატებას. კომედიით „კოლემურნის ქორწინება“ პოლიკარპე კაკაბაძემ წარმატებით გადაჭრა საბჭოთა კომედიის შექმნის ერთერთი უძნელესი შემოქმედებითი პრობლემა: მან შესძლო კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დაეყენებია დადებითი ტიპი, ახალი სოფლის

მოწინავე აღამიანი. პოლიტ. კაკაბაძის კომედიებში ტიპაჟის მკვეთრი მხატვრობა შეთავსებულია მძაფრ კომედიურ სიტუაციათა საფუძველზე აღმოცენებული სიუჟეტური კომპოზიციის მთლიანობასთან და სიტუაციური მასალის მაღალ მხატვრულ ღირსებასთან.

დრამატურგიის დარგში აქტიური შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო პელებრისტიმა სერგო კლდიაშვილმა. მის პირველ კომედიას „შემოდგომის აზნაურები“, რომელიც დაწერილი იყო დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა საფუძველზე, მოჰყვა დრამა „გმირთა თაობა“. ეს არის პიესა საბჭოთა ხალხის რევოლუციური სიფხიზლის თემაზე. დრამაში დახატულია საბჭოთა აღამიანის, სოციალისტური მშენებლობის თავდადებული მებრძოლის ტიპური სახე და ნაჩვენებია საბჭოთა ხალხის შეურყეველი ძალა და ნებისყოფა, რომელზედაც იმსხვერვიან და ნადგურდებიან კლასობრივი მტრის ყოველგვარი ცდები შეაფერხონ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. სერგო კლდიაშვილის კომედია „გრადის ქვრივი“ წარმოადგენს კაპიტალისტური გარემოცვის თემაზე დაწერილ მძაფრ პამფლეტს.

იონა ვაკელმა თავისი დრამატურგიული მოღვაწეობა კომედიის ქანრით დაიწყო („პარაკუნე ჭიმჭიმელი“). შემდეგ მან დასწერა ისტორიული დრამა „შამილი“, რომელიც ასახავს კავკასიის მთის ხალხთა თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის ცარიზმის დამპყრობელი პოლიტიკისაგან თავდასაცავად. ეს იყო პირველი ნაბიჯი ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულის განსახიერებისაკენ მიმართული. ახალ საბჭოთა ინტელიგენციის ზრდის თემას მიუძღვნა იონა ვაკელმა დრამა „შური“. ამ პიესის ცენტრში ავტორმა დააყენა ახალგაზრდა სპეციალისტი, სოციალიზმის საქმისათვის თავდადებული მეცნიერი მუშაკი, რომელსაც შეუძლია გადალახოს ყოველგვარი სიძნელე და წინააღმდეგობა და განუხრელად ემსახუროს თავის ქვეყანას, თავისი ხალხის კეთილდღეობის საქმეს. ამ დრამის მთავარი პერსონაჟები ცოცხლად და დამაჭერებლად არიან დახატული. უკანასკნელად იონა ვაკელმა შექმნა ისტორიული დრამა „დიდი მოურავი“ მე-17 საუკუნის დიდი ქართველი სარდლის და ეროვნული გმირის — გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარზე მუშაობით მიიპყრო პირველად ყურადღება ახალგაზრდა დრამატურგმა სიმონ მთვარაძემ.

დღემდე წარმატებით სარგებლობს მისი დრამა „სურამის ციხე“ — დაწერილი დანიელ ჭონჭაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის საფუძველზე. მალე სიმონ მთვარაძის პიესებმა ადგილი მოიპოვეს ქართულ მოწინავე საბჭოთა თეატრების რეპერტუარში. მისი პიესა „თევზად“ მოგვითხრობს აჭარის ხალხის გმირული ბრძოლების შესახებ თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ, ხოლო თანამედროვე თემაზე დაწერილი დრამა „მთავარეზილზე“ გვიხატავს საბჭოთა ინტელიგენციის როლსა და ადგილს სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავს აგრეთვე ვიქტორ გაბესკირიას დრამა „მათი ამბავი“. ამ პირველი თავისი დრამატურული ნაწარმოებითვე მან გამოამჟღავნა საკუთარი სტილი, საკუთარი მანერა, როგორც ლირიკული ყოფაცხოვრებითი დრამის მწერალმა. განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო ხასიათების ცოცხლად და წრფელად დახატვის უნარმა და პიესის სიტყვიერი მასალის ბუნებრივმა და თანაც პოეტურად გამახვილებულმა ფორმამ.

ყოველ თავისი ახალი ნაწარმოებით სულ უფრო და უფრო სერიოზულ და საინტერესო შემოქმედებითი ძალად გვევლინება დრამატურგი გ. ნახუცრიშვილი. მისი „კომპლუ“ და „აჩაუნე“ ქართული საბავშვო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების რიცხვს მიეკუთვნებიან.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის უკანასკნელი წლების შემოქმედებითი მიღწევათა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ნ. შიუკაშვილის „სულელი“ და „მზე შინა და მზე გარეთა“, ნ. მიქავას და გ. აბაშიძის პიესები „ბედნიერება“ და „უკვდავება“, გ. ბერძენიშვილის, რ. ქორქიას, გ. ბუხნიკაშვილის, ს. ერთაწმინდელის და სხვ. პიესები.

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურა, რომელმაც საბჭოთა ეპოქაში საგრძნობი შემოქმედებითი ზრდა და განვითარება განიცადა. გარდა იმისა, რომ მთელი მოწინავე საბჭოთა მწერლები აქტიურად მოღვაწეობენ საბავშვო ლიტერატურის დარგში (ი. ვრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, ალიო მამაშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. კაკაბიძე, ირ. აბაშიძე და სხვ.) ჩვენ გვყავან ისეთი მწერლებიც, რომლებიც თავიანთ ნიჭსა და შემოქმედებითი პოტენციას უმთავრესად ახმარებენ ჩვენი მოზარდი თაობისათვის მაღალ-შხატურულ ლიტერატურის შექმნის დიდსა და უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს. ასეთ მწერალთა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მწერალი ქალის ნინო ნაკაშიძის მოღვაწეობა, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. არა ერთი წიგნი მოთხრობებისა, ზღაპრებისა, არა ერთი პიესა შესძინა მან ჩვენს საბავშვო ლიტერატურას უკანასკნელი წლების განმავლობაში.

საბავშვო მწერლობის ყოველ დარგში ნაყოფიერ შემოქმედებითი მუშაობას ეწევა აგრეთვე პოეტი ქალი მარიჯანი. მისი ლექსების წიგნი „ჩვენი ქვეყანა“, მისი დიდი მოთხრობა „ბედნიერი თაობა“ და მრავალი სხვა ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოები დიდის პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობენ მოზარდ მკითხველთა შორის.

თავიანთი ნაწარმოებებით სისტემატიურად ავსებენ ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურას ანა ხახუტაშვილი (კჰეტი), როდიონ ქორქია, ლილია მეგრელიძე, ილია სიხარულიძე და სხვ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდა-განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს, მისი ისტორიის ყოველ საფეხურზე წარმოადგენდა და

წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური სალიტერატურო კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა.

მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიქმნა ჩვენში ერთიან მეცნიერულ მეთოდოლოგიურ საფუძველზე აღმოცენებული სალიტერატურო კრიტიკა. ლიტერატურის კრიტიკოსი-პროფესიონალი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკა, ისე, როგორც მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურა, მძაფრი იდეური ბრძოლებისა და ღრმა წინააღმდეგობების გადალახვის გზით განვითარდა. საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, მკაფიო გამოხატულებას პოულობდა ფორმალზმის, ეულგარული სოციალიზმის და სხვა მცდარი და ყალბი „თეორიების“ გავლენები. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ხანებში სალიტერატურო კრიტიკაც ზოგიერთის გამოჩაყლისით გააფთრებულ ჯგუფობრივ ბრძოლის და მწერლობის შემოქმედებითი ძალების დეზორიენტაციის იარაღად იყო ქცეული.

ეხლა ქართული სალიტერატურო კრიტიკა ძირიანად განთავისუფლებულია ამგვარი ტენდენციებისაგან. იგი მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის თვალსაზრისით აშუქებს ჩვენი მწერლობის განვითარების პროცესებს და აქტიურად მონაწილეობს ხალხის იდეურ-ესთეტიური აღზრდის საქმეში.

ეხლა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მუშაკების მთავარი საბრძოლო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მიაღწიონ მხატვრულ ნაწარმოებთა სოციალურ-ესთეტიური ანალიზის მეტ სიღრმეს, მეტი საზოგადოებრივი აქტუალობა და კომპენტენტური მხატვრული გემოვნება დაუღვან საფუძველად მწერლობისა და ხელოვნების მოვლენათა შეფასებას.

ამ მიმართულებით ანვითარებენ თავიანთ ლიტერატურულ-კრიტიკულ მოღვაწეობას ამ ჟანრის ძირითადი შემოქმედებითი მუშაკები: შალვა რადიანი, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, ლევან ასათიანი, გიორგი ნატროშვილი, აკაკი გაწერელია, ვანო წულუკიძე, დიმიტრი ბენაშვილი, ალ. სულავა, ერ. ასტევატუროვი და სხვ.

ჩვენი მიმოხილვა მხოლოდ ზოგად ხაზებში და სქემატიურად აღნუსხავს საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის განვითარების მთავარ ეტაპებს და პროცესებს, მის ძირითად იდეებს და თემებს, მის დამახასიათებელ შემოქმედებითი მიღწევებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ვითარების ეს არასრული და ზოგადად მოხაზული სურათიც ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ლიტერატურის შემოქმედებითი ძალებისა და შესაძლებლობათა სიმდიდრეს, მის თანმიმდევრულ აღმავლობას და უწყვეტ განვითარებას სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდის საფუძველზე.

ამგვარი განვითარებისა და აღმავლობის პროცესის მკაფიოდ გამოვლინების მიზნით, ჩვენ უფრო შემოქმედებითი წარმატებების დასაქმების შესახებ ვილაპარაკეთ, ხოლო შედარებით ნაკლები ადგილი დავუთმეთ ამ მიმოხილვაში ჩვენი ლიტერატურის შემოქმედებითი სიძნელებისა და ხარვეზების, ამა თუ იმ მწერლის ნაკლოვანებათა და სისუსტეთა გამოვლინებას.

ცხადია, აქედან ოდნავადაც არ გამომდინარეობს ისეთი დასკვნა, თითქოს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას კიდევ დიდი და დაძაბული შემოქმედებითი ბრძოლა და შრომა არ სჭირდებოდეს იმისათვის, რომ მან ღირსეულად შეასრულოს თავისი ისტორიული დანიშნულება, — მოგვეცეს ჩვენი დიადი თანამედროვეობის, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და ცხოვრების შესაფერისი მაღალ-მხატვრული, სრული და ღრმა გამოხატულება.

ჩვენი მიმოხილვის საფუძველზე გამოძეუებული ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ქართულ საბჭოთა მწერლობას მოეპოვება მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება, ყველა შესაძლებლობა და წინაპირობა იმისათვის, რომ მან დასძლიოს თავისი ჩამორჩენილობა ჩვენი დიადი თანამედროვეობის მოთხოვნებისაგან, შექმნას კომუნიზმის ეპოქის შესაფერი მაღალ-მხატვრული ბრწყინვალე ნიმუშები ხელოვნებისა.

ბ. გლაშა

აფხაზური ლიტერატურის განვითარების გზები

დღემდე ჩვენ არ მოგვეპოვება აფხაზური მხატვრული ლიტერატურის მიღწევითა განმაზოგადოებელი ლიტერატურულ-კრიტიკული გამოკვლევა და არც ელემენტარული სახელმძღვანელო ამ სფეროში.

მართალია, აფხაზური ლიტერატურა შედარებით ჯერ კიდევ ნორჩია, ის ჯერ კიდევ განიცდის ნაყოფიერ ზრდას ისევე, როგორც ჩვენი დიდი შემოქმედებითი მუშაობის ყველა დარგი.

ეს ექსკურსი მიზნად ისახავს მოკლეთ, თითქმის ფრაგმენტარულად გააშუქოს აფხაზური მწერლობის ძირითადი მიღწევები.

ისტორიულ განსაცდელთა ქარიშხალში გამოატარა აფხაზმა ხალხმა თავისი კულტურული ტრადიციები და თავისებურება.

მდიდარი და მრავალფეროვანია აფხაზების ზეპირი სიტყვიერი კულტურა. აფხაზმა ხალხმა მასში გამოამჟღავნა სულთერო შემოქმედების მთელი სიღამა-ზე. აკადემიკოსი ნ. ი. მარი ეხებოდა რა იმ ხალხების (კერძოდ, აფხაზების) ზეპირ ლიტერატურას, რომელთაც დამწერლობა არ ჰქონიათ, სწერდა: „ზეპირი ლიტერატურაც ატარებს თავისთავში ენობრივი შემოქმედების ყველა თვისებას. კერძოდ, აფხაზურ ზეპირ ლიტერატურაში... ჩვენ ვპოულობთ უკვე კაი ხნით დადგენილს ლიტერატურულ ენას, რაც შეეხება შინაარსს, იგი გამოხატავს კავკასიის ძირეულ ხალხთა უძველეს რელიგიას, განსაცვიფრებელი ცხოველყოფილობის ასტრალურ კულტს“.

უდიდესი გავლენა მოახდინა ფოლკლორმა, როგორც ქვევით დავინახავთ, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. გულიას და ნიქიერი პოეტის ი. კოლონიას შემოქმედებაზე; ახლაც აფხაზური ფოლკლორი ახდენს თავის კეთილ გავლენას მთელი რიგი აფხაზი მწერლების შემოქმედებაზე.

მნიშვნელოვანს აღმავლობას განიცდის აფხაზური კულტურა. შეიძლება ვილაპარაკოთ უკვე არსებულ მშვენიერს და თავისებურს აფხაზურ მწერლობაზე. ამ შესანიშნავ წარმატებას აფხაზეთმა მიიღწია ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების შედეგად, დიდი ხტაღინის და მისი ერთგული თანამებრძოლის ლავრენტი ბერიას შეუწყობელი მზრუნველობის შედეგად. ამხანაგ ლ. ბერიას სახელთან განუწყვეტლად არის დაკავშირებული საქართველოს და აფხაზეთის ბრწყინვალე სამეურნეო კულტურული აყვავება.

მხოლოდ გასული საუკუნის სამოციან წლებში შეიქმნა აფხაზური დამწერლობა. დაამუშავა იგი დამწერლობას მოკლებული კავკასიელი ხალხების მკვლევარმა მეფის არმიის გენერალ-ლეინტენანტმა ბარონ უსლარმა, რომელიც

აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიის დაპყრობაში. „უსლარის მწიანი იყო, — სწერდა დ. გულია, აფხაზ ბავშვებისათვის არა წერა-კითხვის სწავლება, არამედ თვით აფხაზების, მათი ზნეჩვეულების შესწავლა იმ მზნეჩვეულებს, რომლებსაც მოძებნილიყო უფრო იოლი გზები რუსეთის ცარიზმისათვის აფხაზთა დასამორჩილებლად“.

მთიელი ხალხებისათვის დამწერლობის შემოღების მნიშვნელობის შესახებ უსლარი სწერდა: „ადგილობრივ ენებზე წერა-კითხვის შემოღება უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ იმას, რომ მთიელები ავაშოროთ არაბულ ენას და გაუადვილოთ მათ რუსული ენის შესწავლა... დამოუკიდებელი ლიტერატურა მათ (მთიელებს), მათი მდგომარეობის გამო, არ შეიძლება ექნეთ და არასოდეს არც ექნებათ“.

მნიშვნელოვანი მოსაზრებანი გამოსთქვა უსლარმა ზეპირი სიტყვიერების შესწავლის შესახებ: „ზღაპრები, სიმღერები, თქმულებანი წარმოადგენენ ერთად ერთს საესებით საიმედოს, უცხო ელემენტებით შეურყვენელს წყაროს ენის შესასწავლათ“.

1865 წელს გენერალ ბარტოლომეის კომისიამ გამოსცა პირველი აფხაზური ანბანი, რომელიც შედგენილი იქნა უსლარის მიერ მოხაზულ ასოების საფუძველზე. ამ დროიდან აფხაზურ ენაზე ითარგმნა პოპულიარული რელიგიური ბროშურები, სახარება, ლიტურგია და სხვა საეკლესიო წიგნები.

1892 წელს გამოვიდა დ. გულიასა და პ. მაჭავარიანის მიერ დამუშავებული აფხაზური ანბანი. 1909 წელს ეს ანბანი გააუმჯობესა სახალხო მასწავლებელმა ა. მ. ჩოჩუამ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია აფხაზი ხალხის კულტურისა და განათლების ზრდა. აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელ სახალხო პოეტ დ. გულიასთან ერთად ა. მ. ჩოჩუა არის აფხაზეთის კულტურული მშენებლობის ერთერთი პოპულიარული მოღვაწე. მაგრამ ორიგინალური ლიტერატურა აფხაზეთს არ გააჩნდა.

1897 წლის აღწერით, მოსახლეობის ცხრა მეათედი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მენშევიკური ხელისუფლების მძიმე წლებში დაიხურა ის ორიოდვე სკოლა, რომელიც ცარიზმის დროს არსებობდა.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ჩასახვა დაიწყო 1912 წელს, როცა გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებული.

დიმიტრი გულიას ბიოგრაფია მჭიდროდ უკავშირდება აფხაზური კულტურის განვითარების ისტორიას. მისი ბიოგრაფია შეიცავს აფხაზეთის კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს.

დ. გულია დაიბადა 1874 წელს სოფელ უვარდში, მდინარე კოდორის პირად, ღარიბი გლეხის ურუს გულიას ოჯახში. თავის მოგონებებში დ. გულიამ მკაფიოდ ასახა თავისი ბავშვობა, წარმოგვიდგინა რევოლუციის წინაღობის დროის აფხაზეთის დღეობის სინამდვილე. ერთხელ ვინმე მურზაყულსა შემთხვევით უთქვამს პატარა გაჩას (დ. გულიას სახელია ბავშვობაში) მამისათვის: „სოხუმში არსებობს სკოლა, მაგრამ იქ 25—30 ბავშვზე მეტს არ ღებულობენ. საჭიროა ვინმე ძლიერი ადამიანის დახმარება, რომ იმ სკოლაში ბავშვი მიაღებინო. ამეამად სოხუმში იმყოფება ქუთაისის გუბერნატორი, მიიყვანე მასთან ბავშვი და მიართვი თხოვნა, შეიძლება გუბერნატორმა მიაღებინოს იგი სკოლაში“. დიდი დავიდარაბის და წვალების შემდეგ გულია გახდა ამ სკოლის მოწაფე. 1890 წელს იგი შედის გორის სამასწავლებლო სემინარიაში. ამ სემინა-

რიის დამთავრების შემდეგ იწყება მისი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ენერჯენული

როგორც აღნიშნეთ, დ. გულიას ლექსების კრებულის გამოსვლა 1912 წელს იწყება აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ისტორია. ეს პირველი კრებული ვერ გადაურჩა ცენზურის სისასტიკეს, განსაკუთრებით ცენზურას ეკვი აღუძრა ლექსმა „ხოჯანდუ“. ამ აღრინდელ ლექსებში გამოაშკარავდა დ. გულიას შემოქმედების მთავარი და წამყვანი მიმართულება—ხალხურობა და სისადავე. გულიას აღრინდელი შემოქმედება დიდ ინტერესს შეიცავს არა მარტო იდეურობის, არამედ სტილისტური თვალსაზრისითაც. ლექსები „ხოჯანდუ“ „ტურფა ქმნილება“ „მოქიფე“ და სხვა, ბნელი რეაქციის წლებში დაწერილი, მიმართული იყო ხალხის მჩაგვრელების,—თავად-აზნაურთა წინააღმდეგ. მოცულობით მცირე, მაგრამ სოციალურად მახვილ ლექსებში ავტორმა მოგვცა ფეოდალთა განზოგადოებული სახეები. ლექსი „ხოჯანდუ“ დასაწყისში ატარებს იუმორისტულ ხასიათს, შემდეგ იუმორი სატირაში გადადის.

პოეტს მთელი გზებით უყვარს თავისი ხალხი („გაზაფხული“), სცილილობს ამაღლოს, გააძლიეროს მისი შემოქმედებითი ენერჯია (ლექსი „გონება, ცოდნა, ძალა“) დ. გულიას აქვს მთელი წყება ლექსებისა, რომელნიც მნიშვნელოვანი არიან მისი შემოქმედებითი ევოლუციის თვალსაზრისით. ავტორმა ამ ლექსებში მოგვცა იდეალიზირებული პატრიარქალური წარსული აფხაზეთისა, სადაც გაბატონებული იყო პრიმიტიული სოციალური ურთიერთობა. აფხაზეთის წარსულში პოეტი ეძებს მთლიანი და სპეტაკი ბუნების ადამიანებს, რომელნიც დაჯილდოვებული არიან გმირული სულისკვეთებით და ზნეობრივი სოფაქიზით. იმ დროინდელი სინამდვილისგან წარსულისაკენ უკან დახევა პროტესტის თუმც არააქტიური ფორმა იყო. ერთს თავის ლექსში (1913 წელი) პოეტი თითქოს გრძნობს რა თავის ამ სისუსტეს, აღიარებს, რომ ძნელია ცხოვრების რთულ მოვლენათა ლაბირინტში გარკვევა. ეს აზრი განსაკუთრებით მკაფიოდ არის გამოხატული აგრეთვე ლექსში „მამა და შვილი“ (1906 წელი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. გულიას იმ პერიოდის შემოქმედებაში გვხვდება აგრეთვე რელიგიურ-მისტური ელემენტები, მაგრამ ეს მოტივები გარდამავალი ხასიათისაა.

1913 წელს გამოქვეყნდა დ. გულიას ლექსების მეორე კრებული, რომელშიაც შევიდა პოემა „კაბუჯისა და ქალიშვილის მიწერ-მოწერა“. ეს პირველი აფხაზური სატრფიალო ლირიკაა, სიცოცხლითა და სიხარულით გამთბარი. სახეები და შედარებანი აქ აღებულია ზეპირი ხალხური პოეზიიდან. ლექსის რიტმი ამღერებელია და ევფონიით მდიდარი. ამიტომაც არის, რომ ამ პოემას აფხაზები დღემდე ამღერებენ ჩონგურზე.

1917 წელს დ. გულია მხურვალედ ეგებება რა რევოლუციას, მოუწოდებს თავის ხალხს ახალი, თავისუფალი ცხოვრების მშენებლობისაკენ, სწერს სოციალური ოპტიმიზმით გამსჭვალულ ლექსებს.

კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობა აფხაზეთში და მის მიერ წარმოებული პოლიტიკა ნაციონალური შუღლისა, ღრმა სევდითა და გულის ტკივილით ავსებს პოეტის გრძნობა-გონებას. პოეტს იპყრობს მარტოობის დიკაიუნის გრძნობა, რაც მან გამოხატა ლექსში — „სამშობლო“.

ნეტავ არ მოგებურა
შენ ღრუბლების ჩადრი!
სიტყვი, სამშობლოვ, რას ჰგოდებ?
გულს რად გაწევს დარდი?



ზღვად გასულებს თუ გლოვობ,
ან გმირს, გაჭოილს ველად!
მაშ ძაძა რად გაცდია,
რათა ჰგოდებ მწველად?

უეცობა გადარდებს,
თუ დაჭრილი გმირი?
სამშობლოვ მოწყენილო,
ნეტავ რომელს სტირი?
(თარგმ. მარიჯანიას)

1919 წელს გამოვიდა პირველი აფხაზური გაზეთი „აფსნი“, მენშევიკებმა სცადეს გადაეჭვიათ ეს გაზეთი თავისი პოლიტიკის იარაღად, მაგრამ დ. გულიას და მისი თანამშრომლების მეოხებით გაზეთი უმთავრესად ლიტერატურულ ორგანოდ გადაიქცა, სადაც ახალგაზრდა აფხაზი მწერლები ათავსებდნენ თავიანთ ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს და სხვა. ამ გაზეთში იბეჭდებოდა აგრეთვე წერილები და კორესპონდენციები, რომლებიც ამხელდნენ მენშევიკური პოლიტიკის ბარბაროსობას. დ. გულია ამ გაზეთის ფურცლებზე ქადაგებდა აფხაზი ხალხის განათლებისა და კულტურული წინსვლის აუცილებლობას, ამლედა რჩევა-დარიგებას აფხაზური სკოლების მასწავლებლობას, ათავსებდა ინფორმაციას აფხაზური სკოლების მდგომარეობის შესახებ და სხვა.

1919 წელს დაარსდა პირველი აფხაზური ლიტერატურული წრე, რომელმაც გაიჩინა თავისი ბეჭდვითი ყოველკვირეული ჟურნალი „დილის ვარსკვლავი“. ამ ჟურნალსა და გაზეთ „აფსნი“-ს იბეჭდებოდნენ თავისი მშობლიური მხატვრული სიტყვის განვითარებით დაინტერესებული ენტუზიასტი აფხაზი მწერლები. გაზეთ „აფსნი“-ს დაიბეჭდა მ. ლაყერბაიას ლექსი „დ. გულიასადმი“, რომელიც იძლევა პირველი აფხაზი მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის აღფრთოვანებულ შეფასებას და რომელიც მოუწოდებს აფხაზ ახალგაზრდობას ბრძოლისა და შემოქმედებითი შრომისაკენ აფხაზი ხალხის საკეთილდღეოდ.

ამავე გაზეთში დაიწყო თავისი ლიტერატურული მუშაობა მუშნი ხაშბამ, რომელმაც ამ გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსი და პატარა მოთხრობა. გაზეთში ქვეყნდებოდა აგრეთვე საკმაოდ მდიდარი ფოლკლორული მასალა. აქვე დაიბეჭდა დ. გულიას მოთხრობა „უცხოეთის ცის ქვეშ“. ამ გაზეთის ყველა თანამშრომელი გამსჭვალული იყო მისწრაფებით განევითარებიათ თავისი ნაციონალური კულტურა, მაგრამ მენშევიკური ბატონობის მძიმე წლებში ეს განუხორციელებელი ოცნება იყო.

დ. გულიას ამ პერიოდის ლექსებში სჭარბობს სოციალური მოტივები. იგი ეხმაურება ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, მწარედ დასცინის აფხაზი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც გაპყვა მენშევიკებს და უღალატა სახალხო საქმეს. პოეტი ოცნებობს თავისი ხალხის საბოლოო განთავისუფლებაზე, სიბნელესა და უეცობისაგან მის თავდალწევანზე („ჩემი სურვილი“, 1919 წელი). ამავე დროს დ. გულია გვევლინება თავისი ხალხის განათლებისა და კულტურული აყვავებისათვის მგზნებარე მებრძოლად. დ. გუ-

ლია ამ პერიოდში უკვე უფრო ხშირად მიმართავს ქართული კლასიკური ლიტერატურის საგანძურს, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის შემოქმედებას. მათი გავლენით სწერს იგი ლექსს „აყვავდნენ მთები“ (1919 წელი).

2

უკვე მე-19 საუკუნის დამლევს ბოლშევიკურმა პარტიამ შეიტანა აფხაზეთის ხალხში ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების იდეები. 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას აფხაზეთში ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე. 1921 წელმა მოუტანა აფხაზეთის და საქართველოს მთელ ხალხს უდიდესი სიხარული. თებერვალ-მარტში დაემხო მენშევიკური ხელისუფლება, ბოლო მოეღო შავ ღლეებს ქართველი და აფხაზი ხალხის ცხოვრებაში. გადაიშალა ამ ხალხების ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები—დაიწყო ლენინ-სტალინის ეპოქა, მასების შემოქმედებითი აქტივობის დიადი ეპოქა.

მეურნეობის და კულტურის აყვავება, როგორც ყველგან, ისე აფხაზეთში შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

გაიფურჩქნა მრავალფეროვანი აფხაზური ნაციონალური ლიტერატურა. წამოიზარდნენ და დაეაყვადნენ აფხაზი პოეტები და მწერლები. რევოლუციამდე ჩვენ გვყავდა მხოლოდ ერთი აფხაზი მწერალი—დ. გულია, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამდე მას არ შეეძლო მთლიანად გაეშალა და გამოემქვანებია თავისი შემოქმედებითი პოტენცია.

ამჟამად აფხაზეთში არსებობს საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების მწერლებს, პოეტებს, დრამატურგებს.

აფხაზური ლიტერატურა იზრდება და იფურჩქნება დიდი რუსული ლიტერატურის და მდიდარი ქართული მწერლობის ცხოველყოფელი ზეგავლენით, ამჟამად აფხაზეთის მწერლობა, როგორც ღვიძლი უმცროსი და, შედის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურულ ოჯახში.

იუა აბასის-ძე კოლონია ერთერთი თვალსაჩინო აფხაზი პოეტია, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. ხუთი წლის განმავლობაში მან შექმნა რამდენიმე პოემა, რომელიც ღღემდე ინარჩუნებენ თავიანთ პოპულიარობას. კოლონიას ის ნაწარმოებები, რომელნიც მის შემოქმედების უფრო მომწიფებულ პერიოდს ეკუთვნიან, სამწუხაროდ დაკარგულია. მაგრამ ისიც, რაც მისგან დარჩა, წარმოადგენს მნიშვნელოვან განძს აფხაზეთის მხატვრულ ლიტერატურაში. კოლონიას პოეტური შემოქმედება, რომელმაც უეჭველად განიცადა დ. გულიას პოეზიის გავლენა, თავის საფუძველში ემყარება აფხაზური ხალხურ სიტყვიერების ტრადიციებს. მაგრამ ამით ოდნავ არ არის დაჩრდილული მისი პოეტური ინდივიდუალობა და თავისებურება. კოლონიას პოეზია, 1925 წელს გამოქვეყნებული, ეკუთვნიან ეპიური და ლირიულ-ეპიური პოეზიის ჟანრს. თითქმის ყველა სიტყვები ამ პოემებისა წარმოადგენს თავისებურად დამუშავებულ ფოლკლორულ მასალას. მდიდარი და მრავალმხრივია ამ ნიჭიერი პოეტის ლექსის რიტმის შინაგანი ორგანიზაცია. ეს რიტმი ამღერებულა და გამსჭვალული ხალხური ლექსის მელიოდითობით... „აბატა და ბესლან“, „ზოსხან აზა და ჟანაას შეილები“, „ნაევი და მზაუჩი“ „ხმიჯი—მონადირე“ „სვანი მირხაყანი“ — კოლონიას ყველაზე ძლიერი ნაწარმოებებია... ხალხური ეპოსიდან კოლონია სესხულობდა მოტივებს, რომლებიც გვიჩვენებენ ხალხის

საღ შემოქმედებითს ძალას და პოტენციას. ხალხური ოპტიზმიში, სახალხო გმირის გამარჯვება ხალხის მრავალრიცხოვან მტრებზე, — ყუფილენი, კეთილ-შობილის და მალალხნებრივის გამარჯვება ბოროტებზე, — ხალხური ეპოსის ეს მარადიული მოტივები ჰქმნის კოლონიას პოეზიის პათოსს, კოლონიას პოეზიისათვის დამახასიათებელია ღრმა ცოდნა აფხაზი ხალხის ყოფისა, ხალხური შემოქმედებისა, ყოველი იმისა, რაც მწერლობას აძლევს ნაციონალურ ფორმას და კოლორიტს. თავის პოემებში ავტორი გვიჩვენებს სახალხო გმირების სიმამაცეს, მათს პატიოსან ღრმა მეგობრობას, მათ მისწრაფებას სოციალური თანასწორობისა და თავისუფლებისაკენ... კოლონიას შემოქმედებისათვის უცხოა ფსევდოხალხურობა; მასში ვერ ნახავთ ხალხური შემოქმედების ფალსიფიკაციის ნატამალს. სწორედ ამიტომაც წარმოადგენს კოლონიას შემოქმედებითი მემკვიდრეობა აფხაზური ლიტერატურული ახალგაზრდობისათვის შემდგომი ლიტერატურული აღზრდისა და წინსვლის წყაროს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კოლონიას პოემა „ხმიჯი მონადირე“, თავისებური ოსტატობით დაწერილი. ხმიჯი მთებში ნადირობს; ავტორი მიჰყვება მის კვალს და მკითხველის თვალწინ შლის საღ კლდეების, ნაპრალების, ლავეარდოვანი სივრცეების, ფირუშოვან ტბების სურათებს. თავის მცირე ნაწარმოებშიაც კოლონიამ გვიჩვენა პეიზაჟური ლირიკის ოსტატობა („გაზაფხულის საღამო“, „ნათელი დამე“, „ზამთარი“ და სხვა). ენა პოეტისა არის ნათელი და სურათოვანი, იგი უხელოვდება ხალხურ სასაუბრო მეტყველებას. ზეერი სიტყვა და გამოთქმა პოეტს აღებული აქვს ხალხური ლექსებიდან, მაგრამ კოლონია ამ სიტყვებით ოსტატურად სარგებლობს და სრულიად ზიანს არ აყენებს თავისი ნაწარმოებების მხატვრულ მთლიანობას. კოლონიას შემოქმედება კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა ფასდაუდებელ მასალას წარმოადგენს ფოლკლორი მწერლისათვის. უღმობელმა სიკვდილმა 1928 წელს შესწყვიტა ჯერ სრულიად ახალგაზრდა პოეტის, — 25 წლის კოლონიას შემოქმედებითი მუშაობა.

1924 წელს მ. ხაშბამ გამოაქვეყნა თავისი კომედია „ღამის თევა“. ეს იყო პირველი ორიგინალური აფხაზური კომედია, რომელიც მრავალჯერ დაიდგა აფხაზურ სცენაზე და რომელიც სავსეა ხალხური იუმორით. 1929 წელს გამოაქვეყნდა ხაშბას იუმორისტულ მოთხრობათა კრებული, მასში მოთავსებული რამდენიმე კარგი ნოველა ამჟღავნებს ავტორის მიერ აფხაზური ყოფის და ხალხური ენის ცოდნას. ავტორი დასცინის დღევანდელ აფხაზურ ყოფაში დარჩენილ მავნე ზნეჩვეულებებს. ხაშბამ აფხაზურად სთარგმნა ლ. ტოლსტოის „ხაჯი მურატი“.

1929 წელს გამოაქვეყნდა დ. დარასელიას დრამა „ყრუ წარსული“ და პიესა „ხატი და მოუსვენრობა“, რომლებმაც უეჭველად ახალი სით შეიტანეს აფხაზურ დრამატურგიაში და დაადასტურეს აფხაზური დრამატურგიის შემდგომი წინსვლა. დარასელიამ მოგვცა ტიპური სახეები — თავადის, მოსამსახურის, მიჩინისა და სხვებისა. ავტორი მოხერხებულად იყენებს ცოცხალს სასაუბრო ენას, რასაც უნდა მიეწეროს ის, რომ მისი პიესები დღემდე პოპულარულია მაცურებელთა შორის. დ. დარასელიამ სთარგმნა პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“.

აფხაზური ლიტერატურის შემდგომი განვითარება მკიდროდ უკავშირდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებას, რომელმაც უდიდესი ბიძგი მისცა აფხაზური ლიტერატურის შემდგომ ზრდა-

საც. ამ დროიდან აფხაზურ ლიტერატურას შეემატა ბელეტრისტიკა და პოეტთა მთელი პლეადა.

ქართული
ლიტერატურა

3

ამ ახალ ეტაპზე დ. გულიას შემოქმედება იდეურად უფრო გაღრმავდა; გაძლიერდა პოეტის მხატვრული ტემპერამენტი, მისი შემოქმედებითი პათოსი. დ. გულია სრული ხმით უმღერის თავისი ხალხის საამურ, აყვავებულ ცხოვრებას, გულწრფელი აღშფოთებით ამითრახებს კლასობრივ მტრებს, რომელნიც ხელს უწლიდნენ აფხაზი ხალხის სამეურნეო კულტურულ აღმავლობას. ამ პერიოდში დაწერილ გულიას ლექსებს ახლაც მღერიან კოლმეურნეები, სწავლობენ სკოლებში. გულიას ლექსები გამსჭვალულია რწმენით გონების ძლევამოსილებაში, უსაზღვრო სიყვარულით სამშობლო ქვეყნისადმი.

1933 წელს დაიბეჭდა დ. გულიას „აფხაზური შაირები“. კლასობრივი ბრძოლების გამწვავების წლებში საკირბოროტო საკითხებზე დაწერილ ამ შაირებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა და მხატვრული ძალა.

მხატვრული და მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული აფხაზი ხალხი სიხარულით და სიამაყით უმღერის თავის ბედნიერებას. ლექსებსა და სიმღერებში იგი აღიღებს იმას, ვინც გაანათა ხალხის ცხოვრება მზის ცხოველმყოფელი სხივებით, ვინც მშრომელთათვის ააგო „მზიური სასახლე“, როგორც ამას ამბობს დიდესტენელი აშული, მე-20 საუკუნის ჰომიროსი სულემან სტალსკი... ეს აღამიანია დიდი სტალინი. აფხაზეთის უზუცესმა პოეტმა დიდ ბელადს მიუძღვნა ღრმა მგზნებარებით დაწერილი ლექსები, რომელთაგან ყველაზე პოპულიარობით სარგებლობს შემდეგი ლექსი:

მაღალ მთებზე მზე ანათებს,
უხედავთ ნისლებს განაშუქარს,
წინეს სიყვარულს—გულის ნადებს,
შენ მოგართმევთ, ვით საჩუქარს.

მიწა-წყალი საკეფირო
არის ხალხთა ტკბილი კერა.
გესურს დიდ სტალინს რომ მიუძღვნათ
მთელი ჩვენი გულის ძგერა.

გზნიარულობთ, ეცეკვით გზნებით,
ზონგურის სიმს ემართათ ნელა-
ზღვის და ჭარის სდუმან ხმები,
ჩვენს ჭეყანას ვაჭებთ ყველა.

შენ გასკედე ძალა ჩვენი,
კოლექტივთა ბრწყინავს მდგლო-
და გადიდებთ გულწრფელ ენით
შენ—მაღალი სადღეგრძელო!

თუკი დასკექს მეტი ცაში
და იფეთქებს ომის ალი,
ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მაშინ,
ჩვენ დავიცავთ ორკეც ძალით.

სტალინი ჩვენი შენ სალამი,
ენც გამართე ხალხი წელში.
ელავს, ბრწყინავს, ვით ალაში
მოსავალი ჩვენი მიწდევრებში.

(თარგმ. ვ. გაფრინდაშვილისა)



დ. გულია ცნობილია თავისი პროზაულ ნაწარმოებებითაც. მისი ადრინდელი მოთხრობა „უცხოეთის ცის ქვეშ“ დაწერილია 1918 წელს. დ. გულიას ეველაზე უგვიანესი პროზაული ნაწარმოებია რომანი „კამაჩაჩი“. ავტორის განზრახვით ამ რომანში მოცემული უნდა იქნეს ისტორია აფხაზი მშრომელი ქალისა, რომელმაც გაიარა რა უთვალავი ტანჯვა-წამება და გაკვირება, ბოლოს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში მოიპოვა ნამდვილი შინაარსიანი ცხოვრება. რომანის მოქმედება ვითარდება ფართო სოციალურ ფონზე, რომანში ვხედავთ სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს. მასში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა აფხაზი ხალხის ზნეჩვეულებამ და სხვადასხვა მოვლენამ, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს აფხაზი ხალხის ცხოვრებაში. დ. გულიას ახალი ნაწარმოებიდან აღსანიშნავია ორიგინალური ლექსი, რომელიც დაწერილია თანამედროვეობის თემაზე და რომელიც კოლმეურნეთა მუშაობას გვიხატავს, როგორც დილის ვარსკვლავის აღმობრწყინებას. როგორც აღვნიშნეთ, თავის შემოქმედებაში დ. გულია ემყარება აფხაზურ ზეპირ სიტყვიერებას და ქართულ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, იგი სწავლობდა და სთარგმნიდა აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს, დ. კონჭაძეს, ი. დავითაშვილს. დ. გულიამ სთარგმნა დ. კონჭაძის „სურამის ციხე“, აკაკი წერეთლის „აღმზრდელი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული პოეზიის ბევრა სხვა ბრწყინვალე ნიმუში, რომლებიც დღეს შედის აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ძველი თაობის მწერალთა გვერდით აფხაზური ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და წინსვლისთვის იღწვიან ახალი თაობის აფხაზი მწერლები. ლიტერატურული ახალგაზრდობა აფხაზური მწერლობის წამყვან ძალას წარმოადგენს.

ლევარსან კვიცინია — ერთერთი მნიშვნელოვანი აფხაზი პოეტი, სამწერლო ასპარეზზე 1928 წელს გამოვიდა. მისი მთავარი ნაწარმოებებია — „პოემები“ (1931 წელი) „მხარე იზრდება“ (1932 წელი) პოემა „შარიაზან“ (1933 წელი), ლექსების კრებული „ახალი დროება“ (1934 წელი), პოემა „დაურლაგინა“ და სხვა. პირველ ხანებში პოეტ კვიცინიას შემოქმედება ვითარდებოდა რუსი პოეტების („კუზნიცა“) გავლენით. აქედან წარმოსდგება კვიცინიას პოემების და ლექსების აბსტრაქტულობა, კონკრეტული სინამდვილის უგულვებლყოფა, ადამიანის გამოხატვა ინდივიდუალურ თვისებათა და ტიპიურ გარემოებათა გაუთვალისწინებლად. ამ პერიოდის ლექსებს ახასიათებს გადაჭარბებული ჰიპერბოლურობა, მაგრამ მალე კვიცინიამ გაიარა ეს პერიოდი და თავი დააღწია „კუზნიცას“ პოეტების ზეგავლენას. მისი ლექსი

განდა უფრო კონკრეტული, რეალური სინამდვილის გამომხატველი. კვიცინია უმთავრესად გვიხატავს და უმღერის საბჭოთა ახალგაზრდობას, მის სიმამაცეს და ოპტიმისტურ სულიკვეთებას (ბალადა „აკომჩარ“, „სიმღერები ჩემთვის“ „წიგნი“, „შევიარდენი“, „გმირი ოზბეკი“, „სიმღერა ხაბიჯზე“ და სხვ.). ლექსი „შევიარდენი“ გვიხატავს პირველ აფხაზ მფრინავ ქალს, რომელმაც არ იცის შიში და რომელიც შეუპოვრად ებრძვის სტიქიონს.

ლ. კვიცინიას ერთერთ შესანიშნავ ლექსად უნდა ჩაითვალოს „გორი“ სადაც აღწერილია სახლი, სადაც დაიბადა დიდი ბელადი.

ქალაქი ერთი სდგას ქართლის ბარში,
მის იცნობს ხალხი აურაცხელი.
დიდი, პატარა, მოხუცი, ბავშვი,—
მოხიბლულია ყველა მნახველი.

ვინც ერთხელ ნაბა კვლავ მოდის მასთან,
შორიდან აწედის მგზნებარე ხმასა,
რომ ჰქუბდეს ყველგან მისი სახელი.

შორიდან მოსმანს პატარა სახლი
და ძველი კიბის საფეხურები,
მას სიყვარულით შესცქერის ხალხი,
ვერ ძღება ძვირფას ბინის ყურებით.
რითაც დაიპყრო გულნი ბელადმა —
ჭკუა, გონება, ძალა უღვგი —
აქ გაიფურჩქნა და აქ ელაედა.

ყოველი ერი ადიდებს ბელადს,
მან შესძრა მთანი, სდგენის ხალხის მტრებს.
გული ხარობს და თვალები ეღავს,
რადგან მშრომელებს ვერეინ ატირებს,
ამიტომ ყველგან და ყველა ერი
პატარა გორზე ლეგენდებს მღერის
და სახლს ძველებურს ყველა ადიდებს.

(თარგმ. მიქელ პატარიძისა).

ყველაზე მთავონებული, ყველაზე მგზნებარე ლექსი კვიცინიას შემოქმედებაში არის „ჩემი სტალინი“. ცხოვრების ყოველ მოძრაობაში პოეტის მახვილი ყური და თვალი ხედავს ბელადს:

თუ გვესმის ბავშვთა წკრილა ხმები,
თუ ჩვენი ქვეყნის ბალებით ვტკბებით,
თუ უდაბნოში ქალაქებს ვპერეუტავთ,
თუ მოსავეალით გულია მთვრალი,
ეს ნიშნავს — სტალინს ჩვენ ყველგან ვხედავთ,
ყველგან სჭრის მისი ჭკუა და თვალი.

ის ყველგან ცოცხლობს—მინსკში, კიევიში,
ნათელი სახით, ყველასთვის ცხადი;
ჩაის, თამბაქოს პლანტაციებში,
და ჩემ სოხუმშიც სტალინი დადის.
(თარგმ. კ. ნადირაძისა).



ამასთან, საჭიროა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლი კვიცინიას შემოქმედებაში. ამ ნაკლთაგან მთავარია თბრობის გაქიანურება, ყოფის წერილმანებით ვატაცება და ნატურალისტური აღწერილობანი, რომლებიც ხშირად ანელეზენ მოქმედების განვითარებას კვიცინიას პოემებში.

ახალგაზრდა პოეტების მოწინავე რიგებში დგას ბ. შინკუბა—მას დღემდე გამოქვეყნებული აქვს ერთი პატარა კრებული, მაგრამ ეს კრებულიც იძლევა საფუძველს ვსთქვათ, რომ მან აფხაზურ პოეზიაში შეიტანა ერთგვარი სიახლე და თავისებურება. შინკუბა უმღერის ჩვენს ახალგაზრდობას („გმირობა“, „შვილის წერილი“, „აფხაზი ქალიშვილი“, „ჩვენს აყვავებულ რესპუბლიკას“ „ჩვენი ძალა“, „4 მარტი“), ჩვენი ბავშვების ბედნიერ აწმყოს („ნანა“).

შინკუბას ლექსები დაწერილია გულწრფელი პათოსით. ისინი შეიცავენ განზოგადებას იმ გრძნობებისას და მისწრაფებისას, რომლებიც დამახასიათებლები არიან საბჭოთა მოქალაქისათვის. მის ლექსებში ვხვდებით პეიზაჟს, ბუნების სურათებს, რომელსაც პოეტი იძლევა მშრომელთა ცხოვრების საერთო ფონზე. თავის მოტივებით შინკუბას პოეზია მრავალმხრივია... იმის მიხედვით თუ როგორია შინაარსი, პოეტი პოულობს სიტყვიერ მასალას და მხატვრულ ხერხებს მის გადმოსაცემად. მდიდარი და ღრმად თავისებურია შინკუბას ლექსის რიტმი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ იგი კაფავს სრულიად ახალ გზას აფხაზურ პოეზიაში. სანიმუშოდ მოვიყვანთ ბალადას „პაპაცუკურის“ რიტმს, რომელიც გადმოგვცემს ტბის მყუდროებას:

იკურფომ ითატეოტ იმშინხა
ანიშთიბ ბჰანწი ელლაშუმ,
ამაცვის ნიჰქალი ეიშოლა
აქუაცვა ანლეიუა იხუაშუმ.

ლექსში „წალკოტი“, პოეტი გვიხატავს სურნელოვან საკოლმეურნეო ბაღებს და მდიდარ აფხაზურ ბუნებას საერთოდ.

აღარ ათბობს ბაღნარს სხივი,
ტოკავს ვარდი ფერანჰკრთალი
და ტოტებზე წითლად ღვივის
ბროწეული ფერად ლალი.

ხის ფოთლები ძირს სცივიან,
ჩამოყვითლდა ირგვლივ მთები,
სამხრეთისკენ ისწრაფიან
ფრთავაშლილი წეროები.



ქარვისდერი ფორთოხლები
სიოს ფრთებზე ქანაობენ
და ვაშლები ნაზი რბევით
მზის სხივებში ბანაობენ.

ლიმონის და ვაშლის გვერდით —
მიწისაყენ დახრილ ტანით —
მწიფე მტევნის სურნელს მესერის
აკაჩიზი, ახარდანი.

რა კარგია ბაღში, როცა
დაისის მზე სხივებს გაშლის,
მოელეარე წითელ-ლოყა
შემოგვეცინის ხიდან ვაშლი.

შენც, მებაღევე, სხივთა ალით
ველის ბალი დახანძრული,
შეინახე მოსავალი,
შეხვედი ზამთარს მზიარული.

(თარგმანი ე. გორგაძისა).

შინკუბას ახასიათებს ახალი პოეტური ფორმების ძიება, ხალხურობა, უბრალოება, ლირიკული სიღრმე. პოეტი ნაყოფიერად იყენებს ხალხურ ზეპირ საიტყვიერებას. შინკუბას ღრმად ინდივიდუალური პოეზია წარმოადგენს პოეტის გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფს. ამასთან შინკუბა არის ილია ქაეკვაძის, აკაკი წერეთლის და ლერმონტოვის ლექსთა მთარგმნელი („ბაზალეთის ტბა“, „სულკო“, „გაზაფხული“).

ე. აგუშაა არის ავტორი მთელი წყება პოპულიარული ლექსებისა („კომკავშირული სიმღერა“, „ახალგაზრდობა“, „კოლხიდა“ და სხვა). შემოქმედებითმა მგზავრობამ აყვავებულ კოლხიდაში გააფართოვა ამ პოეტის მხატვრული პორიზონტი: მან რამდენიმე ნარკვევი და ლექსი უძღვნა კოლხიდას და მის მშენებლებს. მაგრამ აგუშაას შემოქმედებაში მაინც სჭარბობს ლექსები ახალგაზრდობაზე, მის გმირობასა და სიმამაცეზე. მას აქვს აგრეთვე ლექსები საბრძოლო თემატიკაზე. აგუშაას უკანასკნელი ნაწარმოებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლირიკულ ლექსთა მთელი ციკლი („მე მიყვარს კვიცი“, „ბაღში“ და სხვა). ამ ლექსებში იგი უმღერის ახალგაზრდა მფრინავ ქალს:

იხვე ბაღში ვარ, არ არის მსგავსი
სხვა მისებრ ტურფა და ახლობელი,
ბალი, მზითა და სიკეთით საესე,
საესე ნიების სავალობელით.

როგორ შევაკო, როგორ ვემღერო
სიგრილეა და უხმოდ მომელას;
ყოველი ხე და ყოველი ღერო,
ვით საიდუმლო მიუწვდომელი.

ვით მიჯნურების ჩურჩული, ხეთა
შრიალი შგშის, ვიცნობ მათ ენას,
ყოველი კვირტის გაშლაში გებდავ
ჩემი სათქმელი ლექსის გაჩენას.



მახსოვს ვალობა ბაღში ფრთოსანთა,
მწუბრის ოცნება, როგორც სიზმარი,
ბინდში გოგონას სახე მოსჩანდა,
სახე ტურფა და დაღუფიწარი.

ახლაც შრიალით ძლივს ვასაგონით,
ზე კვლავ მაგონებს გულის არჩევანს.
ჩემს ხელისგულებს ეკვირან რტონი
და ხელს მიწვდიან ჩამოსართმევად.

იწებ პკონიით ხეებს, ფარული
დარდი მაწლებს, გზას მარტო მივსდევ.
არა, ჩემი მზე და სიხარული
კვლავ ჩემთან არი, ჩემშია ისევ.

ის მფრინავია, ჩემვან შორს არი,
ციდან მიღმის ვით საოცრება,
ის სასწაულზე გასაოცარი
მაღლა აცილდა ყველა ოცნებას.

(თარგმანი გრ. აბაშიძისა).

ამჟამად ავტომა სწერს რომანს „სელიმს“, რომლის ნაწყვეტები უკვე გამოქვეყნდა აფხაზურ „ლიტერატურულ ჟურნალში“. ავტომას აფხაზურად თარგმნილი აქვს შევჩენკოს რამდენიმე ლექსი და ადგილები სომხური ეპოლიდან „დავით სასუნცი“.

ი. პაპასკირი პროზაიკოსია. მას ეკუთვნის მოთხრობა „თემირი“ (1937 წ.) და რამდენიმე ნოველა. „თემირში“ ასახულია პოცილისტური მშენებლობის მთელი პერიოდი 1925 წლიდან 1935 წლამდე. მოქმედება ვითარდება ერთერთ აფხაზურ სოფელში. ნაწარმოების მთავარ გმირს — ლარიბი გლეხის შვილს თემირს და მეზობელი გლეხის ქალიშვილს ზინას შეუყვარდებათ ერთმანეთი. მაგრამ, ჩვეულების თანახმად, თემირს არ შეუძლია შეირთოს ზინა, ვიდრე, იგი — თემირი მოკლული ძმის სისხლს არ აიღებს. ამრიგად სისხლის აღების ადათი წინ ელობება ამ ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ბედნიერებას. ახალი სა-სოვადოებრივი ურთიერთობის, ახალი გარემოცვის შეგავლენით თემირი სძლევს თავისთავში ამ შურისგების გრძობას, თემირში ძველზე იმარჯვებს ახალი. ამრიგად სისხლის აღების ძველმა თემამ პაპასკირის მოთხრობაში პპოვა ახალი ფორმა და ღრმა შინაგანი აზრი. ეს მოთხრობა ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მწყობრად დალაგებული სიუჟეტით, მოქმედების სიციხვლით, მკვეთრად გამოკვეთილი სახეებით და ენის მხატვრობით. ავტორი ოსტატურად იყენებს ხალხურ სასაუბრო ენას. პაპასკირის მოთხრობა „თოფი“ ასახავს რევოლუციის წინაღობინდელ აფხაზურ სოფელს და იძლევა კულაკი გლეხის დაუღუფიწარ სახეს. საერთოდ პაპასკირის ნოველებისათვის დამახასიათებელია დინამიურობა, დაძაბულობა და საკმაოდ რთული კომპოზიცია.

მწერალი გ. გულიაც ნოველისტია. პირველი მისი მოთხრობა „დაღ-მართზე“ გამოიცა 1930 წელს, მეორე „მიჯნაზე“—1933 წელს, კვლავ 1934 წელს დაიბეჭდა მისი მოთხრობა „სისხლის აღება“, სადაც ავტორმა გვიჩვენა ადგი-ვირებების ნიჭი და საკმაოდ მხატვრული შესაძლებლობა. იგი უმთავრესად ასა-ხავს რევოლუციამდელი აფხაზეთის სოციალურ მდგომარეობას და ყოფა-ცხოვრებას, ყურადღებას ამახვილებს რა წინანდელი ცხოვრების მორალურ ზნეობრივ მხარეზე. 1937 წელს გამოიცა გ. გულიას მოთხრობების მეორე კრე-ბული, რომელმაც ცხადპყრ, რომ ავტორს ემარჯვება მოკლე, მაგრამ დინა-მიური ნოველების წერა.

ნაყოფიერად მუშაობს დრამატურგი მიხ. ლაკერბაია. მის კალამს ეკუთვნის პოპულიარული პიესები „გეჩების ჩამომავალი“, „ნათელა“ და ოპერების „ხა-ჯარათის“, „ბედნიერების“ და „განდევნილების“ ლიბრეტოები. ოპერა „ხაჯა-რათი“, რომლის მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. ბალანჩივაძეს, კარგად ცნობილია ქართველი მაყურებლებისთვისაც. დიდი წარმატებით იღგმება მ. ლაკერბაიას პიესა „გეჩების ჩამომავალი“ აფხაზურ სახელმწიფო თეატრში. ეს პიესა გეჩეულებს თანამედროვე აფხაზურ სოფელს, კოლმეურნეების ცხოვ-რებას, მათ დამოკიდებულებას შრომისადმი, ახალ ურთიერთობას ჩვენ სოცი-ალისტურ საზოგადოებაში. პიესის სიუჟეტი აღებულია მეყვავილე კოლმე-ურნის ცხოვრებიდან. ყვავილები ამ პიესის არა მარტო ფონია, ისინი ორ-განიულად არიან შეტანილი კომედიის სიუჟეტურ ქსოვილში. მოქმედება ამ პიესაში უაღრესად დაძაბულად ვითარდება.

აფხაზ მწერალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნ. კო-კოსკირს. სიუჟეტებს თავის ნაწარმოებებისთვის იგი სესხულობს ხალხურ ზეპირ სიტყვიერებიდან და ბევრჯერ თავის ნოველას აგებს ანეგდოტურ ამბავზე („ციცა“ „ძიძლია“). მისი ნოველებიდან გამოირჩევა „წითელი პარტიზანის ღედა“. რომელიც წარმოგვისახავს რევოლუციის წინანდელ ცხოვრებას და რომელიც უკვე ითარგმნა რუსულად და დაიბეჭდა ჟურნალში „დრუება ნა-როდოვ“.

ნოველებსა სწერს სტეფანე კუჩბერიაც. მისი ნოველებიდან აღსანიშნავია „ბაძი“, სადაც გადმოცემულია მენშევიკების ბატონობა აფხაზეთში. მოთხრო-ბა ცოცხალი ენით არის დაწერილი. კუჩბერიას ეხერხება ფსიქოლოგიურად დაძაბული სცენების მოცემა.

აუცილებლად რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას აფხაზურად ითარგმნილ ლიტერატურაზე, რომელმაც გაამდიდრა აფხაზური მწერლობა და გააცნო აფხაზეთის ხალხი მოძმე ხალხების, პირველყოვლისა, რუსი და ქართველი ხალ-ხის მდიდარ მხატვრულ სიტყვას.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსებიდან აფხაზურად ითარგმნა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დ. კონჭაძის „სურამის ციხე“, აკაკი წე-რეთლის რჩეული ლექსები და პოემა „გამზრდელი“, ილია ჭავჭავაძის რჩეული

ლექსები და პოემა „კაკო ყაჩაღი“, ე. ნინოშვილის „ჩენი ქვეყნის ჩაჩიღი“ და „გოგია უიშვილი“, ალ. ყაზბეგის „ელისო“, თანამედროვე ქართული მწერლებიდან: კ. ლორთქიფანიძის „იმერეთი“, ს. შანშიაშვილის „ქართული ლექსები და სხვა.

გამოიზარდა მხატვრული სიტყვის მთარგმნელთა მთელი კადრი — პ. შაკრილი, მ. ხაშბა, ლ. ლარსალია, მ. გოჩუა, ვ. მაანი და სხვები. შაკრილია სთარგმნა გოგოლის „რევიზორი“, „ქორწინება“ და „მკვდარი სულელები“. აფხაზურად ითარგმნა „იგორის ლაშქრობა“, „დავით სასუნცი“, ლ. ტოლსტოის, ა. პუშკინის, ტ. შევჩენკოს, ა. ჩეხოვის, ო. ტურგენევის, ა. ფადეევის, კ. ხეთაგუროვის, და სხვათა ნაწარმოებნი, რომელიც ამდიდრებენ აფხაზი ხალხის სიტყვიერებას.

უკანასკნელ წლებში აფხაზ მწერალთა კადრს შეემატენ ახალი ძალები. მკითხველის საერთო ყურადღება მიიქცეის ახალგაზრდა მწერლებმა: კ. ჯოჯუამ, შ. აშქუბამ, რაიფბეი ჯოფუამ; ალექსი ჯონუამ, ვ. ჩიჩერიამ, კიცი აჩბამ. განსაკუთრებით გულმოდგინეთ მუშაობს თავის ლექსის ხარისხზე და ამალღებს თავის პოეტურ კულტურას ალ. ჯონუა. მისი ლექსი „მოგონება“ მოწმობს ამ ახალგაზრდა პოეტის უეჭველ ზრდას.

ჩენი ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობა საკიროებს მეტ შემოქმედებითს დახმარებას და ხელის შეწყობას მწერალთა კავშირის მხრით. სამწუხაროდ, დღემდე გამოცემული არ არის ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებთა ერთი კრებულიც კი. მოთხოვნილება კი მასზე დიდია და საკმაო მასალაც დაგროვდა მის გამოსაცემად.

აფხაზეთის ლიტერატურული ცხოვრება კვალდაკვალ მისდევდა და მისდევს ჩენი დიდი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის დიდ ლიტერატურულ მოძრაობას. ამ ორი-სამი წლის მანძილზე 1937-დან 1940 წლამდე აფხაზეთში აღინიშნა ა. პუშკინის, შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, „იგორის ლაშქრობის“, კ. ხეთაგუროვის, „დავით სასუნცის“, აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას, ჯამბულის, ტ. შევჩენკოს, აკაკი წერეთლის საიუბილეო თარიღები. ამ იუბილეებმა დიდი როლი ითამაშეს არა მარტო იმ მხრივ, რომ მათი ჩატარების დროს აფხაზეთის მშრომელი მასები გაეცნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდ კულტურულ ძეგლებს, არამედ იმ მხრივაც, რომ ამ თარიღების აღნიშვნამ დიდად შეუწყვა ხელი აფხაზი მწერლების შემოქმედებითს-მხატვრულ ზრდას; მოძმე ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობასთან გაცნობამ და მისმა თარგმნამ აამალა აფხაზ მწერალთა ოსტატობა, გაამდიდრა მათი ლიტერატურული გამოცდილება, გააფართოვა მათი შემოქმედებითი პორიზონტი. მწერლები გაეცნენ მრავალნაირ მხატვრულ ფორმებს და გამოსახვითს საშუალებებს. უდიდეს ისტორიულ კულტურულ მოვლენად აფხაზეთის ხალხის ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად თარგმნა და გამოცემა. დღეს აფხაზ ხალხს მიეცა საშუალება თავის დედაენაზე წაიკითხოს მსოფლიო მნიშვნელობის ეს გენიალური ნაწარმოები.

დიდი ენება და ზიანი მოუტანეს აფხაზური კულტურის განვითარების საქმეს ხალხის საზიზღარმა მტრებმა — ტროცკისტ-ბუხარინელმა კვლევებმა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა არამზადებმა, მაგრამ მშვენიერად მასობრივად და მათმა მეთაურმა — ბოლშევიკურმა პარტიამ ერთხელ და საბოლოოდ ბოლო მოუღეს მათ მანებლობას კულტურის სფეროში.

გაიწმინდა რა აფხაზ მწერალთა რიგები ხალხის მტრებისაგან, სულ მოკლე ხანში აფხაზურმა ლიტერატურამ, ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ იდეურად და მხატვრულად. მწერალთა ორგანიზაცია შეიქმნა უფრო მონოლიტური და დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის დიადი ამოცანების გარშემო.

ამჟამად აფხაზური ლიტერატურა არაჩვეულებრივი აღმავლობის გზაზე სდგას. მხატვრული სიტყვის კულტურა ისეთ სიმამლევზე აღის, რომ იგი სცილდება აფხაზეთის ფარგლებს. აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები ითარგმნება და იცემა საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, პირველყოვლისა, ქართულ და რუსულ ენებზე. ჯერ კიდევ 1938 წელს საქ. მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „ფედერაცია“ გამოსცა აფხაზი მწერლების ნაწარმოებთა კრებული ქართულ ენაზე, ახლახან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის თავზე, ამავე გამომცემლობამ გამოაქვეყნა აფხაზ პოეტების რჩეულ ლექსთა კრებული. ამ კრებულების საშუალებით ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო აფხაზ მწერალთა შემოქმედებას. რუსულად ამავე მწერალთა ნაწარმოებები გამოსცა „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობამ. აფხაზური პოეზიის ანთოლოგიას გამოსაცემად ამზადებს გამომცემლობა „ლიტ. იზდატი“ მოსკოვში. ამრიგად, დღითიდღე ფართოვდება აფხაზ მწერალთა ნაწარმოებების მკითხველთა აუდიტორია. ეს გარემოება აფხაზ მწერლებს აეძლავს მომავალში უფრო ენერგიულად იმუშაონ თავისი ნაწარმოების ხარისხზე.

აფხაზური ლიტერატურის წინსვლას დიდად აფერხებს ლიტერატურული კრიტიკის ჩამორჩენა. საღი კრიტიკული ანალიზის უქონლობა იმის მიზეზი, რომ დღემდე ბევრ ნიკიერ აფხაზ მწერალს ვერ დაუძლევია ნაკლი თავის მხატვრულ შემოქმედებაში. აფხაზ მწერლებს მოეთხოვებათ ნათლად გაერკვნენ იმაში, თუ რა არის სიყალბე და რა არის ჭეშმარიტი ხელოვნება.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ გვავიწყდებოდეს მოწინავე რუსი მწერლის ალ. ფადეევის შემდეგი სიტყვები: „უკვე დროა გავიგოთ, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ვერ ეღერს და არც შეიძლება ეღერდეს, ერთი შეხედვით, თუნდაც ძალიან სწორი, ძალიან მართალი პოლიტიკური აზრები, თუ ისინი ვერ პოულობენ შესაბამის ცხოველ, სურათოვან მხატვრულ განსაზიერებას“. ჩვენ უნდა შევიჩვიოთ ასეთი საზომით მიუღდეთ ამათივ ნაწარმოების განხილვას და შეფასებას.

ლიტერატურულ კრიტიკაში არსებულ ხარვეზს ნაწილობრივად ავსებს ა. მ. მ. დელბა, რომელიც სწერდა და სწერს ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკ-

ვევებს, როგორც აფხაზი მწერლების შემოქმედებაზე, ისე თარგმნის კრიტიკატურაზე. მას ეკუთვნის მონოგრაფია დ. გულიაზე, ნარკვევები შუფერის თაველზე, ჯამბულზე და სხვაზე.

მხატვრული შემოქმედება ჩვენს ქვეყანაში მეტად საპატიო და საამაყო საქმეა. მწერლები ადამიანის სულის ინტინრები არიან, — ამხანაგ სტალინის ბრძნული აზრი მწერლის დანიშნულებაზე ჩვენს საზოგადოებაში, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ყოველ საბჭოთა მწერალს.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის მიერ ასი წლის წინათ თქმული სიტყვები:

«შორით ვუყურებთ ჩვენს შეილიშვილებს და შეილიშვილთა შეილებს, რომელთაც ხვედრად უწერიათ იზილონ რუსეთი 1940 წელს, რუსეთი, რომელიც სათავეში უდგას განათლებულ მსოფლიოს და რომელიც გეზს აძლევს რა მეცნიერებას და ხელოვნებას, იმსახურებს მთელი განათლებული კაცობრიობის პატივისცემას».

ბელინსკის წინასწარმეტყველება ასრულდა. ლენინ-სტალინის პარტიის გენიალური ხელმძღვანელობით 1940 წლამდე ბევრად ადრე მთელი ჩვენი დიდი სამშობლო. მასში მცხოვრები ყველა ხალხით, სათავეში ჩაუდგა მოწინავე კაცობრიობას და მიდის წინ — სოციალისტური კულტურის წარმატ მწვერვლებისკენ.

„საბჭოთა საქართველოს“

ეს დიდი წიგნი ქართველმა საბჭოთა მწერლებმა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის სახელოვან იუბილეს მიუძღვნეს. ეს არის ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში, რომლითაც ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარსდება თავისი ხალხის წინაშე ამ დიდი სახალხო დღესასწაულის დღეებში. მართალია, კრებულში არ მონაწილეობს მთელი თანამედროვე ქართული მწერლობა, მასში მხოლოდ 32 მწერლის ნაწარმოებია დაბეჭდილი, მაგრამ მაინც ეს წიგნი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართულ საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელ ვითარების შესახებ, მისი იდეურ-თემატური შინაარსის, მისი ოსტატობრივი დონის, მისი შემოქმედებითი პოტენციის შესახებ.



წიგნი მთლიანად გამსჭვალულია და შთაგონებული საბჭოთა ხალხის უმაღლესი და უწმინდესი გრძნობით — საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი სრულყოფილი და თავდადებულ ერთგულების გრძნობით, კრებულში მკაფიოდ არის გამოხატული აღორძინებული ქართველი ხალხის განუზომელი მადლიერება დიდი სტალინისადმი. ხალხის მზადყოფნა იმისთვის, რომ თავისი სისხლით დაიკვას ხანგრძლივი გმირული ბრძოლებით მოპოვებული თავისუფალი და მშვიტი ცხოვრება. ამ მოტივებზეა აგებული გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომლითაც ეს კრებული იხსნება:

„თუ მრავალჯის დანგრეული
დღეს ძლიერი ვახდა მხარე,
და მოედო სოფელს, ქალაქს
განახლების ნიაღვარი,
თუ გრივალი მშენებლობის
ამტყვევლებს თვით ქვა-ლოდებს —
ეს მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელს სახელს ვფიცავ
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროის ფერს დავიცავ“.

კრებულში მოთავსებული პოეტური მასალის დიდი ნაწილი უშუალოდ მიმართულია საბჭოთა საქართველოსადმი, გვიხატავს ქართველ საბჭოთა ხალხის დღევანდელ მშვიტ ცხოვრებას, მისი გმირული ბრძოლისა და დაუცხრომელ შემოქმედებითი შრომის მეტყველ სურათებს. ლექსში „ბერიას მოედანი“ ა. გ რ ი შ ა შ ე ი ლ ი აღფრთოვანებით უმღერის საქართველოს განახლებულ დედაქალაქს, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ერთადერთ აზრს პოეტი იმაში ხედავს, რომ გულწრფელ და შთაგონებულ ლექსებში გამოხატოს მშობელი ქვეყნის აღორძინების სინამდვილე:

„გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ,
მტკიცედ ჩადეკ სამშობლოში ფესვებით,
ახალ თბილისს, ახალ კოკორს ნაღვიძარს
უვალოზე ნამუსიან ლექსებით“.

დედა-სამშობლომ მისცა თანამედროვე პოეტს შთაგონება, სიმღერის ძალა და პოეტის მხად არის სამშობლოსვე მიძღვნიან ყველაფერი, რაც კი ძვირფასი და საუკეთესო გააჩნია. ამ აზრს გამოსთქვამს შალვა აფხაძე თავის სონეტებში:

„შენ აღმაფრინე, შემაყარე ტრფობის ღადარი,
და შენი მიწის მომწყდარ ბელტსაც შევეწირები.
შპარს გიმწვენებენ დაგზარიათ გმირთა-გმირები
შენი სიმღერა მიხმობს ტყბილი, შეუსადაოი...“

განახლებულ და აღორძინებულ საქართველოს დიად ბუნებას, მის დოვლათსა და ბარაქას, მის წიაღში დამკვიდრებულ ახალ ყოფა-ცხოვრებას ცხოველ პოეტურ სტრატეგიაში ასახვენ პოეტები ხარიტონ ვარდოშვილი („ფაზის“), კონსტანტინე ჭიჭინაძე („ასწევს ჭიქას ვარცხენ“), გიორგი კაჭახიძე („ისევ თბილისი“), კალეზობოხიძე („თბილისის შედრევენები“), გრიგოლ ცეცხლაძე („ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფელი“) და ახალგაზრდა პოეტები: მაყვალა მრეველიშვილი („ოცნება თავთავებზე“), ლ. ვ. გუგუშვილი („თერნალის პლანტაციები“).

ახალ საქართველოს მშენებელ ადამიანის პორტრეტს ზატავს სიმონ ჩიქოვანი ლექსებში „როშკის მოთავე“ და „ქართლის მეზაღე“. დიადმა სტალინურმა ეპოქამ ძალა შთაუნერგა მოხუც მეზაღესაც, რომელიც დაუცხრომლად თავს დასტრიალებს ბაღნარად ტყეულს თავის სამშობლოს ველებს:

„აშენებს ბაღში ჩრდილების ხონჩას,
კვირტებს აღვიძებს ხილის მორბედი
და მწუხრის შუჭუე მეზაღე მოსანას,
ხეხილის მოამე და შემომქმედი“.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანისადმი არის მიძღვნილი ალ. აბაშელის ლექსი „ფორთახლის ბაღში“ და მარჯანის „ჩემს ასულს“.



ქართველი ხალხს, ისე, როგორც მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყოველი გამარჯვება, შთაგონებულია კაცობრიობის უსაყვარლესი მასწავლებლის და გენიალური ბელადის — დიდი სტალინის გენით. ამიტომაც საყვებით ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხის აღორძინებულ და მზიურ ცხოვრების ამსახველ ამ კრებულში მოთავსებულ მასალათა დიდი ნაწილი ამხანაგ სტალინისადმი არის მიძღვნილი.

ერცულ სტეატურ ლექსში „მეგობრები“ ალიო მამაშვილი მამაშვილი ახანაგ სტალინის ცხოვრების ერთი ეპიზოდი, რომელშიც ცხოვდადა განსახიერებული ამხანაგ სტალინის უდიდესი გულისხმიერება, მამობრივი მზრუნველობა და სიყვარული მშრომელ ადამიანისადმი. — ბელადის უღრმესი პემაინში. ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, წარსულზე მოგონებებით გართული დიდი ბელადის მესხიერებაში გაიღვდა სიყვარული მეგობარმა, მუშა-მემაწაწემ, რომელიც დიდი ხანია მის აღარ შეხვედრია. ბელადმა მეგობრული ბარათი და სასუქარი გაუგზავნა სიყვარული მეგობარს. ლექსის მეორე ნაწილში აღწერილია ის განუყოფელი ბედნიერება და სიხარული, რომელიც მემაწაწის ოჯახს მოველიანა ახალწლის ღამეს ბელადის ბარათისა და ამანათის მიღებით.

ეს იღვა ბელადისა და ხალხის განუყოფელი ერთიანობისა განსახიერებულია ალიო მამაშვილის ამ ნაწარმოებში, რომელიც კონკრეტულ, ნამდვილი შემთხვევის საფუძველზეა აგებული.

კარლო კალაძის „ჩრდილოეთში“ ერთი თავია მისი ჯერ დაუმთავრებელი პოემიდან ამხანაგი სტალინის ცხოვრების და რევოლუციურ ნოღაწეობის შესახებ. პოემის ამ თავში აღწერილია სტალინის ცხოვრება გადასახლებაში... თვითმპყრობელობის ვერაფერ ღონისძიებას, გადასახლებას, სუსხიან ჩრდილოეთის გარემოცვაში ტყვეობას ვერ დაუშორებია სტალინი დიდი ღუნინისაგან, ხალხისაგან, თავისი ერთგულ თანამებრძოლისა და მოწაფეებისაგან. გადასახლებაში ამხანაგი სტალინი დაუცხრომლად ბელმძღვანელობს რევოლუციის დიად საქმეს და როგორც კი ეს საქმე მოითხოვს, იგი მოეშურება თავის საბარ-

ძალი პოსტინსკენ. უშიშრად გადალახავს უდაბურ გაყინულ სოფლებს, გოდანებს, წინაღმდეგობას.

კრებულში დაბეჭდილია რამდენიმე თავი რ ა ე დ ე ნ გ ე ე ტ ა მ ქსეძენისა „ხაშიმ სმირბა“. პოემის გმირის, სამშობლოდან განდევნილი აფხაზი მხევარის ცხოვრება და განცდების დაბატეით, პოეტი ასახავს ცარიზმის ჯალათურ პოლიციით უსაზღვროდ განაწამებუი შრომელი ხალხის დუსტიარ ცხოვრებას. დიდმა სტალინმა გამოიყენა ეს ხალხი ძლევამოსილ ბრძოლის დიად გზაზე, აამაღლა და გაანათა შრომელი ხალხის ცხოვრება.

„ბოლოს შუტი აქარის შიგნს გაანათებს უცებ,
წინა წყდება, ზღვისაც გული, ახლა ვით ბავშვს უცემს.
გარიერთაეი გადმოადრქვევს სხივებს მოკამყამს,
ეს სინათლე კობას მოჰყვა ერთ ნოემბრის ღამეს“.

ახალგაზრდა სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ერთი ეპიზოდია აღწერილი ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ის ნაწარმოებში „ციხე ზღვის პირად“, რომელშიც პოეტს განზრახული აქვს მხატვრულად ასახოს დიდი სტალინის რევოლუციური ბრძოლები.

ა ლ . ა ბ ა შ ე ლ ის ლექსში „შუე ბელადის მონუმენტთან“ გამსახიერებულა მზისებრ ცხოველმყოფელი ძალა სტალინის სიბრძნისა, რომელმაც ააღორძინა ჩვენი ქვეყანა. შრომელი კაცობრიობის დიდი ბელადების—ლ ე ნ ი ნ ის ა და ს ტ ა ლ ი ნ ის ა დ შ ი ა რ ის მიძღვნილი ვ ა ლ ე რ ი ა ნ გ ა თ რ ი ნ და შ ე ი ლ ის სონეტები, ამ დიად თემაზეა აგრეთვე დაწერილი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ქ ე თ ა თ ე ლ ის ლექსი „ბელადთან“, ს ა ნ დ რ ო შ ა ნ - შ ი ა შ ე ლ ის „შენ სტალინის გაზრდილი ხარ“ და ი რ ა კ ლ ი ა ბ ა შ ი ძ ი ს „ქანდაკე-ბა მოაწმინდავ“.



საბჭოთა საქართველოს ყველა საუკეთესო მონაპოვარი, მისი ზრდისა და აყვავების ეპოქა განუწყველად არის დაკავშირებული დიდი სტალინის უერთგულესი მოწადისა და თანამებრძოლის, ქართველი ხალხის საზაყო შეილის, ამხანაგ ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს სახელთან. თანამედროვე ქართული პოეზია უმღერის ამხ. ლავრენტი ბერიას, როგორც ახალ საქართველოს დაუცხრომელ მშენებელს და მოამბავს, ამ თემაზე დაწერილია ქართული პოლიტიკური ლირიკის არა ერთი საუკეთესო ნიმუში. ქართულ საბჭოთა პოეზიაში დამკვიდრებული ეს ტრადიცია გამოხატულებას პოულობს საიუბილეო კრებულშიაც.

ს ი მ ო ნ ჩ ი ქ ო ვ ა ნ ის ლექსი „მიძღვნა ამხანაგ ლავრენტი ბერიასადმი“. განსახიერებაა ქართველი ხალხის მადლიერებისა და სიყვარულისა თავისი სახელოვანი შეილისადმი:

„შენ ყოველ კუთხით დანერგე აგრე
სტალინის გრძნობის უცედავი ზეაგი,
მიეცი შუტი წინაპრის ნანგრევს
და ნანგრევებში სიციოცხლე ჰყავდის“.

ლ ე ქ შ ი შ ე ნ ს ტ ა ლ ი ნ ის ა ღ ზ რ დ ი ლ ი ხ ა რ ს ა ნ დ რ ო შ ა ნ შ ი ა შ ე ლ ი მიმართავს სტალინის სიბრძნით აღზრდილსა და დავეჯაცებულ თავის სამშობლოს:

„შენ ბერიამ აგაყვავა
და ბაღებში ბრწყინავს ღალი.
ზღვი-დოვლათი, უთვალავი!
სულ შენია მომავალი“.

ამხ. ლავრენტი ბერიასადმი ქართველი ხალხის მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით არის გამსჭვალული აგრეთვე ა ლ ი ო ა დ ა მ ი ა ს ლ ე ქ ო „კოლმეურნეთა წერილი ლავრენტი ბერიას“.



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებისათვის ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის თემაზე დაწერილი „მოსაშვილის ახალი პოემა „ბაზალეთი““. სარეცენზიო კრებულში დაბეჭდილია ამ პოემის ერთი თავი „ბაზალეთის ღამე“. პოემა ასახავს კონტრრევოლუციურ მენშევიზმის დიქტატურის დასამზობად მიმართულ ცნობილ დუშეთის აჯანყების ეპოპეას. პოემაში მკვეთრად გაისმის მოთინება-დაკარგული ხალხის მრისხანე გულისწყრომა მენშევიტურ „მშართველებს“ წინააღმდეგ:

„ჯუღელის რაზმები კარდაკარ დადიან,
დაიჭა დაავსო გლეხობა!
წენც გვინდა ცხოვრება,
სიცოცხლე გვწაიდან,
გვეყოფა წამება,
გვეყოფა!“

ბოლშევიკების დიადი პარტია მიუძღოდა და მეთაურობდა ქართველი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას. ლენინისა და სტალინის სახელით მიჰქონდა იერიში ხალხს ბურჟუაზიულ-მემამულურ წყობილების უკანასკნელ ციტადელზე:

„აქ არის სტალინი!
ო, რა მზე ჰყენია,
სადაც ცას ეხდება ბნელეთის სარქველი:
ლენინი —
რუსული მიწაწყლის გენია,
სტალინი —
მსავეით მგზნებარე ქართველი“.

პოემის ამ პატარა ნაწვევტიდან, რომელიც სარეცენზიო კრებულშია მოთავსებული, ნათლად სმანს, რომ პოეტი ისწრაფვის მხატვრული სახეების მეშვეობით ასახოს ეს სახელოვნო ეპიზოდი ქართველი ხალხის ისტორიულ-რევოლუციური წარსულისა.

1921 წ. 25 თებერვალს, ძღვეამოსილ გამარჯვებით დაშთავრდა ქართველი ხალხის მრავალსაუტუნოვანი ბრძოლა ნაციონალური და სოციალური მონობისაგან თვედასაღწევად. ამ დიადი ისტორიული თარიღისადმი არის მიძღვნილი ვასო გორგაძის ლექსი „თებერვლის ღამე“. პოეტი ხატავს დიდი პროლეტარული რევოლუციონერის — სერგო ორჯონიკიძის მგზნებარე სახეს, რომელმაც პირველმა ახარა მშობელ ქვეყანის:

„რომ დაშრა ცრემლი, სატუნეთ ტანჯვა დარული,
დამკვიდრდა ხალხის სხივმოსილი ბედნიერება,
რომ ამიერით ემატება ცას სიხარული,
დღევებს — სინათლე, დედამიწას — ნიუიერება“.

ამ დიადი ისტორიული თარიღის განმეახლებელი, ცხოვრების ვარდამქმნელი ძალა და აზრი გამოხატულია ვრიგოლ აბაშიძის ლექსში „კალენდარი“.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის „პორევი“ წარმოადგენს პირველ ნაწილს მისი რომანის „იმერეთი“-ს მეორე წიგნისას. თუ რომანის პირველი წიგნი მოგვიანრობდა საკლემენტნეო მოძრაობის პირველი, დაწვეებითი ეტაპის შესახებ, როცა ჯერ კიდევ მძღაერი იყო კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა და იგი ბრძოლის აშკარა და პირდაპირი საშუალებით მოქმედებდა, რომანის ამ მეორე ნაწილში მწერალი გვიჩვენებს, სოციალისტური სოფლის ისეთ აღმავლობას, რომელმაც საბოლოოდ დაუტარვა მოსვენება და სიშვეი-

დე ბარნაბა საგანელიძეებს — სოფლის ეკლავურ-რეაქციულ ძალებს. ეხლა ისინი კლასობრივი ბრძოლის უფრო რთულ და ვერაგულ ფარულ ფორმებზე გადადიან, თუმცა, ყრველი მათი ნაბიჯი დასამარცხებლად და დასალტპავად არის განწყობილი. **ერქონული**

როგორც გარემოცვის აღწერილობის, ისე სიტუაციების დახატვას **ბლ. მკვარცხელი** ხასიათის გამოკვეთის თვალსაზრისით, რომანის ამ ნაწილში მწერალი გაცილებით მეტს ძალას და სიღრმეს, მეტს ოსტატობრივ დონეს აღწევს „იმერეთის“ პირველ წიგნთან შედარებით.

ცალკე ეპიზოდები მძაფრად და ცხოვლად არის დახატული, თუმცა ისინი ჯერ კიდევ არ არიან მოყვანილი სიუჟეტურ მთლიანობაში.

ახალი თბილისის ფონზე გაშლილი დემნა შენგელაძის რომანი „შთაგონება“, რომლის ერთი თავი „სიკოცხლე“ დაბეჭდილია სარეცენზიო კრებულში, რომანის მომჭედ პირებს ჩვენი დროის ადამიანები წარმოადგენენ. რომანის ამ ერთ თავში უკვე მკაფიოდ მოსჩანს ტიპიური სახეები ახალგაზრდა სპეცილისტის — ინჟინერ შირიან ლარაძისა, მოხუცი მუშის — ესტატესი, მასწავლებელი ქალის — ხვარასი, ჩვენი დროის ქალიშვილისა — დარკოსი და სხვ. მწერალი ვერცხენებს თავის პერსონაჟებს, როგორც წარმოებისთან, სოციალისტურ აღმშენებლობასთან დაკავშირებით, ისე პირადად ყოფა-ცხოვრებითი ერთეულობაში.

კრებულში დაბეჭდილია ერთი თავი იაკინთე ლისაშვილის ბიოგრაფიული ქანისა რომანისა „ეცხოველი“, მასში აღწერილია ლადო ეცხოველის ცხოვრება უკრაინაში; დაწვებული ლადოს ჩასვლით კიევში და გათავებული მისი პირველი პატრონობის ეპიზოდით.

ლადო ეცხოველის, როგორც დაუცხრომელი მებრძოლის, ხალხის კეთილდღეობაზე გატაცებული მეოცნების, უშიშარი და მტკიცე ხასიათის რევოლუციონერის, გულისბიერი და მგრძობიარე ადამიანის სახე აქ დახატულა რევოლუციურად განწყობილი უკრაინელის — კორალენკოს ოჯახის გარემოცვაში. ცოცხალ და დამაჯერებელ მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ რომანის ამ თავში ნაწვენები პერსონაჟები: ახალგაზრდა უკრაინელი — ვალია, ლადოსადმი ღრმა სიმპატიით გამსჭვალული ქალიშვილი განაა და მისი შშობლები.

ბორის ჩხეიძის ნოველა „შეილები“ ერთი ბუნდერი საბჭოთა ოჯახის თავგადასავლის მგაღალითზე ასახავს ახალი ადამიანების ზრდას და დაწინაურებას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული შეილები ერთი ოჯახისა. გაიზარდნენ საბჭოთა ქვეყნის მოწინავე, წარჩინებულ ადამიანებად და ყოველმა მათგანმა ბუნდერება და სიხარული მოიტანა თავის შშობლებს, თავის ხალხს, შშობელ ქვეყანას.

ანალოგიური მიზანდასახულების საფუძველზე აგებული დავით სულაშვილის მოთხრობა „ალსრულდა“ მასში ნაამბობია ერთი მეეტლის თავგადასავალი. იგი გლეხის შვილი იყო. დიდის ეკივგახებით მიიღწია მან მეეტლეობას. მისი ვაგი შოფერი ვახთა, ხოლო შვილიშვილი სტალინურ შევარდნების თაობას ეკუთვნის და ამაყად დაფრინავს საბჭოეთის თვალწინდებულ სიერეებში.

ეს დიდი გზა პრიმიტიული ურმიდან თვითმფრინავამდე საინტერესოდ და მიმზიდველი სიწრფელით არის აღწერილი სხენებულ მოთხრობაში.

ლადო ბალიაურის მოთხრობა „ღიმილი“ ორი თემატური პლანით ვითარდება: მოხუცი მეცხვარის — კობას ნაამბობის სახით აქ მოთხრობილია მთის ხალხის თავდადებული ბრძოლის ისტორია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. ხოლო მოთხრობის ძირითადი ფაბულა — თალალას, ჯერხას და გივარგის ურთიერთობის ამბავი გვიჩვენებს განახლებული მთის ხალხის დღევანდელი ცხოვრების სინამდვილეს, მთაში ახალ სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებითი ფორმების გამტკიცებას.

ავტორი თავისუფლად ფლობს აღებულ მასალას, გამჭრიახად ხედავს და მიმზიდველად ხატავს მოქმედების ფონს, თუმცა ძირითადი სიუჟეტური კოლიზიის გადაწყვეტაში რამდენადმე ლაღატობს ბუნებრივობასა და მხატვრული დამაჯერებლობის მოთხოვნას.

კრებული იხურება ნიკოლოზ თქიფანიძის ნაწარმოებით: „ერთპერანგანი“ — ეს არის ლევენდა, რომელშიც განსახიერებულია იდეა ხალხის უცვლადებისა და უძლეელობისა, ხალხის თავდადებულ ერთგულებისა თავისი სამშობლოსადმი, შშობლიური მიწა-ლისადმი.



კრებულის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ მასში შეყვანილი მასალების ნაწილს რომანებისა და პოემების ნაწევრები შეადგენენ, რომლებიც გერსტოვეზენ მილიან და დასრულებულ შთაბეჭდილებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ კრებულში მხოლოდ პოეზია და მხატვრული პროზაა წარმოდგენილი. მასში არაერთი ადგილი არ აქვს დათმობილი საბჭოთა ქართულ დრამატურგიას და ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებას.

კრებული ტექნიკურად კარგადაა გამოცემული, თუმცა სამწუხაროდ კორექტურული შეცდომებისაგან დაზღვეული არ არის. აგრეთვე აღსანიშნავია რომ ზოგიერთი მასალა რედაქციის მიერ სათანადოთ გასწორებული არ არის.

განს. ქაიხანიძე.

ელეზბარ კოლუმორდინოვი — „ბანდიკის წინ“

წიგნი პირველი

ელეზბარ კოლუმორდინოვის ნაწარმოებთა ქრონოლოგიური გათვალისწინება მისი შე-
მოქმედებითი ზრდის მანიწინებელია. უკანასკნელი, საკმაოდ დიდ-ტანინანი რომანი — „გან-
თიადის წინ“, ავტორის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლის თავის-
თვის მიუძღვნია.

ავტორის ამოცანა გვიჩვენოს ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის ის პერიოდი,
რომელიც ჩვენი საბჭოთა წყობილების დამყარებას წინ უძღოდა: 1905 წელი და მისი
მომდევნო პერიოდი, 1914 წ. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, 1917 წ. თებერვ-
ლის რევოლუცია, ოქტომბრის რევოლუცია, ფრანტის დაშლა (კერძოდ ა.-კავკასიისა და
საქართველოს უბანზე) და უაზრო ომებით დაღლილი დემობილიზებული ჯარის ბოლ-
შევიკური საბრძოლო განწყობილებით დაბრუნება თავიანთ ქვეყანაში—სოფლად თუ ქა-
ლაქად... რომანი უმთავრესად ლენინების გლებთა მოძრაობის ფონზე იშლება. ავტორს
როგორც ეს რომანიდან ჩანს, კარგად შეესწავლია ეს მხარე, მისი გეოგრაფიული გარემო,
ხალხის ზნე-ჩვეულება, ადამ-წყესები, კლასობრივი ურთიერთობა, კერძოდ გლებთა რევოლუ-
ციური მოძრაობა. მხატვრულად განზოგადოებულ, საკმაოდ დამაჯერებელ ფორმებში გვი-
ხატავს რომანი მაშინდელი საზოგადოებრივობის თითქმის თვითიერ კლასს: დეგრადირებუ-
ლი თავადაზნაურობა (ჩიკვანები, გარდაფხაბები, დადევნებულებანი), ჩარჩ-ვაჭრები და
სოფლის წვრთბელა-ბოძოლები, წერილობრუთაზიულა ინტელიგენცია ერთი მხრივ, მეორეს
მხრივ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საბჭოთა წყობილებისთვის მებრძოლი სოფლის
მშრომელი გლებობა.

— არ დაიწყებოდა გლებობას ცხრაას ხუთი წელი როგორც შორი და განუწყვეტე-
ლი ზეზენი, დღესაც ესმოდა მას იმდროინდელი მოწოდებები: მიწა გლებებს, ფაბრიკა
მუშებს. ჯერ კიდევ მაშინ მოდიოდა ლენინებში ხმები „მუშათა საქმეს ისეთი არწივი დას-
ტრიალებსო, რომ ჩვენი საქმე უსათოდ გაიშარჯებასო. ის კაცი გორაკელაო, სახელად კობა
ეძახიანო“ — ეკითხულობთ რომანში (გვ. 82—83). ავტორის დაკვირვება და მხატვრული
აღლო სწავნა გამსაკუთრებით ნაწარმოების პერსონაჟთა მარჯვე და ოსტატურ დახასიათე-
ბაში. რომანის გმირები თითქმის მახლობელნი და ნაცნობნი არიან, თითქოს ისინი თვით
უშუალოდ ცხოვრების სინამდვილიდან აღდგა ავტორს. რეალური და ტიპური ნიშნები
მათში პირმითელადაა შერწყმული. რომანში უაღრესად საყურადღებოა ჯოხაძის ტიპი,
რომელიც თავისი შემპარავი ცბიერებით, ვიწრო მესაკუთრული ანგარიშობით, პირმოთ-
ნეობით ოსტატურად ახერხებს უზრუნველყოს ყველა დროში თავისთვის მყუდრო ბინა—
„წამთარ—თბილი, წაფხულ—გრილი“, რევოლუციურ მოძრაობათა ამ პერიოდისთვის ჯო-
ხაძე რეალური და დამაჯერებელი სახეა.

ყოცხალი და ტიპური სახეა აგრეთვე ვალოდია სულაძე. იგი დარდიმანდი და პა-
ტიმომყვარ ოფიცრის ტიპია, რომლისთვისაც უცხოა რაიმე საზოგადოებრივი იდეალი და
შალაღი მისწრაფება; ჯარისკაცთა ბედს მას ოდნავადაც არ აინტერესებს, რამდენი ათე-
ული ჯარისკაცი გაუწყვეტია უაზრო ომში იმისთვის, რომ უფროსთა ყურადღება მიექცია,
დაწინაურებულყო. ოქტომბრის რევოლუცია მას ფრონტზე უსწრებს და იგი შეშინებული
ბრუნდება საშობლოში. ღრმად რეალურია აგრეთვე მოხუცი შერხაეის სახე. „გაბუ-
რძენილი წვერულეაში“, ხმა-ამოუღებელი და თავჩაქნდრული მოხუცი შერხაეი ყველისა-
ვან დაბრევიებულია, იგი ნახევრად მუქთი, იაფი მუშა ხელია. მისი სახით ჩვენს წინ დგას
რაკა-ლენინური მეტეორი, შერხაეი მუშა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა თბი-
ლისა თუ ქუთაის-ბათუმში.

ყოცხლად გამოკვეთილი სახეა აგრეთვე მხა. იგი სიღარიბესა და ტანჯვა-გასაკირშია
გამოზრდილი, იმპერიალისტური ომის ფრონტიდან იგი ბოლშევიკად ბრუნდება, გმირულად
და თავგანწირვით იბრძვის თავის ქვეყანაში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისათვის.



ასეთივე მხნე და უშინარი ბოლშევიკის ტიპია — აკაცი ოშიგაძე. რომანში წარმოადგენს სანტრესო ტიპებად, რომელნიც საკმაო სისრულითა და დამაჯერებლობითაა წარმოდგენილი. ავტორი მზირად პერსონაჟთა პორტრეტულ დახასიათებას გვახსენებს შემდეგნაირად ოსტატურადაც:

გ ე მ ლ ი მ ე ტ ე ს

— „ოთახში ორი კაცი საუბრობდა. ერთი, რომელიც კარისაკენ ზურგიით იჯდა და პრაქის სინათლე ზედ ეფრქვეოდა, დარბაზის კილოთი ლამაზაკობდა. მისი შვალდი და ფართო შუბლი, ნაცრისფერი, მოღურჯო თვალები და ლამაზთ გადაწვენილი წარბები, მის ბაგეებთან ერთად შეტყვევებულან. შეენოდა უკან გადავარკმნილი, ოდნავ ზეშუპა წაბლისფერი თმა, განიერი ნიკაბი და შიშლი აწეული თვალის საცე ქუთუთოები. მის გვერდში მჯდომარეს დაახლოვებით ოცდაათი წლის კაცს, სკამზე მდებარე პატარა რუკაზე წერტილებად აღბეჭდილ სოფლებს და დაკლანძვილ ხაზებად გამოხატულ გზებს უჩვენებდა. მეორე უსმენდა და გულმოდგინე ყურადღებით თვალს ადევნებდა ყოველ მის მოძრაობას. შარბილია, ცეცხლივით მკეთილი იყო პირველის ყოველი მოძრაობა და წარმოთქმული აზრი, მაგრამ მის სახეს მაინც ეშხნეოდა ღრმა ფიჭვი და გადაწვეტილების სინდელი. შუბლზე არც ერთი დარი არა ჰქონდა, თუ სადმე ბეწვივით წერილი პატარა ნიჭი მოუჩანდა, ესეც იმისთვის, რომ არა მხოლოდ მისი შუბლი გაელამაზებინა, არამედ მთელი სახე ყოველი ნაკეთი, რომელიც კი მის თეთრ-წითურ სახეზე გამოკრთოდა, მხოლოდ ლაღი და გამაღული სიცოცხლის გამოხატველი იყო. მის თვალებში მოქცეული იყო არა მხოლოდ შედეველობის უნარი, არამედ მოქმედებისაც, თვალები მთელი მისი ბუნების სარკე იყო. როდესაც ის ლამაზაკობდა, მოყვანილ პავეებს ზოლში ბროლივით თეთრი კბილი მოუჩანდა, როდესაც იღიმებოდა, მაშინ მის სახეზე სულ სხვა ადამიანი იბადებოდა“ (გვ. 138-9).

სახისა და პორტრეტის შესაფერ, ტიპურ ფორმაში წარმოდგენისათვის ავტორი პერსონაჟის ტანფეხსაცმელსაც გამოწველილითა და საკურო სისრულით გვიხატავს. პერსონაჟების დახასიათებასთან ერთად რომანის მთელ მანძილზე ბევრი კარგად დამუშავებული სურათები გვხვდება, ასე მაგ. მთის ხალხის გამოჩვენება საბაზროთ, თვით ბაზრობა, მთას ჯარში გამგზავრება, მიხას და თავადების შეჯიბრება დოლში, ბრძოლა აჯანყებულებთან და სხვა ნიჭიერი მხატვრის საკმაოდ ოსტატური ხელითაა ნაქანდაკევი. ასევე ძლიერია ავტორი პეიზაჟების, ბუნების სურათების ხატვაშიაც.

ავტორი მოსწონს არა როგორც ისტორიულ-სოციალური ფაქტების ყურბოქილი მონა, არამედ ამ ფაქტური მასალის სრული ხელისუფალი და მათი ორგანიზატორი გარკვეული თვალსაზრისით — ბოლშევიკური თვალსაზრისით.

რომანში ხელმოხვეულია მთელი მასალა ზუსტადაა გამიზნებული, ერთი მთლიანი კომპონენტური იდეოლოგიის ხერხემალზე აგებული და ავტორიც მკითხველს ამ მიმართულებით იშხადებს. ავტორი ახერხებს მთელი მოთხრობის მანძილზე მკითხველი სახეებისა და სურათ-სცენების გარემოცვაში ჰყავდეს და მშრალ პუბლიცისტიკაში არ გადაიქცეს.

რომანი ენობრივადაც საკმაოდ გამართულია, მისი ლექსიკური მასალა საკმაოდ მდიდარია და მრავალფეროვანი. პოეტური სახეები ცოცხალი და ორგანიზალური, რაც ნაწარმოებს ინტერესით საკითხავს ხდის. ავტორი საკმაო ზომიერებას იჩენს პრაგმეტიკალიზმებისა და კუთხურ გამოთქმების მოხმარებისას; მაგრამ ნაწარმოები როდია მთლიანად უნაკლო.

აღაგ-აღაგ ზოგიერთი სურათისა და სცენის გახსნა-ჩვენება ნაძალადეგობისა და ხელოვნურობის იერს ატარებს. აქაიქ გაჭიანურებული სცენები, რომელთა ამოღებითა თუ შემოკლებით რომანი უფროდ მოიგებდა (მკრთალია ბოლო სურათები მე-4 თავში. მათი უშტკოვნეული შემოკლება თავისუფლად შეიძლება ნაწარმოებისთვის უხიანოთ); ბელეტრისტულ ნაწარმოებში ავტორი უნდა ერიდებოდეს მოსაწყენად დუნესა და ნელად მდინარე სურათებს, სცენებს, ისიც ასე მოზრდილ ნაწარმოებში. რომანში არის უხერხული ფორმები და სიტყვები. მაგ.: „თავგამოდებულ და ამპარტანულ უარს ეცხებოდნენ“ (უშკობისია მტკიცე ან ცივი უარით ისტუმბოდნენ). „ბეებს ტოტები მთელ ეზოში ჰქონდა და გადაშლილი“ (უნდა იყოს „შთელს ეზოზე“), „არ უტკეია“ (არ უტკეპება), „არაფერი არ ნახსოვდა თავში“ (არ ზედმეტია, რადგან 2 უარყოფით ფორმა — არაფერი და არ საგარაუდო აზრის საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა, უშკობისია ვთქვათ — არაფერი ესმოდა, ვერაუფერს იკვებდა) არის აგრეთვე რუსიციზმებიც (საღდათი და სხვ.).

წიგნი გამოცემულია ლამაზად, კარგ ქაღალდზე. ღირს 12 მან. 15 კაბ.

შალვა დადიანი, როდისღაც მოსკომა — „სტალინი მიათხარაში“

ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ცხოვრება, ბრძოლა და მოღვაწეობა შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა. ამიტომაც, რომ ჩვენი მოწინავე მწერლები და პოეტები ასე გატაცებით ასახავენ თავიანთ შემოქმედებაში ბელადისა და მისი თანამებრძოლების სახეებსა ვერძოდ, საქართველო და ამიერ-კავკასია, სადაც სტალინმა პირველად შექმნა და ჩამოაყალიბა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და დარაზმა მშრომელები პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლველად, მდიდარ ისტორიულ მასალას იძლევიან დიდი სტალინის პირველ რევოლუციურ მოღვაწეობაზე.

ამხანაგი ლ. პ. ბერია თავის შესანიშნავ შრომაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ სწერს.

„1904 — 1905 წლების პერიოდში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ატარებენ ბრძოლას მენშევიზმის მხილებისათვის და მუშათა მისებისათვის მხარეზე გადაყვანისათვის.

რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტი, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, აწუხებს დისკუსიას მენშევიკებთან შთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში...

მთელი რიგი დისკუსიები ეწყობა სხვადასხვა დროს კიათურაში, მარგანეცის თითქმის ყველა მალაროში (პერევესი, შეჭრული და სხვ.).

კიათურის დისკუსიებში მენშევიკებმა სრული დამარცხება განიცადეს. სოციალ-დემოკრატი მუშათა უდიდესი უმრავლესობა ბოლშევიკებს მიეშვრა.

ამხანაგი სტალინი კიათურაში აარსებს პარტიის სამაზრო ბოლშევიკურ კომიტეტს, მოწინავე აქტივისტ მუშებისაგან გამოიყოფს პროპაგანდისტთა ჯგუფს, აგრეთვე ამზადებს აქტივის სპეციალურ ჯგუფს კიათურის რაიონის გლეხთა შორის სამუშაოდ“.

შ. დადიანისა და რ. კორჭიას წიგნი სწორედ ამ ისტორიულ დისკუსიისა და კიათურაში სტალინის მოღვაწეობის პერიოდს ასახავს. ავტორებს დიდძალ მასალისათვის მოუყრაით თავი და მხატვრული ნარკვევის ფარით გაუშუქებიათ იგი. წიგნი შესდგება ორი ნაწილისაგან, თვითმთელი საკითხი გამოყოფილია ცალკეულ თავად. ავტორები კარგად მოკცულან, რომ შეხებთან კიათურის მარგანეცის აღმოჩენის ისტორიას, იქაურ გლეხთა და მუშათა მკვლამარობას, მრეწველობის ხასიათს და ამავე დროს მოუტყაით რევოლუციური აღმშენებლობის პირველი პერიოდის დამახასიათებელი სურათები.

წიგნის პირველი ნაწილი ეხება კიათურის მარგანეცის მრეწველობის მეტად სინტერესო ხანას, როგორც ცნობილია, ამ მრეწველობის ისტორია დაკავშირებულია აკაკი წერეთლის სახელთან. უკეთესი იქნებოდა, სარეცენზიო წიგნის ავტორებს, მარგანეცის ჭიმიური შემადგენლობის მოცემის ნაცვლად, აეწერათ აკაკის დეაწლი მარგანეცის მრეწველობის ჩასახვაში.

წიგნის პირველი ნაწილი საერთოდ ძალზე შეკუმშულია, ცალკეული დაქტები რეგისტრირებულია უბრალოდ. იგი გვაგონებს გაზეთის კორესპონდენციას და არა მხატვრული ნარკვევის ფარით განსხეულებულ დაქტებს. ეს მდიდარი ისტორიული მასალა, რომელსაც ავტორები საერთოდ შეეხნენ, უფრო მეტ დამუშავებასა და ყურადღებას მოითხოვდა.

წიგნის მეორე ნაწილი, რომელიც მთლიანად ეხება დიდი სტალინისა და მის თანამებრძოლთა რევოლუციურ მუშაობას კიათურაში, კარგად არის დაწერილი. ცალკეულ დაქტებსა და მუშათა ცხოვრების დეტალურ ცოცხლად გადმოგვცემენ ავტორები. ეს ნაწილი იწყება 1905 წელს კიათურაში ბელადის ჩასვლით.

მუშა პეტრეს შეხვედრა სტალინთან და რევოლუციურ მოძრაობაზე საუბარი ცოცხლად და შეადიოდ არის აღწერილი. „წინათ მუდამ ჩაფიქრებული და თვალსევდიანი პეტრე“ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ მთლად გარდაიქმნა. მან შეითვისა არალეგალური მუშაობის ტექნიკა და ჩადაგ მოწინავე მალაროელთა რიგებში. მუშა ბოლშევიკი პეტრე იზრდება სტალინურ ტრადიციებზე. ეს ტიპი წიგნში თვალსაჩინოა

და ავტორები სწორედ მოიქცნენ, როცა მუშადა კრებები და გამოსულენი არა პარტი-
წერიტის, არამედ მოქმედების ასპექტში გვიჩვენეს.

ცოცხლად შედგენილი დიალოგები და ცალკეულ რევოლუციონერთა დახსენებები
აღვლენენ სტალინის თანამებრძოლთა ხასიათებს. წიგნი ბევრად უფრო მეტად ავტორ-
ებს რომ უფრო მეტი სისაყსით, უფრო ვრცლად აეწერათ სტალინის მოწაფეების აღიარა-
ჯათარობისა და სტეპკო ინწკორველის მუშაობის ჭიათურის პერიოდი.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ჭიათურაში ჩამოსვლის, სხვადასხვა ბურჟუაზიულ
პარტიებთან ისტორიული დისკუსიის ჩატარებისა და ამ დისკუსიაში ბოლშევიკების გა-
მარჯვების შემდეგ მალარაელთა ცხოვრებას ცვლილება დაეტყო. ზედიზედ ეწეობა გაფიც-
ვები, ჩაღდება აშკარა ბრძოლა კაპიტალისტთა წინააღმდეგ. იზრდება მუშათა შეგნების
დონე და ამ ზრდის პროცესი მუშა ტარელების მვალითით ავტორებს სინტერესოდ აქვთ
ნაჩვენები.

რევოლუციურ მუშაობაში ემშებიან ქალებიც და ეს პროცესი ფაცია ვალდავას პორტ-
რეტის ჩვენებით დამაჯერებლად აქვთ ავტორებს დახატული. „ზოგ ქალს ოქროს სამაჯური
დატმშვენებს მკლავებს, ზოგს ბორკილების რგოლები... რაა იმაზე სამაყო — ბორკილებია-
ნი ხელები ასწიო და შესძახო ჯვალათს: — აზრს ვერ მოკლავ ნაჯახით! ვაუმარჯოს რე-
ვოლუციას“ — ასე ფიჭრობს ფაცია ვალდავია. იგი თავდადებით მიენდო რევოლუციას და
ამიტომაც დაიმსახურა დიდი ნდობა.

„ — ჭკვიანი ქალი ზარ, პარტიის ერთგული, ამიტომ ვანდობთ სტამბაში მუშაობას —
უთხრა ფაციას კობამ“.

და ამის შემდეგ იგი ამხანაგ სტალინის წინადადებით მუშაობს არალეგალურ სტამბა-
ში, სადაც მრავალი პროკლამაცია დაიბეჭდა.

შალვა დადიანისა და როდიონ ჭორქიას ნარკვევი „სტალინი ჭიათურაში“ კარგად
იკითხება და კარგ მასალას იძლევა უფრო ფართო მხატვრული ტილოს შესაქმნელად.

კლ. გოგიავა.

შინაარსი:



კ. ნ. ჩარკვიანი — ქართველი ხალხის დღესასწაული	83- 11
ვ. ბაქრაძე — ლენინ-სტალინის დროში ბრძოლისა და	19
20 წელი	44
ფ. მახარაძე — კულტურული რევოლუცია საქართველოში	57
ი. თავაძე — ქართველი ხალხის ხელოვნება	63

მხატვრული ლიტერატურა

გლაკტიონ ტაბიძე — საიუბილეო	63
თბილისში მცხოვრები სომეხი პოეტები — მიძღვნა (თარგმანი პოლიო	68
აბრამიას და დავით გაჩეჩილაძის)	75
კონსტანტინე გამსახურდია — ხუთასი ბოლნისელის ამბავი	87
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ერთხელ კოკლიც წინაო	92
ლადო ბალიაური — ბათუ	105
ლადო ავალიანი — სამარყანდელი სტუმრის იმედი	108

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ზეს. ფლენტი — საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა	151
ხ. ზღაფა — აფხაზეთის ლიტერატურის განვითარების გზები	167

ბიბლიოგრაფია

ზეს. ფლენტი — „საბჭოთა საქართველოს“	173
კ. დონაძე — ელიზბარ პოლუმორდენოვი — „განთიადის წინ“	175
კლ. ვოგიავა — შალვა დადიანი, როდიონ ქორქია — „სტალინი	175
კი ათურაში“	175

კორექტურულ შეიღობათა განხორციელება

უფრ. „მნათობის“ № 1-ში დაბეჭდილ აშხ. ა. ადამიას პოემაში „ქორწილი კოლხიდაში“ 56 გვერდზე, მეორე სვეტის მეორე ტაეპი ქვემოდან — უნდა იკითხებოდეს:

„შენ გვიწინამძღვრე, ბელადმა იცის
 შრომაში როგორ დაგვამობილე!
 შენ მიმოფანტე ის შავი ნისლი,
 ეს თეთრი შუჭა შენვე მოჰქინე...“

„მნათობის“ 1940 წ. № 10-ში შ. დადიანისა და ალ. ბურთიკაშვილის მონოგრაფიაში „ლადო კეცხოველი“ 74 გვერდზე, ქვემოდან მეათე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

„...რუსეთის კაპიტალიზმი ამრიგად კავკასიას აბამდა მსოფლიო სასაქონლო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — იქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკათვის“ (ლენინი, ტ. III, გვ. 464).

ფაილი 4 885.

7
კენჭობა 5
ნათ

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აქადემია

საბჭოთა
საზოგადოებრივი
საბუნებისმეტყველო
მეცნიერებათა
აქადემია



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ